





entbr
2. *[Signature]*

$$\frac{Rp\ 185}{6}$$



206 401
206 403

2. *[Signature]* (Lihmo, 316)

კალმასობა

თსზ. ირანე ბაჭყალი-შვილისა.

ლიბიტრი ბაქრაქის წინასიტყვაობით

4163

მეორე გამცემისა
წ. ჭიჭინაძისა.



თფილისი
სტამბა ეჭეთიმე იგ. ხელაძისა.
1895

Дозволено цензурою 18 Апрѣля 1895 года

კალმასობა,

ერმი. არცარა ჩვენ წინაპართა იცოდნენ რა.
იოანე ხელა-შვილი. ამ ქვეყანას რაც გაე-
წყობოდა, ისინივე გვეჯობდნენ ჩვენ საქმი-
თაც და ვაყვაცობითაც. კალმასობა

ხალხი, რომელიც ძალადის ნიჭიერებით ღრის შემკული, რომელსაც ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრია, და მრავალი განსხვავებული გამოუცდია, ის ხალხი უბედურების უამრავდომიანს ნებისა და ხასიათის ძალსა. ასე დაუწყებია ბუნებისა და ამის მაგალითებს გვიჩვენებს თვით ისტორიაცა.

ამგვარ ხალხთა შორის უნდა შეირიცხოს ჩვენი ქვეყანა. მეცამეტის საუკუნით საქართველო დაუცხრომელს ურკავია. მონგოლთა შემდეგ იმას აშფოთებენ თურქნი, სპარსნი და ლეკნი. ის იგლიჯება სამსამეფოდ და ხუთი სამთავროდ, რომელთა შორის სუსტდება კავშირი. უპირველესი მანკა ზემო-ქართლი ანუ საათაბაგო სრულებით წაგვერთმევა, ასტყდება შინაური ადრეულობა, ერთი-ერთმანთის მტრობა, ტყვეთა ტაცება და გასუიდევა. ადამიანის მოსაზრებით, საქართველოს ბოლო უნდა მოდებოდა: შესანიშნავი კერძობითნი პირნი უნდა განწვლილებულიყვნენ; მთელს ხალხს დაეკარგა სულის ძალა; საწმუნოება შერყეულიყო; მიდრეკილება სწავლისადმი გამქრალიყო; სიტყვიერება სრულებით დაცემულიყო. მაგრამ არა, —

თავისუფლების მოყვარეობა და სულის სიმტკიცე ძველადგანვე შე-
ადგენდნენ ჩვენი ტომის უზირველეს დივსებსა, და ეს იყო
მიზეზი, რომ ამერ-იმერნი აზას დროს აზა ვის ან დაჭმონაგებიან.
თუმცა მტერნი მრავალ-ჯერ სძლევენ და დაიჭერდნენ საქართვე-
ლასა, მაგრამ სანგრძლივსა აქ დაიუძნებდა ვერა ჭბუდავდნენ, რადგა-
ნაც კარვად იცოდნენ, რომ ქართველი განტოლვილი მთების სი-
მაგრებში, მოსვენებს ან მისცემდნენ იმათ. თუმცა ჩვენი ქვეყანა
უკანასკნელთ მესვიდმეტე და მეოვრამეტე საუკუნეებში აურაცხელს
ბედვრულებას მიეცემა, ვინამც წაწიულს საუკუნეებში, მაგრამ ამა-
სთანავე ის აღმოჩენს მრავალთა სამავალით დივსებათა. აღმო-
გვიბრწყინდების წარჩინებულნი მეომარნი, შესანიშნავი მწერალნი,
და მიმწიდაობა სიტყვიერებისადმი. სარწმუნოება შეუწყველად
ჭსოევენ. მთელი ტომი-თავად აწინაურობა და დახალი საღსი ან
დაუგარდების ერთი-ერთმანეთსა ბრძოლაში მამულისათვის. ისინი
დაწმინებულნი არიან, რომ სასიკვდილოდ იღვწიან, მაგრამ სასო-
წარგვეთილებას ან მიეცემა, ისინი გვიჩვენებენ ნამდვილს ახოგნე-
ბასა და სასწაულებრივთა საქმეთა; ისინი გაკვირებაში მოიყვანენ
მტერთაც და ეგრობელთაც, რომელთაც საკუთარის თავლით უსა-
სავთ იმათი მოღვაწეობა. გიორგი XI, ქართლის ბატონი, მიჩვევის
რომ ებრძოდა ავგანისტანში, ერთი დედაკაცი, რომელმაც ქმის
სიკვდილი იხლვია მის ავგანთ მოკვლით საკუთარის ხელით, ამათი
საქმეები აგვიწერა ერთმა იესუიტმა კრუწინსვიმს, აგრეთვე ეგრობის
ავტომათა დავიტიეს ცნობანი შეძგეთა ახოგანთა პირთა ზედა;
გიორგი სააკაძესედ და იმის შვილსედ, თეიმურაზ მეორესედ და
ირაკლი მეორესედ. ვის ან მოსმენია, რა სიტყვა წარმოთქვა
ქრდიდრის დიდმა? შესანიშნავი პირი ამ დროისა ერთი მე კარა,
მეორე ირავლი. თვით რუსეთის იმპერატორიცა ეკატერინე მეორე
გასაოცარ მეომარ პირად წარმოადგენს იმას მიწერ-მოწერაში ვო-
ლტერთან. ვის ან ამოუგითხავს, რომ სხარსთა და აღმართავს
ირაკლი იყო წოდებული „შეკებულ ლომად,“ რომ მან-ნადირის სი-

კვდილის შემდეგ შიშობდენ, სხარსეთის ტასტი ირაკლიმ არ დამ-
ჭირდისო? რამდენჯერ მომსდარა, რომ 2000 ქართველთ წეობას-
20,000 მტერი სრულებით უძლევათ? სასწმინოება?... მთელი ქვე-
ყანა იყო განცვიფრებულ ჩვენ წინაშართ სიმტკიცითა სჯულსედ და
და დარკითა თჳისის აღსარებისა. მოვიგონოთ, რომ უზარკელსი
რუსეთის მღვდელ-მთავარი, მოსკოვისა მიტროპოლიტი ღილანე-
ტი, რუსეთის მართლ-მადიდებლობის დასამტკიცებულად უჩვენებს
ჩვენს ეკლესიასა, რომელიც შეურყეველად ჭკაესო მოთისის სა-
უყუნით. როდესაც კი უყარება რამ შემოეროდა ქართულს
ეკლესიასი ანუ წსეობითს-წესდებულებაში, ყოველთვის მეფენი
მოიწვევდნენ ვრებათა, და აღმოჭსოცადენ უწესობათა. უგანსგნე-
ლი ვრება იყო ირაკლის დროს. ვერც მეცადინეობა მაცმადიან-
თა, ვერც მეცადინეობა კათოლიკთა, ვერ შემდებდნენ ჩვენის სა-
სწმინოების შერყეასა. ფრანტუის მწერალი ჰარდენ გვიამბობს,
რომ როდესაც კი სხარსისი სელ-ყოფდნენ მექეთის შენებასა ტფი-
ლასში, იმათ ქვებით თურმე ამოჭსოცდნენ ქალაქის მცხოვრებნი.
მოვიხსენოთ, როგორ განსდევნეს საქართველოდამ თაიმურასის
დროს კათოლიკოსი ანტონი I, როდესაც იმას დასწამეს კათოლიკეთ
აღსარების მიღება, არა რაი შეიწროება არ შეაყენებდა ქართველ-
თა, რომ მსრუნველობა არ ექონიათ თავიანთ მონასტრებისათვის
პალესტინაში და საბერძნეთში. ჩვენსი მამანი და დედანი, იარაღით
სელში, დაუყოვნებლივ შესრულებდნენ თავიანთ მოგსაურობასა ი-
რუსალიმს, მაშინ როდესაც ვეროპიელთ ქრისტიანენი დიდად ში-
შობდნენ მისვლა-მოსვლასა. სჯულისათვის მრავალთ ქართველთ მო-
უთმენიათ ტანჯვანი, რომელნიც ედრიან პირველ საუგუნეთ ქრის-
ტიანეთ წამებათა. მოვიგონოთ კასთ-დედოფლის ქეთევანის სიკვდი-
ლი სხარსეთში. დაუფერებელი იქნებოდა იმისი ტანჯვა, რომ თვით
კათოლიკეთ მისიონერთ თვალ-წინ არ მომსდარიყო და იმათვე და-
წვლილებით არ აეწრათ. იმ დროსვე შეიჭრისნენ მოსკოთა შორის

მეფენი აჩილ და ლუკსაბ, თავადნი—ბიძინა ჩოლაყაშვილი, ელიზ-
ბარ და შალვა ქსნის ერისთავის შვილები.

ღელვით სავსე ცნობებამ ვერ განაჩაყვა ქართველებში ცნობი-
სა და სწავლის-მოყვარება. ვიცით რა პატივისცემა და შემწეობა მია-
გეს ირაკლიმ, გიორგიმ და სოლომონ პირველმა, ბატონი-შვილთა
და თავად-აზნაურთა ევროპიის მეცნიერთა გულდენშტეტსა და რეი-
ნგსა, რომელნიც კავკასიის აღსაწერად იყვნენ წარმოგზავნილნი. ვი-
ცით, რა მიწერ-მოწერა ჰქონდათ იმათთანა, რა გვარად ჰსარგებლელ-
ბდენ იმათის ცოდნითა, როგორ მოიწვევდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში
დასასრულებულიყვნენ! თვითუფს მთავრებთანა, რა პატივს უჩვენებდნენ
საქართველოში მყოფთა პატრთა, რომელთაგანაც მიიღებდნენ, რომ-
გორკათაც ნასწავლთა ექიმებთაგან სასარგებლო სამსახურსა და აგ-
რეთვე მეცნიერებრივსა ხელთ-მძღვანელობასა. ქართველებს ჰქონდათ
საკუთარი შკოლები ტფილისში, თელავში და დიდს მონასტრებში.
ჩვენ ყოველთ ვიცით, რა იყო თელავის სემინარია, დაფუძნებული ან-
ტონი პირველის დროს, გაიღო თავაშვილისაგან, ან ვინ იყო და-
ვით რეკტორი. ამ სასწავლებლებში მიიღეს მრავალთა თავად-აზნაურ-
თა და სამღვდელთა საღმრთო და საერო სწავლა. ვიცით რომდენ-
ნიმე გვამნი, რომელთაც სამსედრო და ანტილერის სწავლა მიიღეს
რუსეთში, და იმათის შემწეობით ირაკლიმ დაფუძნა სამსედრო ხე-
ლოვნება და ანტილერია. ერთმა ისწავლა თვით ანგლიაში: ეს იყო
პაატა ვასტანგ მეფის შვილი; პეტრე დიდის დროს რუსეთის ან-
ტილერის თავი იყო ჩვენი მეფის აჩილის შვილი. თვით რსმა-
ლების ქლოტის დამაფუძნებელი იყო ქართველი, რომლისაც გვარი
ჩვენ არ ვიცით. იყვნენ იმისთანანიცა, რომელთაც ცოდნის შესა-
სრულებლად მიმოიარეს მთელი ევროპა და უკუქცევის შემდეგ შრომა
დასდეს სასარგებლოდ ჩვენის სიტყვიერებასა. ზოგნი იმათგანი ჩვენ
მიერ ცნობილ აჩიან. ისინი მიიღებდნენ მონაწილეობასა ბრძოლებში
და ამ ბრძოლათა თვითანვე აღწერდნენ. აი გამოჩენილნი იმათ შო-
რის: ფარსადან გიორგიჯანიძე, სუსნია ჩხეიძე, პაპუნა რაბელაიანი,

ომან ხერხეულიძე. ამ მწერალთ შრომები დაბეჭდილებია ქართულათაგ და ძრანტრუსულათაგ. იმათ თქმულებაში გამოძეტუეელებს განუსაზღვრებელი სიუყარული მამულისადმი და მინდობილება ზეცოურის მფარველობისადმი. ისეთნი მწერალნიც აღმობრწყინდენ, რომელთაც აღმოჩინეს უზირველესი ნიჭიერება და კრცული მეცნიერება, რომელთა შორის ზოგიერთთ მოიზოვეს ეკროზიული მნიშენელობა იგინი არიან—კანტანგ VI, კანშუტი, ანტონ I, არსიკვისკოპოსი გაიოზ, ტიმოთე გაბა-შვილი ქართლის მღვდელ-მთავარი, სავა რბელიანი, ბესიკი გაბაშვილი. ჩვენ ყველამ ვინით, რა შრომა არის კანტანგის „ქართლის-ცხოვრება“ და მისი „სჯული“, კანშუტის „გოგრაქია“ და კერძობითნი მოთხრობანი საქართველიძეთის სამეფოებზედ და სამთავროებზედ, ანტონის მსოფლიო სავნების განმარტობანი და თარგმნილებანი რუსულით და ლათინურით, ტიმოთეს მოგზაურობა ჰალესტინაში, გაიოზის მრავალი თარგმნილებანი, სავას ჰროზა, ლექსნი და ჩინებული ლექსიკონი, და ბესიკის მშენიერი ლექსები, დიად განვრცელებული ხალხში. განძეორებით ვიტყვი, რომ ამ მწერლებზედა ჩვენ ყოველთა გვაქვს ცნობა. მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც უზირველესისაკე ნიჭით იყო შემგობილი, როგორათაც მოხსენებულნი მეცნიერნი, და რომელმაც დაგვიტევა ისეთი თხზულება, რომ ამ გვარი ჯერ საქართველილს არა ჰქონია. ჩვენ ვანობთ იოანე ბატონიშვილზედ და იმის „კალმასობაზედ.“

იოანე იყო ძე უკანასკნელის ქართლის-კახეთის მეფის გიორგისა და იმისი პირველის ძეუღლისა, ქეთევან ანდრონიკაშვილის ასულისა. იოანე დაიბადა 1772 წელსა. ის იყო რვის წლისა, როდესაც მოუკვდა დედა. მთელი იოანეს ცხოვრება იყოფა რ ხწილად: პირველი განატარა სამშობლოში, მეორე რუსეთში. საქართველიში იოანეს არა ჰქონია მოსვენება დაუცხრომელთ ომიანობათაგამო. რსმალნი, სპარსნი და ლეკნი აუწერელის მტრობით იყვნენ მომდგარნი ჩვენზედა. საქართველიში აღარ იყო დაშეთნილი არც

ერთი გუთსე, რომ ლეკების გროვა არ ყოფილიყო. იმათ იცოდნენ ყოველი ადგილის მდებარება და ყოველი გზები; გამოიღებდა რა ტყე ფოთოლსა, ისინი ჩამოიპარებოდნენ დაღისტნით და ასალცისის მხრით და დაებნეოდნენ აჭა-იჭა. ჩვენ წინაპართ დიად დიდი სი-ფრთხილე ეძირათ. ჩვენდა სანუგეშოდ უნდა ესთქვათ, რომ მთელი ხალხნი—დიდნი და მცირენი მღვიძარეთ იყვნენ. თვით ბატონიშვი-ლები, მანამდისინ განსუთქილება არ ჩამოუვარდათ, მაგალითს უჩვენებდნენ ტახტსა და მამულის ერთგულებაში. ბატონიშვილებთა შო-რის პირველთაგანი იყო იოანე. აი შემოკლებით სუქმეები, რომე-ლიშინა ის აღმოჩნდა ისტორიულ პირად. იმერეთში დაკით ებრძო-და სოლომონს, და უკანასკნელმა მოითხოვა ამერთაგან შემწობა. ეს იყო 1790 წელსა; იქ წარიგზავნა არტილერიით იოანე, რომელ-მაც დაამშვიდა ალეკებულაი მხარე და სრული წარმატება მოიპოვა. 1795 წ. ტფილისის ალების დროს აღა-მაჭმად ხანისაგან, იოანე ახორგანად ეკვითა აზნაუბთან სპარსთა და შეაყენა ივინი. ამითი იოანემ მთავრ ირაკლის შემთხვევა ქალაქით გასვლისათვის. ტფი-ლისით სპარსთა გუნდი განიგზავნენ ქართლის ასახსრებლად და აქ ლამის-ყენას იოანემ გაჭყანტა და უგუაქცია. 1796 წ. როდესაც ომარ-ხან, ნურალის შვილი და მეძვეიდრე, ავარიის ხანი დაეცა ში-ლდასა ლეკის ჯარითა, იოანემ დასძრა სიმაგრე და იმულებულჭყო ომარხანის ლაშქრის უგუაქცეა. 1798 წ. იოანე დიროში დაესხმის ლეკთა, მოჭსრავს იმათ სრულებით და მოუგლავს წარჩინებულს ბე-ლადს ალი-ფოლადსა. იმავე წელსა, გიორგი მეფის ბრძანებით, იოანე დაკითითურთ განემგზავრებიან ყარსისაკენ 2000-ს კაცითა, მოა-ხრებენ ყიზილ-ჩახჩახის გარეშე-ადგილთა და ნატუეკებით მოიქცე-ვიან სამშობლოს. 1799 წ. იოანე და ბაგრატ კახეთის წყობითა და 600 რუსის სალდათითა სძლევენ ნიასურაში ომარ-ხანსა და იმისს 10,000 მეომართა. იმავე წელს იოანე და ბაგრატ იორის პირზედ ექვსის ზარბაზნითა და 2000 კაცითა, რომელნიც იყვნენ შემდგარნი კახთა და თუშთაგან, შეჭმურვენ 12,000 ლეკთა წინა-

მძღობელობასა ქვეშე ომარისავე, რომელსაც მიემსრება ალექსანდრე ბატონიშვილი; ომარსანი დაიკადება. იმპერატორი ჰაკლე, რომელთანაც წარგზავნილ იქმნა ორი ნატყვევი დროშა, დააჯილდოებს ორთავე ძმათა, იოანეს და ბაგრატს, წმინდის იოანეს კომანდორის ორდენითა. 1800 წ. ოდეს გიორგი მეფე მიიწველება და იმის მაგიერ ჰატრონობა მიეცემა დაკითხა, იმისი ბიძები, იულონ და კასტანგ გუფანკაულნი ამ განკარგულებით განიფლტვიან მთებში და აღძრვენ გაგვასიელთა. იმათ დამშვიდებს იოანე.

იოანე იყო 28 წლისა, რომელსაც მოუგვდა მამა. 9-ს მარტსა 1801 წ. ბატონიშვილი — იოანე, ბაგრატ და მისიელ განემსადებინა რუსეთში, თან-სლებულნი რაოდენთამე თავად-აზნაურთა და მოხელეთა. მხოლოდ მოზდოკში სცნობენ ჰაკლე იმპერატორის სიკვდილსა. იოანეს ესუა ცოლად ქეთევან, ასული ზურაბ წყრეთლისა, რომელიც დიად გამომხენილი კაცი იყო იმერთა სამეფოში. იოანემ დაჭყო რუსეთში 38 წელი და გარდაიცვალა 15-ს თებერვალს, 1839 წ. 67-ის წლისა, იმან დასტოვა ერთი კაყი გრიგოლ, რომელიც შეუუღლა ბარბარე ბუკრინსკისა და რომელსაც დაშთა ქალ-კაყი; იოანე და ქეთევან. იოანე სცხვრებს ჰეტერბურგში: ქეთევან ჭყავს საჭართველთა თავადს სუმბათა-შვილსა.

სანგრძლივი იოანე ბატონიშვილის ცხოვრება რუსეთში არ იყო უქმი. იმან შეისრულა რაცღი სწავლა აკლდა და აღმოჩნდა მეცნიერ კაცად. იოანემ დაგვიტოვა, როგორათაც ზემოდ ესთქვით, შესანიშნავი თხუზულება, რომელსაც ეწოდება „კალმასობა“ — (კალმასობა ჭნიშნავს ზურისა და ღვინის მოთხრუნასა მონასტრისათვის კალმასს და რთველში) რომელიც განიფოთება ორ წიგნად.

ჩვენ სელშია მხოლოდ პირველი წიგნი, თითქმის ოთხსისი სრულის იფურცლით შემდგარი, რომელიც შეიცავს მთელს მეთაურ-მეტის საუფუნის ამერთა ქვეყნის გამოსატყულებასა და მსოფლიო მეცნიერებათა.

„კალმასობაში“ თავდა-პირველადვე, ესე იგი 1798 წ. ავტორს

გამოჭყავს საკალმასოდ ქვაბთა-ხევის მონასტრის აზოდიაკვანი იოანე ხელაშვილი. ხელა-შვილი შეუდგება ამ საქმესა თავისს წინამძღვრის დოსითეოს ფიცხელაურის ბძანებითა, რომელიც შემდეგ იყო აჩხი-ეპისკოპოსად და რომელზედაც მოწესმენია თვითოეულს ქართველსა. იოანე ხელა-შვილმა მიიღო სწავლა თელავის სემენარიაში, სადაც მიხარებულ იქმნა თვით იოანე ბატონი-შვილისაგან და რუსული ენაც იცოდა, რადგან რუსეთში დაჰყო მრავალი წელი. ის იყო აზნაურთაგანი, ქიზიყის მხარედგან, სოფლით ვაქიროთ. განემგზავრება რა გორისკენ, აზოდიაკვანი მღვდლის მინდორში შექსხდება ერთს გორის მცხოვრებთაგანსა, ზურაბ ღამბარა-შვილსა და ეს ორნი პირნი ერთი-მეორეს აღარ მოჰმორდებიან. ზურაბ აჩის დიად სასიამოვნო მოუხარო და საკვირველი ოსუნჯი. იოანე და ზურაბ მოივლიან მთელს ქართლსა: აქედგან წავლენ კახეთს, ქიზიყს და შემდეგ მიჰმართვენ სომხეთისაკენ, საიდანაც უკუიქცვიან ტფილისში. აი სოფლები, სადაც ჩვენნი მკვლამასენი შევლენ: ხიდის-თავი, სკრა, ხვედურეთი, ქარელი, ჭალა, ხაშური, სურამი, მაგინი, რუისი, გორი, ცხინვალი, მეჯვრისხევი, ჭალა, მუსრანი, მცხეთა, მარტყოფი, ხაშში, თელავი, ლლისყური, ალვანი, ენისელი, საბუე, შილდა, ყვარელი, ფაშანი, კელისციხე, გურჯაანი, ზირკოვი, კარდანახი, ვაქირო, სილნალი, მანავი, ყარაბულახი, ნორიო, მარაბდა, საბოზკურო, ბორჩალო, ახტალა, მისხანი, სანანი, ასფათა, სადახლე, ყულარი, ბაილარი, დემურჩასალი, ვაშლოვანი, ტფილისი. ამ მოგზაურობაში იოანე ხელა-შვილი ხშირად გამოგვისატავს ადგილობრივთა მღებინარებათა, იმათის მტყნარების თვისებათა, აღგვიწერს სხვა და სხვა შენობათა: ვრცლად გვიანბობს ტფილისზედ და მცხეთაზედ; გაგვაცნობს ხალხის ხასიათსა და ჩვეულებათა. ჩვენ დიად ადვილად მივჭხდებით — სად აჩის ხელაშვილი და ვის ემუსაიფება, მივჭხდებით, რომ აი ეს აჩის ქართლელი, ეს კახელი, ეს ქიზიყელი და ეს თუში ანუ ფშაველი; ამას ცხოველად გვიანბობენ იმათის ენის გამოთქმა და საუბარი, მიხვრა-მოხვრა და ზნეობითნი თვისებანი.

თითქმის არ არის არც ერთი იმ მხარეთ გვარი, არც ერთი შესანიშნავი მეტოქამეტის საუკუნის პირი, რომ არ იყოს გამოყვანილი. „კალმასობაში“ ხშირად არიან ნახევრები გვართა შთამამავლობა და იმათი ისტორიული სამსახური, ადგილი იმათის ცხოვრებისა, და იმათი სასაფლაოები. აი რა პირნი არიან გამოყვანილნი: მღვდელი კომოროძე, ვილაც ანდრია სალასი, გიორგი და ნიკოლოზ ციციშვილები (ნიკოლოზ თელავის სემენარიაში იყო ნასწავლი), ლევან ახაშიძე და ჰაზუნა ორჯონიკიძე, მამუკა ხიდიშბეგი-შვილი, ქაინოსრო მურვანი-შვილი, მიძნაში-ამირეჯობი, მიტოროპოლიტი მროველი, მამაცა-შვილები, მახაბლები, გიორგი და გოდა ამილახვრები, გიორგი ქსნის-ერიისთავები იოანე მუსრანბატონი, ზაალ ზურაბაშვილი, რუსთველი, ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღვარი, დავით რეკტორი ალექსიძე, ქაინოსრო ჩოლოყა-შვილი, იოანე ჯიმშერი-შვილი, ცისკარა-შვილი, გიორგი ავალი-შვილი, დიდოს მოურავი დიმიტრი, მღვდელი ზაქარია ლალის ხანი-შვილი, ნოდარანუბი, ელეფთერ მახაღე, სულხან მდივანბეგი, ზაქარია ანდრონიკა-შვილი, ნენია ერასტი-შვილი, ანჯოქ ბებური-შვილი, ხელა-შვილები, დოსთეოს ფიცსელაური, ბოდბელი ნინო წმინდელი, არსენ ტფილელი, კატირინე ყაფლანი-შვილის ქალი, ჩოლოყა-შვილის ცოლი, მღვდელი ჰეტრე ლაჩაძე, ირაკლი მეფის მასხარა ოთარია ნორიელი, მღვდელი ქრისტესია კეკელია-შვილი, რომელსაც მოკლულ ეკვიპეტი, იერუსალიმი და როდოსი, იარაღი შანშია-შვილი, ზაალ ორბელიანი, ნიკოლოზ ორბელიანი, ხესტია ბაზიერთუხუცესი, მღვდელი ცოფურა-შვილი, ანტალის ეპისკოპოსი იოაკიმე, სოლომონ არღუთაშვილი, ასლან ორბელიანი, მღვდელი იოანე კალაუბნელი, ოძან ხერხეულიძე, თამაზ ორბელიანი და იასტოსი, კონსტანტინე მუსრანბატონი, აარონ და სოლომონ ალექსიძეები, ვილაც მეცნიერი ჰრუსიელი იოსებ აკოკლევიჩი, ტფილისის ჰატრი ანდრია ხან-დახან ერთნი და იგინივე გამოჩენილნი პირნი შეგვსჯდებიან რამდენჯერმე სხვა-და-სხვა ადგილს. „კალმასობაში“ გაიწნობთ მამინდელთ

შესანიშნავთ ექიმებთ: იოანე ყარაშვილსა და თათულას, აგრეთვე იმათის ექიმობის თვისებათა; გაიწინაობთ განთქმულთ მოღუქსეთა და მუსავრაგეთა: აღაგერდასა და საათლამისა, აგრეთვე საეკლესიო მგალობელსა ლეონტი სალაღა-შვილსა; შეიტყობთ, სად იყო სასწავლებლები და რა იყო ან რაგვარად იყო დაფუძნებული თელავის სემინარია, რა სასიათის და ცოდნის კაცი იყო დავით რეკტორი. ამ შეკლასში თვით იოანე ხელა-შვილი გამოსცდის ეგზემენით მოსწავლეთა, რამდენთაჲ გარეშე პირთ დასწრებით. „კალმასობაში“ ამოიკითხავთ—რა გვარი ცხოვრება ჰქონდათ ქართველთ ბერებთა, რა შემოსავალი ან რა მძიმელი ეკუთვნოდათ მონასტრებსა.—საუბარი იოანე ხელა-შვილისა საკსკა ზნეობითის აზრებითა. „იმისი ქადაგებაჲი შეიცავს ისტორიულთა და პოლიტიკურთა სწავლათა. ერთს დროს დაიწყებს ლაშქარსა აღზდაზედ და იმის საჭიროებაზედ, მეორე დროს იტყვის ბატონ-ყმობაზედ—რა გვარი ერთგულება ჰქონებთ ყმათა იმათ ბატონთადმი, როგორ უნდა გზირობდნენ მებატონენი ყმათა და რა მზრუნველობას უნდა მიაგებდნენ იმათ. იოანე გვიანობს, როგორ იყვნენ ერთი-ერთმანეთთანა ქართველნი და სომეხნი, რა მიზეზი იყო იმათის განხეთქილებისა, რაში მდგომარეობდა ქართველთ-სომეხთ სარწმუნოებრივი ცვლილებანი, და ან თვით იმას რა აზრი აქვს ამ საგანზედ. ერთის სიტყვით, ჩვენ ვხედავთ „კალმასობით“, რა ხარისხზედ იდგა ზნეობა და ცოდნა ჩვენთა წინაპართა. იოანე არსად არ ჰქმობს სიმართლის და ჭეშმარიტების წარმოთქმასა. რასაკვირველია, ამას ბევრი არ მოუწონებს, მიზეზიც ეს არის, რომ უბედური იპოდიაკონი მოითმენს ხან შეურაცხებასა, ხან განდეგნასა, ხან ცემასა; მაგრამ ბერი არადეს არ მიეცემა სასოწარკვეთილებას და არც დასცხრება. „კალმასობაში“ არიან წარმოდგენილნი—მეფე ირაკლი, იმისი ხასიათი და ცხოვრება; იმისი შვილები და შვილის-შვილები: გიორგი, იულიონი, თეიმურაზი, ვახტანგი, ალექსანდრე, დავით; იოანე და ბავრატი; არიან ნაამბობნი მამინდელი ბრძოლანი ოსმალებთან, სპარსებთან და ლე-

კებთან: სად რა ბრძოლა მოხდა, რა გვარად იყო საქმე, როგორ გათავდა, ან ვინ იყვნენ წინამძღოლი და მონაწილენი, რა იყო ხალხის განსჯა იმაზედა. აქ სედავთ მოხუცი, მოუწაკებთა, მდივანბეგებთა, ეშეაბაშთა, სარდალთა. აქ შეჭსკდებით ბაბაშ კეზირიძესა, რომელმაც დიდი სამსახური მიაგო ირაკლისა დესპანობით ანუ ელჩობით სპარსეთის შაჰ-ქარემსანთან და ოსმალეთში; შესკდებით ვარსკვან ჭაკჭაკიძეს და ძმის ამხანაგთ დაერთ ჯიმშერიშვილს, გიორგი ავალიშვილს, ელიასარ თვალკანდიშვილს და იმათ თარჯიმანს სერგი ლაშქრიშვილს, რომელნიც რუსეთს გაიგზავნენ მოციქულებთა: თქვენ იცით, რა რჩევა იყო ამ საგანზედ სასახლეში, რა ინსტრუქცია მიეცემათ დესპანთა და რას შეიტყავდა ტრაკტატი, საქართველად რომ წინა-დაუდო რუსეთის მმართველობასა. თქვენ დაესწრობით გიორგის ტასტზედ ასვლასა, იმის შემდეგ დავითის მოადგილობასა, თქვენ სწუხართ და გულ-მტვირთულობას გრძნობთ, როდესაც ჰხუდავთ ბატონი-შვილების დაუმშვიდებელს განხუთქილებასა ერთი-მეორესთანა და ამ შემთხვევისგამო საქართველს გმუნვასა; თქვენ წარმოადგენთ ჩვენის ქვეყნის ძველსა აღუვალებასა და შემძლებლობასა, როდესაც იგი კასპიის ზღვით ვიდრე შავ ზღვამდე, კავკასიის ქედით ვიდრე სპარსეთის სამზღვრამდე ერთს მჭიდროდ დამყარებულს სამეფოს შეადგენდა. შემდეგ თქვენ მოგონებთ — ეს მშვენიერი სამეფო როგორ ცოტ-ცოტად იგლიჯება და ირღვევა; თქვენ ჰხუგეშობთ მხოლოდ იმით, რომ ამერ-იმერნი არა ჰგარგავენ არც თავისს ხასიათის ძალასა, არც მიდრეკილებასა მეცნიერებისადმი, არც სარწმუნოებრივისა და ზნეობითსა სიმტკიცესა; თქვენ გეხსენებათ გული, როდესაც ჰხუდავთ ბრწინვალე ზირთა, რომელნიც მამულის სიყვარულითა, სამსკდრო ასოკებითა და ყოველგვართ მოღვაწეობითა განაცვიფრებენ აზიისა თუ ევროპიისა მფლობელთა და ხალხთა.

„კალმასობა“ დიად შესანიშნავია მსოფლიო სწავლათა განმარტებითა. ზემოდ ესთქვით, რომ არ არის თითქმის მეცნიერება, რომელსაც არ შეესებოდეს იოანე. უჩვენოთ შემოკლებით თვითოეუ-

ლის შეცვა; შექმნა ქვეყნისა, ღმერთი და იმის თვისებები, საღმრ-
თო-წერილი რადღენ ნაწილად განიყოფება; იმისნი მწერალნი: წინა-
სწარმეტყველნი, მოციქულნი, ძველი აღთქმა, ათი მცნება, ახალი
მცნება, ცხრა ნეტარება, შვიდი საიდუმლო, ანგელოზნი, მათნი მო-
ვალეობანი და სარისხნი, კჳმაჳნი, ხატნი, მიზეზი მათის გარდამო-
ყრისა... მნიშვნელობა თეოლოგიისა, ბუნებითი ღვთის მეტყველება,
გაწი რისგან და რამდენთ ნაწილთაგან არის შემდგარი, სული, თვი-
სებანი, ხუთი გრძნობა, აღბეჭდილებანი ნერვებთაგან, მოქმედება სუ-
ლისა, სძენა, შეთანასწორება სავანთა, გულის-ხმისყოფა და მგრძნო-
ბელობა, სჯა, მილტოლება, გამოსატყულება სავანთა, გონება, მესნი-
ერება, ნება, ძალი, ჩვეულებანი, გვამის მოძრაობა, სულის მოქმედე-
ბითა, იღვია წინეობრივთა მოქმედებთა... საწმუნოებანი: სომეხნი
და იმათი აღსარება, დრო იმათის განტოლებისა, სავანი განსეთქი-
ლებისა, განსხვავება მარხვაში, თვითოეულნი მარხვანი, ისტორიის
მარხვათა, პირველად როდის არიან მოცემულნი, შემდეგ როდის და-
ეწესნენ, ვრებანი, რომელნიც უარჳყუეს სომეხთა; ერთობა ბუნებისა,
დამტკიცებანი წმინდათა მამათაგან—კათოლიკნი; ლიუტერი და
იმისი აღსარება; რეფორმანტნი, იაკობიტნი, ნესტორიელნი, თო-
მელნი, სტაროკერნი, ფარისეეკელნი, სადუგეეკელნი, მაჳმადი და იმი-
სი ჳსწავლა, განყოფა წარმართთა, ცეცხლის-თაყვანისმცემელნი, ჳე-
შმარბიტი საწმუნოება, საეკკლესიო იერარხია ანუ სარისხნი: დიაკვა-
ნი, მღვდელი, არხიმანდრიტი, ეპისკოპოსი, არხიეპისკოპოსი, მიტ-
როპოლიტი, კათალიკოზი, პატრიარხი; მონაზონობა: მამათ-მონა-
ზონნი და დედათ-მონაზონნი, ძველთა დროთა მონასტრები; რე-
გორ ლოცულობდენ ბერნი; დაუძინებულნი მონასტრები... მიფო-
ლოგია: იუპიტერი, ნეპტუნი, აპოლონი, მერკური, დიანა, მინერვა,
მარსი, ვენერა, ვულკანი, ციკლოპნი, ეოლა, ცერერა, პანუსი, მერ-
კური, კესტი, მსოფლიო ღმერთნი, ალლეგორიულნი ღმერთნი,
გმირნი, პერსეი, ბელეროფონი, გერკულესი, ატლასი, კოსტერი, პოლ-
ლუკი, იაზონ—კოლხიდა, თეზეი, ახილესი... შვიდნი სასწაულნი:

მაკოხლეი, ტაძარი იერუსალიმისა, ტაძარი დიანისი, ზღუდე ხაბი-
ლონისა, ტაძარი იუპიტერისა, კოლასი როდოსისა, პირამიდნი და
ლაზიკინტი ეგვიპტისა... კოსმოგრაფია: ცა, ატმოსფერა, სამყარო,
მსკე, სიშორე, მოძრაობა, მთვარე, ჩველილებანი მთვარისა, სიდიდე,
მოქმედება დედა-მიწაზედ. სხვა-და-სხვა გვარნი კარსკელაგნი: ზღანე-
ტა, ურანი, მოძრაგნი ზღანეტნი, კომეტა, მეტალები, ქვეყანა, სიჭრ-
ცე, ფორმა, მოძრაობა, დაბნელება მზისა და მთვარისა, თორმეტნი
ზოდიაქნი... ქარები: აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისა, წყნარი, ცხელი,
სამუმი, წინათგრძნობა ქარისა... მეტალები: სხვა-და-სხვა გვარნი მე-
ტალნი, ისტორია, შემოღება მანათთა, მანათების გამოსატყულებანი,
სხვა-და-სხვა გვარნი მანათნი: ქართული, ოსმაღურნი, ეფიოპურნი,
ევროპიულნი, რუსულნი, ფილოსოფიური ქა... დრო: წელიწადი,
თთვე, დღე, საათი, უამნი წელიწადისა, დღისა და ღამისა გასწო-
რება, არდადეგი, უდიდესნი დღენი და ღამენი, უმცირესნი; რიცხვი
დღეთ წელიწადში, მიზეზი, კალენდრები—იულიანური, გრიგოლიან-
ური, რუსული, ოლიმპიადა, ეპოხა, იუბილეი, ინდიკტიონი, ქორო-
ნიკონი, ზედანდები, ნიადაგი... მატემატიკა, არითმეტიკა, გეომეტ-
რია, ტრიგონომეტრია, დიფერენცია, უმაღლესი მატემატიკა, ფორ-
ტიფიკაცია, ტაკტიკა, არტილერია, სამხედრო ეიარხისა ანუ წესი...
მედიცინა: მნიშვნელობა, სხვა-და-სხვა გვარი ექიმობა, მიზეზი სნე-
ულებათა: ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგია, ტერაპია, მატე-
რია მედიკებისათვის, ფარმაკოპია, აპტეკა, აკუშერობა, ბოტანიკა, ნა-
ტურალის ისტორია, რიცხვი პირუტყვთა და ფრინველთა... მისნო-
ბა: მნიშვნელობა, ისტორია, უბედურნი დღენი თთვისა, მნიშვნელობა
თვითთულისა, როგორ უნდა შეიტყოს გაყი დაიბადება, თუ ქალი,
წინათ-ცნობა ცუდისა აძინდისა, მნიშვნელობანი სხვა-და-სხვათა მის-
ნურთა ნიშანთა ჭკერში, ბუნებაში, პირუტყვებში და სხ... გრამმა-
ტიკა ქართული, რომელიც კრცლად არის დაწერილი... იურისპრუ-
დენცია: დასჯანი საქართველოში, კანტანგის ცვლილებანი, მდივანბე-
გობა, მისნი თვისებანი... ენები: უშესანიშნავესი ძველი ენები: ბერ-

ძული და ლათინური, ახალთა შორის ირანციტული, ანგლიური, ნემენცური, ღირსებანი თვითოეულისა, ძველი მცნების ენა, ახალის მცნების ენა, ბერძნული. უამი თარგმნილობისა ებრუაღით ბერძნულად, რიცხვი მოსეს წიგნთა. უძნელესი ენა: ჩინური, ახანნი, შემოდლები, მწერლობა, ბეჭედა, შემოდლები, სარგებლობა, კალლიგრაფია, სარგებლობა; სელაგენება გამოქანდაკებისა... მუხიკა: ისტორია, სსკა-და-სსკა გვარნი სავრანნი, სსკა-და-სსკანი სიმღერანი; ძველი ქართული საკანკები, ტანცრობა, ისტორია, სარგებლობა; ქართული ნეკკა, ლეკური... ბაზიერობა, თანამდებობა ბაზიერისა, სანადირო ფრინველნი, როგორ უნდა ნადირობა, სნეულებანი, სანადირო ძაღლები... პოეზიას: სანადირო ფრინველთა, სელაგენება, სტიხი, სოკი, ქართული სტიხები, შაირი, ლექსი ჩასრუსაული, (კინიო ჩასრუსაძე), ფისტიკაური (რუსთველი როგორ სწერდა), რკული, შეწყობილი, მოკლე შეწყობილი, წყობილი, მოკლე წყობილი, მჩობლელი, მჩობლელი შაირული, შერეული, ჩასრუსაული, შერეული, ჩასრუსაული, მჩობლელი, ფისტიკაური, ძვანკარული, ჩასრუსაული, ძვანკარული, (იამბიკო შემოქმედელისაგან ნათქვამი, ძვანკათქმული დიდის მეფე თეიმურაზისაგან იამბიკო, ვასტანგ მეფისა და სება ორბელიანისა, ანტონ კათალიკოზისა, იოანე ფილარეტისისა და ნიკოლაოზ ტფილელისა, კიდურ-წერილი ვაიოზ არქიელისა—თაყაიშვილისა, პეტრე ღარაძისა, ანტონი კათალიკოზისა), ტაეპი ზმითი (დარეჯან დედოფლისა, გიორგი მეფისა, ქეთევან მეფის სძლისა ენდრონიკაშვილისა, მეფის სოლომონისა, მამია გურიელისა, ჭყონდელისა, დავით აღმაშენებელისა (ბეჭედი), ამილანკარისა, იესე ოსეს-ძისა), ახანთქება (ვასტანგ ორბელიანისა, ჩასრუსაულად ვასტანგ მეფისა); მეობის სიმღერის ლექსები (მზეჭახუკ მდივანბეგის ნათქვამი ქეთევან ბატონიშვილის მეობაში, ნანინა, მესტვირული, (ვიჭაშვილისა, განთქმულისა ქართლში, რომელმაც შეასხა ირაკლის ქება) სპარსთა ხმები ქართულის ლექსებით. (საათლამდსი, ბესარიან ვახაშვილისა, მისივე, ოდეს განიდგენა ქართლით იმე-

რეთს), თეჯნიში, (ბესარიონისავე), თახმისა, (ლეონ ბატონიშვილისა), შაირი (ბესარიონისა მზეჭახუკ მდივანბეგზედა)... გეოგრაფია: მატემატიკური, ფიზიკური, პოლიტიკური, მონარქიული, კერძობითი გეოგრაფიანი, პორტუგალია, იშპანია, ფრანცია, დიდი ბრეტანია, გოლანდია, გერმანია, ბოგემია, კენგრია, შვეიცარია, იტალია, პაპის სამთელობელო, ნეპოლი, სიცილია, პრუსია. თვითოეულის გეოგრაფია, ისტორია, მცენარეხანი, ხელოვნებანი და სხვანი და სხვანი მნიშვნელობანი ცხოვრებასა, თავისს შემთხვევათა. ირაკლის სსახლეში და დადიანთხან ისეთს გასაოცარის კომიკურის სახითა, რომ შეუძლებელია დავიწყოთ იმისი სიტყვები და საუბარი. ერთის სიტყვით „კალმასობაში“ არიან მრავალნი ქართველნი დიდის ხელოვნებით გამოსატყლნი, ასე რომ კომიკური მწერალი აურაცხელს სუჟეტებს ჰპოებს პოქმათა და კომედიათათვის. თვითოეული პირია სიცოცხლით საესე. ასე გგონიათ, თქვენ თქვენის თვალთ ჰხედავთ, თქვენის პირით ემუსაიფებით და იცით ყოველი გარემოება იმის გვარისა და იმისის ცხოვრებისა; ასე გგონიათ, თქვენ გიცხოვრიათ თვით იმ დროებში. „კალმასობა“ არის საჩვე წარსულის საუგუნისა. ჩვენ განგებ შეკამოწმეთ ისა ისტორიის თქმულებათა და არათუ წინააღმდეგობა რაიმე კჰპოვეთ: ამით ისტორიის მოთხრობანი ბევრით შეიმსებანი, ასეც უნდა იყოს: იოანე ბატონიშვილი არათუ იმ საუგუნის კაცი იყო, თითქმის თვითოეულს შემთხვევაშიაც მონაწილე ყოფილა. რადგანაც უაღმატებულესად განათლება ჰქონია, კინამც სხვათა თანამედროეთა ისტორიკოსთა, ყოველივე საქმე უფრო დაწვლილებით და ნათლად ესმოდა. რაკვარად არიან გამოჩვეულნი სწავლანი და მეცნიერებანი, ესეც უნდა ვსთქვათ, რაცკი საჭიროა, რომ საგანზედ ითქვას, უეჭველად იტყვის; თუნდა ის საგანი არ გესწავლათ, ორის-სამის წაკითხვითა, სრულს წარმოადგენას და ცნობას მიიღებთ იმაზედა. და ეს ნაწილიც დიად მისასხვედრია თვითოეულისათვის, იოანე იზოდიაკანი სარგებლობს, ყოველსავე შემთხვევასა და ახლად გამოყვანილს კაცსა ისე დააყენებს,

რომ რომელსამე საგანზედ დაუწყოს საუბარი, ჭორომა აწის კითხვა-
მიგებითი. ვარკვევით აწიან ნახევრებს.

აი რა აწის „კაღმასობა“. ჩვენ არ გვიჩვენებია ყველა სა-
გნები, რომელნიც ამასში განმარტებულნი აწიან, ესე იგი, დიალექ-
ტიკა, მეტაფიზიკა; თვითთუელი მიხედვება, რა აწრით აწის და-
წერილი „კაღმასობა“. აწრი ისაა, რომ ხალხში განგრტელდნენ
ცნობა საქართუელის მდგომარეობაზედ მეთვრამეტე საუკუნეში და
მსოფლიო მეცნიერებანი, რომელსაც დიად ესაჭიროებოთ. ესეა;
რომ იოანე ბატონიშვილის დროიდგან სწავლას წარმეტება და ცედი-
ლება მიეცა და ამისთვის საჭიროა, რომ „კაღმასობის“ დაბეტკედაში
შენიშვნები გაუკეთდეს. „კაღმასობის“ ენა აწის მსუმბუჭი და ცხო-
ველი, მიმზიდავი და ადვილად გასაგონი, როგორათაც კარგის სა-
ზოგადობისათვის, აგრეთვე დაბალის ხალხისათვის. ჩვენის აწრით,
ასეთის მშენიერის ენით ახლანდელს დროს არაინა სწერს; ძველს
სიტყვიერებაშიაც მტირე რამ იზოკება „კაღმასობის“ ენით დაწე-
რილი. თვით ტონი აქვს დიად სასიამოვნო. ჩვეულებრივი საუბარი,
რომელიც სწავლას არ შეეხება, სასუსა ნამდვილის ქართულის სუ-
მრობითა და ოხუნჯობითა. ზურაბ ღამბარაშვილი, რომელიც იოანე
ხელაშვილთან მოგზაურობს, ყოველთვის მასხარაობს ისე მარი-
ლიანად, რომ არ შეგიძლიანთ სიცილი დაიჭიროთ, როდესაცვი ის
დაიწყებს ღამბარაშას: მასხარაობს თავის თავზედ, მასხარაობს იზო-
დაიკვანზედა, მასხარაობს სხვათაზედა. სხვანიც მრავალნი ჰიწნი
„კაღმასობაში“ არ დაუვარდებიან ზურაბსა. იმათ შორის უჩვენებო
ნორიკს მცნოვრებსა ოთარეკასა, ირავლი მეფის მასხარას, რომ-
ელიც იოანე ბერი შეჭხედება, შემდეგ დაბრუნებისა კახეთით:
ოთარეკა უანობს თავისს, ის ჰიწი ჰკითხავს, იოანე მიუგებს,
უხსნის, განუმარტებს. ყოველთვის ერთსა და იმავე საგანზედ ერთს
აადვილს არ ასრულებს, რაც სათქმელი აქვს: ხან და ხან უბრუნ-
დება, ერთთან დაიწყებს, მეორესთან დაბოლავებს. ამას იმისთვის
აქვს, რომ არ დაღაღოს მკითხავი და მკითხველის ყურადღება.

როგორათაც ესთქვით, იოანე ბატონი-შვილი არის ძალადის
ნიჭით შემეყულა. ჭკითხულობთ რა „კაღმასობას“ თქვენ არ შე-
იძლება არ მოხვიდეთ განცვიფრებაში ავტორის ტეშმარტების მსჯუ-
ლობითა, სწავლა მეცნიერების სიკრტითა, ჰოეტურისა და გომი-
კურის აღბეჭდილებითა, დაწვლადობითის ცოდნითა საქართველოს
ჩვეულებათა, ზირთა და ისტორიათა. სხვათა საქართველოს ძველთა
და ახალთა ძვერლობათა შორის ისე განსხვავდება „კაღმასობის“
ავტორი, როგორათაც განსხვავდება მზე ჰლანეტთა და ვარსკვლავთა
შორის. იოანე არის ჩვენი ჭმურა, ჩვენი დანტუჩვენი შექსპირი...
მაგრამ, ჭსმენია ვისმე სიტყვა „კაღმასობაზედა“? ამას დაწმუნებით
ვიტყვი, რომ ოთხს ვაცს არ წაუკითხოს ეს წიგნი. თვით ჩვენ,
ამ სტატიის ავტორმა, მხოლოდ ახლა პირველად ვახსეთ და წავი-
კითხეთ. ერთის ეგზემპლიარის მეტიც არსად არის. „კაღმასობა“
განიყოფება, როგორათაც მოსხენებულა. ორ ნაწილად. პირველი,
რომელიც არის საგნად ამ სტატიისა და ის მოკვებებისა განსვე-
ნებულს დავით დადიანსა და შემდეგ იმისა ემოვნა თ. ალექსანდრე
წერეთელსა. მეორე ნაწილი არ წავიკითხავს, თუძა ვიცი რა სა-
განიც აქვს: ის შეიცავს იმავე იზოდიაკვანის მოგზაურობასა იმე-
რეთის მხარეშია და ეჭვი არ არის, ისიც ისე მშვენივრად უნდა
იყოს დაწერილი. მეორე ნაწილი აქვს პეტრობურგში მცხოვრებს
იოანე ბატონი-შვილის შვილის-შვილსა. ამასაც ვიტყვი, რომ ყი
გვარს წიგნს, (რომ იმაში სწავლა და ქვეყნის პირნი და ისტორი-
ზნეობა იყოს ამ გვარად) გერც ერთს ენაზედ გერც ჭნახეთ, რო-
გორათაც არც ერთს ხალხს არა აქვს თვითქმის, თვით ბრალსეს
შემოწმებითა, ჩვენის ვახუშტის გეოგრაფიისთანა გეოგრაფია. „კა-
ღმასობას“ რომ საგნათ ჭჭონდეს სხვა ევროპის სახელმწიფო და
იყოს დაწერილი ჭრანცუფულს ანუ ნემენცურს ენაზედა, ამში ჩვენ
ეჭვი არა გვაქვს, რამდენჯერმე გამოიცემოდა და იმ ქვეყანაში, რო-
მელსაც ეუთუნებოდა, თვითიყულს ექნებოდა ხელში. „კაღმასობას“
უნდა მივსრეთ პირველი ადგილი ქართულს სიტყვიერებაში. „კა-

იოანე ბატონი-შვილი

ლმასობა“ ყოველს ამერ-იმერეთ ხალხში უნდა იპოვებოდეს. „კალმასობით“ უნდა ჩვენთა ყაზმა-ჭაბუგთ მიიღონ ქართულის ენის სწავლას სასწავლებლებში. „კალმასობა,, არის უმჯობესი ხელ-მძღვანელობა, უმჯობესი ქრისტიანობა...

მაშთლა და დრო არის ვიფიქროთ ჩვენის ენისათვის. უჩვენოთ ჩვენ რანი კართ. ენა არის ადამიანის უშირველესი და უკეთილშობილესი ნაწილი. იმაში გამონისატების ჩვენი ხასიათი, ჩვენი წარსული სკე, ჩვენი ღირსებანი და ხელუღვანებანი; იმით კართ დაკავშირებულნი ერთი ერთმანეთზედა; უმიხოდ არც მამულის სიყვარული შეიძლება და არც სხვანი მოქმედებანი საზოგადო-სასარგებლოდ. აწინდელს დროში ყოველგან გრძნობენ სძაშობლო ენათ სწავლის საჭიროებასა; ყოველგან შაუდგებიან ღონისძიების მოპოებასა, რომ ენა განკრცულდეს და დამყარდეს. მიხედვით ჩვენთა უძველესთა ძმთა და მეზობელთა—სომეხთა. ვიცით, რა გვარი ყურადღება და მზრუნველობა აქვსთ თავიანთ ენისათვის. მხოლოდ ჩვენ ქართველნი კართ გულ-გრილად ამ საგანზედა. ჩვენი ენა უფრო და უფრო სუსტდება. თუ ამ მდგომარეობისაგან არ გამოვალთ, საკმაოა ნასეკარ-საუგუნე, რომ ის სრულებით დაქმნოს. ვისლა შაუდლიან ჩვენში სთქვას, ენა ვიცით. განა ის ცოდნა ცოდნაა, რომ თვითოეული ველარ ფიქრობს თავისის ენის განონებთაებრ და თუ ჯერ რუსულად არ მოიაზრა, არ შეუძლიან დაწეროს რამე პირ და პირ ქართულად. ჩვენ მწერალთ სიტყვათ-ქტეპანი და ფრანკებთ-წყობილებანი არიან რუსულნი, ამ უძად რომ ერთი მცოდნეთაგანი ჩვენი წინაპარი საფლავით ადგეს და გადახლოს თავლი „ცისკარსა“ რას იფიქრებდა? გვიცნობდალა ჩვენ ქართველებს?...

არც შეიძლება, რომ ასე არ იყოს. ქართული ძველი სიტყვიერება დავიწყებაში გვაქვს; ემაწვილგაცობა თითქმის თავილობს იმის კითხვასა. ძველი წიგნების კითხვა რა სასარგებლო არისო, მაშინ როდესაც აწინდელი ენა დამყარებულია ძველზედა, როგორათაც საფუძველზედა. ენის სახლის ამენება შეუძლებელია, თუ ჯერ სა-

ფუძველი არ დაიდა, ესე იგი, თუ ჯერ ძველი სიტყვიერება არ მიითვისა. მიზეზიც ეს არის, რომ ძველი წიგნები, რომელზედაც უშრომათ ჩვენ წინაშეა, გაბნეულია სსკა და სსკა ამერ-იმერთა სახლებში, სადაც ზანდუკებში და ორმოცში ღვება. ამას სიცრუვით არ განზობთ. ჩვენ თვითან ვიცნობთ რამდენსაჲ ვართა, რომელთა მამათაც მოღვაწეობა დაუდგიათ ძველ წერილთ შეკრებაზედა და იმათნი შვილნი არა თუ თვითან არა კითხულობენ, არცა არაის სასარგებლებს, და ამისთვის ანუ მტკიცეში და ნაკავში უყრიათ, როგორათაც სკანებს თავიანთი ხატები შებოლილს კომპეში, ანუ მიწაში აჭეთ დაფლული. მრავალნი თარგმნილნი სსკა და სსკა ენით და თვით ქართულთაგან ნაშრომნი წერილნი ყოფილან ამერ-იმერეთში. კეთილგონიერად დაწესებულს ქვეყანაში ამ გარე წიგნებით თვით ქვეყნის ეკუთვნიან და იკრიფებიან ბიბლიოტეკებში, სადაც თვითოეულის სასარგებლად არიან. ჩვენ ქართველთ ეს წესი არ გვესმის. ჩვენში ძველ წიგნებთა მკასედი ნაწილი აღარსად არის. სსკა სულ გატანილია და დაბნეული. ვის არ გაუგონია, როგორი ბიბლიოტეკა ჰქონდა და ვით დადიანსა შედგენილი ზუგდიდში. რა იქნა?... რაც აქ მოკისსენეთ, რას გვიმტკიცებს, თუ არ ჩვენს გულგრილობას ენისადმი. აი სსკა ფაქტიც: საქართველოს-იმერეთის სასწავლებლებში ასწავლიან ქართულს ენას: ეს მართალია, მაგრამ როგორ ასწავლიან? ჯერ ერთი ესა, რომ თვით მასწავლებელთ ისე იციან, როგორათაც მოსწავლეთ, ამასედა უნდა დაწმენებულნი იყვნეთ; გარდა ამისა სახელმძღვანელოთ არის მიღებული გრამმატიკა, დაწერილი რუსულ ენაზედა რუსთა მოსწავლეთათვის. ქართველთ ყმაწვილთაგან ქართულის სწავლა რუსულის გრამმატიკით, — ამასედა რას ბძანებთ?!... ან თუ ქრობს ვინმე ამასედა? მიაჭევს ამას საზოგადოება ყურადღებას? ჩვენნი თავადაზნაურნი სამს წელიწადში ერთხელ იკრიფებიან ტფილისში და ქუთაისში, კენჭის ყრისათვის — თვითოეულმა იცის. ჰრეტენზიები მრავალი გვესმის გვაროვნობაზედა, იმათ მომდინარეობაზედა, თვით ქრისტეს დროადგან, დიდ-გაცობაზედა, ჩვენს ვართო

საფუძველი მამულისა, ჩვენ ამა-და-ამ გვარის პირნი პირველნი უნდა ვიყვნეთო, ამა-და-ამ დაბაღმა თავადმა და აზნაურმა როგორ უნდა ხმა ამოდოს საცა ჩვენა ვართო, უნივერსიტეტის სწავლა რა ფესებიან... ამ გვარის პრეტენზიებით იწეობა და თავდება კენტის-ურა. ნამდვილი მოკალეობა სადღა! არ განგავრცელებთ სიტყვას: ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ყურადღება ენის სწავლაზედ შეკლებში პირველი მოკალეობა უნდა იყოს თავად-აზნაურთა და მათ შეყრდობათათვის კენტის ყრამი... და ან რას გეჭ შეიძლება საზოგადო სმა და მოთხოვნილება...

ასე გულ-გრილად რომ არ ვიყვნეთ ჩვენს ენაზედ, ჩვენი ძველის წიგნებით აქამომდე რა საკვირველია ერთი თუ ორი ბიბლიოტეკა დაუფუძნებოდა ქუთაისში და ტფილისში, და ყოველივე, რაც კი ვისმე ამ გვარი რამე დაშეთნია მამა ჰაპათაგან, იმ ბიბლიოტეკაში წარმოიგზავნებოდა. ღონის-ძიებასაც მოვიმარებდით, რომ შესანიშნავი იმ წიგნებთაგანი დაბეჭდილიყო. „კალმასობა“ რამდენჯერმე გამოიცემოდა—და განვრცელებული იქნებოდა, რაც არის „კალმასობა“ უეტყველად უნდა დაბეჭდოს. ამ განზრახვით ქუთაისში შესდგა მსურველთაგან ქართული ტრუზუა და ვ-ს მართს წარმოდგენილ იქმნა „გაყრა“ თუ ერისთავისა; ნაადგომეკსაც აპირებენ რას-სამს წარმოდგენასა, ფულის შესამსებლად, თუ ეს განზრახვა არ აღსრულდება, „კალმასობის“ დასაბეჭდავად უნდა შესდგეს ხელის-მოწერა მანც „ცისკრის“ რედაქციაში და პირველის გასუი-დვით დაბეჭდოს მეორე და შემდეგ მეორის ნაწილისა საბა ორბელიანის ლექსიკონი.

დომ. ბაქრაძე.

17 მარტი, 1861 წ. ქ. ქუთაისი.

კ ა ლ მ ა ს ო ბ ა

იოანე ხელა-შვილის აზრობისა, რომელი იყო ქიზიყის სოფლით ვაჭირი და მოსული მოხარული შინა ქვაბთახეს, წინამძღვრობისა ქვეშე ფიცხელაურის დოსთიქოსისა. ესე დროსა ლეწვისასა წარგზავნილ იქმნა ქართლის სოფლებსა შინა სავაჭროდ, რომელსა შეჭვდა გზასა ზედან ზურაბსა ღამბარა-შვილი და შეამხანაგდენ ერთად მოსარეწველად ჰურისა.

ოდეს გაემგზავრა ბერი იოანე, იხილა მდოქსსა და ხიდისთავის საშუალო გზასა ზედან მომავალი ცხენით გინძე, და ჰსთქვა ესე მტერ ჩვენდა, ანუ ჩვენ კერძო, და დაუწყო გულს მოდგინედ ყურება; ოდეს მოახლოვდა იგი, მუისკე იცნო იოანემან, და ჰსთქვა, მშვიდობა შენდა ღამბარა-შვილო!

ზურაბმან. და სულისადა შენისათანა ხელა-შვილო.

იო. საით გიძღვის უფალი?

ზურაბ. მუნ, საიდგანადა შენდა გამოგზავნო შვილები ჩემი.

იო. მასა სადაჲ ჰგავს, სავაჭროდ რომინებ.

ზურ. ახ! მალე მიწევნილხარ დაფარულ-მცნობელობაში, ანუ თუ წინამძღვარმან თქვენმან შთაგებრათ წინასწარ-მცნობელობის სული.

იო. რად გიკვირს, თუ ტერ-სავას მოწაფე ეგვიპტე მუტუველებ, მე ვით ვერ მივსწუთებოდი განზრახვასა შენსა, დოსთიქოსთან გაზრდილი.

ზუდ. აწ ჰსტან მეტ თქვენი მოწათუ ვარ.

იო. ვითარ?

ზურა. მართლ-მადიდებელი შევიქენ.

იო. მართლ და ჭეშმარიტ არს სიტყვა შენი?

ზურა. ჭე იწმუნე.

იო. ვაი სულაერო შეილო! ქრისტე იუოს შენთანა, მოკედ გე-
ამბორო. უფალმან წარგიმართოს ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთა-
ნი.— შემდგომად ამბორობისა, შეითქვენენ გაამხანაგებად და ერთად
საკალმასოდ დაამტკიცეს წარსულა; ჰირველად მივიდნენ ხიდისთავსა.

ნახეს მუნ კოშორიძე მღვდელი. დიაკანმან ჰკითხა. ზურაბს,
ეს ვინ არისო. ზურაბმა—ესე ახალ ჯვარის დეკანოზიაო.

იოანე. მივიდა და ჰრქვა, გვაგურთხენ ახალ ჯვარის მამაო.

კოშორიძემ. გურთხეული იყავ, რომ არა იცირა.

იო. ვითარ?

კოშ. მე დეკანოზი ვარ, და არა მამა.

იო. ჯვარის მამაც არის ამ ქუეყანაში, და ახალ ჯვარის მამაც
რომ იუოს რა იქნება.

კოშ. ჯერ მთავარ-ეფისკოპოსს არ უბოძებია ეგ სახელი.

იო. მთავარ-ეფისკოპოსი რად გინდა, მე გაგირიგებ კათალი-
კოზთანა.

კოშ. იბოდიაკანს ეგ ადგილი არ ექმნება.

იო. ჩვენ წინამძღვარს დიად ჰსწყალობს მათი უწმინდესობა.

კოშ. მამა შენ რატომ გერა გაგირიგარა?

ზურ. მეკალმასუდ დაყენეს, მეტი რა უნდა.

კოშ. მეტი არაა უნდა რა თუ ქსნის სეკელთავით იკალმასა.
ზურაბ. ჩვენს საქმეს რომ ვხსნდავ მავის მეტი ღონე არა
გვაქვს.

კოშო. ჯერ ეგოდენ შიშვილობა არ არის, რომ საქმემ იქამ-
დის მიწვიოს.

ზურაბ. თუ ამ საბრალლო ბერს შეიბრალებ, შენთვის მადლია.

კოშო. მოდით შეიღწეო, ჩემთან ისადალო, მეც დაბრკოლებას არ მოგცემთ, რადგან მგზავრი ხართ.

ზურაბ. დია ადრე დაგვითხოვეთო, და წავიდნენ სადალად.

ოჯეს დასხდენ ესენი, და მოიღეს სუფრა და დააკეს საჭმელი, რა ხელი მიჭყეს, ამ უამად ანდრია მოვიდა, გიორგი ძველეს კამბოჩა, და იოანეს სალაში მისცა; იოანემ იკითხა ვინაობა ამისი, და ჭრჭყეს—ესე ანდრია, იონა იღუმენის მოწაფეო! და ჭრჭყა იოანემ—მშვიდობა შენდა ანდრია სალასო!

ზურაბ. სულისადა შენისათანა, იონე კლემქსო.

ზურაბ. უა ჩემს თავს! რად შეურაცხ მყოფ.

ანდრამ. და შენ რაღათ მე.

იოანემ. მე მასმია იღუმენისაგან შენთვის მრავალი კარგი.

ანდრიამ. და არა იონასაებრ სალასობა.

იოანე. ღმერთმა მამოხრას.

ანდრიამ. ქრისტესთვის სალასობა დია სანატრელია, შენ რათ უარ ჭყოფ?

იოანე. მე არ მინდა შეგეცდილო მაგ სათნოებას.

ანდრია. თუმიცა სათნოება ერის კაცისათვისაც დიდებაა, მაგრამ მოხანჯანთ უფრო ჭშეენის.

იოანემ. და რისთვის იღუმენს არ უჩიუ.

ანდრია. სწორეთ მოხანჯონია, ნეტავი შენც იმისთანა შეიჭმნა.

იოანე. სხვა რამ გენატრა ის მეჩივანა, შავი ტანისამოსით და თავ მოკვდინებით ბერობა არ იქნება.

ანდრია. თუ არა მენახარა არ დავემოწაფებოდი.

იოანე. ეგ იმისა ჭკავს, რომ მელა ღილით შეიღება, ბერობა მოიგონა, და მამალი დაემოწაფა; სოფელში ამ გვარი ხელაუნება მრავალი რამ არის.

ანდრიამ. რაა ნახე მისგან ეგ გვარი ხელაუნება?

იოანემ. ორი უდაბნო ერთმანერთს გადაჭვიდაო.

ანდროამ. ვგონებ გუფი გეწოით, რომ მონასტრის მამულა ან დაგანებათ.

იოანე. აჲ შენ როგორ დაუწმუნებინარ, ხელგუნება ეტ არისო, მაგრამ ამილასვარიკი კერ დაარწმუნა, ნასუ დიდების სურვილმან რა შეურაცხება მიაყენა, ავი გითხარ, სოფელში ბეგრე რამ იქნება.

ანდროა. განრისხდა და ჭკჭკა:—შენის თავისა რომ არა იტრია, სოფლისა რა გეცოდინება?

იოანე. ნუ ჯავრობ; თუ თავს დაიმდაბლებ და მკითხავ ადვილად გაცნობებ სოფელსა.

უპირველესი ცნობა კაცობრივ სოფლისათვის.

ანდროამ. გუფს მოდგინეთ ჭკჭკა: რაჲ არს სოფელი?

იოანე. სოფელი არის შემოკრებული ყოველთა დახადებულთა ნიკთიერებათაგან, ანუ ზოგადთა სულთაგან განცხორებულთა, და უდიდესი მესანიზმა.

ანდროა. ვინ შეჭქმნა სოფელი ესე, ანუ რაჲსაგან?

იოანე. შეჭქმნა ღმერთმან, ერთითა ოდენ სიტყვითა თვისითა, და არა-რაჲსაგან.

ანდროა. რაოდენსა დროსა შინა შეჭქმნა ღმერთმან სოფელი ესე?

იოანე. ეჭესსა დღესა შინა: პირველსა შინა ნათელი, მეორესა შინა სამყარო ცისა; მესამესა შინა მიწა მცენარებიითურთ, ზღვა და მდინარენი, და წყარონი; მეოთხესა შინა: მზე, მთოვარე და ვარსკვლავნი, ანუ მნათობნი ცისანი; მესუთესა შინა ფრინველნი, თევზნი, ქვეწარმავალნი, და სხვანი ყოველნი პირუტყენი; ხოლო მეექვსესა შინა მხეცნი და ვატი.

ანდროა. ვითარ სახედ ჭქმნა ღმერთმან ვატი?

იოანე. მსგავსებისა და ხატებისა-მებრ თვისისა.

ანდრია. რაღასგან ღმერთმა შექქმნა კაცი?

იოანე. უწინარეს ჰქმნა მიწისაგან სხეული მისი, შემდგომად შთაბერა მას შინა სული.

ანდრია. რასა შინა მდგომარეობს ხატი და მსგავსება ღვთისა?

იოანე. სულსა შინა, ვინაჲდგან იგი არს უხილავი, და აქვსცა სამი უგვე თვისება, ესე იგი: გულის-ხმის-ყოფა, ნება და მესხიერება, ანუ ესთქვათ: გონება, სიტყვა, და სული; მსგავსადვე, — ღმერთიცა არს უხილავი, და სამ გვამოვანი არსება.

ანდრია. ვინა იყო სოფელსა შინა უბრკელესი კაცი?

იოანე. ადამ.

ანდრია. არა ჰყავდა მას სხვა ვითარბე ამხანაგი?

იოანე. ჰყავდა შემწე ეჭა, რომელიც ღმერთმან შექქმნა გვერდისაგან ადამისა.

ანდრია. განიზრახსაჲსა ღმერთი დაბადებულისათვის თვისისა?

იოანე. ოდესცა დაბადნა მან, და იპყრობს ყოველსა, მაშასადამე განიზრახსაჲსა ყოველთათვის.

ანდრია. ესე გვარითა უგვე ვითარბითა შექქმნა ღმერთმან კაცი, ვითარცა გვქვს ჩვენ დღეს, თუ უმჯობესითა?

იოანე. შეუსწოვრებულად უმჯობესითა, ესე იგი უბრალოდ წმინდა, უბიწო და უგნებელი და ამასთანავე თავისუფალი.

ანდრია. ვითარითა უგვე ხატითა მოკლებულ-იქმნა კაცი ესე-გვართა ვითარბათა?

იოანე. გარდახდომილებისაგამო მცნებისა ღვთისა.

ანდრია. რასა შინა მდგომარეობდა მცნებაჲ იგი ღვთისა?

იოანე. ღმერთმან აკრძალა ადამ გემებად ნაყოფისა ხისა მისგან, რომელიცა იდგა საშუალო სამოთხისა.

ანდრია. ვითარ უგვე მიიტყუა მისთვის ადამმან დასჯილობაჲ?

იოანე. ღმერთმან უგვე ჰსთქვა გარდახდომილებისა მისთვის ესე ვითარი ჰხატოჲ კაცზედა, რომელ თანამდებ არს იგი განტარე-

ბად შრომითა შინა ცხოვრებისა თვისისა, და უკანასკნელ დასრულებად სიკვდილითა.

ან. მამ უმიხოდ კიჭმნებოდითმცა ჩვენ უკვდავნი?

იო. ყოვლითურთ.

ან. რადენ უკვე გრძლად განიენილ იქმნა რისხვა ღვთისა კაცსა ზედა?

იო. ვიდრე განხორციელებდმდე მისა ღვთისა იესოს ქრისტესა, რომელმანცა აღიხვნა სიკვდილითა თვისითა ცოდვანი პირველ ნათესავთანი.

ან. გულისავე კიჭმენ უბნობითა მავით, გარნა განვიტხვა მონაზონთაგან უჯეროა.

იო. არც ერის კაცთ ჭშკენით განვიტხვა სხვათა, ვითარცა გვამცნებს საღმრთო ხმა, ნუ განვიტხვა რათა არ განვიტხნეთ; გარნა მე ამისთვის გაცნობე შენ, რათა ამხილო მას, რომელ დაივიწყოს მან ერთა შორის უჯერო მიმოთქმა, და სიძულვილისა ყოფა.

ან. სიწრფილებით იქმს იგი, რადესაც მისთვის უბნობენ.

იო. ჰავლე მტრეჭული ჭსწერს თავისს მოწაფესა, სიწრფილება იწინავე შენ, და ფრთხილ იყავ ყოველსა შინა, და ამისთვის სიმკაცრე ჯერ არს რათა კაცმან სხვათა არვის ამიზეზოს, და მის ძლით უწესო არა მოხდეს; ირწმუნე, მე დიალ ჰატიოსნად კრაცხ-მას, და არც მძულს იგი; შეშინდე ესოდენ უგვანი უბნობა; მშვიდობით ანდრია; და ესრეთ დასრულეს სადილი; კომორობემ იზრუნა მათთვის, და წარემართნენ საციციანოსაკენ.

წარსულნი მუნით, მივიდნენ მწუხრის ეამს სურასა, და აცნობეს ნაზირსა გლახას მისკლად თვისი, და ჭსთხაკეს სადგური. ხლოლო მან ციციისა გულისა მიიღო იგინი, და ჭრჭკა: მე აწ ნაზირი არღა ვარ და გლახადაც ვარ დაშთომილიო, თქვენ იზრუნეთ თქვენთვის; განმგონმან ამისმან იოანემ ჭსთქვა: ჭემარითად გლახა ყოფილხარ, შეწყალება არა გცოდნია, და მოწყალება; და განუშორა; მაშინ მუნ მცხოვრებმან მოხუცმან ვინმე გვლახთაგანმა აწვია თვისად,

და რა შევიდა იოანე სახლსა მისსა, ჰქრქვა, მშვიდობა სახლსა ამას, და მშვიდობა თქვენცა სახლის ჰატრონონო! მოხუცსა იამა, და სთქვა: ჯერ ამ სახით არკინ შემოსულ არს სახლსა ჩემსა, ესე სახარების სიტყვისა-მებრ ექცევის, მითხარ, ზუარაბ, ვინ არს ესე?

ზუარაბმან. ესე არს ქვეყნით ქიზიყით, აღზრდილი სკოლასა შინა თელავის ქალაქისსა, აწ ჰსცხოვრებს ქვაბთასკეის მონასტრისა შინა, და ილკაწის იმა მონასტრისათვის, რათა მუნებუენი კრებულნი გამოჰზარდოს.

მოხუცმან: ჯი? რა ბედნიერი ვარ, რომელ ესი გვარ ბრძენ— განათლებული გონებითა მოვიდა სახლად ჩემდა!—და რადენ ძალე-ედეა, ეგოდენ განუმზადა ვახშამი; დააწვია საკუთარსა საჯვალაბოსა სახლსა თვისსა; მაშინ მის მოხუცისა ცოლშვილნი მოვიდნენ, იოანეს ესაღმნენ, და მან მოხუცმან აცნობა ყოველნივე; იოანემ მოიკითხნა იგინი და იწვიეს ვახშამად; რა მცირედ შეექცნენ, იოანემ აღიღო ყანწი ღვინითა საესე, და ჰქრქვა მოხუცსა: უფაღმან არა მოგაკლას შენ, არცა თქვილი, არცა ზეთი, და არცა ღვინო; აღგავსოს შენ ყოველთა კეთილთაგან, და გაკურთხოს შენ თესლითი თესლადმდე;—მაშინ ზუარაბმან ხმა-ჰყო: კურთხეულ იყავით ამის წყევლისაგან!

იოანემ. ჯი შენ უკეთურო! რას უბნობ? უი ჩემს თავს!

ზუარაბმან. აბრამც ესრედ ლოცვიდა.—და მუნ მსხდომარეთა ყოველთა განიცინეს, და ესრედ დასრულდა ვახშამი, და წარვიდნენ საძილოდ.

დღე მეორე.

ხოლო ხვალისა დღეს, მადლობელი იმა მოხუცისა, იოანე განემგზავრა ხვედურეთისაკენ, და მისკლასა შინა იხილეს ციციშვილი მოძაკალი; მაშინ იოანემ ჰქრქვა ზუარაბს: ვინ არიან ესენი? ზუარაბმან—ვოლტურის მოწაფეო; იოანემ—რას ნიშნავს ეგე? ზუარაბ: ღვთის-უსიყვარულობას, და კაცთ დაუნდობლობას. იოანემ.—ვირ-

ველი გავიხსენებ, მასმ მე მივსცემ მცნებას მაგისტრის, ერთად ვართ აღზრდილი რეკტორისაგან თელავს; ზურაბიან—მასა ორნივე დიდი წმინდანი იქმნებითა, და ამ უამში მოვიდა, რა იცნა ილანე ჭრჭკვა, გვაკურთხენ მამაო!

იო. კურთხეულ იყავ საქმეთაებრ შენთა.

ცი. რაი საქმე მიქმნიას?

იო. კოლტერის შედგომა.

ცი. კითარის სახით?

იო. ურწმუნებოთ, ნათესავის არ დანდობით, თვისთა და მოყვარეთა და შესობულთა მტრობითა?

ცი. კინ ანობს მაგას?

იო. ყვანნი ასრე იძახიან.

ცი. სასწაული ხომ კერა ჭქენრა, და ახლა მისახობა დაიწყო?

იო. ირწმუნე, შენთვის კეთილი მსურს, რადგან ერთად ვართ აღზრდილი.

ცი. კიტი კეთილი გსურს ჩემთვის, და მოგონებაც ბევრი იცინა,—საზოგადოდ ეს სენია ჩვენში.

იო. მაგ სენის წამალი სიყვარულია. და ის სიყვარული—უნდა იყოს ჭეშმარიტება და უტყუელის გულით შედგომილი.

ცი. თუ მაგას მოიძიებ, კვლავ კერავინ ჭხაკო, მაგ-გვარნი სრული მოსიყვარულე.

იო. და მასა რა გვარსა?

ცი. ზოლეტიკა როგორც ითხაკს.

იო. თვით ფილანთოფოსი იტყვის; ზოლეტიკა განმარტებსს კანონთა კეთილ-გონიერებისათა, და ანათე ზაკვითისა და მანთურ უოფისა ცნობა არს.

ცი. და რაი არს სიყვარული?

იო. ღმერთი, ღმერთი სიყვარული არს, და რამელი ეგოს ჩიყვარულსა ზედა მისსა, ღმერთი მასთანა ჭკიებს, და იგი ღვთისათანა.

კვლად მოციქულივე ბრძანებს, რომელსა წსძულდეს მძა თვისი, ვითარ ძალუმს შეეკარებად ღვთისა.

ცი. მე უნდა გამოკვსტნო სიბრძნე შენი: მითხარ მე,—რავ არს ღმერთი?

იო. ღმერთი არს თვით მყოფი, მოქმედი, და დასაბამი ყოველთა ნიკთა, ხილულთა, და უხილავთა, არვის მიერ ხილული; არსება ყოველთა არსთაგან უპირველესი, გონება საუკუნო, და მამა სულთა და ნათელთა.

ცი. ვითარნი უკვე არიან თვისებანი ღვთისა?

იო. თვისებანი ღვთისა არიან: ყოვლისა შემძლებელობა, ყოვლისავე უწყება, მართლ-მსაჯულება, სახიერება, მოწყვალება, და მსგავსნი ამისნი და ყოვლისა სრულება.

ცი. საიდგან ჯერ არს აღმოკსებად შემცნებისა ღვთისა?

იო. დაბადებულთა ყოველთა ხილულთა სხვა და სხვა გვართაგან, ერთა ღვთის მცნობელთაგან, სურვილისაგან, უზენაესისა კეთილობისა და შინაგანისა სვინიდისისაგან ჩვენისა; ხოლო უკანასკნელ საღმრთოთა წერილთაგან.

ცი. რავ არს საღმრთო წერილი?

იო. წერილნი ძველისა და ახლის აღთქმისანი.

ცი. ვინ აღწერა იგინი?

იო. წინასწარ-მეტყველთა და მოციქულთა.

ცი. ვინ უკვე იფუნენ წინასწარ-მეტყველნი?

იო. კაცნი, რომელთაც განუცხადებდა ღმერთი ნებასა თვისსა ქადაგებისათვის მისისა, და რომელთაცა წარმოასთქვეს მოძაგალი, ანუ მყოლობადი.

ცი. ვინ იყო წინასწარ-მეტყველთა შორის უჩინებულესი?

იო. მოსე.

ცი. ვინ იყვნენ მოციქულნი?

იო. გლასაკანი უკვე კაცნი, რომელნიცა დროსა ქრისტესსა სო-

ფელსა შინა ცხოვრებისსა იყენე მოწაფენი, და მწამებელნი უდიდებულესთა სსწაულთა მისთანნი, სოლო უკანასკნელ-მქადაგებელნი მისნი, თითქმის კიდითი კიდემდე ჭეკუნისა.

ცი. რასა შინა მდგომარეობს ძველი უკვე აღთქმაი?

იო. აღსაარებასა შინა მისსა, რაიცაღა ბრძანა დმერთმან, კიდრე განსორციელებადმდე მისა თვისისა.

ცი. ვითარ უკვე იყო ძველსა აღთქმასა შინა საკუთარი ბრძანებაი ღვთისა?

იო. ათი უკვე მცნება, და მსახურება ღვთისა ისრულთაგან.

ცი. რომელი არს პირველი მცნება, და სხვანი მითხარ მე?

ათი მცნება.

1, მე ვარ უფალი დმერთი შენი, რომელმან გამოგვიყვანე ჭეკუნისაგან ეგვიპტელთა მონებისაგან მათისა, არა იყენეს შენთვის სსკანი დმერთნი, თვინიერ ჩემსა.

2, არა ჭქმნე თვისა შენისა კერპნი, არცა ყოველი მსგავსება, რადენი ცათა შინაზე, და რადენი ჭეკუნისაზედა ჭეკე, და რადენი წყალთა შინა და ჭეკე ჭეკუნისა, არა თაყვანისცე მათ, არცა ჭმსახურა მათ,—რამეთუ მე ვარ უფალი დმერთი შენი.

3, არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაღ.

4, მოიხსენე დღე შაბათი წმინდა ყოფად მისსა, ეჭესთა დღეთა იქმოდე, და ჭქმენ ყოველნი საქმენი შენნი; ხოლო დღე მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა, არა ჭქმენ მას შინა ყოველნი საქმენი შენნი, და ძემან შენმან, დაკარგულმან შენგან, რამეთუ დღე მეშვიდე წმიდა ჭყო უფალმან.

5, პატრიუც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ-იქმნეს შენდა და გრძელ ყამ იყო ჭეკუნისა ზედა კეთილისა, რომელი უფალმან დმერთმან შენმან მოგცეს შენ.

6, არა კაც ჭკლას.

7, არა იპარა.

8, არა იმრუშა.

9, არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა, წამებითა ცრუთათა.

10, არა გული გითქმიდეს ცოლსა მოყვასისა შენისსა, არცა აგარაკის მისსა, არცა მსკვალსა მისსა, არცა ხარსა მისს, არცა კარულსა მისსა, არცა ყოველსა რადენი რა არს მოყვასისა შენისა.

ცი. რასა შინა მდგომარეობს აღთქმაი ასალი?

იო. აღთქმა უბევ ასალი მდგომარეობს მომღვრებასა შინა ქრისტესსა, რომელნიცა იქადაგა მან მისთვის, რომელ ძველი არა საკმაო იყო მოპოებისათვის ერთა ნეტარებისა. ვინადგან იგი ოდენ იზერობდა დასჯილებასა და განწმენილებასა და აღუთქმიდა დროვანსა უბევ ჯილდოსა.

ცი. სალსა აღთქმასა შინა ათის მცნების ნაცვლად რაი გვა-სწავა ქრისტემან?

იო. ქრისტეს არც ის ათი მცნება დაუყენებია რომ არ ვი-სწავთ, გარნა იესოს მიერ გვესწავა ცხრა ნეტარება, რომლითა საძებამან გვირგვინი განგვიმოსადა.

ცი. რომელი არის პირველი ნეტარება და სხვანა?

ცხრა ნეტარება.

1, ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სა-სუფიქველი ცათა.

2, ნეტარ იყვნენ მგლავარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუ-გეშის-ცემულ იქმნენ.

3, ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

4, ნეტარ იყვნენ, რომელთა ჭშიოდეს და ჭსწყუროდეს სიმა-რთლისათვის, რამეთუ იგინი განჭმდენ.

5, ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

6, ნეტარ იყვნენ წმინდანი გულისა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

7, ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.

8, ნეტარ იყვნენ ღვესუღნი სიძარტლისათვის, რამეთუ მათი აზს სასუფეველი ცათა.

9, ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ, და გუგედრიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვაი ბოროტი თქვენდა მოძარტ, სიძარტით ჩემთვის გიხაროდენ და მარადის მხიარულ იყვენით, რამეთუ სასუფეველი თქვენი დიდ-აზს ცათა შინა.

იო. მე ათის მცნების, და ცხრა ნეტარების განმარტებისად გეტყოდი, მაგრამ ორნივე მგზავნი ვართ, სამ ნაწილადში იხილე ამათი განმარტება; და ისეც მოიქცნენ მშვიდობით და გაიყარნენ ამ სახით; წარსული იოანე მივიდა სვედურეთს და ჭკჭკა ზურაბს, იზრუნე რამე სადილათათა; ზურაბმან, — აქ საქათალიგოზო ვაცი დგას.

იო. მას იმასთან მივიდეთ, ჩვენს წინამძღვარს, მათი უწმინდესობა და სწულაობს; —

ზურ. იქნება ეს ვაცი თქვენს წინამძღვარს გერც-გი იცნობდეს, და ჩვენ აზა დაგუდიოს-რა.

იო. ასე უთხარ: დოსითეოსის დიაკონია.

ზურ. იქნება გერ იცნობდეს დოსითეოსს.

იო. მას ასრე ჭკჭკი: იოანე იზოდიაკონია ქვაბთახევისა; — იქნება იქ ოდესმე სალოცავად ყოფილიყოს.

ზურ. ჯერ განხლებაც არ იცის იმ მოხანსტრისა, და რად იქნებოდეს იქა.

იო. უთუოდ იქმნებოდა; იქით რომ წყაროა, ვინც დაღუეს-შვილი მიეცემა.

ზურ. ეგ წყარო ახლა აღმოუცენებია თქვენს წინამძღვარსა, ამის მე ვიცნობ, ჩემსედ უფროსი შვილები ჭყვანან.

იო. — მას დონე რამ მოიხმარე; და მერეთ ზურაბმან აცნობა

იოანეს ვითარება, და მიიწვიეს სადილად. იოანემ ჩვეულებისა-ებრ მოიკითხა და აკურთხა ივინი. მოიღეს სადილი, რა ხელი მიჭყვეს, მოკიდა მასინ ერთი დაბეპეულით მოსილი მღვდელი და დააწვია სახლის ჰატონმან, და ცხად უყო იოანეს მღვდლობაი მისი, მასინ იოანე ეამბორა ზუკაბითურთ, და დასხდენ.

იოანემ ჰკითხა სადაურობა თვისი, ხოლო მან აცნობა რაჭველლობაი თვისი, მასინ:

ზურ. მღვდელი! რაჭველი ხარ თუ ქრისტიანე?

მღვ. რჩივე.

იო. კარგა მოგიგო. იამა მღვდელსა და ჰრქვა იოანეს, თქვენ ვინ ბრძანდებითო. იოანემ — ხელა-შვილი, აზოდიაკვანი. მასინ აღდგა ესე მღვდელი: უკაცრავათ რომ თქვენს ყოვლად სამღვდელაესობას ამ სამუშაო ტანისამოსით ვეახელი.

იო. უი ჩემს თავს! მე ყოვლად სამღვდელი რად ვიქმნები.

მღ. მასა მეტი ვინმე ბრძანები თქვენ?

იო. არა მამაო. მე ნახეკარ დიაკვანი ვარ.

მღ. მარტალს უბნობთ. ჩემი დიაკვანი ბარე რა თქვენ სიგრძე იქმნება.

იო. არა მამაო. ეს სახელი ხარისხების მნიშვნელია. აზოდიაკვანობა, დიაკვანობა და მთავარ-დიაკვანობა, მერე მღვდლობა, მასუკან არქიმანდრიტობა და მერე მღვდელთ-მთავრობა, და შენც ხომ ამ სახით დიაკვანი იქმნებოდე.

მღ. ვი ბატონო. ერისთვეებს რომ ვახლდი, მღვდელს მიმაბარეს, წიგნი ვისწავლე. და ყამ-დავითნს რომ ვიტყოდი და ბიჭად ვიყავ დიაკვანს მეძახდენ, და მერე რომ დამაკურთხეს მთავარ-დიაკვანი შევიქენი და ახლა ნიქოზელმა ბარე მღვდლად მაკურთხა.

იო. ახლა ხომ მიხვდი?

მღ. ვი ბატონო!

იოანემ წიგნში გამოსცადა, შეეძლო წარკითხვა. უთხრა მღვდელს, წიგნი გცოდნიაო.

მლ. ბატონო ნახევარ დიაკვანო! მეცნიერს გიხმობენ, და მეც მასწავლეთ რამე.

იო. ასე მადე რა გასწავლო.

მლ. ჭკე რატ იუოს.

იო. სიმკოლო იცით?

მლ. სიმკოლო რა არის, საჭმელია, თუ სასმელი?

იო. უი ჩემს თავს, მღვდელო: მრწამსი ხომ იცი?

მლ. ეგ მრწამსიც ვიცი და მამაო ჩვენოც.

იო. მრწამსი სიმკოლო არის, რომ საწმინდოების აღსარებას ჭნიშნავს, და ესე მრწამსი, ნიკიის კრებისა, და სხვათაგან დამტკიცებული გვაქვს ჩვენ მოტემული, რომ მართლ მადიდებელნი ასე უნდა აღვიარებდეთ ღმერთსა, და უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა.

მლ. მამაო ჩვენო რადას ნიშნავს?

იო. მაგისი განმარტება გქვია, და ეგ ლოცვა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ ასწავა თვისთა მოწაფეთა, რომელსაც ჩვენ საუფლო ლოცვად უწოდთ.

მლ. ამას კარგა მიგხვდით.

იო. შეიდი საიდუმლო იცი?

მლ. საიდუმლო ბარე ბევრი ვიცი, მაგრამ ვერც ვიცი გავამხელ, ნამუს კარგა შევინახამ.

იო. მე მაგას არ გკითხავ.

მლ. მას მიბძნეთ, რომელსა?

იო. შეიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთის ეკლესიისა არიან შემდგომნი ესე:

1, ნათლის ღება.

2, მირონის ცხება.

3, საღმრთო ღიორღია.

4, კურთხევა მღვდლისა.

5, აღსარება.

6, კურთხევა გვირგვინისა.

7. ზეთის-კურთხევა.

მღ. ბატონო! სადანა ჭსწერია ეგენი?

იო. უი ჩემს თავს, მომიტანე კურთხევანი და კონდაკი.

მღვდელმა მოართვა იგინი იოანეს, და იოანემ ყოველივე თავები, და სარჩევი შეუნიშნა; აგრეთვე აიაზმის კურთხევა, დაამცნო: ყოველს სამღვდელს მართებს, რომ ეს შვიდი საიდუმლო, მკვიდრი ანდერძის აგება, და აიაზმის კურთხევა კარგად იცოდესო, რომ გაუჭირებლივ აღასრულოსო და სხვა მეცნიერება თუ გინდ არ იცოდეს, იმით არა უშავსო, და თუ ესენი არ იცის, კალქეკმ იჭმნება, და თავის სულს აგნებსო; მისცა მცნება და გაეძარტნენ ქარელისაგენ იმ სოფლიდამ კმაყოფილნი.

რას ქარელსა შინა მივიდნენ, ცხად უყვეს ციცი-შვილს დიკანბეგსა იოანეს ვინაობა; მან მუისვე მისცა სახლი, და აგრეთვე სხვა საჭიროებაი, და შესთავალა: ვითარ ამდამ განისკვნეთო, და სვალე ჩემისა შობისა დღე არის, და ინებეთ ჩემთვის ჰარაკლისი და ისა-დილეთცა ჩემთანაო.

იოანემ მადლობელმან, ხელჯყო სვალისათვის შესხმასა წერად ნიკოლაოზისათვის, და ესრეთ განემზადა; სოლო სვალისა დღეს შემდგომად წირვის დასრულებისა, მივიდნენ ყოველნი მუნებურნი აზნაურ მსახურნი, და იოანეცა ზურაბითურთ. ნიკოლაოზმა შეიტკობო ესენი ფრად, აწვია თვისთანა, მოიკითხა და მათი მგზავრობის მიზეზნი ყოველივე გამოსცნო, და მერე მოიღეს სადილი; რას გასშირდა ღვინის სმა, მუნებურთა დალიეს სადღეგრძელო ციციშვილისა, და იოანესაც მოართვეს თასი შესმად სადღეგრძელოსა. მასინ იოანე აღსდგა, და იწყო შესხმისა ამისი თქმა:

ბრწყინვალეო კნიაზო, და მდივანბეგო-ციციშვილო ნიკოლაოზო. მოწყალეო ხელმწიფეე!

დღეს თუმცა მოსარულ-არნ ერნი საციციანოსანი შობასა ზედან თქვენისა ბრწყინვალეობისასა, გარნა ქარელი ესე უსაკუთრესად ადიდებს შემომქმედსა ჭკუყანისასა შენთვის, და მეცა ამათთანა უგალობ

გალობსა დიდებისსა, რომელმანცა მოსცა თავი შენი უმათა ამათ შენთა, სამსავე დროსა შინა, კეთილ მზრუნველი, და არცა აწ სი-
ღრმესა შინა მოხუცებულობისსა აწა დამტყეპელი კეთილ-მზრუნ-
ველობისა შენისა უმათა ამათ შენდამი, და ესე ადიდებს სახელსა
შენსა, ესე აჩვენებს სიმტკიცესა სულისა შენისა, ესე ცხად ჭყოფს
მშვიდობის მოყვარებასა შენსა, და მოგვითხრობს მხნეობასა შენსა.
ღირსო ქებისაო, ღირსო გალობისაო, რომელმან განატარე კეთი-
ლად ცხოვრება შენი ვიდრე სამეოცდა ათისა წლისამ, აწა ებრძოლე
მხეტებრთა გვამთა, აწაინ ჰგაღ, არც მოიკალ, არც დააქციე სისხლი
მართალი, განაგრძე სიცოცხლე შენი ბედნიერებით, და გკურთხეცა
ეს გვარვე განატარებად დანაშთთა დღეთა შენთა. ნეტარ ხარ შენ
კაცო! ვსთხოვ მე ცოდვილი ზენასა, რათამცა შეიღწეა შენნი იყვნენ
მოძაბველ კეთილისა მამისა, და შედგომილ კვალთა შენთა. ჰსცო-
ცხლებდი მოხუცო, და მე გიგალობ ესრეთ: მრავალყამიერ, მრავალ-
ყამიერ, მრავალყამიერ! და ესრეთ დასსრულა იოანემ, და შეჰსვა
ღვინო.

მაშინ მდაბლად მადლობელმან ცხად უყო მირთმევად სუთის
კოდისა ზურისა, ხოლო იოანე დუმნა მაშინ.

ზურ. ბატონო მდივანბეგო, ნადირშაიმაც ეგდენი გასცა მათ
ზედა, ოდესცა ინდოეთიდან გამარჯვებულა მობრუნდა. ვინც რომ
შესხმა მოასუნეს. გამგონთა ყოველთა გაეცინათ.

ნიკ. ნადირშაჰათ დამსვით, და მე ოჭროში ჩავსვამთ.

იო. უი ჩემს თავს! რად გინდა თათრობა?

ნიკ. თუთრი რომ მექმნებოდა, მალე გამხსნიდი მე ცოდვისაგან.

იო. არ-წარგვიტახტო, ჰსჯობს მცირედი მართლისა მრავალსა
მას სიმდიდრესა ცოდვილთასა.

ნ. აწა ყოველნი ურჩიან მაგ ჭადაგებასა.

იო. ვინც არ ურჩის მარცხნივ იქმნებიან მაშინ.

ზურ. შენ ხომ მარჯვნივ იქმნები, და მაგით კი მაგდენს კერას
კიკაღმასებო, თუ საცა მისვალ, და ყველგან იქადაგე.

იო. რომელინ სოფლისაგანნი არიან, სოფლისასა ეძიებენ.

ზუ. ყოველსა თავისი უამი აქვს,—და ამ სიტყვამან დაატყვებინა უბნობაი მათი. გამოეთხოვნენ, და მუნცა მიიღეს კმაყოფილება. და გაემართნენ ჭაღას ახაშიძისაკენ.

დღე მესამე.

მწუხრის უამს მივიდნენ იგინი მუნ, და გარდახდეს კოშკისა გვერდით, და ჭკითხეს მუნებურთა ახაშიძეების მუნ ყოფნა, ხალხი აცნობეს მათ ქიზიყის მოურავის ქაღის ანნასი ყოფია, გამგონე ამისი იოანე მხიარულ-იქმნა და ჭრჭკა ზურაბს: მივედ და აცნობე ჩემი ქიზიყის ქვეყნით მოსკლა მონასტერს, და არქვე ლოცვა კურთხევატა. იგი კარგა მიგვიღებს. წარსული ზურაბ მუნით მივიდა თავადინასთან, აცნობა იოანეს ვითარება, და მან მუისვე მიუწოდა იოანეს;—მუნ მდგომსა ამა კოშკიდან ესმა ხმა რაიმე მწუხარებისა, განკვირვებულნი იოანე მიმოიხედებოდა და უგანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკის კარისა მდგომარე და ჭრჭკა: ძმაო! რაი არს ხმა ესე მწუხარებისა? ხალხი მან ჭრჭკა: ძმაო, ტყვეები არიანო. იოანემ-სადაურჩიო? მან-ოსთავანნი. იოანემ-რაისა შეცოდებისათვისაო. მან ჭრჭკა-გასაყიდლათ. იოანემ,—ჰი დმერთო! და ამ უამში ზურაბმან მიუწოდა სახლსა ახაშიძისასა. ოდეს მივიდა იოანე და იხილა ანნაი, ჭრჭკა: მშვიდობა შენდა ჩვენის მოურავის ასულა, დღეს კრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად, რომ ბრწყინვალებასა თქვენსა ვიხსელ, გარნა რომელიმე მწუხარებაი მიიღო გულმან ჩემმან.

ანნამ. ვინ რა შეგცოდა?

იო. საბრალა ტყვეებმან.

ანნამ. ნუ იზრუნებ; მაგის საქმეს ჯ. ახაშიძე განაგებს;

იო. თუ დიდი ჯ. ახაშიძესაკით განაგებს, დმერთმა შენს მტერს მისცეს.

მაშინ ამილასკრის ქალმან გააშეგებინა სიტყვა, და უთხრა, აქეთაც მოიხედე, ეგ თუ მოურავის ქალია, მე ამილასკრისა ვარო.

იო. უფ ჩემს თავს, ვერ დაგინახეთ, მე სხვა ჭსჯაში ვიყავი და არა ხარისხის შესწორებაში.

ან. ვითარს ჭსჯაში?

იო. ცოდვისა და მადლისაში.

ან. მე თქვენმა მზემ ცოდვილი არა ვარ.

იო. არავის გწამობ.

ან. არა, შენ რა ჩვენს მოძღვარი ხარ?

იო. თქვენი მოძღვარი ვჭგონებ კეთილს გამცნებდეს.

ან. ეს ბოროტი მცნება არ არის, რომ ჩვენ ოსებისაგან ვისარგებლეთ, და იმათაც დიდ კაცობასა და სიმდიდრესა შინა მიაწიონ.

იო. ვარგი მიზეზია, — გარნა არ ვმარა ეგო.

ან. დაბძნდით, დალაღული ხართ. ჩვენი მოძღვარი მოკა და ის მოგტყმით მაგისტოვის ჰასუსსა. ამა უბნობასა შინა ლ. მოკიდა თავის აზნაურებითა. თავის რძალთ მიიწვიეს და მათ აცნობეს იოანე. ლ. ჰატრით მოიკითხა და დასხდენ: მაშინ ანამ ხუმრობით იოანეს აჩვენა ჰაზუა ორჯონიკიძე და უთხრა: აჭა ჩვენი მოძღვარი. იოანე ზე ადგა და ეანბორა; მან ხელი გარდასწერა, გარნა არ მისცა სამთხვევლად; მაშინ ყოველთა გაიციინეს; რა იოანემ გამოსცნო მისი ერის კაცობა, ჭსთქვა: როგორც კერი, იმ გვარი ბერიო. მაშინ მოიღეს ვაშმაში და რა ვარგა ღხინს გაერთვნენ, ჭსთქვა:

იო. ჟი ჩვენს თავს, ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვეები მწუხარებაშია.

ორჯონიკიძემ. იმათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.

იო. ვითარ?

ორჯო. მისიერში (ეგვიპტეს.) მთლად ბეგებად ქართველნი არიან.

იო. იგინი ლეკთაგან მოტაცებულა და გაყიდული და არა ქართველთაგან.

ორჯო. სულ ერთია, კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს.
იო. მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება რომ სულთი უნდა წარწყმდეს, და ხორციით თავის მოშობელის მამულთგან დაიკარგნენ.
ორჯო. რომ არ გათათრდენ ხომ ცხონდებიან; ხოლო თავის მამულის მოშორება ერთი არა არის რა. ყველგან ადგილია კაცი-სათვის.

იო. მაგ საბრალტებს სათუთში რათ აძლევთ, ეგება ვერ მო-ითმინონ სატანჯველი.

ორჯო. თუ ვერ მოითმენენ ფაშობას მზად მიიღებენ.

იო. და რაღა ვსთქვა; სახელოც დაგინიშნავს.

ორჯო. თუ გნებავს შენც მალე გიშოვი სახელოსა, მანც მე-სათე გვიკლია, რომ ხალკრათ შესრულდეს.

იო. ჭი თქვენს სვინიდიხს! კოდს არა სჯერდებით და სალ-კრათ უნდა გახადოთ.

ლე. იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც კჭირებათ და მეტადრე შე-ნისთანა მოქადაგე, რომ არღა გათათრდებიან.

იო. ეგ თქვენი ჭაზრი ყოვლითურთ ჭსჯულის წინააღმდეგია.

ლე. რომლისა?

იო. სამისავე ჭსჯულისა.

ლე. ვითარ, და რომლის სახედ?

იო. პირველად ბუნებითის ჭსჯულისა, რომ რაც ჩვენთვის არ გვინდოდეს იგი არც სხვას უყოთ.

მეორე. სადმერთო ჭსჯულიც ამისვე ამტკიცებს. და ესრეთ შე-ყვარებად მოყვასისა თვისისა, ვითარცა თავისა თვისისა; ხოლო მე-სამე სახელმწიფო, და სამოქალაქო ჭსჯულ-დებაც გავყენებს ესგვა-რისა უწესოს საჭმისაგან, რომელიც არა ჭსჯულის კაცსა.

ლე. ამ გვარი შური პირუტყვითაც აქვსთ, და კაცთაც იქიდანმ აქვთ მიღებული, რადგან პირუტყვის მსგავსებაცა გვაქვს; და რასა-თვის მათ არა აქვს განონი?

იო. უი ჩემს თავს! კაცნი თუმიცა სძითა, ჭამითა და ძილითა

და სხვებზე მსგავსობენ ჰერმეტიკოსა, გარნა სიტყვიერებითა, და უკვდავითა სულისა მსგავს აჩიან ანგელოზთა, და ვითარ უსწორებ კაცსა ჰერმეტიკოსა?

ლე. და რაი არს კაცი? ჰსწორედ მაცნობე.

კაცისათვის.

ოი. კაცი არს გულისხმიერი და მიმოქცეველი დაბადებული, შედგმული მოკვდავისა სხეულისაგან, და სულისა უკვდავისა.

ლე. რაისათვის დაბადა ღმერთმან კაცი?

ოი. დამარხვისათვის ჰსჯულისა და სიმართლისა, და ჰსწავლისათვის სოფელსა შინა კეთილისა საქმისა, და დიდებისათვის სასხეულისა მისისა.

ლე. რაისაგან შედგმულ არს სხეული კაცისა?

ოი. ცეცხლისა, წყლისა, ჰაერისა და მიწისაგან.

ლე. რაი არს სული?

ოი. სული არს ჰსიხი, რომელიცა ყამიერად კაცთა შორის მწერტელობს ყოველსავე შემემცნებსა, ჰაზრსა, მსაჯულებასა და წინასწარ-მიღებსა, თვინიერ მცირისა მონაწილეობითა სხეულისათა.

ლე. ვითარნი უკვე არიან თავისებანი სულისანი?

ოი. გულის-ხმის-ყოფა, ნება და მესხიერება.

ლე. რასა შინა ჰმსახურებს კაცსა გულის-ხმის ყოფიან?

ოი. ცნობისათვის ჰქმნაჩიტუბისა.

ლე. რისათვის ჰმსახურებს კაცსა ნებაი?

ოი. რათა იგი ისწრაფდეს კეთილისადმი, და გარე-ქცეოდეს ბოროტისაგან.

ლე. რაი არს კეთილი, და რაი არს ბოროტი?

ოი. კეთილი არს ყოველი იგი, რაიცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ შემთხვეულებასა; ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიცა გვეყოფს ჩვენ უბედურად.

ლევ. რაისადმი შექმდებულ არს მსახურებად მესსიერებაი?

იო. განახლებიისათვის ჰაზრთა ნამყოთა ნივთთათვის.

ლევ. არა აქვს რა სულის ჩვენსა კვალად სხვანი ვითარნიმე თვისებანი?

იო. უგებელად მას აქვს კვალად ხუთნი უგვე გრძნობანი: ესე იგი ხედვა, ყნოსა, სმენა, შეხება და გემება.

ლევ. რაისადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე?

იო. საშუალებითა უგვე ამა ხუთთა გრძნობათაგან სული ჩვენი მიძებლობს მცნობელობასა, არა თუ ოდენ მისთვის, რაიცა სხეულსა შინა მისსა, არამედ მისთვისცა, რაიცაღა გარეშე მისსა იმჟმედებიან.

ლევ. ვითარითა უგვე ხატითა მიძებლობს სული ჩვენი მცნობელობასა მყოფთათვის გარეშე მისსა საგანთა?

იო. შეწევნითა მხედველობისათა განარჩევს დიდსა მცირისაგან; მყნოსველობითა ჰსცნობს უგვე კეთილ-სუნოვნებასა, და საზიზღელთა სუნთა; სმენითა უგვე განარჩევს ძაღლთა და მღაბაღლთა ხმიანობათა; შეხებისა-გამო სცნობს უთანასწორობასა სხეულისასა, ამოკნებასა და უსამოკნებასა, ეგრეთვე სითბოსა და სიცივესა; ხოლო გემებისა გამო ჰგრძნობს ტკბილსა და მწარესა, მჟავესა და მღასქესა, და ესე ვითართა.

ლევ. ვითარითა უგვე ხატითა სული ჩვენი მიძებლობს ესე ვითართა შემეცნებათა და ანუ სად არს ადგილი მისი?

იო. საშუალებითა ნერვებთათა (ანუ მგრძნობელთა ძარღვებთაგან), რომელნიცა უგვე არიან თანა-ზიარნი კერძოთადმი გრძნობისა შემადგენელთა, რომელნიცა მიაერთებენ მოქმედებათა თვისთა გონებასა, რომელიცა მდგომარეობს, ფილოსოფოსთამებრ, უმეტეს ტკინსა შინა, ხოლო ტკინსა მას შინა არს უწყებული უგვე ადგილი, სადაცა ყოველნი უგვე წიკრნი შეერთდებიან: და ესე არს ადგილი იგი, სადაცა ხელმწიფობს უგვე სული და ამა მოქმედებათა ძლით მოძივნელობს იგი ყოველთა მცნობელობათა ნივთთათვის, მყოფთა გა-

რეჟე მისა, და მიიღებს უზირკელესა შემემცნებასა, რომლისა შემ-
მსგავსებელი ჰყოფს უკვე გამჭვლელობასა, შეცვასა, დამტვირცებასა
და ყოველსა მას, რაიცადა მოისწრაფვის სიხარულისადმი მცნობე-
ლობასა მისისა და ესე-გვართა სხვა და სხვა უბნობითა დასრუ-
ლეს ვახშამი, და იოანეც აღდგა მთქმელი ძილის ამოკნებისა და წარ-
ვიდა სადაცა განემზადათ მისთვის სადგური. იოანე ფიქრისა გამო-
მარული არა მცირესა გულის მსიტყველობდა სახითა ამით: ნუ-რეჟე
მეტა რიცხვითა შინა ტყუილთა მითვალულ ვიქმნე. და ეძებდა ღონე-
სა რასამე და განიზრახსა გავარკვა მუნით; გარნა არა ცხად უყო ღა-
მბარა-შვილსა, ამისთვის, რომელ ნუ თუ სიღარიბემან ჰსძლეს მას
და მისცეს მას რამდენიმე რქორი და თან-ხმა ექმნას განკატრებასა-
ცა ჩემსა; დამტვირცებულმან ამისამან, შემდგომად შუალამისა შეკამას
უნეი თვისი და იღუძალ განსრული სოფლით, აღმხედრდა მას ზე-
და და დაიწყო ჭაღასა მას შინა სიარული, და არა უწყობდა თუ სად
მიკაღს, და უკანასკნელ იძულებული განვიდა მინდვრის კერძოდ და
მიმოიხედებოდა ნუ თუ მახლობელ მისა იხილოს დაბა რაიმე შესა-
ყრდნობელად თავისა თავისისა, გარნა სიღამისა ძალით კერა განერ-
ჩია მას, და რდეს მოიწია განთიადი აღსდგა ზურაბ, იხილა იოანე
მუნ არა მყოფი და აგრეთვე ცხენიცა მისი და უკანასკნელ მადლი-
სა ხმითა დაიწყო ზახილი, და რდეს კერა მიიღო ვასუხი, მაშინ
გამოსცნო მან გავარკვა მისი და მწრაფელ აღკაზმა ცხენი თვისი,
ცხად-უყო აბაშიქსაც. ანნა არა მცირეს მწუხარებასა მიეტა და მსწრაფელ
უბანა მსახურსა თვისთაგანსა, რათა ამხედრდეს იგი და ზურაბი-
თურთ განუდგნენ კვალსა მისსა და უკუ-მოაქციონ იოანე: უკეთუ
არა ინებებს იგი. მისცეს მას ხუთი რქორი ბაჯადლუსა და ცხად-
უყონცა სანდურაკი ვენინსაგან, კინადგან ეჭვითა განიკლტო იგი.
და მსწრაფელ წარვიდნენ ესენი მინდვრისა კერძოდ და იქმნა რაყრაყ
რდენ. მაშინ მომხედველმან იოანემ იხილა რჩნი უკვე ცხენოსანნი,
მსწრაფელ მიმაჯაღნი თვის კერძოდ და ჰსთქვა: აჭა მოიწია ესამი აღ-
სრულებისა ჩემისა, მიხსენ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათ-

გან, რომელნი ეძიებენ სულს ჩემსა, და მისსენ მე საბრძნისა ამის მონადირეთაგან! და ამ სიტყვასა შინა ისილა შორით გომჭვი მალა-ლი საშურისა და მყის დაჭკრა ცხენსა მათრასნი თვისი და ტყენებრთა წარმართა მუნ. გარსა არა უწყოდა, თუ ვისდა მივალს იგი; უამსა ამას შინა არა იცხეს მათ ზოანუ, ესენიცა რბევითა ცხენთათა. შეუდ-გნენ მას. და რდეს მიესმა იოანეს ძლიერი ბგერაი ცხენთაფხისსა, მიიწია მყის სოფელსა მას შინ და ისილა ერთის გლეხისა სასლი-სა კარი განღებულ; და მსწრაფლ კარდასდა ცხენიდაძ და შეკარდა სასლსა მას შინა; სოლო სსკა კაცთაგანი არკინ ისილა, გარდა მო-ხურვისა ბებრისა, და ჭრჭკა: დედაო! შეიწყალე ჭაბუგობა ჩემი, მის-სენ და დამიფარე სელთაგან უცხო-თესლთასა, რომელთა ზედა ენე-ბათ განგატრებდი ჩემი! ბებერი მყისვე მიჭსკდა სიტყვასა მისსა და ჭრჭკა: მოკედ შეილო, და დაგმალო ამა ჭკეშაგებსა ჩემსა. იოანე მსწრაფლ დაწვა მუნ, და მან მოხურცამ წაფარა დაბაბეული საბანი თვისი და ზედან დაჯდა მას, მცირესა უამსა შინა მოიწივნენ იგი-ნიცა და ისილეს ცხენი იოანესი ძღვომარე კარსა ზედა მუნ ბებრი-სასა, და მყის შევიდა მსახური იგი აბაშიძისა და ჭრჭკა დედაო, სადა არს იოანე დიაკონი? დედაბერმან რჭკა მას: არა მისი-ლავს, შეილო. მსახურმან. ცხენი იმისი კარსა ამას სასლისასა დგას, გარსა იგი უარს უფოდა, და ცანაგარეს უბნობა; მაშინ იო-ანემ:

უკეთესა ცხად უფო თაჟი ჩემი, უკეთუ განმავატრებენ მე ვაჭართა ზედა მადამისათა, და ითხოვენ იგინი ჩემგან დატეკებსა ჭსჯული-სასა, წინა აღუდგები ნებსა მათსა. და უკეთუ მაიძულებენ ტანჯვი-თა. და შეუძლებ ტვირთად, და აღესრულდები, მეცა მოწამეთა გუნდ-თა შინა აღვირიცხები. სოლო უკეთუ ვერა ვიტვირთებ ტანჯვათა მათგან, მაშინ არა გუფითა ტეშმარტითა აღვიარო ჭსჯული მათი. და მიმწეკმან დიდ-კაცობასა შინა, ვქმნა უმეტესი კეთილობანი ქრი-სტიანთა ზედა. და ესრეთ წარმოჯდა ჭკეშაგებისაგან იოანე და ჭრჭკა:

რადც გეგულებოდეს ადრე ჭყავ: ხოლო მან ჭრჭკვა მას, არა უფა-
ლო, მე მოვიუღინე თქვენდა ანნასაგან, რათა ცხად გიყო წყინება
მისი და ამასთან სსხუქარცა მოგარტვათ. იოანე: მითხარ, რად ეწ-
ყინათ. მსახურმან: თქვენი მაგ სახით წამოსკლად, მას ენება თქვენ-
თვის მოქმადლებინა ტყვეები და პატივით გასტუმრება თქვენი.

იო. ვაი თუ ეგ არ მომხდარყო; მე თავადისაგან საწმინდო
ვარ, მაგრამ მოძღვარ-მოწათისაგან შევშინდი, მამა შეილობას, შენ-
დობა მომითხოვე და მადლობაც მოასსენე: მამინ მოარტვა მსახურ-
მან სუთი იგი რქრო, და გაშინჯა რა იოანემ, ჭსთქვა: ესე არა
ჭკავს მისორის რქროს, ბაჯადლუა; ეს ტყვის ნაკატრი არ არის.
გამგონე ამისი ზურაბ ჭრჭკვა ბერსა: შენ ნუ მომიკვდე, თუ ხონთ-
ქარს ბაჯადლუ რქრო ჭქონდეს; რაზედ დამიკარვე ერთი ურედი ჰური.

იო. ჩემი სულის და სორცის დაცვა ვირჩიე ერთს კოდს უგ-
ვე სორბასსა, და ამ სიტყვასა შინა წარვიდა მსახური იგი.

იოანემ მოილო რქრო და ჭრჭკვა: ჰი რქრო! თუ რადენ შე-
მძლებელ ხარი შენ, შენგან აღიღებინ უძლებელი ცისენი, შენგან
იძლებიან მხედრობანი, შენ გეგარობენ ხელმწიფენი, შენი ძალით
დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთაცა,
შენ ხარ მსიარულება ყოველთა კაცთა; მსიარულებით შეგიტებობენ
მღვდელთ-მთავარნი და სხვანი სამღვდელონი. მრავალგზის გააადვი-
ლებ კანონთა, მრავალ გზის გაამტყუნებ მართალთა. შენ მიიზიდავ
გულთა მსაჯულთა და კარის კაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგა-
რებისასა; შენ ხარ კეთილი, და აგრეთვე ბოროტი; ვინადგან რჩი-
ვე ძალ გიმს, მოვედ განვიწიადო; შენ დააწყნარე მძლწოლარე გუ-
ლი ჩემი; შენ მიეც სიმტკიცე გულსა ჩემსა; აჭა შთავიდე უბესა
მასლობლად გულსა, განმსიარულდი გულ! აჭა წამალი ყოველის
მწუსარებისა!—და ესრეთ განხნობილი იოანე აღზდგა, ბებერი და-
ლოცა და გამოვიდა გარე. ოდეს იხილა საშუალ სოფლისა კოშკი
და სახლნი, იკითხა კინ ცხორებეს აჭა. და ჭრჭკეს: ხიდიობგის
შეილიო. მამინ იოანემ ჭრჭკვა ზურაბს, მივედ და აცნობე თავი ჩემი;

მიგვიღებს იგი, ვინადგან ადრითვე მისილავს მონასტერსა შინა. მისრული მისდა ზურაბ ცხად-უყოფს იოანეს მიერ ლოცვა-გურთხევასა, და მამუკა მიიწვევს მუისვე.

იოანე მისრული-მისდა, ეტყვის მას: მონაზონობის სასიით მოგიგითხო ანუ ერის-გაცობით?

მამუკა. როგორც ხედავ სახესა ჩემსა. მაშინ იოანე: მშვიდობა შენდა ნაბერადო, რად განიძარცვე მონაზონთა სასხი. დროს მეძიებელი ყოფილხარ, და არა სულისა.

მამ. მაგით არ წაეწმდები,—და შეიწვია სასლად. შესრულნი სასლად დასსდენ და დაიწყეს სხვა და სხვა გვარი უბნობა, მოიღეს სადილი და რა განაგრძეს

დაასრულეს სადილი და კმაყოფილნი განემართნენ სურამისაკენ.

იოანემ მიმაჯლობასა შინა ისილა გზასა ზუდან მრავალნი ძროხა და საინი, და ჰკითხს მწყემსთა მათ, ვისი არის ნახილი ესე? და მათ ჰჩქვეს, მოურავისა.

იო. საიღამ შეკრიბნა ესენი?

მწყემსთა. ნარბევიდგან.

იო. ვითარ?

მწ. მდეკრის კაცი, რომელნიც დააკლდნენ მდეკარს, მათი ნარბევი.

იო. წაიღეს რამე ლეკებმან?

მწ. ნახილი მოიტაცეს.

იო. მას რაც ლეკებს გადაჩიომია, მოურავს სისრულე მიუტია.

მწ. მართლად, რაც გადავარჩინეთ, მოურავმან მიგვიღო.

იო. ეს ჰსჯულდებს ქიზიყსაც არის, მაგრამ თუ სხვაგან სადმეა გლეხი კაცი და ხელ-მარტოა, არ დაარბევენო.

მწ. ტფილისსაც რომ იყოს ჩვენგანი ხელ მარტო კაცი და აქ მდეკრობა მოხდეს, ჩვენი მოურავი მაინც დაგვარბევსო.

იო. ვინ გაიწი მთაწარსი.

მწყ. არა უწყი, მე ახლა მოკლე ჯავახითი.

იო. ტყუილსა ჰსწამებ, თავის დღეში მაგარი არა უქნაწა მას.

მწყ. საკუთარი ყმები თვისიც ამას უჩივიან.

იო. ვიცი შვილი; აქ არის მთაწარსი?

მწყ. არა, შინ წავიდა.

იოანე განუმარა და წარვიდა. გზასა ზედან ზურაბსა ჰქვია იოანემ: ესე ძნელი ჰსჯულდება საბრალოს გლეხთა კაცთ ზედა, ასე ადვილად და თითქმის შეუძლებელად დაწებავ; ეს უმჯობესია, რომელ ამ სახით იყო; ვინც გლეხთაგანი დააკლდეს ვინმე მღევარსა ან ცხვართ, ან ღორით, ან ღვინით, შეძლებისა-მებრ გამოერთვას და იმ მადგერის კაცთ უგუ-მოქცევის დროს, ან ვასამდი, ან სადილი გაუკეთეს და იმათ შიდა; უფრო გაასადისებს ხალხსა და არც გაღარბდებიან, რომ მკის დროს და ლეწვის დროს ხარები ერთმევათ, და წვრილის შეილების გამოძდელი ძროხები.

ზურაბ. უცხო-რჩევაა ეგი, თუ ძროხელებიც თანასმა გვეყოფიან.

იო. სულ ცუდის ძროხელებისაგან არის ჰეყანა ხაკულეკანებაში — და ამ უბნობით მივიდნენ სურამს; მაშინ იოანემ გაგზავნა ზურაბი მთაწარსის ნაბთან და თავისი ვინაობა ცხად უყო და სთხოვა სახლი სადგური; მან უპასუხა ზურაბს: მე ვერ მივიღებ, თვით იზრუნოს. რა ზურაბმან ესე პასუხი მოართო იოანეს, — ეწინა და ჰსთქვა: ზურაბ, ზურაბ! მამა-შვილობამ, მოკლე ყამის მთაწარს-ნაბი არიან, და აქა იქ სიარული დაიწყო და სახლის ძებნა; ამ სიარულსა შინა ისილა ქანოსს რომ მურგანის-შვილმან და მიუწოდა იოანეს; ძვის იოანე ცხენიდან გარდასდა, ჭურთხევით მოიგითსა და ქანოსს რომან წარიყვანდა სახლად თვისა, მრავალნი სსვა და სსვა გვარნი უბნობანი მოიუბნეს და უკანასკნელ ვასშიმის ყამს მოიღეს ვასშიმი. იოანეს მოართვეს მარხვის სანოკაგე, სოლო ქანოსს რომ სსსნილო. რა ხელი ჰქვებს.

იო. დღეს ოთხშაბათია.

ქაიხო. ვიცი.

იო. და რად ჰსჯამ?

ქაიხო. თათრებში დავეჩვიე.

იო. ახლა ხომ ქრასტიანებში ხარ?

ქაიხო. ჩვეულება ჰსჯულთ უმტკიცესია.

იო. ვიცი, ფილასოფოსნი ჩვეულებას მეორე ბუნებას ეძახიან. მაგრამ კაცმა კეთილი საქმე უნდა გაიბუნებალს.

ქაიხო. მე მეფე ირაკლის ორმოცდა თუთხმეტი წელიწადი ვმსახურე და ჩემის მსახურებისათვის ყაზახის თათრებში განმავს და იმათ თაყაზით შევეჩვიე მარხვის ჯამს, რომ იმათ არ ვაძლევდი დაბრკოლებას, და ამ სახით უფრო გაუერთგულე ის ერი მათ სამდღეს.

იო. ჰგავს, ისე მოქცეულხარ, ვითარცა ჰსწერია: ჯამეთ წინა დაგებული თქვენი და ნურარას განიკითხავთ იჭვისათვის, რამეთუ უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი. მიბძანე, მათ უმადლესობას სავა და სავა მსახურეთ.

ქაიხო. რომ ცოტა ვსთქვა მათ უმადლესობასთან თუ სხვაგან ორმოცდა ათი ომი მეტი მიხილავს, მაგრამ სახელოვან ომებში უოკლეგან ვსლებივარ მათ სიმაღლეს: აზათხანის ომში, რომ სამი ათასის ქართველით თურქეთი-ათასი კაცი დაამარცხა უზარბაზნოთ ბატონმან, და იმისი ურდო მთლად დაგერჩა, რომ განემდიდრდით. ოთხი ათასის კაცით, აჯიხლათის შილი თორმეტი ათასის კაცით მოსული ბორჩალოს დაამარცხა, და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოკეთ. ავარიის-ხანი რეათასის კაცით მჭადის—ჯვარს ადვა,— დაკამარცხეთ დია მცირეს ჯარით და მრავალი დავსოცეთ და დავა-ტყვეკეთ. დანდიზში ქიზიყის ბოლოს კძლიეთ ლეკთა და მრავალი ავსოცეთ და იმ ღამეს დედოფლის წყაროზედ მდგომთა, დაგვესხა სხვა უდიდესი ჯარი თაყსა მას გაქცეულს ლეკთან შეერთებული, და ივინცა დაკამარცხეთ, დაკვირეთ. ხერთვისი ავიღეთ და მრავ-

კალი ოსმალი დაეხრეთ. აბდულა ხანი ბაგრატიანი, თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირა და სოფლად-კმედ დაკამარცხეთ და აწყვიტეთ. ასპინძის ოსმალისა და ლეკის ჯარსედ გაკამარჯვეთ, რომ რუსები დაგვიბრუნდენ, არღა გვიშველეს. და სულ ას თათრის ჯარი მთლად ფარაოსავით მტკვარში დაკლუპეთ და მეფემან მოკლა თავისის ხელით კოსტა-ბელადი. ერენის დიდ ომში იქ კახლდი და რვა ათასი კაცი დაკამარცხეთ მეფის გიორგის მიხეზით და გარჯილობით. ავარის ხანი ოცდა ოთხი ათასის კაცით ევარელის ციხეს შემომდგარი იყო, სამასი კაცი წაკედით დაუთალაბათ და შუკედით ციხეში და გაკაქციეთ ეგოდენი ჯარი. მცხეთას მიძაკალს ღამე დაგვხვდა ლეკისა ჯარი ჭსძლო მუნ ბატონმან, თავისის ხელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ ძმათა და-ვხრცევით ლეკები, სამთავ მივართვით თავები და მშინ მიბოძა ჯილდოდ ჯაბადართ უხურესობა და სსკა წყალობა. ატონის გამარჯვება ხომ შენც იცი. ქრცხინკალს, სვითებში და სხვაგან რაღა მოგახსენო, იორსედ, ყველგან დავსწრებივარ მის სიმაღლესთან, ყოველგან სახელი მიქმნია, აგრევე საკუთრად ყაზასში და სხვაგან. და განჯის ომშიც და აღმამათხანის ომშიც თან კახლდი და მთი-უჯეთსაც განუშორებლად ვიყავ. და ამისთანა გამხდელს ბატონს მოუშორდი, რატომ არა მწყევ. მაგრამ მეფის გიორგისაც მადლობელი ვარ, რომ იმავე ხარისხში ვეყანდი და მეშვეიდრეს დავითსაც და აწ ახლა რადგან შვილი არა მყავს, ეს ჩემი ძმები და ძმის-წულეები მიხდა ჩემსავე სიცოცხლეში განუყარო, ჩემი ქონება გაუყო და მშვიდობაში დაუტოვა; ამისთვის მოკვლ აქ და შემენდობა ამისთანა მოსამსახურე კაცს, თუ არა?

ზურაბ. ვიცი შენ მხვნელ-მთესველი კაცი არა ხარ, რომ ჰურით შეგვეწიო, და ეგ შენდობა ერთს ხაღიჩაზედ არის დამოკიდებული.

ჭახოსრომ მყისვე მიართო იოანეს ხაღიჩა და მონასტრისათვის ძროხა. იოანემ: ღმერთმა შეგინდოს ეგ ცოდვაც და სხეუ-ბაცა.

ზურ. აგი მოგახსენეთ ქაიხოსრო, რომ შენდობას მალე მიიღებდით. და ამა უბნობაში შემოვიდა მუნებური ტერტურა და სწავლასთან იყო გამოცდილი. ქაიხოსრომ უთავაზა, მიიწვია და ითანეც აცნობა, ურთიერთი მოკითხეს და აწვიეს სადილს. ტერტურასი ის კვირა სსნილი იყო და ამანაც დაუწყო სორცის ჭამა. მაშინ იწვიეს საუბარი, თუ ვითარს გვარსედ არს დაწყობა მარსკათა.

იო. მე არა განვაგრძობ, გარჩა მხოლოდ მოკლისა სიტყვითა გაცნობო. ესე კვტონებ შენც უწყოდე, რომელ წმინდას ეკკლესიის უპირველესნი მცნებანი ცხრანი უკვე არიან. და მათ შორის ჰირველი არს ღოცვა გულისმოდგინედ ღვთისადმი, სოლო მეორე არს მარსკა. მარსკა ესე განაწესეს წმინდათა უკვე მამათ, ვითარცა შენც უწვი, ქრისტიანობისა, რომელი იწუების ნოემბრის ათუთსმეტეიდაჲ ვიდრე ქრისტი-შობს იცოდა სუთამდე, რათა განწმენდილნი ჩვენცა მივეგებნეთ ქრისტესა ღოცვითა და მარსკითა. მჭსგაკისად მოსესა, ვითარცა მოცა მას მთასა სინასა საღმრთო იგი ჭსჯულის ფიცარი, რათა იცნან მით ისრაილთა ჭემმარიტი ღმერთი და დაიცვან მცნებანი მისნი; სოლო უკანასკნელ ოდეს სათნო იხინა ღმერთმან და იშკა უფალი ჩვენი ესო ქრისტე ბეთლემს ქვაბსა შინა სორციალად სსნიას ჩვენისათვის, ჩვენცა თანა გვამს, რათა განწმენდილნი სუღითა მივეგებოდეთ და მოვიდოთ მადლი მისი, და დავემტვიცოთ მცნებსა მისსა. სოლო დიდმარსკას რომელსაც უწოდთ, ესე თვით შენც უწვი, რომელ იმარსკა თვით ქრისტემან ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, ვითარცა წერილი იტყვის, და მეტე შეემშია აგრევე ამ დიდმარსკას შემდგომად ორმეოცისა ერთს; კვირასაც დაგიჭერთ, რომელ არს ენების-უვირა, რომელსა კვირასა შინა შეითქვნენ ურიათ მღვდელთ-მოდგარნი და მოიბრეს იუდა გამცემელი და მისცა უფალი ჩვენი ესო ქრისტე სელთა ურიათა, რომელიც განვიცხეს, გვემეს და ჯვარს აცვეს, ამასაც მოხსენებისათვის ენებისა უფლისათვის

ვიძარხავთ და ესრეთ აღდგომის კვირიაკეს განვიხსნილებთ, მოსრულნი ხსნისა ჩვენისათვის; მესამე მარხვა მოციქულთა, რომელსაც ვიწყობთ შემდგომად ყოველთა წმინდათა კვირიაკისა ორშაბათს ვიდრე ოცდა ცხრას იენისამდე და მასინ გარდვისდით პატივისცემასა და დღესასწაულსა მოციქულთ თაკთა პეტრეს და პავლესასა, და ესრეთ განვიხსნილებთ. მეოთხე მარხვას ვიწყებთ პირველის აგვისტოდამ, ღვთის მშობლის მიცვალებისასა, და ათოთხმეტსა რიცხვსაკე შინა განვიხსნილებთ დღესა წმინდისა მიძინებისა ღვთისმშობლისასა. კვლად თვინიერ გზეფისასა, შევინასამთ ოთხშაბათ-პარასკევსა: ოთხშაბათს ვინაიდგან ურანი შეითქვენ შეწყრომად იესოსა, ხოლო პარასკევს ვინაიდგან ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ვითარცა განგვიწესეს მოციქულთ, მოსასსენებლად ვნებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, რომელიც დაგვიწერეს მესამეოცდა ექვსსა განონსა შინა და კვლად მოგვეცა წმინდა აღმოსავლეთის ეკლესიისა მიერ მარხვად სეკდემბრის ათოთხმეტსა რამელიც დღე დასკდეს, ჯვარის ძაღლებისასა, მოსასსენებლად ვნებისა უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესა. კვლად წინა დღესა ნათლის-ღებისასა ვიძარხვთ, ვინაიდგან ათორმეტი გარდაიხდების, და ესე ათორმეტი თუ არ მარხვით ხსნილში უჯეროა, პატივისათვის წყალ-კურთხევისა და ნათლის ღებისათვის უფლისა ჩვენისა. აგრეთვე ოცდა ცხრას აგვისტოს ვიძარხვთ ნათლი მცემლის იოანეს თავის კვეთას დღეს, ამისთვის რომელს ვინაიდგან უსჯულო მეფემ იროდიმ შეიპყრა იოანე და შესვა საპყრობილესა შინა, რომელიც თანხმა არ ექმნა, რათა რძალი თვისი შეერთო, და მერე შობისა თვისისა დღეს, რადგან დიდის სერი გარდინადა და იმ სერში ბიძრებითა იროდიასითა, ასულმან იროდიასმან მოაკვლევინა ეროდეს წმინდა იოანე, და ეს სერი იყო ერთი მართლისა სულის მოკვლის მიზეზი, ხოლო მეორე ბილწებისა და არაწმინდებისათვის, მოკლა მართალი იგი იროდიმ და თავი მოჰკვეთა იოანეს. ამისთვის ჩვენ ვიძარხვთ პატივის ცემისათვის წმინდისა და არა მიბადვისთვის

აროდისა. კვალად ერთს კვირას წინად დიდ მარხვისა კვიმარხავით
ხორცისა. მსოფლად მივიღებთ საურწყაოს, რომელსაც ვეკლავინ
უწოდებ, და ესე განწესდა ირავლი კვისარის დროს, ოდესცა ბრძოდა
სპარსთა, წმინდათა მღვდელთ მთავართა და ჰატრიარქთაგან ბუნ-
დობით, წათა ჯვართა არ მისცემოდათ დაბრკალება, რომელიც მს
კვირაც მიეწერებოდა დიდ მარხვას. აწ ეკტუქის და დიოსკორეს
წაალება მოკისხენით: ეკტუქი სიმსა წაალებსა შედგომილ იყო
და მოწავენიცა მისნი: პირველად ქრისტეს ორთაგან იტყოდა, არა-
მედ არა ორითა ბუნებითა ყოფად, რამეთუ კაცობრივსა ბუნებას
ღვთაებისა ბუნებისა თანა შერეულიად იტყოდა.

პეტრე მარწუნელმან „წმიდაო ღმერთის“ გალობას შესძინა
„წმინდაო უკვდაო. რომელი მოჭკეკედ და დამოკვიდე ჯვარსა ზედა,
შეგვიწყალენ ჩვენ“, და ესე დიდი გმობა არს, რომელ ღვთაებას
გნებად, ჯვარცმულად და მოძკედრად იტყუით, რომელ ხორცი ქრ-
ისტესი არა არს ჩვენი ერთი არსება, და ესეც შემდგომად აღდგო-
მისა, ისევე ღვთაებისა ბუნება აღვიდა ზეცას და არა კაცისა. და კა-
ცისა ესრეთ აღვრიგეს, კითარცა ერთი წკეთი ძრძმისა შთაწკეთო
უკიანესა ზღვასა შინა და არღა იქმნების იგი თკისებასა შინა
ძრძმისასა. სპარსიცა განყოფილებანი წმინდისა ეკკლესიისანი მრავალნი
არიან ურთიერთისა შორის.

ოიანე ღვთის-მეტეველი მხარებელი იტყვის ესრეთ: რომელ-
მან აღიაროს იესო-ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი ღვთისა-
გან არს, და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესო-ქრის-
ტე ხორციელად მოსრული, იგი არა ღვთისაგან არს და ქსე არს
ანტი-ქრისტე.

გრიგოლ ღვთის მეტეველმან სთქვა ესრეთ: ბუნებანი ორნი,
ღმერთი და კაცი, კინაიდგან სულიცა და ხორცნი. ხოლო ძქნი არა
ორნი, არცა ღმერთნი. ორი ბუნება, ქსთქვა ზურსეს შნოჭრალმან,
სომეხთ კათალიკოზმან, ესრეთ: ძველი ადამ ეშვილა ახალსა ადამს,
ხოლო ქალწულისაგან ღმერთი და კაცი ერთ იქმნა, რამეთუ ორივე.

გამოუთქმელად ერთ იქმნეს, ანამედ ბუნებანი ორნი არა შეიცვალნეს. ქაიხოსრომ. იოანეს აკოცა და უთხრა: მიხარის, რომ კარგად გისწავლია და წერილშიაც დაღაღუღსარ. გთხოვ, რომ საკუთარი მეგობარი შეიქმნა ჩემი, და ამანაც მადლობისა მთქმელმან დალოცა და ესრეთ დაასრულეს სადილი, და იმ დღეს მუნ განისვენა და დაიარა სურამში, გაშინჯა ყოველივე და სახვალოდ განემზადა ძაღინისაკენ წასასვლელად.

დღე მეოთხე.

იოანე კმაყოფილი განემართა ძაღინისაკენ და მწუსრის უძისა მიიწია მუნ, და იოანემ ჰკრკვა ზურაბს: იხრუნე ჩვენთვის სადგური. ზურაბ მისრული ფალავანდიანთთან, მოიკითხამს იოანეს მიერ და მაშინ ელახარ მიიწიკეს მას; მისრული, იოანე წინა წარდგების და ეტყვის: მშვიდობა შენდა, ბრწყინვალეო მდივანო!

ელიაზარ. მე მდივანი არა ვარ.

იო. ადრეკ უნდა გეფიქრა.

ელიაზ. მე ვასლანაკობა აღვირჩიე.

იო. მე ეგ ლექსი არა უწეი.

ელიაზ. დესპანობა, ანუ ელჩობა.

იო. საით?

ელიაზ. ეგენის ქვეყნის კაცის ამხანაგად.

იო. ილისოსაკენ აზირებთ დესპანობას?

ელიაზ. არა.

იო. მაშა საით?

ელიაზ. ევროპისკენ.

იო. ჭო!

ელიაზ. და რად გიკვირს.

იო. ამისთვის, რომელ იცნა იქაური ყოფა-ქცევა, ანუ ენები, ანუ ლოკალრათია?

ელიაზ. თვალიც დაგვიდგება; სხვამ ვინ იცის ჩვენი, რომ მე ვიცნა-
დე, და თუ მაგას მიხედა ჩვენმა ბატონმა, ელსს კელასად გავზავნოს.

იო. უი ჩემსთავს. მართლად ბრძანებთ, მაგრამ ილისოს სუ-
ფთანთან ელჩობასა და ეკროზიაში დია დიდი დანახეთქი უძვეს.

ელიაზ. მე ვისაც მივსდეკ, ამით მესამედ ყოფილას.

იო. სამი დიდი მტერიც გვიშოვა.

ელიაზ. ვინა?

იო. ხონთქარი, ყეენი და დალისტანი.

ელიაზ. რა ქნეს იმათ ღირსი სსოვნისა?

იო. ტფილისი დახატეს და ასტალა ფასანითურთ.

ელიაზ. ახლა ჩემი დესპანობა იქნება ბედნიერი მაგათთვის.

იო. ნეტამც გგრე იყოს.

ელიაზ. შენ ილოცე ჩემთვის, უდაბნოს ბერი სარ, და ყოვე-
ლივე იქნების კეთილი.

იო. სარწმუნოებისა შენისა მეზერ გეყავნ.

ელიაზ. მე ურწუნო არა ვარ.

იო. ღმერთმა გაშოროს ურწუნოება, გარნა დესპანსა თანა ამს
სარწმუნო ყოფას.

ელიაზ. დესპანი ვითარ უნდა იყოს სარწმუნო და როგორი?

იო. პირველად უნდა იყოს მტკიცე თვისსა სარწმუნოებასა
ზედა და ფიცსა; მეორე უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპა-
ტრონისა თვისისა; მესამე არ იყოს ანგარი და ქრთამის მოყვარე;
ხოლო მეოთხე, ჭსწავლული, ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის
ხელს არ შესთხოვდეს.

ელიაზ. ნამდვილ გგრეთ, გარნა მითხრ მე: რაი არს სარწმუნოება?

სარწმუნოებისათვის.

იო. სარწმუნოება არს თაყვანისცემა ჭეშმარიტისა ღვთისა,
შემოქმედისა ყოვლისა არსისა, აღკლუნა სულისა და გულისა, ჭე-

მართებით მოქმედება თანამდებობათა ჩვენთა, ვითარცა შინაგანთა, ეგრეთვე გარეგანთა და დამარხვა ეკვლესიისა წესთადა, რომელნიცა წარუწერა თვით ღმერთმან კაცთა და უბრძანა.

ელიაზ. გარდა სარწმუნოებისა, კიდევ რაი ჯერ არს ქმნად?

იო. კეთილი საქმე, რამეთუ სარწმუნოება თვინიერ კეთილისა საქმისა მკვლარ არს.

ელიაზ. მრავალნი არიან ღმერთნი სხვანიცა, რომელთაცა თაყუანის-სცემენ კაცნი?

იო. ჭეშმარიტი უკვე ღმერთი არს ერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, ხოლო სხვანი უკვე ყოველნივე ტყუილ, რომელთაცა წარმართნი თაყუანის-სცემენ. რომელნიცა არიან მრავალ და იგინი არა არიან ღმერთნი, არამედ კერძნი.

ელიაზ. ვითარ იწოდებიან ერთი იგი რომელნიც თაყუანის-სცემენ ტყუილთა ღმერთებთა?

იო. კერძთ თაყუანის მცემლად.

ელიაზ. ამაო შერებიათ იგინი?

იო. ამაოდ, ამისთვის რომელ თაყუანისცემს აღვლენილი, ანუ შეწირვა კერძთადმი არა არს ჭეშმარიტი ღვთის ჰატივის ცემა, არამედ ამაოდ მოწმუნოება და კერძთ თაყუანის მცემლობა.

ელიაზ. მრავალნი არიან სოფელსა შინა სხვა და სხვა გვარნი უკვე სარწმუნოებანი?

იო. მრავალნი.

ელიაზ. რომელნი არიან უპირველესნი სარწმუნოებანი ამით მორის?

იო. უპირველესნი სარწმუნოებანი არიან უკვე ოთხნი: ესე იგი სარწმუნოება ქრისტიანეთა, ისრაელთა, ანუ ურიათა, წარმართთა და მახმადიანთა.

ელიაზ. ვითარ ვჭმს ვაჟსებთ ჩვენ ქრისიანენი სარწმუნოებითა ზემოხსენებულთა ნათესავთა?

იო. ერთისა ღვთისა მცნობელობითა, ესრეთ ვითარცა ჩვენ გერწმმს ღმერთ, ყოვლად ძრეელი, ყოვლისა შემქმნელი და ყოვლისა დამბადებელი.

ელიაზ. სხვებრ, ვითარ განუყოფით მათ?

იო. რადეს მოკალთ განგებულებისადმი, ესე იგი განხორციელებისათვის სიტყვისა ღვთისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, და აღვიარებთ ღვთად სრულად და კაცად სრულად, მაშინ ურიანი, თათარნი და წარმართნი არა არიან ჩვენდა თანახმად, ამისთვის, რომელ ურიათ არა ჭსწამთ განხორციელებას სიტყვისა მღვთისა და იტყვიან: ჯერ არ მოსრულან იესო ქრისტე, და ამით უარ ჭყოფენ; მახმადიანნი, იტყვიან სულად ღმერთსა ქრისტესა, და არა მღვთად, არამედ ჰირველ წინასწარმეტყველად, და დიდ კაცად, და სასწაულ-მოქმედად; ხოლო წარმართნი, არცაღათუ შეიწყინებენ.

ელიაზარმან. რადგან ჩვენ, გერწმმს იესო ქრისტე, ღვთად სრულად, და კაცად სრულად, რასათვის ერთნი არღავართ სხვათა თანა ქრისტიანეთა?

იო. ჩვენ მართლ-მადიდებელთა, ქრისტიანეთა რაიცა მოგვეცა, თვით ქრისტესაგან, და მოციქულთაგან, და სხვათა წმინდათა მამათაგან, შეიღთა კრებათა შინა შეკრებულთაგან, ჩვენ მასსაკე ზედან ვჭსდგევართ, და გერწმმს ეგრეთცა, ხოლო სომეხთა და ფრანგთა, რომელიმე მოსხვეს და რომელიმე დართეს მათსა მოციქულსა და ამის გამო მოხდა განსეტქილება.

ელიაზ. ვითარ?

იო. სომეხნი, წმინდისა სამების აღსარებასა შინა ერთ არიან ჩვენთანა, ვითარცა ჩვენ გერწმმს, მამა, ძე და სული წმინდა, სამგვამოვნებით, და ერთდრსებით, მამა უშობელად, ძე მამისაგან შობილად, ხოლო სული წმინდა მამისაგან გამოსრულად. ფრანგნი კმესაკე კრებასა შინა თანა ხმა იყენენ ჩვენნი, გარნა მუშვიდესა კრებასა შინა, შემოიღეს გამოა წმინდასა სამებისა შინა, ესრეთ: სული წმინდა მამისაგან და ძისაგან გამოსრულად აღვიარეს, და სხვანიცა

კანონნი ჩვენისა წმინდისა ეკკლესიისა გარეყნეს და შეამსუბუქეს, და ნათლის ღებასა შინაცა არა აღმოშობენ წყალსა შინა, არამედ თაჲ-ზე ოდენ მოესმენ წყალსა.

ელია. კვალად სხვა გვარნიცა არიან ქრისტიანენი.

იო. არიან.

ელიაზარმან. მითხარ რომეღნი?

იო. ლუტერანნი, რეფორმატნი, ყიფთნი გინა იაკობითნი, ანუ აბაშნი, ნესტორიანნი, თომასიანნი, და სხვანნი მრავალნი, მჭსგაკსნი ამათნი.

ელიაზ. ვინ იყო ლუტერ ანუ რა სარწმუნოება განახინა?

იო. ლუტერ იყო ვიტტენბერგის დოკტორი, წოდებული მარტინ ლუტერად, ამან დასდო წმინდასა სამებასა შინა ვითარცა ფრანგ-ნი აღიარებენ, სულიწმინდა მამისა და ძისაგან გამოსრულად, მარხვისა არაოდეს დაზერობად, ქორწინება, მღვდელთა და მღვდელ-მთავართა, ვიდრე სამ გზის, ერის კაცნი ოდესმე პირობით იქორწინებენ, და მერე გაუშვებენ, ოდესმე ეკკლესიასა შინა დასწერს ჰასტორი მათ ჯვარსა, და რაოდენიც ნებას გაუშვებს და სხვას შე-იერთავს. შეერთებენ ბიძაშვილს, რძლისა, ცოლის დასა და სხვასა მახლობელთა ნათესავთა. არა ჰსწამთ წმინდათ მუხება ღვთისადმი, არცა ღვთის მშობლის სატს თაყვანსცემენ, წირვა აქვთ წელიწადში ერთხელ, ანუ როცა ეჭირებათ, და დიად მოკლედ, ნათლობაც აქვთ ფრანგსავით. სხვა ეკკლესიის დღესასწაულებს, ანუ საუფლოთ, ძვირად გარდისდიან და მასცა მხოლოდ ფსალმუნითა და ქადაგებითა, საეკკლესიო წიგნი ფსალმუნისა და სახარებისა მეტი არა აქვთარა, გარდა კვირისა, ეკკლესიაში არ ილოცვენ, არც ხალხი მივა; თუ არ კვირით. და ოდენ შობასა და სხვა საუფლოთა დღეთა, არა აქვთ ცისკრის ღოცვა, არცა მწუხრი.

ელიაზარ. მითხარ რეფორმატებრივი ჰსჯული და სხვათა?

იო. რეფორმატი, შეძგომი, მოძღვარი ცინდლიკუერი, იყო შედგომილი მოძღვრებისა, კაროსტადეკისა და კალგინისასა. ამათ

უფრო მსუბუქად აქვთ საწმუნოება, გიდრე ლუტეერთა, და სხვებ მჭსგავსნივე არიან მათნივე. გარნა არა ჰსწამთ ამათ, სრულ სიბრ-
ცად და სისხლად, ზური და ღვინო შეწირული ქრისტესად, არამედ
აქვთ მათთაც ზიარება ერთა.

იაკობიტნი, აბაშისა ჭკუყანისანი, არიან შედგომილნი უფროს
იაკობ მოციქულისა, გარნა ესენი წინა დაიცვეთენ და მერე ნათელს
იღებენ, და განცხლებულისა რკინისა მანთითა, ყრმათა დანიშენენ,
და იტყვიან ესრეთ მიზეზსა მისსა, რომელ ნათლისცემა აქვს წყლი-
თა და ცეცხლითა; წირვას აღასრულებენ იაკობისავე კონდაკათა,
გარნა შეერთენ სების გვერსა შინა ზეთსაცა, და იტყვიან სიპოსი-
სა თვის სრულისა სიბრცისა, დღესასწაულობენ ყოველსა, თითქმის
ბერძენთადმი ერთად, ხოლო რომელნი მეუიფთნი და არაბნი არიან
მრავალნი ხვევისა საწმუნოებისანიცა.

ელია. მითხარ მე ნესტორისაცა.

იო. ნესტორ იყო, ანტიოქის ჭკუყანით და მერე იქმნა ჰატ-
რიარქი კონსტანტინე-პოლისა, ესე ვიდრეა შავითა შესამოსლითა,
პირი აქვდა შეჭუსვილი, ფერმისდილი, და ესე გვარ მცადინეობ-
და, რათა აჩვენოს თავი თვისი მარხველად ერთა, გარნა იყო სწავ-
ლული და მშვენიერ მოუბარი, რიტორი ძველთა და ახალთა წერილ-
თა შინა გამოცდილი, ესე მეგობარ იყო, ანასტასი მღვდლისა კო-
ნსტანტინე პოლუჩისა, რომელმანცა მისცა ჰაზრი წვალებისა ამის,
რომელ ორთა გვამთა ანუ ორთა პირთა აღვიარებდა ქრისტეს შო-
რით ერთსა ღვთისასა, ხოლო მეორისა მისა მარამისასა იტყოდა,
რამეთუ ძემან ღვთისამან შეიერთა თავისად მე მარამისა, არა ერ-
თითა გვამითა, არამედ ოთხითა სხვითა სახითა, და პირველთა უკ-
ვე მადლითა შინაგან მოსვენებულთა იტყოდა, ვითარცა დმერთი
წმინდათა თანა შეერთებების, არამედ ქრისტესთანა ღვთისა შე-
თანაერთებებულსა იტყოდა, უფროს ყოველთა ზედა, აგრეთვე სხვა-
თაცა წვალებათა მრავალთა იტყოდა, ღვთის მშობელი არა სწამდა
ღვთის მშობლად, არამედ კაცისა მშობლად, და ამა მიზეზისათვის

იქმნა შეჩვენებულ და განდევნილ და აწ იზოკების კიდე მრავალნი ნე-
სტორიანნი, უმეტესს აზიის მხარეს.

ელია. თომიანნი ვითარ არიან?

იო. თომიანნი არიან უმეტეს ინდოეთსა შინა მილთონებად
წოდებულნი და სწამთ მათ, უმეტეს ყოველთა თომა მოციქული, ეს-
კენ ჯვარსა ქრისტესსა, ოთხის თითითა გაშლილით გამოისახვენ
ჯვარის სახედ ზირჯვარსა, შეკლენ ეპელსიათა შინაცა და მუხლ-
დგომით მოისმენენ წირვასა, შუბლსა ზედან დაისმენ ჯვარის სა-
ხედ, მურდასანგს გალესილსა ყვითლად. ყოველდღე ვიდრე დიდს
მოხუცებულებამდე და უკანასკნელ არღარა. ამათ ჭსწამთ ქრისტე და
ბუფე გასჯარ, რომელიც მივიდა ბუთლემს შობას ქრისტესსა, კვა-
ლად ჭსწამთ სპილო დახატული სულ-კაცის სახედ და ზედ მჯდო-
მი ვინმე კაცი, ჯინგრად წოდებული, რომლისაც იტყვიან იყო მე-
ფე და ამ სპილოზედ შეიწავლათ ეგრეთვე ცხენი, დახატული მშვე-
ნიერის ქალბით. ზედ ზის მშვენიერივე ქალი, უზყურეს ხელთა ში-
ნა მშვილდის ისარი და უწოდებენ ღვთის დედასა. გარნა მკვდარსა
არა დამარხვენ, არამედ დასწვენ ცუცხლითა და განახლებენ ჩაცარსა
მისსა ჭარსა შინა, თეთრსა ეცდებიან მრავლის შეკრებსა და დაფ-
ვლენ დამწვარსა ნაცარისა თანა თვისთა მიწასა შინა, რადუნსამე
თეთრსა მათგანსა რომელ იტყვიან ესე, საიქიოს გამოგვადგება სა-
ხარჯოდამ, გარნა სჭირთ ერთი კარგი, რომელ კატრობასა შინა
არა მოატყუებენ ჩატა, და არცა თეთრის გასესხების დროს მეტს
საჩგებელს აღიღებენ, ხორცსა ყოველდღე არა ჭსჭამენ, არამედ წე-
ლაწადში სამჯერ, მხოლოდ უფრო ერთითი მოზედილს ხმიადს
მიიღებენ, არცა სხვათა ჭსჯულის კაცის ნამცხვარს ზურს ანუ სხვა-
სა რასმე არა სჭამენ.

ელია. კვალად არიან სხვა გვარნიცა, ესე თომიანნი?

იო. არიან უკვე ვიდრე სხვანიცა, რომელნი ესკენ ჯვარსა და ამათ
უწოდებენ მცირე თომიანად. ესენი შუბლსა ზედან მგრეულად ყვითელსა
მურდასანგსა და წითელსა წამალსა საღუბავსა დაისმენ; ამათა და თომი-

ანთა აქეთ უკომხანურთსჳ შორის განყოფილება ვითარცა ჩვენა და სომეხთა შორის და არა მივლენან ერთი მეორესა სალოცავსა შინა, არცა ჰურისა საჭმელად.

ელია. არიან ვინმე კვალად სხვანი ქრისტიანენი?

იო. არიან რუსეთსა შინა მრავალ გვარნი სტაროვერად წოდებულნი და რასკოლნიკებად და სხვადა, რომელ ერთ გვარნი არიან მართლმადიდებელნი და მტკიცენი ჰსჯულსა ზედან და სულძველთა დროთაძებნა იქცევიან, ხოლო სხვანი არიან რომელთა არა ჰყავთ საძველელთა კაცნი, არამედ რამდენიმე აღარჩეული მოხუცებულნი კაცნი და იგინი ულოცვენ, ნათვლენ, აქარწინებენ და მკვდარსაც იგინი და უფლებს და ყოველთვის ჰსჯულის საქმეს იგინი განაგებენ.

და არიან სხვა გვარნიცა, რომელთა ჰყავთ ქალები სამღვდელად ანუ ქალწულნი, და ანუ კეთილნი ქარიგნი, იგინი მოძღვრებან მათ, და ულოცვენ, ნათვლენ და ყოველსავე წესსა ადასრულებენ თვისისა ჰსჯულისასა.

და არიან კვალად რომენიმე არა ჰსჯამენ სრულებით სორცსა და არცავე ვისმე თვისთა საჭმელთაგან აჭმევენ, არცა თვისთა სასმელთაგან ასმევენ და ესრეთ ნაჯიშნი არიან რომელ სპარსთა უარესნი, სხვათა ყოველთა ნათესავთა ზედა ეგრეთვე ციგანნიცა, რომელ არიან ბომანნი, ისინიცა არიან მრავალ გვარ და ჰსჯულითაც მჰსჯავს, ქრისტიანეთაცა, რასკოლნიკეთაცა და სხვათა წაშმართთაცა.

ელია. ურიანი, ანუ ისრაელნიცა არიან მრავალ გვარნი სხვა და სხვა გვარ მოაწმუნენი?

იო. ურიანი არიან შვიდ გვარნი, რომელთაცა სხვა და სხვა გვარად აქეთ ჰსჯულდებთ, გარის ამათ შორის არიან ორნი გვარნი უშირველესი, ესე იგი: ფარისეველნი და სადუკეველნი. ესე ორნივე შეიწყნარებენ ხუთსა წიგნსა მოსესა სხვათა წერილთა ზედან უმეტეს და ეგრეთვე სხვათა წინასწარ-მეტყველთასაც, გარის ფარისეველნი აღიარებენ მკვდართა აღდგომასა, ხოლო სადუკეველნი უარ ჰყოფენ და ამათ შინაცა არს ამას ზედან განხეთქილება. რომელნი-

მე არიან ყოველ დღე ნათელ-მდებელნი, ხოლო სხვანაც მსგავსი მათივე, გარნა განყოფილნი.

ელია. მსხმდაინი რადენ გუარნი არიან ანუ მსხმად ვინ იყო, ანუ რა ჭსუღდება გამოსცა?

იო. საუკუნოსა მეშვიდესა გამოჩნდა მსჭმად მე დავრდომილთა კაცისა სახელით აბდალას წარმართისა, ხოლო დედისა ემინისა იუდიანისა არაბიასა შინა ქალაქსა მაქსას, შობილი ქრ. აქ. 613. ვსე ყრმობასა შინა განიზარდა სასწავლებელსა შინა იუდიანთასა და ქრისტეანობისა ჭსუღელისა ჭსწავლასა მიიღებს მონოზონისა სერგიისაგან, უფრორე არიოზიანულსა და ნესტორიანულსა ჭსწავლასა, უკანასკნელ მუნებურ ვისამე დიდკატრისა აქლეითა მხილავ იქმნა და რადენსამე წელს უკან მივიდა ეგვიპტეს შინა გლახაკად მცხოვრები, გარნა სახითა იყო არა დუხჭირი, და ამას ეტრფილად მდიდარი ვინმე დედაკაცი ეგვიპტელი, და შეერთო მან ქრმად ესე მსჭმადი და იქმნა მერე კატარ. შემდგომად ამან რა იხილა მრავალი განხეთქილები ქრისტეანეთა შორის, და მრავალ ჭსუღლად განწავლება და მწკვლელებლთაგან განყენება ერთა და აღრეულობა, ამანაც იწყო მოქმედება ამა წარმართთა შორის, და უქადაგა რომელ მისდა მოიკლინების მარადის ღვთისაგან ანგელოსი გაბრიელ და მიიღოცა მან წინასწარმეტყველებისა მადლი და რომლისაცა გონება აღორძინდა, და უქადაგებდა ერთა, და ამასთანავე აღზარდა მან ხუნდი ტრედისა და აჭმეადის მას ფეტვისა ყურთა შინა თვისთა შთათესილსა და რდეს ჯდის იგი ერთა შორის იცნოს და მოფრინდებოდის, შეაჯდებოდის მხარისა ზედან და ყურსა შინა ჭკორტინდის, და რდეს განფრინდის ტრედი იგი იტყოდის, რომელ სული წმინდა მოვიდა ჩემდა და მამცნო მე, ქადაგებდა ერთა შორის, და ესრეთ დაჯერებულ ჭყო მან ერნი მრავალნი, და უკანასკნელ მოუწოდა თვისთანა მეგობარსა თვისსა, სერგის მონოზონსა, ნესტორიანსა და კარრის სპარსსა ეგტუქიანსა, და ვიეთთამე იუდიანთა, და ამით მკელთა და ახალთა ჭსუღლთაგან, და სხვათა არიოზნულთა წვალებათაგანცა და

თვითცა დართეს და შეკრიბეს, და შეაწყვეს წიგნი აღუურანად წოდებული და ამას შინაცა მოიხსენეს, რომელ აბრამ იყო მამა ლაზარესა, და მღვთის მშობელი მარიამ დაჲ მოსესი, და მოიხსენეს წიგნსა მას შინა, შედგომილთა თვისთათვის, ეს გვარისა სამოთხისა ყოფა რომელსა შინა დაემკვიდრდებიან შემდგომად სიკვდილისა შედგომილნი მისნი, რომელსა შინა ჭსჯდის ოთხი უკვე მდინარენი, ესე იგი: რძისა, თათლისა, ღვინისა და წყლისა, და ამას შინა არიან ჰალატნი ფრთასაგან აღშენებული, ოქროთაგან დაკარყებული, ყოველთა გვართა ფრინველთაგან უტკბილესნი სორცნი საჭმელად მათდა, და უმეტეს ფარშაჯანგებთა, სილნი ყოველნი გვარნი, დიდროანთა ხეთა ქვეშე დახრდილებულნი, შეენიერთა ქალებთა თანა განცხრომილნი, თვისად საკუთრად ცოლებად წოდებულნი, და მათთანა სორციელისა გულის თქმისა დამცხრობულნი. და ესე გვართა საჭმელთა, რომელნიცა აღძვრენ გულისთქმად, და ამ სოფელსა შინა, ოთხის ცოლისა ყოფა, და სარაჭთა რაოდენთაცა შეკძლოთ შენახვა, და ამასთანავე დაუდო, ათისა მცნებისა ნაცვლად შემდგომნი ესე:

- ა) ერთისა ღვთისა ჰატივის ცემა.
- ბ) მშობელთა ღირსეულთა ჰატივისცემა.
- გ) რაიცა შენ არა გინდეს, სხვათა შენისა ჭსჯულისა კაცთა ნუ უყოფ.
- დ) დათქმულსა ყამისა მეხითსა შინა მიხვიდოდეთ.
- ე) ყოველ წლიკ წელიწადში ორჯელ იმარხედე. ერთს თვეს ორჯერა, რომელსა შინა, დღე ნუ სვამთ წყალსა, და ნურარას ჭსჯამთ, ხოლო ღამე ყოველსავე საჭმელს ისმეკდეთ სახსნილოსა და კის რა გნებავთ. აგრეთვე ათსა დღესა რამაზან შეინახედე, და ორჯელ მსხვერპლს შესწირედე.
- ვ) მოწყალეხას მისცემდეთ გლახაკი ვინემდის გთხოვდეს.
- ზ) ყოველი გიყვარდეს ქორწილსა შინა და არა სხვის შეუღლებული.

ბ) არკინ მოკლათ უსამართლოთ.

თ) გრწამდეთ მოსკეს ხუთი წიგნი, დაკითხი, სასწარება და აღ-
უუარნი უმეტეს მათზედ.

ღვთაებასა შინა იტყვიან ერთსა პირსა ღვთისა მამისასა შე-
მოქმედს, სოფლისასა ქრისტესა სულად ღვთისა იტყვიან, და პირ-
ველ წინასწარმეტყველად და არა ღვთად, არცა ენებულად და არცა
აღდგომილად, არამედ ამაღლებულად. ხოლო სულსა წმინდასა განუ-
ყოფენ ოთხთა გვამთა, ღვთაებით გამზარებულსა მოსკესადმი, დაკით
წინასწარმეტყველისადმი, ქრისტესადმი და მამადისადმი. ღვთის მშობ-
ბელი ჰსწამთ ქანწულად.

ჰსწამთ, რომელ ღმერთმან ამცნო მამდას, რათა მახვილითა
შოაქციოს თჳისად ერნი.

ლოცვასა დღესაშინა ხუთგზის ილოცვენ, პირველ ილოცკედენ
მამაოხკენოს, ხოლო ან იტყვიან სალავათსა, გარნა ყოველთვის და-
იბანენ ხელთა და

. ლოცვისა წინა.

ნათლის დებისა მაგიერ, წინადასცკეთენ ჩხვილთა ზიარების
წილ, დაღვეენ წყლითა მიწასა ქაბისასა საფლავისაგან მამადის და
აგრეთვე სჭამენ მსხვერპლსა შეწირულსა.

მკვდრის დაძარცვაზედ, გასჭრინ მკვდარსა, გარეტსენ, და ეგ-
რეთ უურანის მკითხველნი მოლანი მიიტანენ საფლავად, პირს უზ-
მენ სამხრეთისაკენ და ვინც მთლად წარუკითხავს უურანსა მკვდარ-
სა იტვი აღარა აქვთ წარწყმედისა.

მოლათ კურთხევა არა აქვთ, ვინც უურანს მთლად გარდიკით-
ხავს მათში ნაკურთხი იქნება.

უკეთუ ითულებული იქმნას ვინმე მამდიანი დატყვებისა თვის
ჰსჯულისა, შენდობა აქვს დაუტევოს ჰსჯული. ცოდვასა რასაცა იქ-
მონენ ანუ არა-წმინდობასა, ანუ სხვებ განბცდებიან, უნდა განიბანენ
წულთა ესრეთ, რომელ ორსავე უურში თითები ჩაირჭონ, შეკი-

დენ წყალში, მარჯვენე ფეხი სამხრეთისაკენ გაიშვირონ და წყალში ჩაიყურყურებოდნენ, მაშინ განიბანებოდა ცოდვისაგან.

შეირთვეს მეორე ნათესავსა, ესე იგი, ბიძაშვილსა, რძალსა, ოდეს ძმა მოუკვდეთ. სამნი ძმანი სამთა დათა, თვითთ თვითოდ შეირთვეს.

.
.
.
.

ჭსწამთ აჯალი, (რომელ არის წერა,) და იტყვიან წერა არის კაცისაო.

ელია. ამ თათრებშია ც არის განყოფილება კითარცა ქრისტიანებში?

იო. არის. აღმოსავლეთის მხრის თათრნი ესე იგი სპარსნი, არიან მახმადიანნი, ყურანიცა ჭსწამთ და შემდგომად მაჰმადისა მოადგილედ აღია; იმათც თუმცა ჭსწამთ აჯალი, განა ბოროტი არა სწამთ, რომ ღვთისა მიერ იყოს. ესენი უარყოფენ ოსმისსა, ომარსა, აბუბაქარს და სხვათა, რომელიცა ჭსწამთ ოსმალთა. შემდგომად მაჰმადისა წმინდად სპარსთა ჭსწამთ კვალად, ქათბალაი, ჯაფარ, ასეინ, უსეინ, რომელთა ორთა დღესასწაულსაც გარდისდიან რამდენსამე დღეს და მოწამედ რაცხვენ კითამ თავის მამამან დასოცა მამულის გულისათვის უსამართლოდ, და ამის გულისათვის თაკებსაც დაიხერკვენ სამართლებით და მრავალს სისხლს იღენენ, იგლოვენ და იტირებენ, და ესენი იწოდებიან, შეიდად, და მისთვის ჭსმაგთ ერთმანეთი ოსმალთა და ყიზილბაშთა, და არც დამოყვრდებიან ერთმანერთში და მწკალებელს ექსიან ერთი მეორესა.

აგრეთვე ოსმალნი შემდგომად მაჰმადისა, იტყვიან მეკვიდრედ, და წმინდად ოსმალთა ჭსწამთ ომარ აბუბაქარ, მეუთი და სხვანი, ჭსწამთ, ავიცა და კარგიცა ღვთისა მიერ იქნებოდეს, და თუმც არ ნებავდეს არ შექდლოს კაცს ავის ქმნა; ესენი გმობენ აღიასა და ზე-

მოსსენებულთა სჯარსთა წმინდათა და ამისთვის არს მათ შორის განხეთქილება და იწოდებიან სუნად.

ელია. დია განუსკენე არსსა ჩემსა; და კერპთ-მსახურნიც მრავალ გკარნი არიან?

იო. მრავალ გკარნი, და უფრო ინდოეთსა და კიტაიასა შინა, ინდოეთს ტერცხლის თაყვანის-მცემელნი, აგრეთვე წყლისა, რომელნიც ყოველდღე შეკლენ წელამდინ წყალში და დგანან განთიადიდად მზის ამოსვლამდინ, და ეკედრებიან; ოდეს მზე აღმოვა, გამოკლენ სძელად.

არიან კვლად ჩამოსხმულთა სვილენძთაგან, კაცთა სახითა, მაიმუნთა, თხათა და ეს ვითართა ზედან ილოცვენ აგრეთვე ამერიკასა შინაცა.

ჭურთნი მზეს თაყვანისცემენ, ყოველ დღე და ესენიც მზგავსნი არიან კერპთ თაყვანის მცემელთა.

ელია. ამა სარწმუნოებათა შინა, რომელი არს უბირველესი სარწმუნოება?

იო. ქრისტიანეთა.

ელია. ვინ უკვე არს დამაფუძნებელი ქრისტიანებრივისა სარწმუნოებისა?

იო. ესო ქრისტე, ძე მღვთისა, მშობილი ქალწულისაგან, ჩვენთვის განხორციელებული, დამთენი გნებისა და სიკვდილისა, გამოსწისათვის კაცთა ნათესავისა, რომელმანცა გამოიჩინა დასაფუძნელად სარწმუნოებისა და ეკლესიათათვის, ათორმეტნი მოწაფენი, მდაბიოთა ერთგანი იუდაიანთა, რათამცა მით ეჩვენებინა, ყოვლად შემძლებლობა თვისა და გამოეცხადებინა საჭმე მღვთისა.

ელია. ვითარ სარგებლობათა მისცემს, გულს მოდგინებით ჰყრობა სარწმუნოებისა, მოქალაქეთა და სხვათა უკვე ერთა?

იო. ფრად დიდსა სარგებლობასა.

ელია. ვითარ?

იო. ჭეშმარიტი უკვე სარწმუნოებაი აღსრულებული თვით სა-

ქმით, დაძვედრებულ ჭყოფს ყოველთა კაცთა შორის ჰატიოსნებასა, სელმწიფეთა ჭყოფს მართლ-მსაჯულად, ქვეშეკრდომთა ერთგულად, მმართველთა და მთაკართა ერისათა მორჩილებად და ჰატიოვისმცემელ მათ შინა, მდაბალთა მონებად და გულს-მოდგინედ მსახურებად; ვაჭართა ვაჭრობასა შინა დაადგრენს დამარხვად ჰატიოსნებასა, მეუღლეობასა შინა თანსმობითსა ჰირობასა დამცველ ექმნობის, მშვიდობასა მოუპოვებს სხლეულთა შორის, და უკანასკნელ აწყაებს სიმართლესა და მოიყანს ყოველთა კაცთა მოყვარებისადმი, სოლო შეურაცხება სარწმუნოებისა შობს ფიცის მტკსელობასა, და ყოველთა ამ ზემოსწიებულთა კეთილობათა ექმნების დამსწელი, და წინა აღმდეგ ყოველთა და შემამწიკვლებელი ჰატიოსნებათა.

ზურაბმა. ეგერა კმარა ქადაგებდა თუ დამიჯერებს ვინმე და ახლა ვახშიმი ვჭამოთ. და მოიღეს ვახშიმი, ამ დროს ერთი მორთული მანდილოსანი შემოვიდა, ყოველნი სსკასი ფაღვანდის-შვილები აღჭიდგენს და სალაში მიართვეს, მამინ კლიაზარმან აცნობა მეუღლეობა თვისი, იოანე წარდგა, სალაში მიართო და რქვა: მშვიდობა თქვენდა ბრწყინვალე თაკადინაჲ! მან მადლი უბძანა, და დასსდნენ. რა მტირეს საჭმელსა სელ ჭყიეს, მამინ იოანემ ჭსთქვა: ბრწყინვალე თაკადინაჲ! თქვენც მიბძანდებით ეგროპიასა შინა?

თავადინამ. არა მამაო.

იო. ეგროპიაში, რადგან ჩვეულება არს დესპანთაგან თვისთა მეუღლეთა თანა წარყვანა, ამისთვის ვიკადნიერე.

თავადინამ. ამისთვისაც ვჭსწუსარ, არათუ მეც წავიდე.

იო. ურთიერთარს სიმძიმე უნდა იტვირთოთ.

თავადინამ. უჩემობას დაითმენს.

იო. მამა სადაც ვხსანს სარწმუნო ბრძანდებით თქვენის მეუღლისა.

თავადინამ. უკეტკელად.

იო. ესე დიად კეთილი საქმეა და ჭსჯულის დანა.

თავადინამ. აჲ ასე ვიცნობ.

იო. კაი თუ ეგ მცნება დააკიწუდეს; იქ დიალ ძრეული ქვეყანას.

თავადინამ. ვითარ?

იო. ასეთი ჭკერია მუნ, რომ გულის გაუგრილებს კაცსა.

თავადინამ. კაცისაგან ყოველივე შესაძლებელი აქს, მაგრამ კსასოკებ კარგნი ამხანაგნი მიზდეკენ და მცნებას არ დააკლებენ.

იო. გლეხური ანდაზას, ცხენი ცხენთან დაახით ან ზინეს გამოიცვლის ან ფერსაო.

თავადინამ. ფერისა რა მოგახსენო და ზინეობაში კი არა უჭირს-რა, ვიცნობ მათ.

იო. ზინეობითის ფილასოფიიდამ კი იციან ესე, ჭქმენ იგი, რაიცადა სრულ გუოფს შენ და მდგომარეობასა შენსა; ამ სტუვის ჭაზრის განმარტებისა კი რა მოგახსენო.

თავადინამ. მაშა ესე უნდა იცოდნენ, ნუ იქმ მას, რაიცადა შენ და მდგომარეობასა შენსა არა სრულ ჭყოფდეს.

იო. ჭეშმარიტად მომიგე, კაქებ გონიერებასა თქვენსა მე, ამ მცნებისათვის მეუღლისა თქვენისა დასამარხველად, და მერეთ შესკვ ღვირო იოანემ სადღეგრძელო მათი, და ესრეთ უბნობათა ამით დასრულეს კახში და, წარვიდა იოანე თვისსა გამზადებულსა სადგომსა შინა.

დღე 5.

ხლოო ხვალისა დღეს, იოანე განემზადა რუისისაკენ, გამოყსაღმა მდივანს და წარემართა საჩუქრისანი, იოანემ უთხრა ზურაბს; სად ვისადილოთ? ზურაბმა! სალოლაშენს მინბაშ ამიკვეხობთანა. და წარემართნენ მუნით; რა მიიწივენ სოფელსა შინა, იოანემ გაგზავნა ზურაბ მინბაშთანა და შესთვალსცა ლოცვა კურთხევა, ზურაბ მისრული, მოკითხამს მათ, და ივინი აჩვენებენ საჯინბოლსა, რომელსა შინა იყო ოთხი სტუმართ სადგურად. შესრული მუნ იოანე,

უწეებს ცხენთა შინჯვასა და იხილავს, რომელ თითოსა ცხენსა თითო კაცი ჭყავთ მიჩენილნი, რომელნიცა ჭსწმენდენ ცხენებთა და ქვეშე უგვიან, და უმშრალბენ მიწათა და უცხოდ სუფეთათ ინასკენ, ესე განკარგულება მოეწონა იოანეს, და უკანასკნელ იხილა ორნი ყმაწვილნი, ნესკსა ზედა მსხდომარენი, ტალასით შესვრილნი, ხაგაკ გარდაყრილნი, გაჩნა სასითა კარგნი, უკაცოდ მოთამაშენი ურთიერთისადმი და ჭსთქვა: ვინ არიან ესე ყრმანი? მამის მუნ მდგომარეთაგანმა ვინმე რქვა: ძენი ამირეჯიბისანიო.

იო. უფ ჩემს თავს! ამ ქვეყანაში პირუტყვით უფრო ჰატივი ჭსდებიათ პირ მეტყუელზედ, და უკუნ იქცა. ამ უამად მინბაშიც მოვიდა, იოანემ მშვიდობით მოიკითხა და მანცა შეიტკობ, და დასხდენ. მამინ მინბაშმან ჭკითხა თვისი მგზავრობის მიზეზი, და ყოველივე მიუგო იოანემ. და უკანასკნელ, მინბაშმან ჭკითხა იოანეს: როგორ მოგწონთ ჩემი ცხენები? რადგან სიზიუელი საჭ, ისინიც ვაი ცხენებს ეწუობიანო.

იო. ცხენებიც უცხოდ მომწონს და მოკლაცა, მაგრამ, ყმაწვილებისა ვი რა მოგასსენო,

მინბაშმან. ვითარ?

იო. თითო ცხენს ოროდი მომღელი ჭყავს და ორს თქვენს შვილებს არცა ერთიო.

მინ. ჩვენც მავ სახით ვჭყავნდით მშობელთა ჩვენთა.

იო. ცუდი მაგალითი გისწავლიათ.

მინ. ცხენები, ჩვენნი მაცოცხლებელნი და სახელის მომპოვებელნი არიანო.

იო. ვითარ?

მინ. ჩვენ მრავალნი მტურნი გვებძვიან და ომში თუ დაკამარცხდებით, საკვდილისაგან მოგვარჩენენ, და თუ გაკამარჯვებთ, ჩვენ მტურს მიგვწევენ, მოკვლამთ და შევიპყრობთო.

იო შვილები რომ კარგად დასარდოთ და ასწავლოთ, უფრო ბევრს კარგს სასჯელსა იქმთ, და მამინ ჯოგსაც გაიჩნთ.

მინ. ჭეშმარიტს ბძახებთ, მაგრამ ურჩინი არიან შვილნი ჩვენნი, აჭა ეს უფროსი შვილები, არც არას ესენი მიჯერებენ.

იო. და მართებთ მოჩინილება შვილთა მშობელთა თვისთა.

მაშინ მინბაშის შვილთა თაკი იმართლეს და სთქვეს; რა ვჭყოთ, არავინ არ გვასწავლის, და არცა თქვენისთანა ვინმე მოსცა აჭა, და რასაც მცნებას მოგვცემ კედლებით დამარხვასა. ეგრეთვე მინბაშმან ჭსთხოვს, რომ მცირე რამ ზნეობისა უბძანოთ რამეო, ვინაღვან მესმის თქვენი ეგე მცნეიერება. მაშინ იოანემ, მოილო სავწერელი, ქალაღდი და დაუწერა შემდგომნი ესე შემოკლებით ზნეობისა უბძანოთ რამეო, ვინაღვან მესმის თქვენი ეგე მცნეიერება. მაშინ იოანემ, მოილო სავწერელი, ქალაღდი და დაუწერა შემდგომნი ესე შემოკლებით ზნეობისა ჭსწავლას:

ა) იყავ კეთილ მისსურ და მართმაღიდებულ.

ბ) სასოებდე ღვთისა ზედა, და გიყვარდეს ყოველითა გულისთა შენითა.

გ) იყავ ერთგულ წინაშე ეკლესიისა და ყოველი განწესება მისი წმინდად დაიტკე და წმინდათა მამათა განწესება კეთილად შერაცხე.

დ) გიყვარდეს მშობელი შენი და დღეგრძელ იქმნე.

ე) შეუდეგ კეთილმოქმედებასა და იელტოდე ბოროტისაგან.

ვ) იყავ ერთგულ მეუფისა შენისა, მამულისა და სჯულისა.

ზ) იყავ კეთილ გონიერ; ჭსჭკრეტდე დასასრულსა საქმარსა; განჭსხსრივე საშკაღი მისი და ნუ უტეეკვ პატიოლანთა საქმეთა შინა დროსა.

ს) იყავ პატივისმცემელ და მოჩინილ მოძღვრისა შენისა და მღვდელ მთავრისა შენისა.

თ) ნურა-რასა ჭყოფ განუჭსჯელად, და ოდეს განსაჯო კეთილად, ნუ იქმნები მას შინა დაყოვნებულ.

ი) გიყვარდეთ ძმებთა ერთმანეთი, ვინაღვან ერთის მამისაგან წარმოებულნი ვართ, და ერთის დედისა მუცლიდგან გამოსულნი;

გოუგარდენ კეთილის მყოფელნი თქვენნი, და მოძულეთა თქვენთა ულოცებდით.

ია) რადენ ძალ გედათ, ილოცებდით და მამინც ყოველ დღე იტყუდეთ საუფლო ღოცვასა მამო ჩვენოსა.

იბ) ნუ ყოველსა იტყვი, რაიცა იცი, ანუ გაგონოს, არამედ თვისსა დროსა და უამსა ზედა.

იგ) ნუ მოუმატებ დაბარებულსა საქმესა ზედან, სიტყვას, ნურცა გარდაცვლი, და ნურცა გაგონილსა ზედან სხვასა რასამე მეტსა შეჭსძინებ.

იე) ნუ ყოველსა სიტყვასა ზედა ერწმუნებო.

ივ) ნუ ყოველი, გსურინ რაიცა იხილო.

იზ) ნუ ყოველსა იქმ, რაიცა ძალგომის, არამედ ჭქმენ იგი, რაიცა ჯერ იყოს.

იძ) ნუ შეებმი ეს გუარ საქმესა, რომლისა აღსრულება არა ძალგედას.

ით) რაიცა არა იცოდე ნუ დაამტკიცებ, და უარ-ჭყოფ და უფროდნი მამინ, ოდეს კითხვა იყოს შენდაში, რომლითა იქმნე კეთილ გონიერი.

იყ) იყავ მომთმინე, კრძალულ და დამხურებულ თავისა თვისისა, და ამისა ჭსძლით ჭსცნობ თავსა თვისსა.

კა) ნუ იქმნები მეშურნე და ნურცა რაკისიძე შეგშურდების.

კბ) ცილსა ნურაკის შესწამებ, და ნურცა ვისმე შენს უფროსთან დახბეზებ, გარდა ჭსჯულისა, მამულისა და მეფისა მუხანათისა კიდე.

კგ) უჯეროდ ნურასა ჭსჭამ, და ბერს სამთერადოს სასმელს ერიდე, კითარცა საწამლავსა.

კდ) თუ არ გშიოდეს ძალად ნუ ჭსჭამ.

კე) თუ არ გწუროდეს, ბერს წყალს ნუ დალეგ.

კვ) გაუფრთხილებლობისა გამო და ცუდის ყოფაქცევისა მი-

ფეხითა წარმოდგების სსკა და სსკა გვარნი სსკეულობანი და ამს-
თან სიკვდილი.

კზ) დამპყრობნი თავისა თვისისა და წადილისა თვისისანი,
ჭსტოცსლობენ კეთილად და სანგრძლივად.

კლ) იყავ მშვიდ და ნუ იჭმნები კადნიერ.

კთ) იყავ მდუმარ, კიდრე მოუბარ.

ოდეს იწყოს ვინმე უბნობად, მაშინ შენ ჭსდუმენ.

ლ) ოდეს შენდაში უბნობდენ, გონიერად უსმენდე.

ლა) ოდეს გიბრძნებდენ მთავარნი შენნი, მოიხილ ეჭმენ.

ლბ) ნუ იჭმნები მოჭადრულ.

ლგ) ნუ იჭმნები ზვავ და ამჰარტავან.

ლდ) ყოველთაში იყავ აღერსით, და ნუ ჰიბ მოთნეობით.

ლე) იყავ მართლ და სარწმუნო.

ლვ) ნურაჩაი გსურინ სსკისა და უფროს, ნუ იჰარავ.

ლზ) ჩაისცა შინა გაჭენდეს საჭიროება მოიზოვე იგი შრო-
მითა.

ლლ) უკეთუ დაგლასხავდე და კინტ ჩაი მოგნე მიიღეს მად-
ლობით.

ლთ) ჩაიცა იკასხო, ანუ ისესხო კვალადეკე მიეტ აღნათქვამს
დროსა, ჩათა საჭიროებისა დროს სსკათაგანცა მიიღო შეწევნა.

მ) უკეთუ არა ძალ გედვას ნუ აღუთქვამ, და ჩაიცა აღსთქვა,
აღასრულე.

მა) იჭმენ მხნე და შრომის მოყვარე; ხოლო მტონარობა უტე-
კე უჭმთა, კინადგან მტონარება არს დასაბამი ყოველისა უბედურე-
ბისა.

მბ) გიყვარდეს ჭსწავლას და უკეთუ არას ისწავლი, დიდის კა-
ცის შეიღეს უსწავლელს, ფილასოფოსნი ოჭროს კირს უძახიან.

მგ) უკეთუ გენებოს ჩაისამე წეება, ჰირველად გამოიცადე ძა-
ლი შენი, და მეკე განაგრძე იგი, და ნუ მომედგოდები მას შინა.

მდ) უბედურობისა შინა ნუ შესწუხდები.

ბედნიერებისა შინა ნუ მოუძღურდება.

მე) ბედნიერებისა შინა, ნუ დაივიწყებ კაცობრიობასა, რამეთუ კაცნი ქვემდებარე არიან ბედნიერებისა და უბედურებისა, ვინაღვის ბედნიერება არს დაუდგრომელი, რომელი ამისესებს სსკა და სსკას შემთხვევასა და სშირად მწუხარებისა.

მე) რასაცა სულგრძელებით მოითმენ, მისთვის სულ მოკლენი ოხკრენ, სტირიან და ვაპენ.

მზ) იუპე გულ კეთილ და მოწყალე.

მწ) მთხოველთა მიერ რადენ ძაღგედვას და უკეთუ არა გაჭენდეს კარგისა სიტყვით გაისტუმრე.

მო) დაკრძომილთა შეეწიე.

ნ) თუ შეგაწუხოს ვინმე, მიუტევე მას.

ნა) თუ შეაწუხოს ვინმე, მშვიდობა ჰყავ მისთანა.

ნბ) საქებელ არს, დაჰყრობა რისხვისა და მიტევება შეცოდებისა.

ნგ) ყმათა შენთა, უდირად ნურას დასდებ ხარჯს.

ნდ) ყმანი შენნი შეძლებისა მეგრ იმსახურე, და უსამართლოდ ნურას წაართმევე.

ნე) ყმათა შენთა მსახურებისა მეგრ მათისა უწყალობე. დანაშაულსა შინა იუპე მოწყალე, გარნა ყოველთვის ნუ მიუტევებ, რათა არა განირყენეს.

ნვ) ოდეს იქმნე კაცთ მოყვარე, იქმნეცა შეყვარებულ ყოველთა.

ნზ) იუპე უმაღლესთა შენთა მოჩხილ, თანა სწორთა. კეთილად მომჭრეკვი, უმაღლესთადმი თავაზიანი.

ნწ) ვინც მოგეკებოს მოიკითხე, და ვინც მოგეკითხოს ნაცვალე აბე.

ნთ) ვინცა დაგჰატიყოს, მაღლობა ჰკადრე და შენც მიიწვიე.

ა) მკითხველთა მიუბე.

აა) უმეცართა ასწავე.

აბ) შეწუხებულთა ნუგეში ეც.

დგ) უკეთუ შეძლება არა აქენდეს მკვდრის ვატონს, დამარ-
ხვად შეეწიე.

დდ) ნუ ვინმე გძულს, არამედ ყოველთაღმი კეთილ მსურვე
იყავ.

დე) გიყვარდენ მეზობელნი შენნი, და უსამართლოდ ნუ ებძ-
ვი მამულთათვის.

დვ) მსახურე ვისიცა თანაგმის რადენ შეგეძლას, რომელი-
თა ათნებდე ყოველთა.

დზ) მოყვარეთა იქმენ საყვარელ, და მამინ მტერთაცა არღა
ძალუძსთ მოძულება.

დძ) იტყოდე მარადის სიამართლესა და ნურადღეს იუბნებ
ცრუდ.

დთ) ნუ იქმ უსამართლოებასა.

და) ჭკრითა და ობოლთა ნუგეში ეც.

დას) სნეულთა მოურაქე.

დაბ) უცხო შეიწინარე.

დაგ) საზერობილესა მყოფთა მოაკითხამდე და ნახედე.

ესე დაიტკე და იქმნე კეთილ მიმთხვევი. და ესრეთ წარუვიოთ-
ხა იოანემ, მინბაშმან მადლობა მოახსენა, ესე წიგნი ჩამოართო
და მოიღეს სადილი, მამინ მიმბაშმან იწყო მატაკარანობა (სუ-
ფრანჯობა) და რადგან სუფრანჯის რიგა ქართლში, პირველად
გარაგების დროს საჭმლისა თვითონ დაისხამს და მერე სხვათა მი-
ხრთიქეს, მინბაში დია სწყალობდა საჭმელსა და უყვარდა, და თა-
თვისთვის ეგეოდენი დაისხა, რომელ თითქმის ზურაბს დია მცირე
ერგო და მამინ ზურაბმან ჰქრქვა: ბატონო მინბაშო, რადღა არიგებთ
მაგ საჭმელთ, ბარემ სულ თქვენ მიირთვიოთ.

მინბაშმა. არ გავიგონია: ჯერ თავო და თავო, მერეთ ცოლო
და შვილო.

ზურაბმა. არც ეგრეთ უნდა, და მამინ იოანემ შერისხა ზუ-
რაბს და დაჩუმა.

მინბაშმან იოანეს უთხრა: არა ჰსცოდნია თქვენს მოწაფეს, რომელ საზრდელი არს მასელი კაცთა ძალისა ცხოველობისა.

იო. კეთილად ბრძანებ, გარნა ნაყოფიერება უფრო არს და ცოდვა.

მინ. რაი არს ნაყოფიერება?

იო. ნაყოფიერება არს, ერთი შვიდთა მომაკვდინებულთა ცოდვათაგანი კაცთა ძალისა ცხოველობისა დამაკლებელი და უკანასკნელ სულისა წარმწყმენდელი; ხოლო ნაყოფიერება ნიშნავს უწესოდ სიამიძრესა.

მინ. რა ვაჭუო, არც მე მინდა, მაგრამ ჩემს აღსარებას გეტყვი: თვითქმის ვერ გავძლები, და თუ გავძელ, კიდე მალე მომინდება საჭმელი.

იო. ეგე გუჭის სიკეთე არის, რომ მალე ხარშავს საჭმელსა და ინულებს; აგრეთვე ეჭიმობის გვართ, თქვენ გვარს, ეგრეთ მჭამელისას, იტუვიან, ვითამც მგლის გვარად აჭენეს გუჭი და იმ ხასიათისა, და ამის გამო არ მოკვიდოს გაძლომა.

მინბაშმან. მასა ვითა ჯერ არს, რომ კაცი სასწიელ საჭმელში იჭცოდეს.

იო. რაც ჩვენს ცხოველობას შეეწიოს, ეგეოდენი უნდა მიიღოს, და არა მეტი. აჰა მე მოგახსენებ: თუ კაცმან უფროდ და ურიგოდ ჭარბობით მოწყოოს ბოსტანი, ბაღი, ვენახი, ან სხვა მოსავალი და მალმალ როცა არ ეჭირება, ხომ წაუხდება იგი მოსავალი და არღა რიგიან გამოსცემს ნაყოფსა, ეგრეთვე კაცნიც მოზრდობით მჭსგავსნი მათნი ვართ, და თუ დამეტებით მივიღებთ სასმელსა, საჭმელსა და უფროდ, მასინ დაამძიმებს გუჭსა, შეუქმს ინთილასა, შემოიტანს მრჭკაღსა, მუცლის ჩხკრასა, ციებასა, სნებასა, თავის ტკივილსა და სხვათა მრავალთა სნეულებათა; და ურიგო სმითა და ჭამითა და უკრძალველობითა ემაწვილობის გამო, უკანასკნელ სიბერეში, სიჭაბუგეში ურიგო ცხოვრებისა გესლი მოასწრობს მას, ესრეთ სნეულობით განატარებს ცხოვრებასა თავისსა.

მინ. ყოველითურთ კმაყოფილ ვიქმენ თქვენგან და ახლა გთხოვ
მიბძანოთ, ამირეჯობობა რასა ნიშნავს, აბა თუ ამას განმარტებ.

იო. ეჯობი ხომ ქორწილებშიაღ გავიგონიათ, რომ ჰირველ
ღვინოს ვინც შესკამს, დაუძახებს: ეჯობო, შენ მეუფეს გაუძარჯოს,
და ის სიტყვას მიუტებს და მადლობას ეტყვის.

ეჯობი ძველათ მეუფეთა შორის საქართველოსათა იყო სახელი,
ანუ ხარისხი ეს გვარი, რომელს ამ ეჯობის სკლით იყენენ ყოველ-
ნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა შინა იგივე მიუტებდა მეფისა
წილ დაბრახელთა, და მას ეტყოდენ დაბრახის-ერნი რაი ენებათ
მეფისა მოსსენებად, და ამის მიერ მიეცემოდათ ჰასუსი, და მის წი-
ნა ჰირველ კერვინ შევიდის თვინიერ მისა. ხოლო ამირეჯობობა ნი-
შნავს უჰირველესსა ეჯობუსა, და ამის მისეღვით ვინც ქორწილსა
იქმს მამა კაცს სამ-ღელს მეუფეს ეძახიან, და მის მაგიერ მოლაზარა-
კეს, ეჯობს. გარნა თქვენ ამა მიზეზით გავიგვირდათ, ვინაიდგან იყე-
ნენ მეუფეთა ეჯობნი წინა ჰარნი თქვენნი, თორე ხართ ძველად ფა-
ლავანდიანთ გვარი. და ამ სიტყვით დასსრულეს სადილი. იოანეს
კვლად მადლი უთსრეს ესოდენ ჭსწავლებისათვის და იუკეს კმაყო-
ფილი. იოანე გამოქალაქმ და წაჰიდა რუისისაკენ. საღამო ხანს მი-
იწივნენ რუისს, იოანემ ზურაბს: იღვავე ჩვენთვის სადგური. მიკედ
ყოვლად სამღვდელოს მიტროპოლიტთან, ჰემ კერძო ეამბორე და
უძდალესად ჭსთხოე სადგური. ზურაბ მისრული მრკველთან შეი-
წინარებს; უბძანებს სადგურის მიტემას, და ვახშმად თვისთან მი-
იწიკეს. იოანე მცნობი ამისი მივალს მისთვის გამჟადებულსა სახლ-
სა შინა, განხდის საგზაოსა ტანისამოსსა, შთაიგვამს სხვასა და
ესრეთ წარკვალს მიტროპოლიტთან. ოდეს მივალს მიტროპოლიტთან,
იოანე უყოფს მეტანიას, და კრძალვით მოსთხოვს ხელსა და იტ-
ყვის: გვაკურთხე ყოვლად სამღვდელო მეუფეო, მიტროპოლიტი.
კურთხეულ! იყავ, და იოანე ეამბორა ხელსა მამინ.

მიტროპოლიტი უბძანებს: საიღამ გიძღვის უფალი?

იო. ვავთის ჭვებთახევის მონასტრიდამ, და ან ძაღინით.

მიტ. მოგვივლიეს წასა ქვეშე.

იო. არა ეგრეთ, გარნა აქა გარ უფალა.

გაეცინა მიტროპოლიტს და უბძანა დაჯდომა, და მერეთ ჭკი-
თსა თვისი ვინაობა, და ყოველივე ცხად უყო იოანემ, და უბძანა
მიტროპოლიტმან: თარსნიანთაც შეემლოთ თქვენი გამოზრდა, რომ
ესე ოდენი შრომა არ მოეცათ თქვენთვის.

მაშინ მოიღეს ვასშამი, რა მცირეს შეეჭვნენ, მიტროპოლიტ-
მა: იოანე, იზოდაიკვანი ხართ, თუ მრთელი დიაკვანი?

იო. იზოდაიკვანი.

მიტრო. დიაკვანობა რა არს?

იო. დიაკვანი სამღვდელა მსახურს ნიშნავს.

ხალა დიაკვანობა არს ხარისხი, რომელიცა წარვიითხვის, წი-
რკასა და ლოცკასა შინა, მშვიდობიანსა, და წირკასა ზედან სახა-
რებსა, კვლად სასულითა ამით დიაკვანობა, ოდესმე იგულისხმების
საკუთარი წიგნი, რომელსა შინა არს შეკრებული ყოველი იგი, რა-
იცა თვის ეკვის თანამდებობასა დიაკვანისასა, მღვდელ მოქმედებსა
შინა და სხვათაც სახმარობათა ეკლესიისათა. იხილეთ გურთსეკან-
სა შინა!

მიტრო. დიაკვანნი, ძველადც იყვნენ თუ, ოდეს განიწესნენ?

იო. ძველდვე იყვნენ, ვითარცა მსახურებდენ შემწედ ლეგი-
ტელთა მღვდელთა, მღვდელ მოქმედებსა შინა, აგრეთვე მოციქულთ,
საქმე მოციქულთა შინა. „აწ გამოიჩინეთ ძმანო კაცნი თქვენგან-
„ნი, რომელნი წამებულ იყვნენ შვიდნი, საკსენი სულითა წმინდი-
„თა და სიბრძნით, რომელნი დაკადგინნეთ სახმარსა ამას ზედან,
„და გამოიჩინეს სტეფანე და სხვანი, რომელ სტეფანე იყო პირ-
„ველი დიაკვანი, ვითარცა წერილ არს მისთვის“.

მიტრო. დია კეთილი სთქვი. მითხარ, მღვდელობა რაი
არს?

იო. მღვდელობა ნიშნავს თანამდებობასა, ანუ ხარისხსა სამ-
ღვდელაობასა, ლე. 1, 9, მსგავსად ჩვეულებისა მღვდელაობისა, ჭსკვა

მას საგმიკელოს კმეკა, და შეკიდა ტაძარსა უფლისასა. ესრეთვე მღვდელობა არს შეკრებულობა მღვდელთა ანუ უზირველეს სამღვდელთა შორის, ესე იგი ეპისკოპოსთა, 1. ტიმოთელთა, 4. 14. ნუ უდებ ჭყოფ. რომელი ეგე არს შენთანა მადლი, რომელი მოგეცა შენ წინასწარმეტყველებითა და სხმითა ხელთა სუცობისათა, და ამისთვის ეპისკოპოსი შემძლებელ არს ხელდასხმად მღვდელთა, ანუ ხუცესთა, გარნა განწესებისამებრ მოციქულისა, ეპისკოპოსი ეპისკოპოსსა ვერ ხელ დასხმულ ჭყოფს მარტო, გარდა უმცირეს სამთა ეპისკოპოსთა კიდე, სხეებრ მღვდელობა ნიშნავს განმწმენდილობასა და დამოარკველობასა.

მიტრა. არსიძანდრიტი, ვითარ განიძანტების.

ილ. არსიძანდრიტი (ბერძნულია) ესე იგი პირველი მუზღუდე, ანუ მართებელი მყოფთა კრებულთა უდაბნოთა ანუ სხვათა ადგილთა შინა. მიტრანობლიტი, ეპისკოპოსი:

ილ. ეპისკოპოსი არს უზირველესი მწყემსი თვისისა სამწესობისა, მზრუნველი კეთილად დაწესებისათვის წმინდისა ეკკლესიისა, და მართებელი არა თუ მხოლოდ მდაბალთა ხარისხოვანთა სამღვდელთა, არამედ ყოველთა რწმუნებულთა მისგან ღვთისაგან სიტუიერებთა ცხოვართა, ვითარცა იხილგების საქმე მოციქულთა შინა 20. 28. ეგრძაღენით უკვე თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწესობასა, რომელსა ეგე თქვენ სულმან წმინდამან დაგადგინნა მოღვაწედ დამწესად ეკკლესიასა უფლისა ღვთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა, და ამით ჭსტანით, თუ ვითარი გულს მოდგინებთა უნდა აქენდეს ეპისკოპოსსა თვისსა სამწესობასი, ვითარცა სწერია ამავე თავსა შინა მუხლსა 19. და 30. ეგრეთვე პეტრე მოციქული პირველსა ეპისტოლესა შინა იტყვის. 5, 1, 2, და 3. „მწესი-დი თქვენ შორის სამწესობას მას ღვთისასა, იღვწიდით, ნუ იძულებით, არამედ ნუგსით, ნუცა საძაგელის შეგინებით, არამედ გულს მოდგინედ. ნუცა ვითამცა ეუფლებოდეს მწეთა მათ, არამედ სახე კქმნენით სამწესობას მას. ხოლო ეპისკოპოსი ბერძნულად ნიშნავს

ზედა მხედვესა, სიტყვისამებრ ბერძულისა არს ესრეთ: ეპისკოპო-
ზედა მხედველობ, და ამისგან წარმოებს ეპისკოპოსობა. ეგ სახედ-
ვე ნიშნავს ეპისკოპოსი ხელმწიფება სუფიერი, რომცა უნდა გასს-
ნის, და რომცა უნდეს შეკრავს, სიტყვისამებრ უფლისა. გინდ რომ-
მლისამე უნდა ქსწყევს, ვითარცა წერილ არს ფსალმუნსა შინა, რიცა
108 და მე. 8 იყენედ შვილნი მისნი ობოლ და ცოლი მისი ქერიკ.
ეგრეთვე იყავნ სამკვიდრებელი მისი ოხერ, და ნუ იყოფიან მკვიდ-
რი მას შინა და განსაკუბელი მისი სხვამან მიიღენ.

ზურაბმან. მამინ იოანე ბერო! კარგი დალოცვა ასწაკეთ მ-
გათ ყოვლად სამღვდელოესობას მამცაშვილებისათვის, რატომ ად-
რეკ არ ნატრობდენ შენ მოსკლას?

იო. შე უკეთურო, თუ წყევს შეუძლიან, განა დალოცვას ვერ
შეიძლებს ამათი ყოვლად სამღვდელოება.

მიტროპოლიტიმან. რაი არს არხიეპისკოპოსობა?

იო. არხიეპისკოპოსი (ბერძულია) მმართველი, არკეთა ქრის-
ტესი, (ანუ ერთა), ესე გვარითავე ძალითა არქიერი არს დასაბამი
მღვდელობის დაწყებისა, ეგრეთვე არქიელი არს მთავარი მღვდელ-
თა ზედა, ანუ მღვდელთ მთავარი, გინა მწეემსთ მთავარი.

არქიერი, გინა მღვდელმთავარი, მომავალი კეთილთა, ესე გვარ-
სა წოდებასა აძლევს წმინდა მოციქული ჰავლე მაცხოვარსა ჩვენსა
იესო ქრისტესა. ებრაელთა. 6, 11, ხოლო ქრისტე მოვიდა მღვდელ-
მთავარი იგი ყოფადთა მათ კეთილთა, უფროსითა მით და უსრუ-
ლესითა კარვითა ხელთ უქმნელითა. ესე იგი; არს არა ამის დაბ-
დებულისათა; ვინაიდგან იგი არს ნანდგილ მღვდელმთავარი, სახედ
არქიერად. ძველისა ქსჯულისა, ვითარცა ქსინანს ეპისტოლესა შინა
ებრაელთა საკუთრად „ 7. 8. 9. და აქა რომელი იგი მოქსწყედ-
ბიან, ვანნი ათეულსა მიიღებენ. ხოლო მუნ წამებულ არს ვითარ-
მედ ცხად არს, და რათა მოკლედ კქსთქვათ აბრამისთვის, და ლე-
ვისთვის და რომელი ათეულსა მიიღებს ათეულადვე შეწირულ-არს.
და ამათ ყოველთა ზედა განსხვავებისათვის იყედწოდების მღვდელ-

მთავრად, მომავალთა კეთილობათა; ხოლო მომავალი კეთილობა იწინდელსა ცხოვრებასა შინა არა სხვა რაიმე არს, ვითარცა დიდება ზეციური, და ცხოვრება საუკუნო. ხოლო ძველისა აღთქმისა მეგრ, (სადაცა უფროს მოიღებს მოციქული, და რომელთათვისცა ქრისტე არს მღვდელმთავარი,) იმეცნების უკვე ახლად მომმადლებელი კეთილი, ესრეთ, რომელ მოტეკება ცოდვათა. 2, მოყვარება საუკუნოთა სიძარტლეთა. 3, სვინილისი სრული, ხოლო უწარჩინებულესი ღვთის მცნობელობა გამოსატე გულთა ზედა ჰსჯულისა. 6, ნიჭი სულისა წმინდისა, 7, სარწმუნოება ჰირისჰირ დადებული, სასოებად ძველთა უკვე კაცთა. 8, ქედჭყოფა, ანუ შეილება. 9, მშვიდობა. 10, თავის უფლება, ამით შინა მდგომარეობს უდიდესი მაცხოვრებაი ებრალთა 2, 3, ვითარმე ჩვენ განვეკრეთ უკეთუ ესე ოდენი ესე უღებ-ჭყოთ ცხოვრებაი, რომელმან იგი დასაბამი მიიღო სიტყვად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩვენდა მომართ დაამტკიცა. ამა კეთილობათა მიერ არა დაჰსტკობოდინ წმინდანი, ძველსა აღთქმასა შინა საშუალობითა მღვდელთ მთავართა მსახურებელთა საგრილობელისათა. მომავალი, ესე იგი მუობადი კეთილობანი იწოდებოდინ მუნ დრომდე, ვიდრემდის ქრისტე არა მოვიდა ქვეყნასა ზედა და მუნ დრომდის ჰსდგა ძველისა აღთქმისა კარავი მსხვერპლითურთ თვისით.

მიტროპოლიტიმან. შვილო იოანე! რაი არს მიტრპოლიტი?

იო. მიტრპოლითა (არს ბერძენული) ესე იგი დედა ქალაქთა, რომელსამე მხარესა შინა არს უზირველესი ქალაქი, ანუ სატახტო ქალაქი, სახელმწიფოთ, მუნ მჯდომარესა ეპისკოპოსსა უწოდებენ მიტრპოლიტად, უადმატებულობისა გამო სხვათა ეპისკოპოსთა ზედა.

მიტო. მონოზონობა რაღასა ნიშნავს?

იო. მონახ, ლექსი ბერძენულია, და ჩვენ გავვიქართველებია მონოზონად. ნიშნავს მარტოდ მცხოვრებას განშორებულსა, შაოსანსა, უმეუღლოსა, ანუ ჭკრივსა, ხოლო სამღვდელოსა ხარისხსა შინა საკუთართა ეკკლესიისა წესითა ნიშნავს, თვისისა ნებისა გამო აღ-

კვეცილად. აგრეთვე კლემასის, სხვებზე აძლეეს საზღვართა მონა-
ზონთა.

მიტრ. ძველადცა იყვნენ მონაზონნი?

იო. უკეთუ გნებავთ ცნობად, შემძლებელ იქმნებით სილვად,
რომელ იყვნენ ძველად. ისილეთ სოკრატის შორის, სოზომონისა,
ფეოდორიტისა, ჰალადისა, კასიანისა და სხვათა ესე ვითართა წე-
რილთა შორის. სოლო დედათა სქესი განშორებებით მცხოვრებელი,
იწოდების მონახინა და ქართულად მონაზონნი. და ამა უბნობით
დასწრულეს კასში და წარვიდნენ თვის თვისსა სადგურსა.

მეორე დღეს იოანე აღდგა და წარვიდა ეკკლესიად. რა კარგა
გაშინჯა, ჭსთქვა ესრეთ მწუხარედ: სამიტროპოლიტოს ეკკლესიას
არა შეენის ეს გვარ განწყობილობაო. მაშინ მამაცა-შვილი გამოეც
ნაურა, და რქვა: აჴა მამაო, ჩვენ მაგისტვისა გეწუეეს, რომ შემოსა-
ვალი აქეს და არას ახმარებენ.

იო. არა შვილო, უნდა მოუთმინოთ თქვენ მწუემს. მთავარს
და არა სთქვათ ძვირი, ვითარცა წერილარს „არ ჭსთქვა მთავართა
შენისათვის ძვირი“.

მამაცა. მაგაზედ დანაშაული გვაქვს. გულფიცსელობით გეჭირს
მამ.

იო. კათოლიკოზი გყავთ, და თუ უსამართლო მოგადგეთ
რამ, იმას უნდა მოასსენოთ.

მამაცა. ეგეც ბევრჯელ ვქენით.

იო. თქვენ გუჯრები არა გაქვთ? ვითარ გიწერიათ სარგებლო-
ბა მუნ, მაჩვენეთ მე.

მამაცა. მოგართმევ. იოანე წარვიდა მრთველთა და ყოველივე
მამაცანთ დარიგება მოასსენა და გუჯართა გაშინჯვის ნება ჭსთხო-
ვა. მან ინება, და შოილო მამაცა-შვილმა. ეწერა მუნ ათას თავისა
აღება, რადგან საღთსურესი იყო, სოლო სხვებ არა იყო განჩეულ
თუ რომლის შემოსავლიდამ აელოთ. და ამაზედ აქვრდათ სამდურა-
ვი და აგრეთვე უჯროდ თავის სამოურაოს ხალხს ამუშავებდენ.

იოანემ. გაშინჯა ესე ყოველი, და მოასსენა ყოვლად სამღვდე-
ლოს: ამა ეუფროთა ყოველთვის გექმნებათ სანდურავიო, ამისთვის,
რომ რომელიმე კი უნდა ერგოს ამ საღთხუცეს და რომელიმე კი
არაო. მროკლმან, მსაჯულობა მომიცია და შენ გაგვიკვლიეო.

იო. მამაცა-შვილო! აჭა სწორე სამართალი: რაღ ახვნივინო,
ათესინო, ბადი, ვენახი აკეთებინო მროკლისათვის, რაღ შემოსავა-
ლი მოვიდეს, ან ღაღა ან კულუხი და გლეხთ დებულება, აქედამ
გერგებათ ათის თავი, აგრეთვე მუშა კვკლესიის ყმისა, რადგან მო-
ურავი ხარ, ერთს დღეს გიხნან, ერთს დღეს გიმკონ, და ერთს
დღეს ვენახი გიმუშაონ, ესეც ინებოს მროკლმან, სხვებ ნუ შე-
წუხებ. თავის ნებით ვინც ძღვენს მოგიტანს, ამას არც ყოვლად სა-
მღვდელო დაუშლის.

სხვებ რაღ ვონდავით მოიგებს ამათი ყოვლად სამღვდელოება,
ან აწირვინებს ვინმე, ან ისე მოართმევს ვინმე რასმე, ამაში საქმე
არა გაქვს. აგრეთვე თავადს ვისაც დამარხავს, ამათ ყოვლად სამ-
ღვდელოება საიმტვერიოს და საწირავს ეს მიიღებს, ხოლო ნიშანი
რაღ იქნება და საფლავის ფასი, უნდა გაიყიდოს და კვკლესიას შე-
ენახოს და სადაც რა წახდეს გააკეთოთ. აგრეთვე, რაღ შემოსავა-
ლია იქიდან, შენი ათის თავი ვითარცა ზეით დავსწერეთ, დეკანო-
ზის ულუფა, კანდელაკისა და სხვათა კვკლესიისა მსახურთა უნდა
გარდაიდოს, აგრეთვე მროკლისათვის სადილ ვასშმისა თვისთა მო-
სამსახურეთა და სტუმართათვისცა, იკონომია. ხოლო სხვა რაღ და-
შეთეს, ჰურიცა, ღვინოცა და სხვა ნივთნი, უნდა ყველა გაიყიდოს
და კვკლესიას მოხმარდეს შესამოსლად თუ სხვებ. აგრეთვე შენი
შეწევან უნდა აჩვენო ამათ სამღვდელოესობას სტუმარზედაც, ჯარ-
ში, მუშაობაში, აქეთ-იქით საქმეზე გაგზავნით და ესრეთ მშვიდო-
ბა მოიგვეთ. მე ამაზედ მეტი არღა ძალმიძს რომ ვიკადნიერო. მა-
შინ ყოველთა მოწონათ ეს განკარგულება, და დააზავან მამაცანნი
მროკლს და მუნით მადლობელი იოანე წარვიდა გორისაკენ.

დღე მეექვსე.

იოანე მივაღს გორს და ზურაბ მიიწვევს თვისსა სადგომსა. მცირე ხანს უგან, იოანე დაიკლის ამა გორის ქალაქსა, ციხესა და მდებარეობა მისი და ძოუწონება და უგანასკნელ მიკალს ამილახვართანა და აცნობებს თვისსა ვითარებასა. ამილახვარი მიიღებს მას კარგად და სადილათაც არღა უტეკებს, და მერეთ ჭკითხავს თვისსა ვითარებასა, და იოანე ცხად უყოფს ყოველსავე და ეტყვის ამილახვარი: გიჟი ზურაბა რათ გაიამხანაგეთო. მაშინ

ზურაბმა. ესე მეცნიერი კაცია და თუ გიჟი არა ხელობდა, ეს ვით გამოჩნდებოდა ჭკვიანათო.

ამილახვარმან. თავის წინა მძღვართან როგორღა ჩანს?

ზურ. რაგვარადღა ჩემთანა.

იო. უი ჩემ თავს, ჩემი წინამძღვარი გიჟი გგონიათ?

ამილა. ერნი ასე უბნობენ.

იო. იმათ გი დაეჭურებათ?

ამილ. ასე სწერია: ორისა და სამისა მოწამითა დაემტკიცოს ყოველიო.

იო. მდივანბეგიც ბმანდებით, მაგრამ მოწმები, მტერნი და მუშურენნი არ უნდა იყვნენ.

ამილა. თარხნიანიც ასე ამბობენ.

იო. გიჟთ ყოველი ჭკვიანი გიჟათ ეჩემებათ.

ამილ. ზურაბ! თქვენ თოგორ გგონიათ?

იო. მე ხომ გიჟი არავარ.

ამი. მაშა სადამე ზურაბა გიჟი ყოფილა. და გაეცინათ ამაზე და მერე უთხრა ამილახვარმან იოანესა. გორი ვითარ მოგეწონათო?

იოანემ. უცხო მდებარეობა აქვს და შემკობილია ადგილით. შენობებიც ჭკითვირით ბეკრია, მაგრამ ხუროთ მოძღრუდად კერ

არის ნაშენი და განკარგული, და არც სასწავლებლის და ხელოვნების მასწავლებელი ყოფილან აქ.

ამილა. ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და ხელოვნება, რომ აქ იყოს?

იო. რომ არ ყოფილა კიდევ ეტყობა.

ამილა. ასეა თქმული: ცოდნამ დაქცია ქვეყანა.

იო. უი ჩემს თავს, მაგას ნუ ბძანებთ. ნარე აღიდეკით ცოდნიდამ და ეინი დართეკით, მაშინ სწინობთ თუ რომელს დაუქცეკია, ამილახეარმან. კერ მიგხვდი მაგას.

იო. როდესაც ნარს მოუსპობთ და დავრთავთ ეინსა, მაშინ ცოდნა, ცოდვად გამოკა, და ამან დაგვაქცეკა. და თუ გეცოდინება რამე, ცოდვასაც მოკმორდებით.

ამილა. ბეკრი მეცნიეკია: რომ ცოდვაშიაც იყოს და აესაც ასწავლიდეს კაცსა.

იო. მაგისტანს კაცსა თილასოფოსნი, მერაღს ჭურჭელს ეჩხიან. რომ მასშინს იდგეს მირონი სურხელი, ცუდს სუნს მიიღებს მისგან. ეკ სახედ, მეცნიეკებისაცა ცუდად მხმარებელი, განწყენის თავსა თვისსაცა და სხვათაცა, მართალსა ბძანებთ.

სწავლისა და ხელოვნებისათვის.

ამილა. დია მათე, და მითხარ: რაი არს სწავლა და ხელოვნება?

იო. სწავლა არს ცხადი მცნობელობა ჭეშმარიტებისა, განმანათლებელი გულის-ხმის ყოფისა, უბიწო მხიარულება ცხოვრებასა შინა, ქება ჭაბუკისა და შესყრდნობელი მოხუცებულისა, ნუგეშინის მცემელი უბედურობასა შინა, ხოლო ბედნიეკებასა შინა განმარტებელი.

ამილა. რადენნი არიან უბიარეკელსნი სწავლანი?

იო. რკანი, ესე იგი: დეთის მეტეეკება, იურის-პრედენცია, თილოსოფია, მედიცინა: რიტორიკა, პოეზია ანუ ლექსთ-მთხუზეელობა, თიზიკა და მათემატიკა.

ამილა. ვითარ სსხე არიან ებე ჭსწავლანი, ანუ რას შექმნი-
ბას მოგეტყვიან ჩვენ?

1) იო. ღვთის მეტყველება არის ჭსწავლა ღვთისათვის, და სა-
ღმრთოთა ნივთებისათვის.

2) იულისპრუდენცია არის ჭსწავლა სიამრთლისა და მართლია-
დობისა ჩვეულებათა, და სჯულთა შესახებელთა კიდრე მართლ მჭის-
ჯულობისადმი.

3) ფილოსოფიის არის სიბრძნის მოყვარება; რომლისა ძალით
შევემცნებით საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა.

4) მედიცინა ანუ მეურნალობა არის სასმარო დაჯვისათვის კა-
ცობრივისა სიძრულისა.

5) რიტორიკა არის ჭსწავლა, რომელიცა ასწავებს გვარზედ უბ-
ნობასა და წერასა, ქებასა და დიდებასა, შთანასწორებასა, ვითარცა
წერილითა, ეგრეთვე სიტყვათადაცა მიდრეკად და სხვათა თვისდაძი კე-
რძობისა.

6) პოეზია, ანუ მელოქსეობა არის ხელოვნება გამოთქმად ენი-
თა ვნებათა თვისთა, აგრეთვე საქებრად ანუ საკიცხველად, შეწეობა
კანონიერად ხმოვანთა და უხმოთა მარცვალოთაგან ლექსისა და გან-
წეობით დაბოლოებად სიტყვათა და გამოხატვა საგანთა ცხოვლად,
რათამცა მის ძლით აღძრულ ჭყოს გული და სული.

7) თეზიკა არის ჭსწავლა, რომელიცა ცხად გვიყოფს ჩვენ ბუ-
ნებითთა გამოცხადებათა, გვასწავებს მცნობელობასა თვისებათა სხე-
ულთასა, თუ ვითარ იგინი მოქმედებენ ნაცვალ გებობით და სხვებრ
— ამას შორის იგი განსხვავების ბუნებითისა ისტორიისაგან, რომ-
ელიცა მხოლოდ გვასწავებს ჩვენ მცნობელობასა ბუნებისა წარმო-
ებისასა, და გვაჩვენებსა მაგალითთა მათ, რომელთაგანცა იგინი
განსხვავდებიან.

8) მათემატიკა, არის ჭსწავლა, რომლისა ძალით განერთვის
მცნობელობითა, რაოდენობათა და განზომათა სხეულთა შორის, და
იგი არის პირველი და უძირველი სწავლა ყოველთაგან ჭსწავლათა

მით, რამეთუ იგი მდგომარეობს მხოლოდ ერთისა ოდენ დამტკიცებასა შინა, ხოლო ესე შეიცავს თვის შორის არითმეტიკასა, გეომეტრიასა, შტერეომეტრიასა, ტრიგონომეტრიასა და ალგებრასა, რომელსაც მე თვისსა უამსა შინა ყოველსავე ნათლად განცხადებულ ვჭეოთ, და მაშინ ჭსნობთ სახელებით, თუ რაი სარგებლობა აქვს ამა შემოხსენებულთა ჭსწავლათა.

ამილახვარი. დია კარგა მაცნობეთ. ხელოვნებაცა მიბძანეთ.

იო. ხელოვნება რა გვარია: საქმითი და ხედვითი. ხედვითი უკვე ხელოვნება არის ღვთის მეტყუელება, თელასოფოსეობა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა და სხვანი, ხოლო საქმით არის, გამოცდილებითი და მესსიერებითი. ჭსწავლა ხელით მოქმედებითი, ესე იგი, მესაკრობა, მხაზველობა, მხატრობა, რქრომჭედლობა, მესხათობა, შაბაქათ მომჭრელი, გამოქანდაკება, მქსოველობა. მოთამაშობა ანუ მროკველობა, და ამათვე სწნობთ გარჩევით თვისთა დროთა შინა.

დღე მეშვიდე.

ამა უბნობით დაასრულეს სადილი. იოანე კმაყოფილი გამოუთხოვა ამილახვარს და წარვიდა სადგურსა თვისსა, იმ ღამეს მუნ განისვენეს.

ხოლო ხვალისა დღეს წარვიდენ ქრცხინვალსა, მისრული იოანე და ზურაბ ეძებდენ სადგურსა, დასაკანებლად მუნ, და მაშინ იხილა მახაბელმან ჰორტიშვილმან, და იცნა ზურაბი, და რქვა: ზურაბი! ვინა არს ეგე შენთან მყოფი ბერი? ზურაბმან-ესე არს ქვაბთა ხევის მონასტრიდამ, ჭსწავლული კაცი და ვრონინებთ საკალმასოდ. მაშინ მახაბელმან: მწერადს ვეძებდი და უკეთეს ვის ვიშოვნა, გთხოვთ ჩემთან წარმოსვიდეთ, და მე ვიზრუნებ თქვენთვისა. ამათ ნება ჭსცეს, და უბანა მსახურსა თვისსა წარუვანება მათი სადგურსა თვისსა წარვიდენ ესენი, მიიღეს უცხოდ, და მოვიდა მახაბელი და იოანე მოიკითხა ალერსით და იოანემაც მადლობა ჭკადრა და

უკანასკნელ და შეატუო მახაბელსა სა-სეზედან მწუხარება. იოანემან ჭრჭვა: ბრწყინვალეო თავადო, კგრძნობ სასესა ზედან თქვენსა, მწუხარებასა.

მაჩაბელი. მართალს ბრძანებთ.

იო. შეიძლება მიბძნოთ.

მაჩაბელი. მეც ამისთვის მოგვიწიეთ.

იო. მიბძნეთ.

მაჩაბელი. ჩემი უფროსი შვილი, ჩემ უნებურად გლენის ქალს ირთავს და ეს არის კაცი მომივიდა, რომ თუ არას უშეკლეთ ამ კვირას ჯვარს დაიწერსო, და ამ სიბერის დროს ამ სირცხვილში მაგდებს.

იო. რატომ თავადის ქალზედ არაკისზედ რთავთ.

მაჩაბელი. რამდენი გამოურჩიე, მაგრამ ის გლეხის ქალი შეჭყვარება.

იო. სიყვარულს ბეგრი რამ შეუძლიან, მაგრამ შვილსკი არ უჯობს თავის დედამის ურჩება. ამისთვის სულათაც მაჩვენებელ ექმნების და ხორცილთაც.

მაჩაბელი. ეთხოვ, ასე გვარათ მიმიწეროთ წიგნი, რომ საკდებელი იყოს მისთვის, ეკების თავის უგუნურებითი ფიქრი განაგდოს.

იო. დაა უფალო, მიბოძეთ ქალადი და საწერელი. მიქსწრაფელ მოართვეს იოანეს და იოანემ ხელ ჭყო შემდგომითა სახითა ამით მიწერა:

„საყვარელო ძეო, გარნა ურჩო მამადედისაო! ძრწოდე განუჭსჯელობისათვის შენისა, ძრწოდე წყევლისაგან მშობელთა შენთა, გეშინოდეს ღვთისა, და უკანასკნელ გეენისა, რომელსაცა სირცხვილეულები საქმენი შენნი გამზადებენ შენ.— შენ მიგიღებეს გონება, ოდესცა უგუნურებითსა სურვილსა აღუტყინებეს შენ შორის ქორწინებისა ყოფად, და გწადნომს მდაბიოსა და არც რაისამე ქალისათანა შეუდლებე, რომელიცა თვინიერ გმოებისა და კიც-

„სვის კიდე არა რისისმე შემძლებელ არს მორთმეკად შენდა და გვა-
„რისადმი ჩვენისა.— გწერ მამაშვილურად, უკეთუ სრულ ჭყოფ სა-
„მაკელსა განზრახვისა შენსა, მაშინ არღა იწოდები ძედ ჩემდა.—
„წუკა ჩემი ყოველგან შეგიდგების შენ, და იწოდები ვითარცა ურ-
„ჩი და განწყენილი ძე, ვითარცა უძლები შვილი, მორონინე უდა-
„ბურთა ადგილთა შინა მშვიერი, და შიშველი. ვიდრე უგანასკნელ
„ადმოფშვინვადმდე შენდა, არა გეჭმნების შენ შესაყრდნობელად, არ-
„ცა სახლი მამისა შენისა, არცა გვარეულთა შენთა და არცა სახლი
„ყმათა შენთა, არამედ ციხე საჭყოლობილოდ, და კოშკში ბნელი სა-
„უკუნოდ სამყოფად, თხოვითა მისისა სიმაღლისადმი. და ესრეთ
„შევედ თავსა შორის თვისსა, მოიგე გონება, განსჯე, და ნუ იყო-
„ფი უღირს მამისა შენისა, რომელიცა მოკელის შენ დამორჩილე-
„ბულად“.

ოდეს მიუვიდა წიგნი ესე, მუის ყმაწვილი მოკეო გონებასა და
მოვიდა მამისა თვისისათანა, მაშინ მახატელმან, იოანეს მადლი უბ-
ძანა, და კარგად მოიმაღრიალა, იოანესაც კარგად დააზავნა იგინი,
და ის დღე და ღამე მუნ დათივა, ყოველგან მოიარა, მოიწონა ად-
გილი და სკალისა დღეს გაემართა მეჯვრის სევისაკენ.

დღე მერვე.

მისრული მუნ, იოანე და ზურაბ მიგლენ ერთისა ქვრივისა დე-
დაკაცისა სახლად, და სთხოვენ სადგურსა. სოლო იგი მიიღებს მათ,
და იოანე რა შეკალს სახლსა მას შინა იტყვის: მშვიდობა სახლის
პატრონსა! იგი უჩვენებს ერთსა ძველსა ნაბადსა დაგებულსა ცეცხ-
ლის პირად, და ეტყვის: დაბძნდიოთ მამათ. იოანე დაჯდება, განიხ-
დის ფერხთა, და ჭკითხავს დედაკაცსა: ეს შვიდი ყრმანი ვისნი არი-
ან? იგი ეტყვის ჩემი.

იო. ქმარი ვაჟის?

დედაკაცი. არა მამაო. არც ქმარი, არც მასწავლი, არც დედამთილი, მხოლოდ მე ვზრდი ამა ჩემთა ობოლთა.

იო. გაქვს რამე ქონება?

დედაკაცი. მხოლოდ ესე სახლი და მცირე საბოსტნე ადგილი და უფრო მწიფალებით ვიზრდები.

იო. ვინ არის შენი მებატონე?

დედაკაცი. აქამდინ ბატონის შვილისა ვიყავით ახლა საერისთაოდ დაგვდეს.

იო. მაინც ვის ეკუთვნით?

დედაკაცი. ჯერ არა ვართ მიჩემებით ვისადაც, საერთოდ ვუგარტ.

იოანემ. მამა ხარჯი ერთი გექმნებათ აქაურთ გლეხთა?

დედაკაცი. ოდონდაც.

ამ უამად ერთი მსახური შემოვიდა და უთხრა ერისთვის საღთხუცესმა და ნაზირმაო ძღვენი გააკეთე და გამოგზავნეო. იოანემ: ქერივი დედაკაცია და ობლების ბატონი, ამას ძღვენი როგორა სთხოვო და ამ გარი ბერი სიტყვები ჰსთქვა ერისთვისაო და ამით მოხელეობდა, რომელიც ერისთვისაო და ამით მოხელეებს უსამოვნოთ შეექმნებოდათ. იმ ვაჭმა იოანეს ვინაობა იკითხა.

ზურაბმა. დოსითეოს არქიმანდრიტის დიაკონისა, იმისგან გამოგზავნილი სათხოვრად. კაცმა მიუგო: მამ ერისთვისაო მტრისაგან ყოფილა გამოგზავნილი და ერისთვისაო მავისთანს ღანძლვას უბნობს ფიცხელაურების გულისთვის. წავიდა ვაჭრი იგი და უახლო თავის ბატონებს ერისთვისაო, ამ უამად მუნებურმა ძღველეთაგანმა სცნო იოანეს მუნ ყოფა, მიწრათელ მოვიდა იოანესთან, ვინადგან იცნობდა წინამძღვარსა; იოანემ უთავაზა, ერთმანეთს კახორხენ და სიყვარულით მოიკითხეს ურთიერთი და თავის ვინაობაც აცნობა იოანემ და მიზეზი თავისის სიარულისა; რა მცირე იმუსაიფეს, ძღველმა იოანე მიიპატოჟა სახლად თავისსა, საბრალე ქერივი ობლები კერ გიმასპინძლებენო; წარვიდნენ ძღველის სადგომისაკენ. ამ

დროს ერთი კრისტვის შვილი შემოხვდა და უთხრა იოანეს: ფიცხელაური ბერი ჩვენის მტრობისაგან არ დაცხრა და ახლა ჩვენს მამულში შენ დაიკვანი ჩვენ სალანძღავათ გამოუგზავნისართო. უთხრა და ჰსცა გუნგულსა, გუნგული გააგდებინა. — შიშნეული იოანე განიკლტო ბარბანით თავ სისხლიანი და მისძახა; ახლავ დაიკარგე შენ ფიცხელაურის დაიკვანო, აქ მოსულხარ და ჩვენ გკლანძღაო.

იოანემ დაუძახა ზურაბს, ცხენი მოიყვანეო, შეჯდა და სთქვა: განვეშორებთ ამ ბარბაროზთა და წარვიდნენ ჭაღისაკენ: გარნა დიდად შეაწუხა თავის გატყუილობამა იოანე და მამინ ზურაბმა შეუხვია თვისითა სარტყლითა თავი და ესრეთ მიიწივნენ მწუხრის დროს ჭაღსა და ეძიებდნენ სადგურს; ამ ძებნაში იხილა ერასტიმ ამილახვარის შვილმან ზურაბ, დაუძახა თვისთანა და იოანეც მიიპატიჟა. ერასტის ადრევე შეკრეო მუნ დასწრებულისა მსახურისაგან, რომელსადაცა ეახლო იოანე ბერის გალახვა და იოანე მიახლოვდა და ერასტიმ იხილა ბორბლად თავ შესვეული, მამინ ერასტიმ: ვინ მოგართათ ეგ მიტრანო?

იოანე. ვმადლობ დმერთსა, რომ ამ საჩუქრით განვერე ხელთაგან მათთა და ერასტიმ შეიწვივა სახლსა შინა; მოიკითხეს ურთიერთი და მერე ყოველივე თვისი ვითარება უახლო იოანემ და ამ უამად შემოვიდა გიორგი ამილახვარი ქაიხოსროსი და რა თავ შესვეული იოანე იხილა, ჰსცა ერასტის; ვის მიუჩთმევია თეთრი ბარტყულა ამ ბერისათვის?

ერასტიმ. ერასტვიანთა.

გიორგიმ იოანეს. რომელმან გცა ყვირძალსა?

იო. არა უწი; მაგრამ ვინ დასხა იგინი ერასტავად?

გიორგი. შემკვიდრემ.

იო. არა სჯობნია ეს, თუ სამღვდელთ კაცთ ასე შეურაცხ ჰყოფდენ ვითა მე. ჩემი არქიმანდრიტიც ბეკრი ღანძლეს.

ერასტიმ. გაჩვია მოჩხომილხარ, რომ თქუბიცი არ შემოგამტერიეს.

ამ უამად მოიღეს ვახშამი; სხვანიცა ამილახვრის შვილები მოვიდნენ და დასხდნენ ვახშამთ; ამ უამად შემოვიდა გიორგი, რომელსა უწოდებდენ გოდად, უთავაზეს სხვათა და უთხრეს, მობძანდი ძმაო გოდაო.

იოანემ. ვის დაურქმევია ავაზაკის კაცის სახელი? ასე მსმენია, რომ გოდა იყო ოსი, ავაზაკი კაცის და ტყვის მყიდავი, რომელიც მეფე ირაკლიმ გარდააგდებინა ავაზაკობისგანო.

ერასტიმ. მართალს ბძანებთ და ამასაც ავაზაკობით უწოდეს ასე.

იო. რა უქნია ღირსი მაგის წოდებისა?

ერასტიმ. ყოველნი თვისნი სახლის კაცნი, მომდურაჲნი, ნახუბნი და დალახუენი, ამასთან ძღვედელ მთავარი ჩვენი სამთავნელი, აგრეთვე გლეხნი, უკანასკნელ განწირულებასი, და სხვა რაღა მოგახსენოთ.

იო. ბატონო გიორგი გოდად წოდებულა! თუცა ემაწვილი კაცი ბძანდებით, მაგრამ აღარც ისე ემაწვილი ხართ, რომ ავისა და კარგის გარჩევა არა გქონდეს, — ჰხედავ ამათ? შენზედ ხნით უფროსნი არიან, ნამსახურნი მეფეთა და ომისა შინა, დაჭრილნი და გარჯილნი მამულისათვის და ამათ ვითარცა მშობელსა შენსა ისე პატარს უნდა უყოფდე, აგრეთვე თქვენ ძღვედელ მთავარს ვითარ უნდა ჰკადრო რამე, რადგან ქრისტეს სახე არის; იფიქრე თუ როგორი ხელმწიფება აქვთ, განხსნისა და შეკვრისა მიცემულია. და ამისთვის ხომ არ არის თქვენთვის დადგინებული, რომ შეურაცხ ჰყოთ. მაშინ გიორგიმ უთხრა; ჰსწორედ მაცნობეთ ვითარის სახით არის ჩვენი ძღვედელთ მთავარი სამთავნელი?

იო. ამ სახით, მე გეტყვი, ჯერ არც ამილახვარობა იყო თქვენ გვარში და არც ეს საამილახვარო გეჭირათ, რომ ათცამეტნი მამანი, რომელნიც მოვიდნენ ასურასტინადამ საქადაგებლად ქრისტესა აქეთ, 566. მაშინ ამა ათცამეტთაგანი, მამა ისიდორე, დასვეს სამთავნელად, ეკლესიასა ამას შინა სამთავისად წოდებულსა, რომელი-

ცა აღაშენა ვახტანგ გორგასლან მეფემან, და მუნდგან იწოდებიან, ამა ეკკლესიისა მოსაყდრენი-სამთავრელად.

გიორ. სამთავისი რასთვის უწოდეს ამა ეკკლესიასა?

იო. ვახტანგ გორგასლან მეფემან საქართველოსამან, აღაშენა ოთხი ეკკლესიანი: წილკანისა, სამთავისისა, მეტეხისა გაღმამსარსა და რუისისა, და ოდეს გაშინჯეს, ეს ეკკლესიები, მასინ ხუროთ მოძღვრებით და აღშენებულებით უფრო აქეს სამთავისი, და უწოდა ესრეთ სამთავ ეკკლესიათა, ესე სამთავისი უმჯობესიაო და მუნითგან ეწოდება სამთავისა.

გიორგი. ვითარ არის ჩვენი ეკკლესია ახლა?

იო. ოდეს იოჯამ ზედგინიქემ, თქვენმან დიდმან ჰაჰამან, განარინა მოღალატეთაგან მეფე გიორგი ძე ალექსანდრე მეფისა, სიკვდილისაგან, და მან დასდო სული თვისი მეფისათვის, მასინ მეფემ მიუბოძა მათ შვილებს აძილახრობა, ქართლს სპასპეტობა, გორის მოურაობა. გორიჯვარი, ცისე, და სამთავისის ეკკლესია სსსს-ფლად, ქრისტეს აჟ. 1465, და მუნითგან, თქვენნი შთამომავლობანი მუნ ესაფლავებიან.

გიორგი. მღვიმე ვითარ არის ჩვენი?

იო. მღვიმე მონასტრია, და არა საყმო. ხოლო მღვიმის ეკკლესიასა შინა, მეფემან სვიმონ ინება თქვენის გუარისა დასაფლავება, რომელნიცა მძევს, მეფის წინაშე დაიხრცნენ, ოსმალოს ომში ექსნი აქვენგანნი, და სამნი ტუსიანნი, რომელნიც ზედგინიქეობდენ ძველად, და ბძანა სვიმონ მეფემან, ჰატიკით მათი დამარხვა, დიდსა ეკკლესიასა შინა, შიო მღვიმელის მონასტრისასა, და მუნ-ჟამიდგან ჭფლავით მას დროსა მებრ.

გიორგი. დია ვარჯათ გვარობეთო, რაც გვიბძნეთ, და გორის ჯვარს ჯერცხლის ხაწილებით, ჯვარი ვისგან არს ქმნული?

იო. ოთხი ჯვარიც კიდევ ვახტანგ გორგასლან მეფემან გააკეთებინა, თავის ტანის სიგრძე, რაც სიგძე თვით ვახტანგ იყო იმ სიძაღლით და თითოც თავის აღშენებულს ზემოსხენებულს ეკკლე-

სიებში დასკვნა, და დღესასწაულობაც განუწესა, ვითარცა აწ არს გორის ჯვარში, ხალხის მისვლა. გარნა სამი იგი ჯვარი აღარსადა ჩანს, და ერთი იგი აწ რომელიც გორის ჯვარს ასკენია იგი არს. ბტევიან, ოდეს დიდი ღამეობა იქნებოდა და ძლიერი მტერი მოვიდოდა, ამ ოთხს ჯვარს გასკენებდენ, ჯვარის მტერი თუკენი ღამეობანი ამას შეუდგებოდნენ. ერთს, იმეკეთ აფსაზითურთ გაუძღვებდნენ, მეორეს ქართველთ, მესამეს სამცხე საათაბაგოს, მეოთხეს გახელთ, და ამის სასოებით, ძლეკას შეიმოსდენ ყოველთვის.

გიორგი. ისიც გაგვიმარტუ, ავი გაციო სახელი რომ სხვას ერქვას, მაგით ავიგატი რად იქნება?

იო. მე მაგ გვარი არ მომხსენებია. იუდა განმცემელსაც ერქვა, და ძმასა უფლისა ჩუენისა ესო ქრისტესა, გარნა პირველი აყო უსჯულო, ხოლო მეორე წმინდა, და ახლა გინც იმ განმცემელის იუდასავით მოიქცევა, და იმ კაცს რომ დაუძახონ იუდა, უნდა ჰსცნო, რომ იუდას განმცემელის სახელი მიაწერეს, ვითარცა თქვენ, ვინაღგან იგიცა მისი მოხაძვი იქმნა, და ამისთვის რადგან ეს გიორგი ავაზაკობს, ამისთვის გოდა უწოდეს. და ესრეთ მართებს გაცს, რომ კარგის გაციო სახელი თვით მიიწეროს, კარგის ყოფაქცევით, ვითარცა ჰსწერს წმინდა ჰაკლე „მოხაძვ ჩემდა იყენით, ვითარცა მე ქრისტესი“.

გიორგი. განუსკენე ჰაზრსა ჩემსა და მიბძანეთ ესეცა თუ, თვისნი მებატონენი ვითარ უნდა ექცეოდნენ თვისთა ყმათა, ანუ ყმანი თვისთა მებატონეთა.

მონათათვის.

1) იო. რადგან ნებითა ღვთისათა მიეცა კაცსა მონება უფლოთა თვისისა, მართებს მას მონასა, რათა არდა ოხვრიდეს მისთვის, და არცა განწესებულისა მისისა უღელისათვის, და გულის მოდგინებით აღასრულებდეს განწესებულისა თვისისა.

2) ჰესტიოსანთა მსახურთა თანა აძსთ, ერთი გულებს ცხადნი, სიმდაბლეს, მორჩილებს და მოთმინებს, ოდესაც ამხილებდეს უფალი მათი სიტყვიით და რისხვასა შინა არა ნაცვალთ სიტყვის გებით, არამედ მღუმარებით ყოფა, რომელიც უკანასკნელ სარგებელ ექმნების მათ. ეგრეთვე, ჭირთა შინა, დადგენულებათა, და ნაკლულებანებათა შინა, თვისთა მებატონეთა თანა, ტვირთვა და დათმენა, და გულს მოდგინედ მსახურება.

3) ესეცა თანა აძს მსახურსა და მონასა, რათა ფრთხილ იყოს და მოცალეს სარგებლობისათვის უფლისა თვისისა, იყოს ერთგულ, და გულს მოდგინედ მისგან რწმუნებულსა საქმესა შინა, და ეგრეთვე, დაცემულებსა შინა შეწევნა ყმათაგან უფლისა თვისისა, რაოდენ ძალებდას.

4) დროსა მუშავობისასა, თვისისა უფლისა სამუშაოსა, უნდა გულს მოდგინედ უმუშავებდეს, და არცა ცრუოდეს საქმესა შინა, და ამის ძლით, მიიღებს უფლისა თვისისაგან მადლობასა და წყალობასა, კეთილად მსახურებისათვის.

უფლისათვის.

1) უფალთა თანა აძთ, თვისთა ყმათა ზედა, რათა იყვნენ მუშავებელ, და ბრძანება მათი იყოს მრთელითა განმსჯელობითა, და სამართლიანის საქმითა რომლისა ძლით უფრორე ადვილად მოიყვანს მორჩილებსა შინა.

2) არა შესაბამ არს, რათა ფიცხელად ექცეოდეს უფალი მკვე შეკრდომთა თვისთა, არცა უჯეროდ ართმეკდეს და სტარებდეს, ანუ ამუშავებდეს, კინაიდგან იგიცა კაცი არს გულის ხმიერი, და აქვს გრძნობა შეწუხებისადა, რათა არა ამის ძლით შთაიგდოს გულსა თვისსა შიში და სიძულვილი, რომლისაგამო არღა ექმნების შთანერგულ თვის შორის ჭეშმარიტისა სიყვარულისა და ერთგულებისა.

3) ოდესცა ამხილო სიტყვით ანუ საქმით, სხვათა შენთა, მერეთ მასთანვე შეაერთე, მოწყალებაცა და სიძარტლე იხმარე ხელმწიფებისა შინა, და ესე ვითარითა ხატითა, სიტყვა შენი ამხილებს გულსა მისსა, და თანამდებობასა თვისსა ჭეოფს მხიარულებით.

4) ოდეს ნაკლულევან იქმნენ, მოსაკლითა, ანუ ჭაერისა გამო, ანუ სხვებ, შეეწიე ნაკლულევანებისა მათსა, და მის ძლით გაიერთგულებ გულსა მათსა.

5) აგრეთვე ნაკლულევანებისა ზედა საქონელთა, ანუ ხართა, ანუ ძროხათა ზედა იხილო ვინმე მოხნათა შენთაგანი, და ძალგუდავას, შეეწიე მათ მიცემითა მათთა, რათა მის ძლით შეიძლონ მუშაობა. გამოზრდა თავთა თვისთა დამსახურებაცა შენი, ერთგულად მსახურებისათვის, მათსა გაქვნიდეს ნაცვლად წყალობა, რომლისა ძლით, უმეტეს მასცა და სხვათაცა განაღვიბებ ერთგულობისათვის შენისა, მოხილებისა და მსახურებისათვის.

6) ნუ გექმნების შური, ნურცა თვალლები, რაიცა აქვნიდეს ანუ ჭყვანიდეს, რათამცა აგრძნობინო მას, სურვილი მისი და მწადვნილობა ნივთისა მის.

7) მეძღვნეთა და შემომწირველთა, აჭმევე შენთანა ჰურსა, და მადლობით გაისტუმრებდე.

8) მუშაკთა, ნუ დაუტევებ მშვიკს.

9) გარდა დებულებისა, ნუ წაართმევ მსახურს.

10) ნუ გული გითქვამს ცოლსა ანუ ქალსა ემისა შენისასა ზედა, რომლისა-ძლით უმეტეს გაიმუხანათებ.

11) დებულებისა კიდე, სხვასა ნურას წაართმევ მეტსა და უკეთუ დაგჭირდეს რამე სიტკბოებით სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოგართმევს.

12) ყოველნი მოსამსახურენი შენნი, გაშინჯე, და ვისრა ძალგუდავას, მას საქმესა შინა განაწესენ, და სხვათა ნურცა აცილებ, და იგი ერთგულად მოუვლის რწმუნებულსა თვისსა, და ოდეს იხილო.

რომელ კეთილად მართებს, მასშინ შენცა ნაცვლად მინიჭე წყალობა და ესრეთ ყოველნი იქმნიებიან გუფს მოდგინე.

13) საზოგადოს მტერთა ზედა, და მდევარსა შინა ყოველი-
ვე განამსნენ, და ნუ უტეკებ მომედგრებად, და ყოველთა აქონიე სა-
ჭურველი. ტყვია და წამალი და კისაცა არა ძალედკას შეეწიე.

14) ავად მყოფს მოურაე, მკვდრის ჰატრონს ნუგეშ ეცე.

15) გაჭრობასა და საკუთარსა მუშაკობასა შინა თვისთა ნუ
დაამცრონარებ, რათა მის ძლით მოიპოვონ მცირე რამ სიმდიდრე და
უგანსგნელ ესრეთ გიუკარდენ ყმანი შენნი, კითარცა ძენი შენნი.

გიორგიმ ჰქრქვა: იოანე. გაჭებ სიბრძნესა შენსა და ჰსწავლასა,
და შესო სადღეგრძელო, და აგრეთვე იოანემ დალოცა. და ესრეთ
დასსრულეს გასმადი, და წარვიდნენ თვის თვისსა სადგურსა. იმ ღა-
მეს მუნ განისვენა იოანემ, მეორე დღეს, გამოესალმა ამილასრინთ
და წასასგლეულად განემყადა.

ღლე მეცხრე.

მადლობელი იოანე ამილასკარინთი, წარვიდა მუსრანისაკენ, რა
ოკმისა მინდორს მივიდა, ისილა რაოდენიმე ცხენოსანი მომავალი,
რა ასლოს მიიწივა, იცნა იოანემ, გიორგი ერისთვის შვილი, ენება
იოანეს გზის აჭრევა, გარნა გიორგის ადრევე ეცნო იოანეს შემ-
თსკეულნი საქმენი და თვით მოვიდა იოანესთან და რქვა: დიაკანო
იოანე, ჩემგან რათ ივლტვი, მე არა რას შემტოდე ვარ.

იო. არა უფაფო, გარნა მეშინის, თქვენც მათი მძა ბძანდებით.

გიორგი. გლესური ანდაზა „ერთის სისა, ბარიც გამოჭა და
ნინაბიცაო“.

იო. რუსთაველი ჰსწერს: „გოკასა შინა რაცა დგას, იგივე
წარმოდინდება“.

გიორგი. ბერო, რა შენი საქმეა, საარშეო წიგნების ჰსწავლა,
ნუთუ თქვენმან წინამძღვარმან გასწავა.

იო. არა, „კეთხვის ტყაოსანი“ სწორედ ზნეთ ჭსწაკლულება არს, და ვინც როგორ იხმარებს, იმ ნაყოფს გამოიღებს, როგორც თქვენ ხმარობთ საერისთოს...

გიორგი. არ მოგწონს ჩვენი მართებლობა?

იო. ეგ ასეთი მართებლობა არს, რომ თუ ხანი გაგრძელდა, სამართებლო მაგდენი არღარა დაშთებარა.

გიორგი. მას როგორ უნდა მოვიქცეთ. ის იმ გვარი ხალხია, თუ ისე არ უყო კაცმან, ძალა არ უჩვენა, არ დამორჩილდებიან.

იო. ბატონის-შვილი იოანე როგორ იმორჩილებდა?

გიორგი. ის მეფის შვილია და შეეძლო.

იო. თქვენ მეფის ძე ხართ, და თქვენც შეიძლება.

გიორგი. ვითარ, მასწავლე.

იო. მოგახსენებ.

გიორგი. ჭსთქვი.

იო. თქვენი ერისთობა დაცემული იყო, მაგრამ იოანე ბატონის-შვილის თანხმობით, დაკით მეფემ, შემკვიდრემ მოგცათ ერისთობა, გარნა თვისსა ძმასა უბძანა ჭსჯულ დება, თუ ვითარ უნდა მოქცეოდით თქვენ ხელ ქვეშეთა და საეუთართა უმებთა.

გიორგი. ჩვენ ბატონის შვილის მადლობულნი ვართ, ბძანება და დარიგება იმისი აღგვისრულება.

იოანე. მას აზნაურნი რათ გიჩივიან?

გიორგი. თქვენი არქიმანდრიტი გვრეკს.

იოანე. ვითარ?

გიორგი. მოგახსენებ.

იოანე. მიბძანე.

გიორგი. თავისის ძმების ჩვენი ყმობა სათაკილოდ სჩანს.

იოანე. უი ჩემ თავს! ბერს ეგ ამპარტავნება ვითარ ექნება.

გიორგი. ეგ თქვენ განსაჯეთ.

იოანე. სხვანი აზნაურნი რაღათ გიჩივიან?

გიორგი. აზნაური გლეხ კაცებს უსამართლოდ ეჭვგულისხმობენ, ჩვენ ნება არ მიგეცით, ამისათვის გვიჩივიან.

იოანე. მასწავლებლავს რათ ახრავლებთ?

გიორგი. მეც მავას კანობი, დოსითეოსმა გააბედგინა სხვათა აზნაურთაც, თორემ აზნაურნი ვერ გაბედვდნენ სხივავს.

იოანე. თუ უსამართლოა უზამდით, გიჩივლებდენ.

გიორგი. გლეხ კაცნი, ჩვენი ყმანი, არ ავაკლებინეთ და ეს რა უსამართლოება არის.

იოანე. მასწავლებელში არიან?

გიორგი. დიან არიან ზოგნი, რომელნიც დოსითესმა აიყოლია.

იოანე. ჯერ გარდაწყდა საჭმე, თუ ისევე სამართალში არიან?

გიორგი. ჯერ არ გადაწყვეტილა, თქვენი წინამძღვარი ცდილობს, რომ დაგვიანდეს საჭმე. შემინდე, გრძელად კელარ მოვიცდი. მადლობელი ვარ ბატონი შვილისა, რომ კეთილი ნებავს ჩვენთვის და აგრეთვე შენც. აჩუჭა რამდენიმე ოქრო და გაიყარნენ.

იოანე. ზურაბ! აი გიორგი სკინიდალისანი კაცი ყოფილა; მუცნიერება ამ იცის!

ზურაბ. რასაკვირველია აქვს, ქისიყელი არა ხარ? თავიც რომ მოკვრათ ორის ოქროსათვის, არას ინაღვლიდი.

იოანე. შე გიყო! ოქროები რაღას მარგებდა, თუკი მომკვლავდენ.

ზურაბ. თავის მოკვრავედ უარესია, რომ თქვენის დიანობის და მონაზონების ჰატრივი ორ ოქროსად გაჭყიდეთ.

იოანე. უი ჩემს თავს! არა გსმენია „მიუტევეთ და მოგუტევენო.“

ზურაბ. თუ ოქროები არ გუნახა, მე ვიცი რასაც მიუტევებდი. მამინ თანე განჩისხდა და აღმოიღო ოქროების და ენება გარდაურა, გარნა რა დახედა, კელარ გაჭებდა და მსწრაფელ ზურაბმა დაუძახა: რასა აქვ, მარადეა ძალიან საშოკრით გამოგისტუმრეს და კბინ დაახინე? მუხრანში ბევრს იშოვნო.

იოანე. ვითარ? სტუმართ მოყვარნი არ არიან მუნებულნი თუ?

ზურაბ. მცხეთელების სულს გალოცვიებენ.

იოანე. მართალ-არს სიტყვა შენი?

და ამ უბნობით მივიდნენ მუხრანს, მრავალს სახლს მივიდნენ, მაგრამ არიან შეიწყნარა; უკანასკნელ ენება იოანეს წარსკლა მუნიდამ და ამ ჟამში ერმია შეხვდა მუხრანბატონი-შვილი, იცნო ზურაბ და რქვა: ვინ არის ეგ ბერი?

ზურაბ. ქვაბთის-ხეველი.

ერმია მიიწვია თვისთანა სადილათ ბაღსა შინა. იოანე ჯერ-სხეით მოიკითხა და მანცა მადლობა უთხრა და მცირე რომ იუბნეს და მერე მოიღეს სადილი—პირველად რადგან სამღვდელად წესი იყო, ერმია იოანეს უთავაზა საჭმელ-სასმელი, გარნა იოანემ არა ხელ ჰყო, და უყურებდა ერმიას.

ერმია. რად არ მიერთებე დიაკვნო.

იო. პირველად თქვენგან არის რიგი, აწიელთ ჩვეულებით.

ერმია. მიხვდა, და უთხრა, შენ არც ჩემი ბატონი ხარ, და არც მე შენი უძაო, და ეგ აწიელთ მებატონეთ იცინა, რომ პირველ თვისსა, მოხელეს ანუ მსახურს, აჭმევს, და ასმევს, ეჭვის გული-სათვის.

იო. თქვენვე ადიართ.

ერმი. შენ ჩემი ბატონი არ ბძანდები, არც სახლის კაცი.

იო. სიკვდილი თანასწორება, მებატონისაცა და უმისათვისცა.

ერმი. რას იტყვინულობ.

იო. კაკასიულისი ასე უბნობენ.

ერმი. ეგ ერისთვიანთგან გამოხდა.

იო. მაშა მართებს კაცსა, რომ ასეთი ურიტო საქმე არა ქმნას, რომ თვისსა ოჯახსა საკიცხვარი საქმე დაუგდოს.

ერმი. საღმრთო ჰირი ბძანებს უკეთუ სასიკვდილნი რაიმე სკათ არარაი გეკნოსთო.

იო. დაა ჭეშმარიტია, ვინც ქრისტესთვის მიიღებს, ჭეშმარიტის გულის, და მე რამგამა შენის გულისთვის შევსო, უწინ.

ერმი. განრისხდა, და რჩება. შენ კითხვას კადნიერებს. არ იცი, ზოლგოვნიკი ვარ?

იო. ზოლგოვნიკი რასა ნიშნავს?

ერმი. ათასის თავი ანუ მინბაში.

იო. სადაური ზოლგოვნიკი ხარ?

ერმი. აქაური.

იო. მუხრანში ერთი ზოლგი არ გამოვა.

ერმი. რაი ზოლგიც გამოვა.

იო. ზოლგი, რავდენის კაციო უნდა შედგეს, და ან მოხელე-ნი, და სხვა სამსახურის კაცი, და ანუ სხვა სახმარობანი რა უნდა აქედეს.

ერმი. თუკი არ იცით ვერც ზოლგოვნიკობასა იქით.

ერმი. მაშ თქვენ განმიმარტეთ.

იო. დიაღ.

ერმი. ბძანეთ.

ზოლგისათვის.

იო. ერთი ზოლგი სამი ბატალიონია. ხოლო თითო ბატალიონი, ათას-ათასი კაცი.

ოდესაც ქრუნტში, დადგებიან, (დასტად რომ დადგებიან, მაშინ თითო ბატალიონში შეიდას ორმოც და ათი კაცი დადგება. ხოლო სხვანი დანაშთნი მუზაკანტნი, (მოსაკრავნი) ხელოსანნი. მუჯინბენი, და მუერმენი არიან.

თითო ბატალიონი ოთხოთხი, ორტა არის (გუნდა).

თითო ორალი ზვოდაა (მწუობრი), თითო ზვოდი ოთხმოც და ათი კაცი, რომელც სამკეც მწკრივად დადგება, ანუ სამ პირად თითო მწკრივი, ოცდა ათათა.

თითო რატას ჭყავს ოთხი აფიცარი, (ანუ ჯარის მოხელე) კაპიტანი. (ასის თავი) პორუიკი (ერგარის თავი) პოტპორუიკი (ოცდა ხუთის კაცის უფროსი, ანუ შეძეგი პორუიკისა) პრაპორ-შიკი (მცირე ხარისხოვანი).

თითო ბატალიონს ჭყავს ოროლი შტაბ აფიცარი, რომელნიც, ან პოლკოვნიკნი იქმნებიან, ან პოტპოლკოვნიკნი. (ხუთასის თავი) ანუ მაიორნი (ასერგასის თავნი, და კიდრე ორას ორმოცდა ათამ-დის კაცისაც უფროსნი).

პოლკის კამანდირი, ანუ იარნალი ერთი, რომელიც იწოდება პოლკოვოი კამანდირად. (სარდალი, ანუ სპასპეტი).

თითო ბატალიონში, უნდერ აფიცარდ ორმოცდა ცხრა (ათის თავი, ან დაღბაში).

თითო რატას, ჭყავს თითო ქეთქებელი, (რომელიც უფრო-სია მუნდრე აფიცრებზედ, ათის თავთ ზედაშედეგი).

თითო ბატალიონს, სამ სამი ლეკრი ჭყავთ (მკურნალი ანუ ექიმი).

თითო ბატალიონს, ოცოცი, ცირუღნიკი (დალაქი).

თითო ბატალიონს, ათათი მჭედელი, და ხალხანდი.

ხუთი დურგალი.

ხუთი მკარეტე (ანუ მუეტლე).

ხუთი მეთოფე.

ხუთი მკერვალი.

ხუთი ჩიღინდარი.

მღვდელი ერთი.

კვარტერ მეთსტერი ერთი, ასის თავზედ ხაკლები, გინა კაპი-ტანზედ, სახელოთი.

სამი ატუტენტი (ეშკაღხაში).

კაზნაჩეი ერთი (ხაზინდარი).

მწერალი თითო რატას.

ბატალიონის კამანდირს, ოროლი მწერალი.

აჩანსლის სამწიკრლო სხვა არის.

ინყინერი, რომელ არს კოლონ გაყატი, ერთი (მხაზველი).

თითო რატას აქვს თითო ანშივი (ყუთი) ტყვია წამლითა და პატრონითა (მასრებით) სამყოფად, ანუ საკმაოდ.

თითო სალდათს სამოც, სამოცი სროლა ტყვია წამალი აქვთ ომის დროს. და ისეც, სამსამი ტალი, მეტი და თითო შამალი და ტყვივის ამოსაღები.

თითო რატას, თითო დიდი ურემი აქვთ ჰურისათვის, მსუბუქად ტარების დროს. ეყოლებათ ბარჯისთვის და ისე ას ორმოცდაათ ცხენამდის, მთლად პოლკს, ხარბახნები, პოლკს რეგლარც დაჭსჭირდება ისე მისცემენ ომის დროს, რიცხვით არ არის გადაჭრილი, და თუ არ შესვდა, ბატალიონზედ ორზედ ნაკლებს ზარბახანს თავის გაწყობილობით მანინც არ მისცემენ. მძიმეს ბარჯისათვის სხვა მეტი თადარიგი აქვთ.

ეს განწყობილობა ვკონებ არა გქონდეს. მაგ თქვენს ჯარში. ერთი. ეს მთელს სამუხრანოსაც არ შეუძლიან არა თუ მუსრანს. ასე წერილად არ ვიცოდი.

იო. უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა, და მეტი შესვდე საქმეში.

ერთი. არცარა ჩვენ წინაპართა იცოდნენ რამე.

იო. ამ ქვეყანას რაც გაეწყობოდა, ისინივე გვეფობდნენ ჩვენ, საქმითაც და გაყვაცობითაც.

ერთი. ვითარ?

იო. მე გეტყვი. გარდაცვალებული მამა თქვენი, სკიმონ ნასახნიბაში, დია ნამსახური იყო, მათის სიმაღლის მეფის ირაკლისა ოდეს ასპინძის, ბძანდებოდა ბატონი ჯარით. მამის მამაშენი. ბორჩალუს აღლარა და სახელოვანი გაყვაცა სუდია, და სხვანი. ოც და ათამდინ კაცნი, წავიდნენ დაუთალაზად, ასპინძის მტკვარზედ ხიდი ჩაუჭტიეს ოსმალოს ჯარს სასიკვდილოს ადგილს მისცეს თავი. და ჩვენი ჯარი იმ განსაცდელისაგან დაიხსნეს. რომ გაღმდამ დიდი

ჯარი ოსმალისა ვერღა გამოუვიდა მტკვარს, და გამოდმა რაც ჯარი დაშთა, ეკვეთა მეფე ირაკლი, ჰსძლო, და რა სიდიისა მოამედენტა მიძარტეს განსარჩებლად სულ წყალსა შინა მოამეტუნენ, რომელ ვერცა თუ ერთი განუარა ხელთაგან ჩვენთა მხედრობათსა, და ესრეთ სასხელი მიიწერა მამა შენმან, შენც ასე უნდა იყო მომჭირნე მამულისა და შენის მებატონისა და მონათესავესათვის.

ერმი. გმადლობ მაგა მცნებებისა მოცემისათვის და იოანე მოამდრეილსა, და გაიყარნენ ამ სახით, იოანე გამოესაღმა, და წარვიდა მცხეთისაკენ, რა მიიწივნენ მუნ, იოანემ ჰკითხა ერთსა გლეხთაგანსა. ძმაო ვინ არის აქა უფროსად.

გლეხი. ძუნძელი.

იო. უი ჩემს თავს, ძალდი გყოლიათ მოურავად.

გლეხი. არა ბატონო, გედევანი შვიდი ბეცია.

იო. და რასთვის გამაღანძვინე პატრონისანი კაცი.

გლეხი. ჩემი დანაშაული არ არის, სალხი ასე ეძახის.

იო. ბერათ ხომ არ შემდგარა, რომ სასხელი გამოუცვლია?

გლეხი. თქვენც ბერი ბძანდებით, და რა დაგარქვეს.

იო. უი ჩემს თავს, ავი გამაღანძვია ამ კაცმა.

გლეხი. არა ბატონო, სიტყვამ მოიტანა.

იო. ზურაბ აქაური სალხი განათლებული ყოფილა.

ზურ. რასაკვირველია, ძველი ნაქალაქევია ეს ადგილი.

იო. ჰგავს რომ ძველად დარჩომიათ აქ ზნეობა, და იოანე წარვიდა გაღავანისაკენ, რა კარებთან მივიდა იხილა რაოდენიმე კაცი, და მათ შორის იცნა ბეცია, გარდახდა იოანე ცხენივად, მივიდა ბეცისთან, და რქვა მშვიდობა შენდა მოურავთ მოურავო.

ბეცია. სულასაცა შენისათანა და წინამძღვართ წინამძღვარო.

იო. მე ჯერეთ იპოვიაკვანი ვარ, და რათ მივიცხავთ.

ბეცია. მამ როგორათაც თქვენ არა ხართ წინამძღვარი არც მე მოურავთ მოურავი ვარ, და შენ რად გამეცხე.

იო. რადგან ეს მცხეთა პირველი დედა ქალაქი იყო უწინდელ-

სა დროსა შინა, ამ ქალაქის მოურავნი, სხვათა მოურავებთა ზედან უყრდნისი იყვნენ და მე იმავე ტიტულით მოგვიკითხეთ, და არა ვიცნობთ.

ბეცია. გმადლობ, მაგრამ, ახლა ერთი სოფლის ამხანაგიც ძლივლა არის ეს ადგილი.

იო. მაგას თავისი ჰატივი არ მიესდება.

ბეცია. კითხვ?

იო. რადგან ეს წმიდა ეკლესიის სკეტიის ცხოველისა წმინდა ჰეტრეს მოციქულის და ჰაელეს მოციქულის სასკლსად აღშენებული, აქ დგას, ამას ეს ჰატივი აქვს რომ, კერც მეფე საქართველოსა სხვას ეკლესიისი ეკურთხება, და კერცა მღვდელთ მთავარნი, რომ ამით უმეტეს ჰატივიცემულია ეკლესიისა ძეგლადგო. და აგრეთვე სასათვლარც მიეფთა, და გათავიგოზთა არს, ამისთვის სხვა სოფლებს არ შეესწორება.

ბეცია. რად არის ეს ეკლესიის სხვათა ზედან უმეტეს ჰატივიცემული?

იო. ამისთვის რომელ, პირველად აქ მიიღო მირიან მეფემან ქრისტიანობა წმიდის ნინოსაგან, და ეკლესიისაც აქ აღშენდა უწინარეს სხვათა ზედა გარდა მანგლისისა, აქედამ მიუფინა ყოველთა მართმადიდებლობა საქართველოს ერთა, და აქ გამონხდა კვართი იესო ქრისტესი ისეუ თქვენის გვართაგან მოტანილი, წმიდა სკეტი აქ აღიმართა, საღმრთო განგებითა, და წმიდა მირიანა აქ აღმოსცნდა, და სასწაულნი, და ნიშნი აქ იქმნეს პირველ.

ბეცია. დია კარგად მაცნობე, და მითხარ ეს სკეტი ცხოველი რომლის სისა იყო.

სვეტის ცხოვლისათვის.

იო. ეგე სწორეთ, საღმრთო წერილებშიაც, რომ ჰსწერია სარო, რომელსა კიჰაროზს უწოდებენ ის სე, საღმრთო განგებით

ადმოსრული აქა, ნიშნად საღმრთოს კვართისა, კინაიდგან ქრისტე ურიათა საროსა ნადოსა და ფიტკის ზედან ჯვარს აცკეს, ეს სეტ მის საღმრთოს კვართის მოხრეების მიზეზი იყო, და მოქცევის ხვე-
ნისა ნიშანი. რომელიცა, იქმოდა სასწაულებსა, ესრეთ, რომელ-
ოდესაც დაჭრილი ნადირი შეესებოდა ამ სესა განიგურნებოდა: აუ-
რეთვე ავად მყოფნი, ასუ ფრინველნი, მტკივნეულნი განიგურნებო-
დნენ, და ოდეს მოაქცია წმინდა ნინომან აქაურობა და ენებათ ეკ-
კლესიისა აღშენება, ამ სის ადგილს აღაშენეს ეკკლესია, და ეს სე
რომ მოჭკიეთეს, ვერღა უძლეს აღმართვად, მისინ წმინდას ნინოს
ლოცვით ანგელოზთაგან აღიმართა, და ჭკარსა ზედა იყო აღმარ-
თულ რაოდენსამე სახსა, და მერე თვითვე დაეურდნო მირსა ზედან
თვისსა აღმოსრენდა მირონი, მირსა მისგან, და მრავალს სასწა-
ულსა იქმოდა, ვითარცა ჭსწერი კრცელს ცხოვრებასა შინა, და ამის-
გამო მუნიდგან ეწოდა სვეტიცხოველი, მირიან მეფეც აქ ეკურთსა
მეფედ, კათალიკოსნიც სსკა სამღვდელონიც და ამის გამო, მუნი-
დგან შეიქმნა უზირველესი ეკკლესია.

ბერძინს დია იმა ამისი უხნობა და მუნებურს სალსსაც, ბინა
მისცა იოანეს და ვასშმად თვისთან მიიწვია.

იოანემ მადლობა ჭკადრა. წარვიდა ბინაზედ, და მერე მოილო-
ცა ეკკლესია, და ვასშმად მივიდა ბერძინსთან, რა ვასშმად დასსდენ,
ბერძინმ ჭკითსა იოანეს, იმ სვეტიცხოველის სის ნარხომები რადა
უშეესო.

იო. იმ სიდგან სამი დიდრონი ჯვარი შექმნეს, ერთი და-
ჭსდგეს გადმა ამ ჯაჭვის ეკკლესიის ადგილს, რომელსაც ზედა ყო-
ველთვის ნათელი იხილვებოდა, და მრავალს სასწაულს იქმოდა, მე-
ორე დასდგეს თოსთის მთაზედ, რომელ აწ უღელ ტესილად იწო-
დება, სადაც რომ მირიან მეფეს დღე დაუხსელდა და შიშით აღუ-
თქვა გაჭრისტიანება, და კიდევ მოიქცა. იმის მოსახსენებლად დად-
გეს იმ მთაზედ, სოლო მესამე დასდგეს, უჯარმის მთაზედ, და
ისიც ამ სახით სასწაულს იქმოდა.

ბეცია. მაგ ჯვარებს რომელი ხალხნი ესვიდენ.

იო. ამ ჯვარის საყდარზედ რომ ჯვარი ესვენა და თონის მთაზედ მთლად ქართლი, გაღმა მხარი, სსსომხეთო, და მთები აწაგვი და ქსანი და სხვანი აქ მოვიდოდენ. სალოცავად, და სნეული აქ განიგურნებოდენ. უჯარმას, ერწო თიანეთითურთ ფშავით, ახმეტით, მარტყოფით და გვერდის ძირით, ესე იგო, ვიდრე ჯიმითადმდე, აქ მოვიდოდნენ და ილოცებოდენ. ქიზიყიც, მთლად კახეთი შიგნითი და გაღმა მხარი, და ჯიმითს აქეთ მოსახლე მუნ ილოცებოდენ, და ასე იყო განწესებული. ხოლო ქიზიყი მთლად ნინომ მოაქცია და მუნკე გარდიცვალა და მას აქეთაც მუნ დღესასწაულდობენ.

იო. იტყვიან რომელიმე ვითამც, ბოჭორმის ჯვარი ჩოლანყანთ აქნდეთ; ასეც იტყვიან, იმ ხისა იყოს და ის რომელიც უჯარმას იყო. მეორე, რომელიც აქ ჯვარის იყო, ამ მცხეთას დარჩა. იტყვიან სამეფო სამად რომ განიყო, იმერეთის მეფეს მისცეს წმინდის გიორგის ნაწილით ჯვარი, რომელიც ახლას არგვეთში ჩხარის ეკლესიაში ასვენია; კვალად იმ ხის ნაწილიდამ შექმნეს სამნი წვრილი ჯვრები ერთი ახლას თელავს ჯვარ ჰატიოხანს ასვენია და სხვანოი აწა ჩანს. გორის ჯვარსაც იყო ამ ხილამ ერთი მომცრო ჯვარი.

ბეცია. მე ასე გარჩევით ვერვისაგანა ვცანი; გმადლობ იოანე. და ესეც მიბძანე, ამ მცხეთის ბაჟს ალარ მანებებენ, და რა მიზეზია?

იო. რადგან მოურავი ბძანდებით ამ ჰდგილისა, თქვენგან უფრო რიგი იყო, ამ გვარები ჩვენ გვესწავა, მაგრამ რადგამ მიბძანეთ, მოგახსენებ.

ბეცია. სად უნდა მესწავლა ამ გვარები?

იო. რათა კათალიკოზთა, მოურავი ბძანდებოდით და ხართ, და ამასე უკეთესი მეტნიერნი ჩვენსა ქვეყანასა შინა არავინ იპოვიან და იქ უნდა გესწავათ.

ზურაბ. ბერო, რამოდენიც კაცი კათალიკოზებს ახლდათ, თუ

ყოველს მეცნიერება ესწავათ, გგონებ ნახევარი ქართლი მეცნიერი იქმნებოდა.

იო. ზურაბ. ეგვი არ იქმნებოდა. მაგრამ ეს რადგანაც აზნაურნი არის და მოხელეც იმასკი უნდა ესწავლას რამე.

ზურაბ. ათის თავის აღებაკი უსწავლია, და სხვა მეტი რა უნდა, ახლა ბაყის საქმე შენ ასწავლეო. მაშინ, იოანემ, აჭა გეტყვი ბაყის საქმესაც. ძველად ოდეს ქალაქი იყო ეს მცხეთა, ბაყიც იჯარეობიც, ზვერიც, და სხვა შემოსავლები აქ იყო განწყესებული აღებად. და ოდეს გარდიტანეს ტფილისს, ახლა იქ არის, ამ ხიდის ბაყისასე მოისსენეთ. მეფე ერეკლემ რა მეფობა მიიღო, დიდი ლეკიანობა და აღრუელობა იყო ქართლსა და კასეთსა შინა ასე რომ დაღოსტინიდან ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს თუ ყარაიაზედ ამოივლიდა. მტკვარს თუ ვერ გავიდოდნენ, არაგვს გამოვიდოდნენ. ამ მცხეთას თავს გარდივლიდნენ, და ხიდზედ გავიდოდნენ. ზოგნი ახალციხეს აღვიდოდნენ, ზოგნი არმაზის წყალს, და ძეგვისაკენ შეკრავდნენ და ზოგნი მუხათ გვერდსა, და ესრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემან არაკლიმ ეს ღონე იხმარა რომ, ამ ხიდის გაღმა და გამოღმა, კოშკები გაასლებინა, შიგ კარგი ვაყვანნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც ჭსტვიდნენ, მგზავრთაც მშვიდობიანათ ატარებდნენ და ველარც ამ ხიდზედ ლეკნი გადიოდნენ, და ამათთვის, მეფემან, ურემზედ შაური განუწესა, და ფქვილი ერთი ჩანახი. და ამ ყარაულებს ეძლეოდათ და ოდეს მეფემან სიმხნითა თვისითა, მრავალს ადგილს ადგილს ჭსძლო ლეკთა და შიშსა შინა მოიყვანნა, დამშვიდდა ქვეყანა, ეს ხიდის ბაყი არ მოიშალა, მაინც რამდენიმე კაცნი განაწყესნა, და ქარავანსა და კატარსა ზედან იღებდნენ ორ შაურს, და ამ ეგველისის გასაახლებლად იღებდნენ, და ესრეთ ნელნელა ახლებდნენ რომელიც თითქმის ორს თუმნამდინ შემოსავალი დგებოდა. და არა მიხედეთ რომელს მოურავს აქვს, ამდენი ბაყის ადგილი. რომ ესე ოდენი ფული შემოუვიდეს და მე რადგან მეითხეთ ეცადეთ, ისეკ ათისთავი გაირიგოთ, და არა სრულად იდაოთ, რომ

ეგ ათის თავიც არ დაგუკარგოთ. გამგონე ამისი ბეცია შეწუხდა, და თქვა აღილე ბიჭო კახშამი, და თითონ აღსდგა და გავიდა სხვა სახლში; იოანეც მშოერი შინათკენ წამოვიდა.

ზურაბ. ბერო, რა მოანგარიშე იყავ, რაზედ დაგუკადე უკახ-
შემო.

იო. გაძღობისათვის სიძრუეს სომ კერ ვიტყოდი.

ზურ. არ იცი ეს ასეთი ქვეყანაა, თუ არ ჰიო მოთხეობით მჭადსაც არავინ გასტყვის, მაშინ იოანე დუმნა და დაწინეს მშოერნი, იმ ღამეს დაღაღულობამ და შიმშილმან კერ მისცა კარგი ძილი და დილას ადრე აღჭსდგნენ და ცდილობდენ საუზმის რასმე გაკეთებას, ამ უამში, ერთი კაგთისხეველი კაცი მოვიდა, იოანე იკითხა, აჩვენეს სადგური. რა სახლსა შინა შემოვიდა, სახლის ჰატრონმა იცნა, რომ თავისი სიძე იყო, წინ მიეგება, აკოცა და იოანეს უთხრა: ეს კაცი ჩემი სიძეა; იმ კაცმან წიგნი ამოიღო წინამძღვრისა და იოანეს მიაჩთო, იოანემ მოკითხა კაცი იგი, და გახსნა წიგნი, და იწყო კითხვად. რომელსა შინა ეწერა ესრეთ. ყოველი წინამძღვარი ჭკაბთახევის მონასტრისა, საყვარელსა შვილსა ჩემსა იოანეს ქრისტეს მიერ მოკითხავ, მესმის შენი ეგე შრომა და სჯულთიერი ღვაწვა, რომელიც იქმნები გუარგვინებულ ჩვენ მიერისა მადლობითა. გთხოვ ამასთანა თავს იღვა ესეცა, მიიღო შრომა. წარკედ კახეთსა და რადგან მუნ არს უამი მოწევილი ჰსთლობისა, მუნცა მოიკეწო ღვინთი, ვინაიდგან უფრო საჭირო არს მონასტრისათვის ჩვენისა, რადგან ახლად გაშენებთ ვენახებს, მანდ ნაშოკარის ღვინითა წარვმართოთ კეთილად საქმე ჩვენი და ამასთან მოძიკითხე საყვარელი თანა ძმა შენი ზურაბ, და სთხოვე მაგას რათამცა მიიღოს შრომა შენთანა მონასტრისათვის, იყავით მშვიდობით. უფალი თქვენთანა. (დო). წარმკითხველი წიგნისა ამის იოანე, არა მცირესა მხიარულებასა მიუცა, და სთქვა, კმადლობა წინამძღვარსა ჩემსა ძმა კეთილისა ჰსაზრისათვის და ამისთვისცა, რადგან ვინილავ მშობელსა მამულსა ჩემსა და დასწერაცა ჰასუხი.

სახლის ვატრონმან. იოანესამან, რა იხილა სიძეი თვისი, მის-
ვე დაკლა ქათამი და ამასთანავე გოჭი, მიუღ კელი და უცხო სა-
უზმე განუმზადა, და იოანესაც სთხოვა საუზმედ. იოანე ამაზედ გა-
მხიარულდა და სთქო ზუგაბ ძმაო, აჭა დმერთმან მოგვიკვლინა კაცი
ესე, რომელ განგჭსძლებით მომეძარნი, იხილე მოთმინება, ასე კარ-
გია.

ზურაბ. ბერო, თუ სიძე არ მოსლოდა ამ სახლის ვატრონს,
მე ვიცი, რომ გოროც გამძღარი წახვიდოდი. მაშინ დასხდნენ საუზმედ
და ამ სახლის ვატრონმა უთხრა თავის შვილს. შვილო, კარი დაუ-
მცხეთურე. იოანეს დია ეუცხოვა ეს ლექსი და რქვა: სახლის ვატ-
რონო, რასა ნიშნავს ეგ ლექსი, მითხარი?

სახლის ვატრონმან, როცა არავის მიღება გვინდა, კარებს და-
უგდებთ, და ვიტყვით დაუმცხეთურეთო.

იო. მაგ მიზეზით სტუმართ მოყვარებაზედ ხელი არ უნდა
აგელოთ.

სახლის ვატრონმან. ჩვენ ახლა ასე ვიჭტევით.

იო. ნუ ძამაო, რაც შეგეძლოთ სტუმართ მოყვარე იყავით.

ზურ. იოანე! შენ ხომ კარგა გამოძედ, და რას დასდეკ ვინც
უნდა მიიღოს, ვინც უნდა არა, და ესრეთ დაასრულეს საუზმე. იო-
ანე მადლობელი გამოესალმა სახლის ვატრონს, წიგნი მისცა წინა-
მძღვრისა მას კაცსა, და თითონ გაემართა მარტყოფისაკენ.

ლლე მეთე.

სადიდის დროს მიიწიყნენ, მარტყოფს იოანემ აცნობა მოუ-
რავს თვისი ვინაობა, მჭაწრათელ მოურავუმან მიუწოდა თვისთანა, იო-
ანემ მშვიდობა შენდა მხნეო მოურავო, მოურავმან. მე რა მცნეობა
მიქმნია.

იო. სხეულსა ზედან გაჭკოთ გამოწერილი.

მოურავი. მე ღირსი სადსოგრისა არა მიქნირა.

იო. უკეთუ თქვენ დაიდუმით, ქვანიცა ღაღადებენ.

მოურაფი. ერთი მამულის შვილობით მსჭებთ, თორემ მე ღირსი არავარ.

იო. ჭეშმარიტს ვიტყვი, სწორედ ჰატოხსანი მუშაკობა მოგწერებათ.

მოურაფი. ვითარ?

იო. ახ რც ომში დასწრებისართ თვითქმის, და ახ მტერზედ მტეი მოგიაგათ; და ეგ დაჭრილობაც აბდუღახეგის ომში შეგემთხვათ, და ესდენ ნამსახურს ქვეყნის კაცს გკმართებს რომ კაჭბდეთ.

ზაად ზურაბის შვილს მოურავს, არ უყვარდა თავისი ქება, და უთხრა წავიდეთ რუსთველთან სადილად იქა ვარ. მამინ ზურაბამ უთხრა: ბატონო მოურავო! ამ ბერის ღაჭლას მართლად სადილი ჰსჯობია, და ამ სიტყვასა ზედან გაეცინათ, და მივიდნენ რუსთველთან.

იო. რა რუსთველი იხილა, წინ წარდგა და მეტანია უყო და რქვა გააგურთხენ ყოვლად სამღვდელოო, მან ხელი უბოძა და მოიკითხა, და უკანსკნელ დასხდენ, მამინ რუსთველმან, კინა ბძანდებით თქვენ?

იო. ყოვლად სამღვდელოო, კერდა მიცნობთ, ხელა შვილს ითანეს, დააკანს ქვაბთა ხევის მონასტერსა შინა მცხოვრებსა?

რუსთ. ახ, კერდა გიცან; ცალის თვალით კერდაჩას ვხედავთ თითქმის.

იო. რაი მოგეცათ მიზეზი?

რუსთ. სამსახურს ზედა წარსრულსა ცხენმან მიბრკა.

იო. სამეფოსა სამსახურსა ზედან, ანუ კათოლიკოზისასა, ანუ თქვენისა სამწყსოსა ან ეკლესიის გულისათვის.

რუსთ. არა ახტალელისათვის.

ზურაბამ. მამინ მაგ მსახურებისათვის, მადანჩიბაში ბევრს კერცხლს მოგართმევთ.

რუსთ. ღმერთმანი გერცხლი ვერ გამოაქვსთ.

ზურაბ. გამოდნობა კარგათ იცი?

რუსთ. ოდნენდაც.

იო. ეგერც მამულის მსახურებისათვის შეგმობსკეცათ, მიიღეთ რამე ჯილდო.

რუსთ. ვგონებ ჩემი უპარხნაც გამოძარტონ.

იო. ზოგიერთის ამა სოფელში ყველა გვეროდეთ. და ამასობაში მოიღეს სადილი, და ესე გვარსა უბნობითა, განატარეს და ოდეს დაასრულეს სადილი, იოანე გამოეთხოვა, ხაშმისაკენ და კმყოფილი გაისტუმრეს.

წაწმუნნი მუნით მივიდნენ ხაშმზედ, იოანემ ზურაბ! იახელ მათ მალაღ ღირსებას წინამძღვარს და ჩემ მატეერ თაყვანება მოასუნე და სადგური ქსთხო. ზურაბ რა მიკვალს წინამძღვართან, მყისვე იცნობს წინამძღვარს და ეტყვის ქრისტეს კენახისა ნასხლეო, საიღამ მოხვალ.

ზურაბ. მე ნასხლევი ვარ ასეთი, რომ ვაზად შეეიქმენ და ნყოფივც კეთილი გამოვიდე.

წინამძღვარმან. ვითარ?

ზურაბ. აწ მართმადიდებელი ვარ მეც.

წინამ. აღსდგა, პირს აკოცა, დალოცა, და უთხრა: აწ ხარ საკუთარი შვილი ჩემი, რა გნებაეს.

ზურაბ. იოანე ხელაშვილმან გახლოთ ამაზედ თავი ჩემი, რომელ კახეთს მიდის წინამძღვრის საქმეზედ და ამაღამისათვის სადგური გთხოვთ.

წინა. ლოცვა მაკლია. შეეისრულე, მომიცადე და მოგცემ სახლსა.

ზურაბ. შე დალოცვილო, ესლა რომ ლოცვას მოყუეთ ოცდა ოთხი საათი კარში დაუჩრებით. მე თქვენი ანბავი კარგა ვიცი, ჯერ სახლი გვაბოძე და ვახშამი და მერე გინდ გათენებამდინ ილოცე.

წინამძღვარს გაეცინა და უთხრა, რადგან მართმადიდებელი შეიქმენ, მეცელ ღმერთობაზედ ხელი უხდა აიღო.

ზურაბ. შე დალოცვილო, სულ მუცლის გასაძღომად დაკვი-
ვართ, ქართლი მოვირბინეთ, და ახლა კახეთში მივალთ.

წინამძღვარს გაეცინა, უბოძა სასლი და უბძანა: იოანეც და შენც
ჩემთან მოდიოთ ვახშმად და ერთად შევექტეთ. ზურაბ მადლობელი
წარვიდა, იოანე დაბინაკდა და ვახშმის დროს მოვიდნენ წინამძღვარ-
თან. წინამძღვარს ეანბორა იოანე, მან მშვიდობით მოიკითხა, და
ამისი ვინაობა იკითხა, ამან ყოველივე ცხად უყო, და უკანასკნელ
მოიღეს ვახშმი, რა მცირეს შეექტნენ. წინამძღვარმან გამოსცადა
იოანე საღმრთო წერილებში და მონოზონთ ყოფაქცევისა საქმენიცა
გამოჭკითხა, ყოველივე კარგად მიუგო, და მერე ჩქვა.

ანგელოსთათვის.

წინამძღვარმან. ვინადგან პირველ ყოველთასა ღმერთსა მიერ
შეიქმნეს ანგელოსნი ჩვენ მიერ ვითარ გულის სმა იყოფების მათ-
თვის.

იო. ანგელოსნი არიან არა რისივან ყოფისა არსად შექმნილ-
ნი ღვთისა მიერ, რომელნიმე გვარნი უფსრუელისნი სულითა, მარ-
ტიენი, და სავსე არსებანი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი,
რომელმან შექმენ ანგელოსნი შენნი სულად, და მსახურნი მისნი
აღად ცეტხლისა, ღმერთმან შექმნა საკუთრად მონებისა მსახურები-
სა და ქებისათვის თვისისა, რომელნიცა თანამდებ არიან აღსრულე-
ბად ყოველსა ქვეყანასა ზედა ბძანებისა ღვთისა, და კვლად რათა
უარ ყოფდენ სოფლისათვის და მკვდართა მას შინა, და მსახურე-
ბენ კაცთა და წინა უძღოლიან მათ სასუფეველისა მიმართ ღვთისა,
და კვლად მიცემულ არიან დაცვად ქალაქთა სამეფოთა, დაბათა სა-
მზრუნველოთა, ეკლესიათა და კაცთა მონოზონთა, ერისაგანთა,
რომელთა მიერ რწმუნებესთ ზრუნვა სარგებლობისა, ჩვენისა, გა-
მოხსნა ცოდვათაგან და შეწეკნა განსაცდელთა შინა ვითარცა დას-
წერს საღმრთო მოციქული. ხოლო ანგელოსმან უფლისამან ღამე

განუხვნა კარნი საზერობილისანი და გამოიყვანნა იგინი და რქვა მი-
კედით და დადგით და ეტყოდეთ ტანძართა შინა ერსა მას ყოველ-
თა მათ „სიტყუათა ამის ცხოვრებისათა. (სამოციქ. 5, 19 და 10,) „და
კვალად ჭრქვა პეტრეს ანგელოსმა მოიბრტყ და შეისსენ სან-
„დალნი და შეიმოსე სამოსელი შენი და შემომიდეგ მე, და პეტრე
„მოკვრ გონებასა თვისსა და თქვა აწ უწყი ჭკმარითად რამეთუ
„მოკვლინა ღმერთმან ანგელოსი თვისი და განმარინა მე სელთაგან
„ჭეროდესთა და ყოვლისაგან მოლოდებისა ერისა მის ურათასა
„(საქმე 12, 8 და 11) და კვალად მთარველ არიან ყრმათათვის მცი-
„რეთა, კითარცა ბძანებს თვით უფალი ჩვენი და მაცხოვარი, რამე-
„თუ ანგელოსნი მათნი მარადის სედევენ პირსა მამისა ჩემისსა, რა-
„მელ არს ცათა შინა“ (მათე. 18, 10) მარადის მეოს არიან წინა-
„შე ღვთისა და შესწირვევენ მისსა ღოცვათა მოწყალებისათა ჩვენთა-
თვის და ყოველთა ზედა საქმეთა კეთილთა.

წინამძ. მამ ღმერთი არა სედავს მოწყალებათა ჩვენთა, ანუ კე-
თილთა საქმეთა ჩვენთა, ანუ ღოცვათა ჩვენთა?

იო. გარნა სოლო თუ ღმერთი არა სედავს მოწყალებათა ჩვენ-
თა, ანუ არა გრძნობს კეთილთა ღოცვათა ჩვენთა, მან ყოველივე
იცის და უწყის, რომელი განიხილავს გულსა და თირემელსა, არა-
მედ იგინი შეამდგომლობენ ჩვენთვის, და ძეკლთა მათ შინა ჭსჯულ-
თა კიდრე მოსეს მიერ მოეცემოდა ჭსჯული იგი ღვთისა, ანგელო-
ზისა მიერ ისწავეს ჭსჯული და ნება ღვთისა პირველთა მათ მამა-
თა ჩვენთა და ასწავებდეს გზათა ცხოვრებისათა, კითარცა ჭსწამებს
სადმერთო დიონოსიოს, „და ოდეს მოეცა ჭსჯული ასწავებდეს და
წინა უძლოდანი კეთილისა მიმართ“ სოლო ამასვე ცხად ჭყოფს სა-
დმერთო წყრალი, კითარმედ ჩვენებათა მიერ ანგელოზისათა წინას-
წარ ჭყოფდეს, წინასწარ მეტეველებდეს, კითარცა ესწავა იოსებს
ანგელოზისა მიერ კრძალვად ჭეროდესაგან, რომელსა იტყვის მა-
ხარებელი „აჭა ანგელოსი უფლისა გამოუჩნდა ჩვენებით იოსებს და
რქვა: ადდეგ და წარყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ივლტო-

დე ეგვიპტედ და იუაკ მუნ ვიდრემდის გრჭკვა შენ, რამეთუ ეგუღუკობის ჭკრადეს მოძიებად ყრმისა მავისა და წარწემენდად ება“. (მათე 2, 13).

წინამძღვარი. ანგელოზნი გოფარკენ შიშისაგან და ანუ თუ იხილა ვინმე ვითარ არ შეძრწუნდებინ.

იო. ვითარცა ჭსწერს საღმრთო მასარებელი ზაქარასას „მჭსგავსად ჩუუღუბისა მღვდლობისა ჭსკდა მას საგმეკელისა კეკვა და შეკიდა ტაძარსა უფლისასა, და ეჩვენა ანგელოსი უფლისა მღვდომარე მარჯვენით საგურთხეველისა, და შეძრწუნდა ზაქარია იხილა რა იგი და შიში დაეცა, ჭრჭკა მას ანგელოსმან მან „ნუ გეშინია, ზაქარია, რამეთუ შეესმეს შენნი, კადრებანი და სხვანი“, (ლუკა. 10 მუსლი 11, 12, 13,) ხოლო აქვთ კაცთა შიში და მოკიდება ანგელოსთა, რადგან მსახურნი არიან ღვთისა და მისთვის შეძრწუნდებინ.

წინამ. ღვთის მშობელი რაღად შეძრწუნდა ანგელოზისამიერ, სარებაზედ?

იო. ამისთვის, ვინაიდგან პირველი დედა ევა შეჭსტდა კმხაკი-საგან, და გამოკარდა სამოთხიდაძ, ამისმან მიმსედმან მარამ ნუ თუ ესე მოკითხვა მისკე იუოსო და ამისთვის შეძრწუნდა, და მერე ანგელოსმან კადნიერ ჭყო და ასწავა, სული წმინდა მოვიდეს შენსკდა და ძალი მადლისა გოფარვიდეს შენ, და ჭრჭკვა: მარამ ვარ მსკვლი უფლისა, მეუკენ მე სიტყვისაებრ შენისა. (მასკე თავში იხილე მუსლი-ში 36 და 28). და აგრეთვე სხვათაცა საღმრთოთა საქმეთა ცხად ჭყოფენ, ვითარცა გამოცხადნეს მწყემსთა, რდეს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ჭვახსა შინა და სხვანი (ლუკას. 1, 10, 11.) ხოლო ჭირთაგან ხსნა რდესცა, მხურვალის გულით შეკეკედრებით ანგელოზთა, მამინ იოტებენ მტერთა მათ სულთა ჩვენთასა, რდეს გულის ხმის ყოფით ვსადლოთ მათ, რამეთუ ღვთისა მიერ მოცემულ არიან მოფარველად და მტკველად ჩვენდა, ვითარცა იტყვის მეფესაღმუნე, რომელნი ხადოდეს უფალსა „რამეთუ ანგელოზთა მისთა და უბძნებოეს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა სულთა

მათაჲცა, აღვიპყრან შენ ნუსადა წარჴსტე ჴვასა თერხი შენი“.
(ფსალმ. 90, 11.)

წინამ. რაკდენ გვარად განიყოფებიან ანგელოსნი?

იო. დიონოსიოს იტყვის, არიან განყოფიანი მათნი ცხრად დასად, და ცხრა ესე დასნი სამად ნაწილად, პირველნი იგი მდგომარე არიან უმსხლობელეს წინაშე ღვთისა, რომელ ესე არიან, საყდარნი, სერაბინნი და ჴერაბინნი. მეორედ უფლებანი, ძალნი და სელმწიფებანი. ხოლო მესამედ მთავრობანი, მთავარ ანგელოსნი და ანგელოსნი, ესრეთ მდგომარე არიან, რამეთუ უმალესთაგან მიიღებენ ბრწყინვალეებასა და მადლსა საღმრთოსა, უჴვემოეს მდგომარენი იგი ანგელოსნი; ესე ანგელოსნი დაემტკიცნეს მადლითა ღვთისათა საუკუნოდ, ამისთვის მიიღეს მადლი ესე, რამეთუ ვერ შემძლებულ არიან შეტრდობად არათუ ბუნებისაგან თვისისა, არამედ მადლისაგან საღმრთოსა.

წინა. მთავარ ანგელოსობა რასა ნიშნავს?

იო. უფროსობას ანგელოსთა ჴედა, გინა პირველობას, გინა მთავრობას.

წინამ. ვის მიეწერება ეგე?

იო. მისაილს და გაბრიელს, საღმრთოთა წერილთა შინა ძველისა და ახლისა ჴსჯულისათა.

წინამ. კვლად არიან ვინმე სასულსა ჴვეშე დაწესებულნი ანგელოსნი.

იო. არიან: რათეელ, იოელ და ურიელ, შემდეგნი ამთნი გამოცხადებულნივე საღმრთოსა წერილსა შინა.

წინამ. მისაილს რა მნიშვნელობა აქვს, და ანუ ვითარსა მსახურებასა შინა არს?

იო. მიქაილ ნიშნავს ძალთა ერის მთავარსა, ანუ ღმერთი ძლიერებისა, ესე ლექსი წარმოებს, ებრაულისაგან მისაილ, აგრეთვე ბერძნულადცა, ხოლო ესე უფრორე ბრძოლისა ანგელოსი არს, ვითარცა ჴსწერიან ბიბლიასა შინა, ვითარცა ისრაილთ შეეწია და წინა

უძლოდან ხონას, და სასწაული მისი გამოჩნდა, და სხვანი. (4. მუ-
ფე. 19, 35.)

წინა. გაბრეულ რადს ნიშნავს?

იო. გაბრეულ კაცი ღვთისა, ანუ სახე ღვთისა. ეს არს მშვი-
დობისა მასწარებელი, და კეთილთა მაუწყებელი ღვთისა მიერ, კი-
თარცა მოივლინა ზაქარია წინასწარმეტყველისა, და ღვთის მშობ-
ლისა მიმართ. (იხილე ლუკას. 1, 9, 11. კვალად მუხლში. 36,
38.)

წინამ. რაფაელ, იოელ და ურეელ რას ნიშნენ?

იო. რაფაელ, — გურონებს ღვთისა, ესე არს ნუგეშინის ცემის
ანგელოსი *) იოელ, ნების მოქმედი, გინა საყვარელი ღვთისა, გი-
ნა წინამძღვარი, ესე არს კაცთა შემწე ძილთა შინა, და მოვარკველი.
ურეელ, ცხოველი საღმრთო, ესე არს კაცთა, ცოდვისა დამაბრკო-
ლებელი და განსაცდელთა შინა შემწე.

წინამ. კითარჯერ-არს ჩვენდა გულის-ხმის-ყოფად ბოროტთა
მათთვის ანგელოსთა?

ბოროტთა ანგელოსთათვის.

იო. ბოროტნი იგი ანგელოსნი ღვთისაგან კეთილად შეიქმ-
ნეს, რამეთუ ღმერთმან კეთილად ჰქმნა იგინი, არამედ იგინე ნებით
თვისით იქმნეს ბოროტ, კითარცა სწამებს უფალი ჩვენი მთავართა
მათთვის, რამეთუ იგი კაცის მკვლელი იყო დასაბამიდგან და ჭეშ-
მარტუბისა არა დაადგრა, და ჭეშმარიტება არა არს მასთანა, ოდეს
იტყვიან ტყუილსა, თვისისაგან გულსა იტყვიან, რამეთუ მტყუარ
არს და მამა სიცრუისა. (იოანე სასწარება 3, 4.) ესენი არიან დასა-
ბამნი ყოვლისა ბოროტისა, და მკობხარნი საღმრთოსა დიდებისა-
ნი, და ორღანონი საცთურთანნი, ესენი აცთურებენ კაცთა და მოა-

*) ვითარცა ტობიას მიმართ მოივლინა, და მან მიჰსცა მცნება და
ჰსცა ნუგეში. (წიგნი ტობია 6, 16. და შემდეგნი ამისი იხილე.)

კვდინებენ სულთა, ვითარცა გვასწავებს წერილი, განითრთხვეთ მღვიძარე ივეკნით, რამეთუ წინა მოსაჯული თქვენი უშმაკი, ვითარცა ლომი მუვირალი მიმოკალს და ეძიებს ვინმცა შენთქვა იგი, (ა. ჰეტრე 5, 8.) არამედ ჯერ არს ცნობად, რამეთუ ვერ ძალუძს უშმაკთა მხილვებად კაცთა ძალითა თვისითა, გინა სხვისა რომლისამე დაბადებულისა შესებად თვინიერ მიშვებითა ღვთისათა, რომლისათვის ჭსწამებს წერილი. ხოლო უშმაკნი ეგედრებოდეს მას და ეტყოდეს, უკეთუ განგვასხამ ჩვენ, მიბძანე მისულა კოლტსა მას ღორთასა, და რქვას: მიგედით. (9, 11.) ესეცა სათანადო არს ცნობად ყოველთა მიერ, რამეთუ ვერ ძალუძთ მოყვანებად კაცთა ძალითა ცოდვისა მიმართ, არამედ აქვსთ, ძალი განსაცდელისა მიღებად კაცთა ზედა, რამეთუ თვით ხელმწიფად დაებადა კაცი, ვინაიდგან რომელინი მიეტყვიან სასჯელსა საუკუნოდ აღარა მითვალვენ ნიჭსა საღმრთო მადლისასა, ვითარცა იტყვის წერილი, წარკვდით ჩემგან წყუელნი ცეტხლსა მას საუკუნოსა, რომელი გამზადებულ არს უშმაკთათვის და ანგელოზთა მისთათვის. (მათე. 25, 41).

წინამ. უშმაკი ვითარ იგულისხმების?

იოა. უშმაკი ბერძულად ნიშნავს შემსძენელს, ხოლო საზოგადოდ სახელი ბორცოსა სულსა და სხვებრ მოღებულ არს მთავრად უშმაკთა, მათე (4, 1.) (მათეს. 45, 41.) კვლად საწუთოდ, გინა უამიერად, გინა ჭმუნვად, „აგრეთვე ავი კაცი დაიდებს, მსგავსად; დასასჯელსა, ნუ ახალ ნერგთათა არა განლაღნეს, დასასჯელსა შეუარდეს უშმაკისასა“.

რომელმან ჭქმნეს ცოდვაი, იგი უშმაკისაგან არს, ამის მიერ ცხად არიან შვილნი ღვთისანი და შვილნი უშმაკისანი. (ტიმოთ. 3, 6. იოანეს ეპის. 3, 8, 7, 9. კვლად იხილეთ ზემოთ, მათეს თავი ში. 15, 41).

წინამძღვარი. უშმაკთ მთავარნი რადუნნი არიან და ანუ ვითარ იცნობებიან ჩვენგან?

იო. სამნი არიან მთავარნი ეშმაკთანი, სატანა, სამიელი და კე-
ლიარ, ანუ ბელიერ.

წინა. რა მნიშვნელობა აქვს მათ?

იო. სატანა არს ლექსი სირიული, რომელიცა საკუთრად ითარ-
გმნების წინააღმდეგად. ესრეთ წერილთაცა შინა იწოდების მთავრად
ბორცოთა ანგელოსთა. კვლად საზოგადოდ ნიშნავს წინააღმდეგსა
ნებისა ღვთისასა ბორცოებისაგამო, ესრეთ, ვითარცა იუდა გამტე-
მელი. და შემდგომად მიღებისა იუდასა ჰურისა მის, შევიდა მისსა
ეშმაკი, (იოანე 13, 17.) და ანუ რომლისაზე სიმარტივისაგამო და
მიუძვდარობისა ვითარცა პეტრე მოციქული, ხოლო თავადი მიქე-
ცა პეტრეს და ჭრჭვა: წარგედ ჩემგან სატანა. (მათე. 16, 23). აგ-
რეთვე ვითარცა ჭსწერს მოციქული, მიტყმად ეგე ვითარი იგი ეშ-
მაკსა, (კორინ. 5, 6). ესე იგი: მოკლებად ზიარებისა კეკლესიისა-
გან და განგდებად კრებათაგან მართალთა.

სამიელ, უკეთურად, ანუ უფროს უგრძნეულეს დევისა იგული-
სხმების, ვითარცა ხმარობენ სიტყვასა შინა ყვედრებისასა, რომელ
დევი შესრულ არს შენ შორის. ესე იგი სამიელ კვლად ვითარცა
იტყვის ისაია, ვსედაჲ ადგილსა ამას დევთა სამკვიდრებულად, ესე
იგი სამიელისა და შემდგომთა მისთა:

ბელიარ, ანუ კელურ არს ბერული, რომელიც ნიშნავს არა რა-
ისადმი სახმარისა კაცსა; ხოლო ებრაულად უვარგსა, რომელსცა არა-
ვისდამი სარგებელ ეუოფვის, არამედ წინა აღიდგ მისა, ხოლო
სხვანი რომელნიმე აწარმოებენ ლექსსა ბელიარისასა ებრაულად, რომ-
ელ რათამცა გამოსატულ ჭყოფს კაცი არა დასჯილი, რომელიცა
ნიშნავს, ნიშნავსსა უღელსა, ესრეთ, რომელ რათამცა გამოსატულ
ჭყოფს კაცი არა დასჯილი, რომელიცა ნიშნავს ბერძულად სასული
ესე ველიარისა საკუთრად ეშმაკსა, ვითარცა ჭსწერს მოციქული: ანუ
რა შეტყუება არს ქრისტესი ბელიარისთანა. (კორ. 6, 15).

წინამ. ეშმაკნი რასთვის გარდმოსცვივდენ ზეცით, და შემდ-
გომ გარდმოსცივნისა სადა მკვიდრობენ?

იო. ამჟამად უნებურად და შურისა გამო, ვინადაც კუშმაკნი იყვნენ მეოთხე მეწესენი, რომ ვითარცა ზემოთა ანგელოზთათვის სთქვი და ესენი იყვნენ ქვემოთა მდგომარე ყოველთა, მასინ მთავარმან ამათმან სატანამ განიზრახა სხვათა თანა და ჭსთქვა, ვითარცა ჭსწერს წინასწარმეტყველი „აღვიდე ღრუბელთაზედა და დაუსდგა საყდარი ჩემი უარსკვალათაზედა და ვიქმნე მჭსგავს მადლისა.“ და ამ განზრახვით განაჩინეს ღმერთი და მვისვე განსქდნენ და გარდმოსცვი-ვდენ. (ესაია 12, 13 და 14.) და კვლად ვითარცა ჭსწერს მოციქული „ანგელოზნი, რომელთა იგი არა დაიმარხეს თვისი იგი სამთავრონი, არამედ დაუტოვეს სამკვიდრებელი მათი სასჯელად დიდისა მის დღისა, საკვირეულებითა მით სამარადისოთა, წყვიდადსა ქვეშე დაჭმარხნა. (იუდა. 1, 6). ხოლო სხვანი საღმერთო წერილნი ამტკიცებენ, რომელ სამ წილად დაშთნენ გარდმოსცივნულნი იგი კუშმაკნი. ჭაკსა ზედა, ქვეყანასა და ქვესენელსა ქვეშე.

წინამძღვარი. მიხარის შენთვის, იოანე, ვარცა მივიღია ჭსწავლა, და უბძანა შემარხეს: მოართვი იოანეს ჭაშნიკი ზირჯვარის ქვეკრიდამ, ღირსდა დაღიოს იმ ღვინიდაცან. რა მოართვეს იოანეს, მვის ადღგა და შესო სადღეგრეველო წინამძღვრისა, დიდად მოეწონა და ჭრქვა: სამართლად გიწოდებიათ სასული ესე.

წინამ. გამოსცან თუ რანსათვის უწოდეთ სასული ესე?

იო. ვგონებ სათნოდ მეფეთა, და დიდებულთათვის.

წინამ. ვითარ?

იო. ვინადაც მეფენი ჩვენნი და დიდებულნი მათნი დიდად მოწმუნენი არიან, და გიწნობენ ღირს ვარცად, თქვენგან მირთმეულს ამ ქვეყრის სასულით ღვინოს უფროს სიამოვნით მიიღებენ, ვიდრე სხვათა ღვინოთა.

წინამ. არა შოროს ხარ.

იო. ამ გვარი ყოფა ქცევა უფრო მძიმე არ არს მონაზონთათვის.

წინამ. სხვანიც ბევრს რასმე მწამობენ, მაგრამ თუ ასე არა

გქმენ, მონასტერი ნაკლულებანებაში მოვა. და ამ საქმით ეს სოფელი აღუშენე, წისქვილი, ზეარი და სხვა მამულები ბევრი შექმატე ჩემს მონასტერს.

იო. კადნიერება ნუ იქნება, ოჯახების წახდენით და ქალაქ მოხვედრით უგანონოდ, რა სარგებელ არს.

წინამ. მე უწინ არ მინდოდა მსოფლიურს საქმეში გარეკა, და რადგან ვაკურე, და არ მომეშენენ, მცირე რამ მსოფლიურიც უნდა ვიხმარო, თორემ მე ერთი გლეხის შვილი ვარ, რა პატივი მექნება თუ ამ სახით არ ვიყო.

იო. უი ჩემ თავს! ეგე მონაზონთ არა შეენის, თვით თავისი ღირსება არ დაუგარგავს პატივსა, ვისიც შვილი უნდა იყო.

ზურაბ. უფალო წინამძღვარო, მეც მჩვენეთ ზირჯვარის ქვეყნის ღვინო. მისცეს ჯამი სამსე, რა შესვა ზურაბმან, ადღა და მეტანია უყო წინამძღვარს, და ჰსოქვა: ეს არათუ ზირჯვარის სახელის ღირსია, არამედ მეტანიის წოდების ღირსიც უოფილაო. რას ანობს ეს ბერი, რატომ თავის წინამძღვარს არ აძლევს მცნებას. თვითო ყიდე გვიბოძე ამ ღვინისა, და შენდობას მოგცემთ. თქვენ როგორც გეწირათ ისე ჰსწირეთ.

წინამძღვარმან გაიციან და ამას სიტყვით დაასრულეს ვახშამი. იოანე აღსდგა, მადლობა მოახსენა, და ხვალისათვის თელავს წასასვლელად გამოეთსოვა. წინამძღვარმან აღუთქვა ჩუქება ღვინისა და იოანე მადლობელი წარვიდა სადგურსა თვისსა. იმ ღამეს მუნ განისვენა და ხვალისა დღეს ადრე აღსდგნენ, სავზალი მოიმზადეს, და თელავისაკენ განემგზავრნენ, სადღილი გომბორის მთაზედ მიიღეს, და ვახშამისათვის თელავს დაამტკიცეს მისგლად.

დღე მეათეერთმეტე.

წარსული მუნით მივიდნენ თელავს, იოანეს ჰყვანდა მუნ მცნობი მოსახლე, მასთან მივიდა, მშვიდობით მოიკითხა, მათ მ-

შინვე მიიღეს იოანე, მტირე ხანს განისვენა მუნ, იოანემ საგზო ტანისამოსი გამოიცვალა, ზურაბს უთხრა, მე წავალ რეკტორს დაკითხან და შენ აქ მომიტადე. და ესრეთ წავიდა იოანე. რა მივალს სკოლად, სკოლისა კარსა ზედა მდგომარეს იხილავს ერთსა მოწაფეთა მისთაგანსა, და ეტყვის იოანე: ძმაო! რეკტორი შინ ბძინდებ და ანუ რასა იქმს? ინახება? მან მოუგო: შეგედ და იხილავ. იოანემ მსწრაფელ კარი გააღო, და შევიდა სახლსა მას შინა, სადაცა რეკტორი მყოფობდა, იხილა ზურგით კერძო მჯდომარე, ძაძით და ამასთან კატა ერთი თაბალა შეყრილი ფეხებში, და უწყალო ტემუღი, რომელიცა საწყლად ჩხაოდა, და ესმოდა ხმა ამასთან. „კვლად იქმ ქურდობას?“ გარნა რეკტორმან კერა ჰსცნო იოანეს მუნ მისჯა და. რა იოანემ კატა ეს გვარსა მდგომარეობასა შინა იხილა, ჰსთქვა: გმადლობ შენ უფალო, ჩვენი ფეხები მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყოვნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გამოვსცნა თუ რაისა სასწაულისათვის ასე უწყალოდ ჰსტანჯავს. და მაშინ შემბრალე იოანე წინ წაიღვა, და რქვა: მომღვარო! რა შეცოდება აქვს მაგ საბრალოს, მანატიკეთ! რა რეკტორი იხილავს იოანეს, დაუტყუებს ტემს და ეტყვის; ბიჭო დიაკვნო, საიღამ მოხვალ, და ანუ ამა კართა ხშიულში ვით შემოხველ? თუ ხმა არ გაგეცა, სული რაიმე მეგონებოდი.

იო. ბორცოტი თუ კეთილი?

რეკტორი. ეგ შენს ყოფაქცევასედ არის დამოკიდებული.

იო. მე თქვენი აღზრდილი ვარ.

რეკტორი. კარგი, მერე ვიუბნათ ამ გვარებდისთვის. მითხარ, საიღამ მოხვალ?

იოანე. წინამძღვარმან გამომგზავნა, სთლობის დროს ღვინოს სათხარუნელად, ქვაბოასკვის მონასტრისათვის, და აქ ვიასულ, თქვენის ჰატივის საცემლად და დარბეზებაც უნდა მომცეთ თუ ვითარ მოვიქცე.

რეკტორი. კარგი, დაჯექ ბიჭო.

იოანე დაჯდა რა, მცირე იმუსაიფეს იოანემ რქვა: კადნიერება
ნუ იქნება უფალთ მოძღვართ, კატას რათა ჰსცემდით და ანუ რას
ასწავლიდით?

რექტორი. თვენი მომხარა და შეჭამა, და ამისთვის ვცემდი,
ქურდობა მოვაშლეინო.

იო. მშიერს რატომ ინასამ, მაგის მიზეზით შესჭამდა იმ
თვეს.

რექტორი. ამისი ვალა თაგვი უნდა ინადიროს და იმით და-
რჩეს.

იო. კატის თვისება არის, რაგინდ მამლარც იყოს ერთი ან-
ტიპატია აქვს თაგვზედ, რომ მანც ინადიროს და შეუტყვს.

რექტორი. იგი ბიჭო ანტიპატია თუ რა არს?

იო. ვიცი.

რექტორი. ჰსთქვი!

ანტიპატიისათვის.

იო. ანტიპატია, არს ბერძული ლექსი, რომელიცა ნიშნავს სი-
ძულვილსა ერთის ნივთისას მეორისადმი წინააღმდეგ; და ითქმის
გონებით, რა გვარიცა ბუნებითად, ეგრეთვე, ზნობითად. ჰირველად
იგი არს ესე გვარი თვისება სხეულისა, რომლისაცა იგი ბუნებისა-
მებრ სხვათა წინააღმდეგ და მოძულე არს ესრეთ, რომელ ერთი მე-
ორესა ვერაოდეს მოუთმენს, ვითარცა სხვა და სხვა. გვარი გამო-
ცდილებაცა გაჩვენებს: მაგალითისამებრ, მგელსა არ ძალუძს დათქე-
ნად, უკეთუ იხილოს სადმე განმარტებით ცხოვარი, რომელმანც არს
მიმართოს განსარყვნელად. ეს სახედე ძალსა ვურდელისადმი,
კატას თაგვისადმი. ეს სახედე მოიღების კაცზედაც. რომელ ჰსძულ-
დეს რამე ნივთი ანუ საჭმელი, ანუ სხვა რამე ცხოველი ესრეთ
ბუნებით, რომელ არ შეეძლოს მისა მიასლოება, ეგ სახედე ოდეს-
ცა აუკადების ასკილი, და აქვს ვისმე შენახული ვარდის წყალი, მა-

შინ სუნსა დაჭკარგავს იმ აყვავების დროს, ეგრეთვე ღვინო ჭკვერსა შინს, და ლუდის წყალი ჭერის აყვავების დროს აიძვრევის. ხოლო ზნეობითი ანტიპატია არს გონებით წინააღმდეგ ზუნებისა ჩუქულებითა ესრეთ, რომელ ოდესცა ვინმე ერთსა უკვე ნიკოსა მოიწონებს, შესაძლებელია მეორემ დაუწუნოს. ეს სახედვე, ერთმან ვინმე კეთილად ჰსცეს მცნება მეორესა, ხოლო მან არ შეიწყინოს, ერთს უნდა მშვიდობა, ხოლო მეორეს შოგოთი და ამის გამო ერთსა მეორის დათმენა არ შეუძლოს, და ესრეთ უმორეს, რეკტორმან მოუწონა. კვლად იოანემ ჰკითხა, ძაძა რასათვის გაცვიათ ვინ გარდაცვალებიათ?

რეკტორმან ღვიძლითაგან აღმოიხსრა, და ჰსთქვა: არ გებრალბი, ჩემი საუკარელი მეუღლე, ჩემი დამტირებელი ასუა ხმაღაძეს ასული კეთილშობილი, უწყალოს სიკვდილის ნამტლით განამტლულ იქმნა და დაუწიებისა სამარეს შეეყენა. იოანემ. უი, ჩემს თავს! გწუხ, რომ ამ მდგომარეობაში გხედავ, და უგაცრავადც დაგრჩით, რომ სამძიმარი ვერ მოგახსენეთ. რეკტორმან მადლი უთხრა, და აღმოლო სამძიმარის წიგნი: რომელიც მიეწერა თავის ცოლის ძმისათვის და უთხრა: აჰა იოანე, ყური მოუგდე ამ წიგნს, ამათ ჰსცნობ ჩემგან იმ გარდაცვალებულის სიყვარულს. და იწუო კითხვად, რომელსა შინს ეწერა შემდგომითა ხატითა ესრეთ: „კეთილშობილს ხმაღაძე გოგონას.

გასაწელებული, გამაღლებული, ცხოვრება გასამსალებული, მუფარნი, გაბეზრებული, პირველად ჩემის თავის ჩემის ხელით მკვლეული, მეორედ ჩემის მშვენიერის უცხოს უმხანაგოს, უცხოს სდილის ჩემის სასურველის, ჩემის თვალის სინათლის, ჩემის გულის ღვინების, ჩემის ამ სოფლის დიდების, ჩემის სიცოცხლის ცხოვრების, ჩემის უცხოდ მოცინარის, ასუას მკვლეული, მესამედ ჩემის დამარხველად გამოსაღადებული ძმა მევანდი, შენი მკვლეული, ვაიმე, ვაიმე, რატომ არ მომკლავ, რატომ ჭკით არ ჩამქოლავ, მე გონება ჭკა ქმნილი და ასურასტნელი მოუჭრეველი, ვაიმე ბაბილოკნელი უგუ-

რნებული“ და კვლავ მოითმინა, თვალი ცრემლით აქმსო და დაიწყო ტირილი და თავის თავის ღანძღვა.

იოანე ნუგეშსა ჰსცემდა, და ეუბნებოდა: თქვენ მეცნიერი ბძანდებით, და ეკ გვარი ღანძღვა და შეურაცხ ყოცა თავისა თქვენისა არა გშენისთ. ჰსჯულის კანონი ხო კარგად იცით, რამი ცოლი კიდევ გერგებათ, და ამ ძწუსარებით რამ მოიკლათ თავი, ხომ კიდევ წარწყმდებით, და ამ ღანძღვაკში, სვიმონ მდივანიც შემოვიდა და დაატყუებინეს დავითს წიგნის წაკითხვა და ტირილი და უთხრა მდივანმან: ჯერ არ გაგვიგონია, ახალია მაგ წიგნის წაკითხვა, რა არის, ვინც მოვა შენს სახსავად მაშინვე მაგას წაუკითხავ, ვინ უნდა მოატყუო, თუ გყვარებოდა შენი ძეუღლე, შენთან გყულოებოდა. გამგონე ამისი რეკტორი, წამოხტა, ძაძის ტოლომა იქ გააგდო, და იურორე სახლში გაიჭრა, და ავის ღანძღვით დაუწყო გინება მდივანს. უკანასკნელ რითაც ღონით იყო დაამშვიდა რეკტორი იოანემ, და ვახშმის დრომაც მოაწია. მდივანმან მოაღებინა თვისი ვახშმი, აგრეთვე რეკტორმან და დასხდნენ ვახშმად, მცირე ხან შემდგომ, მდივანმან იოანეს თავისი ვინაობის ამბავი გამოჰკითხა, მერე ჰქვია: ბატონს რეკტორს რამ ებარებინა, ვინც მაშინ ზოგი რამ ისწავლეთ და დანაშთი ჰსწავლანა შეისრულეთ თუ არა? იოანემ. ჰუ ძალითა ღვთისათა.

მდივანი. ვისთან?

იო. იასტოლსთან და სხვათაგან.

მდივანი. რაი არს ფილოსოფია?

ფილოსოფიისათვის.

იო. ფილოსოფია არს მცნობელობა, ბუნებისა და თვისებისა დამაფუძნებელი მცნობელობათა ზედა გამოცდილებათა და განზრახულობათა ჩვენთა.

მდივანი. რასა ნიშნავს ლექსი ფილოსოფია?

იო. ბერძნულზე ნიშნავს სიბრძნის მოყვარებას.

მლიევან. რადენ ნაწილად განიყოფების ფილოსოფია?

იო. ოთხად: ესე იგი ლოღიკა, ზნეთ ჰსწავლულება ანუ ითიკა, ფიზიკა და მეტაფიზიკა.

მლიევანი. რაი არს საზღვარი ფილოსოფიისა?

იო. ფილოსოფია არს ცნობა საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა და მიზეზთა მათთა. გინდ ესრეთ ვჰსთქვათ. ფილოსოფია არს მჰსგავსება ღვთისა რადენ ძალუმს კაცსა.

მლიევან. კარგათ მომიგე. მითხარ, რაი არს ლოღიკა?

ლოღიკათვის.

იო. ლოღიკა არს ჰსწავლა, მაჩვენებელი კანონისა, რომლისა ძლით გონებია ჩვენი მოქმედებად თანამდებ არს, მცნობელრებათა შინა ნიუთთასა, ვითარცა საკუთარისა მოძღვრებისთვის თავისა თვისისა, ეგ სახედ სხვათა მოძღვრებათა თვისცა. ეგრეთვე იგი მოგვცემს ჩვენ ნამდვილთა კანონთა განსაზღვრებად ყოველისა ჩვენ საგნისა, განაწილებად, განსჯად, და აღმოჩენად კანონიერითა შედრგინებათა.

მლიევანი. რასა შინა მდგომარეობს ჰსწავლა ესე?

იო. იგი მდგომარეობს განსილვასა შინა ოთხთა მოქმედებათა კაცისა გონებისათა, სახელდობ: შემეძცნებასა, განმსჯელობასა, გონების შემცველობასა და მეტოდისასა.

მლიევან. რადენ ჰგვარობს ზედ მიწეკნილება კაცისა?

იო. სამგვარობას: ცნობა ისტორიებ, ანუ ღიეტონი ცნობა. 2. ფილოსოფოსებრ. ხოლო 3. მათემათიკებრი.

მლიევანი. მითხარ თუ ვითარ სახედ?

იო. ოდესაც ნასროლის ზარბაზნის ხმა მოგვესმის, ესე საზოგადო ცნობა არს, და ესე არს ღიეტონი. და ოდეს, ვსცნობთ თუ რაისა მიზეზისათვის, ესრეთ ძლიერ განვარდა და ხმამან მის-

მან შექსპირს ადგილი, ესე ცნობა თილოსოფოსებრია.

ხოლო რადეს გამოკვსცნობთ: თუ რაოდენმან თოფის წამალ-
მს, რაოდენი ტყვიას, რაოდენს ხანსკედ განტყორცა, მასინ ეს გეარც
ცნობა, მათემატიკებრია.

მდივან. რაი არს შესმენილი?

იო. შესმენილება არს მისისა ქვემდებარისადმი მოლება, ანუ
დარტკა სიტყვათა, ანუ საქმეთა, ესე იგი, ანუ ნათესავი არს, ანუ
სხვაობა სახეთა, ანუ სახე არს განუკვეთელთა, ანუ შემთხვევითნი
არიან შესმენილნი მის აზრებისანი, რომელსაცა შინა მდგომარეო-
ბენ, და შეისმინებინ ქვემდებარისადმი მათისა; მაგალითი: კაცი არს
ცხოველი, აწა ნათესავი შესმენილი სახისა მიმართ თვისისა ანუ ქვე-
მდებარისადმი თვისისა. კაცი არს გულისხმის ყოფით ნიჭებული,
აწა სხვაობა სახისა, შესმენილი ქვემდებარისადმი თვისისა; ესე იგი
სახისა. კაცი არს შეუწყნარებელი ზედ მიწკნილებისა და ხელოვნე-
ბისა, აწა თვისება არსებისა. ხოლო განუკვეთელთა შემთხვევითნი
შესმენილნი არიან ესრეთ: ზეტრე არის მოციქული, ციცერონ რი-
ტორი კეთილ, ეგგენიოს კეთილ მხედარ მძღვანი, არმან მშკენიერი,
იოანე სავყარელი მოწათვე, იუდა გამცემელი და სხვანი მჭსკავსნი
ამისნი, აწა შემთხვევითნი შესმენილნი ქვემდებარისადმი თვისისა მის
არსებისანი, რომელსაცა შორის, ანუ რომელსაცა ზედა მდგომარეო-
ბენ. კვალად იქმნების არსებითივე თვისება მას რომელსამე სახე-
სა შინა, და განუკვეთელთა მისთა, რომელიცა შესმენილებაცა არსე-
ბისადმი თვისისა, და ქვემდებარისაცა გარემოქცევისამებრ შეესმინე-
ბის; მაგალ: ყოველი კაცი მოცინარ, აწა მოცინარობა. შესმენილი
თვისისა არსებისა ზედა. კვალად ყოველი მოცინარ არს კაცი, აწა
ქვემდებარობა არსებითისა თვისებისა, და არსებისა შესმენილება.

ამ უამად შემოვიდა ზურაბ, და სალამი მიართო დაკითხ ალე-
ქსის ძესა, და სკიმონ მდივანსა, მათ დიდად იამათ, მოაკითხეს, და
მიიწვიეს ვახშმად, და მერე ჭკითხეს: თრ საიდად მოკალს? მან მოა-
ხსენა იოანესთან მოგზაურობა და ამასთან ესუცა, რომელ: მე წინა-

მძღვარძან დოსითეოს ლაღად დამადგინა ამა ბერისა, და რა დრო გადავიდა და აღარ მოვიდა სადგურსა ჩვენსა, შექმნისა ნუ უძე ქალებთან განერთო სადმე და მძებნელძან აქა-იქ, კვბოჲ თქვენთანა. ამაზედ დიდად განეტინათ.

იო. უი ჩემ თავს! შე უკუთურო, რომ გაიგონონ რას იტყვიან.

ზურაბ. ამას, დიაკვანი ქაღს მიჭზარკიაო.

იო. დააცხურე ენა შენი ბოროტისაგან. დაკით რეკტორძმანც შეჭსძინა ესე, და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა. და ამასთან სხეებ სუმრობა განგრძელდა, დაიწყეს სიცილი, ძაძინ.

ზურაბ. უფალო რეკტორო! არა გვეხართ იმ ერთს დადიანს გლოვასი *)

მდივანძან. ოღონდაც ძაძინ გაწყრა რეკტორი, ზურაბ კარში გამოგდო, მდივანი გაღანძდა, და იოანეს უთხრა: არ იცი გიყის ამსანაგი გიყი იქნებაო და რათ გაუამსანაგდი. იოანემ. ჩემი დანაშაული არ არის, წინამძღვარძან ინება მისი ჩემთან ყოფნა. რეკტორძმან. ის რა დიდი ჭკვიანი გგონია, და უკანასკნელ დასრულეს კანშაძი, რეკტორძმან უთხრა იოანეს, ხვალე მოდი მეცხრე საათსა აქ ჩვენის მოწათების ეგზამინიას (გამოცდა) და უნდა შენ გებასწუნ და იმათ სიტყვა მიუგო. იოანე აღსდგა, გამოყსაღმა და თავის სახლისაკენ წარმოვიდა, იმ დამეს იოანემ კარგად განისყენა და ხვალისათვის აღრიან აღჭსდგა და მოემზადა სკოლად წასვლისათვის. რა მეცხრე საათი შეიქმნა იოანე მივიდა სკოლად და ნახა მუნ შეკრებულნი თავადნი და სამღვდელონი, და ცალკერძო მოწათენი, რეკტორი, შუა ადგილს თავს მჯდომელი: რა ეს განკარგულება იოანემ იხილა

*) იტყვიან, რომელსამე დადიანისათვის, რომელსაც ცოლი მოუკვდა, და რომელმანც ესრედ გრძლოდ იგლოვა, რომელ შემდგომად მესამისა წლისა ძლივ მიადებინეს საჭმელად ცერცვის სირსვალი, და ერთი მათ მარცვალთავანი გაუგორდა პირშია, და სთქვა: რა ბურთაობისა რიგია ჩემგან, და მაშინ იწყო ტირილი და გლოვა კვალად.

მოიწონა, და პირველ დაიწერა პირსჯვარი და თაყვანისცა ხატსა, უკანასკნელ მართლ სალაძი რეკტორსა, მერე სამღვდელთა და მერეთ თავადთა, აგრეთვე მოწაფეთა, იოანეს აჩვენეს მარჯვენით სკამი მდგომელი, და მიიწვიეს მუნ, წინ დაუდგეს სტოლი და დაუწვეეს სამეცნიერო წიგნები. რა ყოველნი შემოკრებენ სკოლად, მაშინ რეკტორმან მცირე ზარი დააწვარუნა, და მაშინ წინ წარმოსდგა ნიკოლას ხელაშვილი, თაყვანი სცა ხატსა, წაითქვა ლოცვა, რომელსაც მოწაფენი იტვირთნენ და მერეთ დაუკრეს რეკტორს თავი, და აქეთ იქით, აგრეთვე იოანეს, და მერე დაიწყო კითხვად იოანესა, და რქვას, ნიკოლასმან. იოანე, კითხარ გრწამს მართლმადიდებელთა საწმინდოება?

იო. მრწამსი სთქვა ზეპირ.

ნიკო. რადენის მუსლით შედგება ეგე?

იო. ათორმეტის მუსლით, და სხვანიც მრავალი იუბნეს და ყოველივე კარგა მიუგო იოანემ, და მერე ჰქვას ნიკოლასმან, ყოველ დაწვებასა ღრამატივისასა, რაი სახმარ არს ცნობად?

ღრამატივისათვის.

იო. რთხნი იგი გუარნი მოძღვრებითნი, რომელნიცა შეუდგებიან, დაუძღვრებიან ღრამატივისასა.

ნიკო. რაი არს სახელები მათი?

იო. განსაზღვრება, განწკალება, აღმოჩენა, და აღლექა.

ნიკო. კვლად რაი სახმარ არს ცნობად?

იო. ესე, კითხრმედ ყოველი რამ არსობითი მკითხველი, საზღვარს ეძიებს.

ნიკო. მესამედ რაი სახმარ არს ცნობად?

იო. საზღვარსა შინა უნდა ჰსჩინდენ სამნი რაიმენი, ესე იგი: სახე, ნათესავი და განყოფილება.

ნიკო. რაი არს ღრამატივა, და ვნე საზღვარი მისი?

იო. ღრამმატიკა, ბერძნული ლექსისა, ნიშნავს მწიგნობრობასა. აჩისტოტელი საზღვრავს ესრეთ: ღრამმატიკა არს ცნობა, ვითარცა წერისა, ეგსახედ უწევს წარკითხულისა, და იგი არს ყოველთა ხელაგნებათა საფუძველი.

ვირგილსა საზღვრავს ესსახედ: ღრამმატიკა არს უძვირფასესი თვითქმის სხვათა ყოველთა თავისუფლებითთა ხელაგნებათა მცნობელობათა ზედა.

ხალა ჩვენ ვსაზღვრავთ ეს გვარ: ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართლ უბნობად და წესიერ.

ნიკო. რაი არს უბნობა?

იო. უბნობა არს ჭაზრისა თვისისა ხმითა ცხად ყოფა, და წერკა მისივე ჭაზრისა ასრებითა გამახსატკა, ხალა ვითხვას ანუ წაკითხვას არს ასრთა გამახსატყლისა მის ჭაზრისა აღმოცნობა.

ნიკო. უმთავრესნი შემადგენელი ნაწილნი ღრამმატიკისანი, რაოდენნი არიან?

იო. ოთხნი, ესე იგი, წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა.

ნიკოლ. რაი არს წიგნი?

წიგნისათვის.

იო. წიგნი არს წერილი რაიმე მნიშვნელი ასრისა.

ნიკოლ. რაი არს ასრ?

იო. ასრ არს ოხვრას რაიმე ნაწიერობითი, რამეთუ შეკვრისცა და ენების სხვისათხას ასრსა და სრულსა ხმასა გამოიღებს.

ნიკოლ. ასრნი ქართულისა ენისანი, რაოდენნი არიან?

იო. ორმოცნი, რომელთაცა უწოდთ ჩვენ ანბანად, რომელთაცა სახენი და სახელნი არიან შემდგომნი ესე:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ, ს, ტ, უ, ზ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ, ჯ, ჭ, ჰ, ტ, ს.

ნიკოლ. რაოდენ ხმოვანად განყოფილებიან ეს ასრნი?

იო. სამად ხმოვანად, ესე იგი ხმოვანად, ორ-ხმოვანად ანუ თანხმოვანად და უხმოად,

ნიკოლ. ვითარ?

იო. ხმოვანნი ასონი არიან ხუთ. ა, ე, ი, ო, უ, და ხმოვანად ამისთვის იწოდებიან, ვითარმედ თავისუფლად გამომსტეპენ სულის კვეთითა ხმათა.

ოთხხმოვანიცა არიან ეჭვს. წ, ძ, ჯ, ჩ, ჳ. ძ და აგრეთვე წ ხლელ ორხმოვანად ამისთვის იწოდებიან, ვითარმედ სულის კვეთითა ხმათა შორის გამოსტეპენ ბრჯგუდ ორხმოვანთა ხმათა, მგალითი, წ, ვითარცა ბრჯგუდ ეე. ძ, ვითარცა იე. ბრჯგუდე და სხვანი. ხლელ სხვანი დანაშთნი ასონი იწოდებიან უხმოად, ამისთვის რომელ, თვინიერ შეერთებისა ხმოვანთათანა ეერ შემდეგელ არიან თავისუფლად სულის კვეთითა ხმათა გამომცემად და არიან ესენი, ბ, გ, დ, ე, ზ, თ, კ, ლ, მ. და სხვანი.

ნიკოლაოზ. არიან სხვანიცა წერილობითნი ნიშანნი?

იო. არიან ნიშანნი მართლ წერისანი, რომელნიცა ცხადს ბრწინვალებსა მოგვცემენ, ანუ სიტუვისა, ანუ ლექსისა, ანუ ასონსა, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: , ამას ეწოდების მძიე; . ამას წერტილი, ; ორი წერტილი, ? ამას კაკითხავი, ~ ამას შემკვრელი, - ამას გარდასატანი, () ამას ფრჩხილი, * ამას სხლოლი, | ამას მასვილი, უ ამას ბრჯგუ, O ამას კრებული, ! განსაკვირველი. აგრეთვე ქარაგმან-წოდებულთაცა აქვსთ ადგილი აღრიცხვად ამათ შორის, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: ~ ამას ეწოდება საუფლო, ლ ამას სასამთავროლო, — ამას სასოგადო. და მე აღარ განვაგრძობ ამ ნიშანთა ხმაურებსა, თუ რაისა შინა სახმარ არს იხილე. დიდსა ღრამმეტეკსა შინა. (კათალიკონის ანტონის მიერ ქმნილსა).

ნიკოლაო. სულის კვეთით, ანუ ოხკრით წარმოკებული ხმა რადეინად იცვლება.

იო. ორად: ხმად და არახმად. ხმანი არიან კაცთა და ჰირუტეო-

თან, აჩახმანი აჩიან უსულათ მიერ გამოცემულნი; ესე იგი ფოთოლთ შრიალი, ქუხილთ გრიალნი, ზართა ბეგრანი, წყალთა ჩქეჩნი და მსგავსნი ამათნი.

ნიკოლ. ხმანი რამდენად იცვალეებიან?

იო. ნაწვეროვანად და უნაწვეროდ. ნაწვეროვანი ხმანი აჩიან კაცთანი, ვინაიდგან დაიწერებიან. უნაწვეროანი ხმანი აჩიან პირუტყვთა და ფრინველთა ამაღ, რომელ აჩა დაიწერებიან.

ნიკოლა. რადენად იცვალეებიან ნაწვეროვანი ხმანი?

იო. ორად, ნიშნვანად და უნიშნოდ. ნიშნოვანი აჩს, რომელიც დაიწერება, ვითარცა ცხენი, ლომი, კაცი და სხვანი, უნიშნო აჩს, რომელი თუმცა დაიწერება, მაგრამ ნიშნავს აჩა რას, ვითარცა, ვიპეკენტავრო, მით რამეთუ არ გვამოვნებს. კვალად აჩიან ხმანი, რომელნიცა დაიწერებიან, გარნა აჩა ითქმის ნიშნოვანად გარნა ნიშნოვნისა მიმართად, რომელ აჩიან ესენი: და, სოლო, რამეთუ და სხვანი.

ნიკოლ. რაი აჩს მარცვალი?

მარცვლისათვის.

იო. მარცვალი აჩის მარტივი სულის კვეთითი ხმა რაიმე, რომელი ერთითა ოხვრითა გამოიღების პირისაგან კაცისა, და აჩს შედგომული ერთისა ანუ მრავალთა ასოთა ძლით, მაგალითი: უფალი, მამა, დედა და სხვანი.

ნიკოლ. ვითარ განიყოფების მარცვალი, ლექსსა და სიტყვასა?

იო. მარცვალი ერთითა ოხვრითა გამოიღების, სოლო იგინი აჩა.

ნიკოლ. რადენად იცვალეება მარცვალი?

იო. ერთ ასოდ და მრავალ ასოდ, ერთ ასოდ ითქმის, მაგალითი: ა. და მრავალ ასოდ, დამ. ესე იგი, ადამ.

ნიკოლ. ასონი ხმოვანნი და უხმოანი ერთი მეორეს ვითარ ეხმარებიან?

იო. ესრეთ, ვითარ იგი კაცი არს შენადგ სულისაგან და ხორცისა, და თვინიერ სულისა ვერა ძალუმს ხორცსა გამოღება ხმისა. ეს ფერვე ასონი არიან შენადგ ხმოვანთა მიერ და უხმოთა, და ამის გამო ვერ ძალუმს უხმოსა ასოსა თავის თავად გამოღებად ხმისა, და ოდეს შეეკერის ხმოვანი ასო და დაწესდებიან ერთი ერთისათანა, მასინ სრულსა და ნიშნოვანსა ხმისა გამოჰსტეპენ.

ნიკო. რაი არს ლექსი?

ლექსისათვის.

იო. ლექსი არს მარტივი ანუ რთული სულის კვეთითი კმა, შედგომული ერთისა ანუ მრავალთა მარცვალთაგან, მნიშვნელად რაისამე ნივთისა ანუ საქმისა, მაგალ: ძე, ხე, ძმა, კაცი, მე ვჰსწერ. ხოლო რიცხვნი მარცვალთანი აღირიცხვიან, რიცხვითვე ძლით ხმოვანთა ასოთსა.

ნიკო. რომლითა განუყოფის ლექსი ასოსა და მარცვალსა?

იო. ამით, ვითარმედ ლექსი ხმა არს სანიშნო, ხოლო იგინი არ არიან სანიშნო.

ნიკო. რაოდენად იცვალების ლექსი?

იო. ერთ-მარცვლოვანად და მრავალ-მარცვლოვანად; მაგალითი: ცა, ხე, ძე და სხვანი. ხოლო მრავალ-მარცვლოვანი: მეფე, კეკელესია, ხელმწიფე, და სხვანი.

ნიკოლ. რომლითა არიან ლექსი და სიტყვა ზიარ, და რომლითა განუყოფილ?

იო. ზიარ ამით არის ლექსი სიტყვისა, ვინაიდგან ესეცა უმთავრესი ნაწილია ღრამმეტივისა, ხოლო განუყოფილი ამით, რამეთუ ლექსი უკვე არს ხმა ერთი, ხოლო სიტყვა მრავალი, ვინაიდგან თხზულება ლექსთა; მაგალითი: მასწავლებლთა კეთილთა ჰსწავლულნიცა კეთილ არიან. ამით დანიშნა, ვითარმედ ხმა მრავალი, არს სი-

ტყუას, გარნა არა ყოველი ხმა, არამედ ესე გვარი, რომელიც წარ-
მოაჩინს აზრსა კაცისას.

ნიკოლ. ლექსი ესეცაი რაიარს ღრამმატიკისამებრ?

იო. არს ვიდრემე ლექსი, რომელ არს ხმა სანიშნო.

ნიკოლ. ლექსი ესე: ხე ღრამმატიკისამებრ რაიარს?

იო. არს ვიდრემე ლექსი, კინაიდგან არს სანიშნო, და არს
მარტვალიცა, კინაიდგან არს ხმა რადმე ერთითა ოხვრითა გამოღე-
ბული და ესფერვე გაიგონე სხვანიცა.

ნიკოლ. რაი არს სიტყუას?

სიტყვისათვის.

იო. სიტყუას არს მარტივი ანუ შედგომილი ლექსთა ძლით,
მნიშვნელად აზრისა მის, რომელიცა უბნობს. მაგალითი: შვილი თა-
ნამდებ არიან შეუვარებად და ჰატიკისცემად მშობელთა. აგრეთვე ეს
სახედ: კვსწაგლობ, კესაკ, მიყვარს, კაჭებ და სხვანი.

ნიკოლ. თხზულება სიტყვისა, რადენ სახედ იცვალეების?

იო. ორ სახედ: სახინოდ და უხინოდ. სახინო არს ესე, მაგალ:
უფალსა კესაკ, არა შემეშინოს მე, რაი მიუოს კაცმან. ხოლო უხი-
ნო: უფალო ბაგენი ჩემნი...

ნიკოლ. რომელია უნაწევრო, და ნაწევროვანი თხზულება?

იო. უნაწევრო თხზულება არს, ქსოვას დიბისა, ყლამჭრისა,
სფერიდისა და ესე ვითართა, ხოლო ნაწევროვანი თხზულება არს,
რომელიც სიტყუას დაიწერება, ესრეთ: დასახადი სიბრძნისა, შიში უფ-
ლისა, და სხვანი.

ნიკოლ. ვითარ არიან განყოფილნი, სიტყუას და ლექსი?

იო. ამით, რომ მრავალი თხზულება ლექსთა სიტყუასა და
აზრსა წარმოადგენენ კაცისას, ხოლო მარტოდ ვერ შემდეგელ არს
წარმოჩენად აზრისა და თხზულება ლექსთა ამით განყოფას სიტ-
ყუასა.

ნიკოლ. რადენად იცვლება სიტუვა?

იო. რად, ესე იგი სრულად და უსრულად. სრული სიტუვა არს ესე, მაგალითი: სიბრძნე და გონიერება ხელმწიფებენ ქვეყნისა-
ზედა. ხოლო უსრული სიტუვა არს ესე, გარეშე გონიერებისა და
ესე შესრულებს: არა არს ცხოვრება რიგისანი.

ნიკოლ. რაი არს წარმოჩენილი სიტუვა, და შინაგან მდებარე?

იო. წარმოჩენილი სიტუვა არს, უბნობა ცხადად ანუ საიდუმ-
ლოდ აზრთა ჩვენთა, ხოლო შინაგან მდებარე სიტუვა არს რომელ-
სა გონებით ვჭმსჯელობთ და ესე მხოლოდ უწყის სულმან კაცისა-
მან და ღმერთმან.

ნიკოლ. რადენად იცვლების კვალად სიტუვა?

იო. სუთად: 1 საზღვრებითად, 2 ბძანებითად, 3 საწადად, 4
აზრტუტიკად ანუ უკეთუობითად. 5 განუსაზღვრებულად. ხოლო სა-
ზღვრებითი სიტუვა დაიდება სამად. აწმყო არს უკვედ ესე, მაგალ:
ვხედავ კაცთა; ვითარცა სუთა მიმოვალთა. სიტუვა ნამყო: იხილა იე-
სო: ნათანაელ მოძაკალი მისა. ხოლო მყოობადი: უფროსი ამისსა
იხილო.

ნიკოლ. რომელი არს სიტუვა ბრძანებითი?

იო. ნუ შეიწყალებთ ყოველთა მოქმედთა უსჯულთებისათა.

ნიკოლ. მითხარ საწადი და სხვანიცა.

იო. სიტუვა საწადი, არს ესე: ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რა-
მეთუ იგინი შეიწყალნენ. აზრტუტიკა, ანუ უკეთუებითი არს ესე:
უფალო, უკეთუძა აქა ყოფილიყავ, არამცა მოძკვდარყო მის იგო
ჩემი. განუსაზღვრებელი დროებითი არს რომელი ქვემდებარესა არცა
ერთსა ცვალებსა შინა განჩჩეკს ვირებითად; მაგალ: შეყვარებად
ღმერთი; ქმნად სიმართლეს; დამარხვად მცნებანი. ხოლო ესე გვარნი
ვიდრემე სიტუვანი, ითხოუნ ნიადავ მოკიდებსა საზღვრებითთა მი-
მართ, ანუ ბძანებითთა, რათა საესედ გაიგონებოდნმცა; მაგალ: სა-
თანადო არს შეყვარებად, ღირს ქმნად სიმართლეს, დამარხვად მცნე-
ბანი და სხვანი.

ნიკო. კვლად არიან ნაწილნი სიტუეისანი?

იო. არიან უკვე ნაწილნი სიტუეისანი რუანი, ესე იგი: სასხელი, ნაცვალ სასხელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი და შორისდებული.

ნიკოლ. რაი არს სასხელი?

სახელისათვის რომელი არს პირველი ნაწილი.

იო. სასხელი არს ნაწილი სიტუეისა მნიშვნელი არსებისა, გინწი ნივთისა, ანუ პირისა რაისამე, მაგალ: უფალი, ცა, ქვეყანა, კაცი, ცხენი, თეთრი და სხვანი.

ნიკოლ. რაოდენად იცვლებიან სასხელი?

იო. არსებითად და ზედშესრულად. სასხელი არსებითი არს, რომელიცა თავით თვისით მდგომარეობს და არა არს მოქმენ სხვისა შემტვიცნებისა სიტუეისა და ზრახვასა შინა, მაგალითი: ღმერთი, მზე, კაცი, პეტრე, ქალაქი, ღომი და სხვანი. კვლად არსებითი სასხელი განიუოთების სამად; ესე იგი, საზოგადოდ, სათვითოდ ანუ კერძობითად და შემკრებულობითად. საზოგადოდ არსებითი სასხელი იგი არს, რომელიცა ნიშნავს ნივთსა, საზოგადოსა ანუ საყოველთაოს, მაგალ: არსება, ცხელი, კაცი, ნერგი, ქვა და სხვანი. სათვითოდ ანუ კერძობითი სასხელი იგი არს, რომელიცა დანიშნავს პირსა ანუ ნივთსა სათვითოდ განჩეკით. მაგალ: პეტრე, ჰაყლე, ვარდი, მარგალიტი და სხვანი. ხოლო შემკრებულობითი არსებითი სასხელი იგი არს, რომელიცა დანიშნავს ნივთსა, ანუ პირსა მრავალთა ერთად შეკრებულთა; მაგალ: ხვაკი, ზრეკი, კრებული, გუნდი, ჯოგი და სხვანი.

ზედშესრულად სასხელი არს იგი, რომელიც თავით თვისით თვინიერ არსებითისა სასხელისა რომელსაცა ზედა შეკვალს იგი, კერძოდ შემტვიცნებისა მის ნივთისა ანუ პირისა, მაგალ: თეთრი, შავი, მშვიდი, მოკლე, გრძელი და სხვანი.

ნიკოლ. მითხარ დადებითი სახელი?

იო. დადებითი ზედშესრული სახელი შეისმინების მნიშვნელად ოდენ მარტივისა კითარებისა რაოდენობა; მაგალ: კაცი მხნე, ლომი მძვინვარე, კეთილი, ბორცტი, გრძელი, მოკლე და სხვანი.

ნიკოლ. შემსგავსებითი ზედშესრული სახელი კითარ არს?

იო. შემსგავსებითი ზედშესრული სახელი არს, ოდეს ორთა ნივთთა შეაჭმსგავსებ ურთიერთისადმი, და ერთსა შემსგავსებულად აღმოაჩენ მეორისადმი, დაწვითა მარცვლებითა ესრედ: ებრი, მაგალ: სიმტკიცე ანდამტებრი, ძალი ლომებრი, და სხვანი.

ნიკოლ. უაღრესობითი კითარ არის?

იო. უაღრესობითი ზედშესრული სახელი არს იგი, ოდეს ორთა ნივთთა ურთიერთისა შორის შემსგავსებით ცხად ჭყოფდეს, ანუ უდიდეს და ანუ უგნინეს, დასხმითა მარცვალთა ამათ მიერ წინა, ესე იგი; უ. უუ. ყოვლად ფრად, მაგალ: უკეთილესი, სათნოება უდიდესი, ანუ ყოვლად დიდი. საქმე უმცირესი, ანუ უუმცირესი, გინა ფრად მცირე, გინა ყოვლად მცირე და სხვანი.

ნიკოლ. თვისებანი ანუ მდეკარნი სახელისანი რაოდენნი არიან?

იო. ექვსი: ნათესავი, ნაკვეთი, სახე რიცხვი, ბრუნვა და ბრუნება.

ნიკოლ. მითხარ თვითეულად?

იო. ნათესავნი უკვე სახელისანი არიან ოთხ: მამრობითი, მდედრობითი, უმეშუაობითი და ზოგებითი. მამრობითი სახელი იგი არს, რომელიც ჳნიშნადეს ბუნებითად მამრსა ცხოველსა რასამე მეოფსა, მაგალ: მამაკაცი, მამა, ჰაჰა, მმა, წული, ბიძა, აგრეთვე, გურა, ერკემალი, ეში, მამალი და სხვანი.

მდედრობითი სახელი იგი არს, ოდესცა ნიშნადეს ბუნებითად მდედრსა, კითარსამე ცხოველსა. მაგალ: დედა, ბებია, მამიდა, დაჲ, ქალი, აგრეთვე დედალი, ნეზვი, ფური, ხრდალი და სხვანი.

უმეშუაობითი სახელი არს იგი, რომელიც ნიშნენ, უცხოელთა ნივთთა რასმე, მაგალ: ჭკეყანა, ჭკა, სუ, ძელი და სხვანი.

ზოგებოთნი სასკლნი არიან იგინი, რომელნიცა დანიშნენ ერთად მამრთა და მდედრთა, მაგალ: კაცი, ჰიურტუვი, შვილი, ხბო, მარტუკე, ლეკვი, ნუკრი და სხვანი.

ნაკვეთნი სასკლისანი არიან სამი: მარტივი, ჭრთული და ზედრთული. მარტივად უკვე იწოდების იგი სასკლი მამინ, ოდესაც ერთი ლექსის სასკლი ნიშნიდეს რაისამე მაგალ: ღმერთი, კაცი წმიდა და, მოყვარე და სხვანი.

რთულად იწოდების იგი, ოდესაც ორი ლექსი შეერთებული ერთ სასკლად ნიშნიდეს რაისამე, მაგალ: ღვთის მოყვარე, კაც ჰატიოსან, ეკვლესიის მოძღვარ და სხვანი.

ზედრთული არს იგი, ოდესაც რთულსა ორსა ლექსსა ზედა მესამე, ანუ უმეტეს დაერთოს რაიმე რთული, მაგალ: ღმერთ. მამაკაცი, მწყემს კეთილ მოძღვარ, იოანე ღვთის მტყუებელ, ქადაგ მასწავლებელი და სხვანი.

ნიკოლ. რადენნი არიან სასკნი სასკლთანი და ვითარ იგულისხმებინ?

იო. სასკ სასკლისა არს: ანუ პირველი სასკ, ანუ სხმით გარდასავლითი, და ანუ მრჩობლ-სხმით გარდასავლითი.

პირველ სასკედ სასკლად იწოდების იგი, ოდესაც იგი თვინიერ მრავალთა რაიმეთა მარცვალთა დამეტებით ანუ მიხდითა ანუ შეცვალბითა ნიშნიდეს საკუთრად ნიკოსა, მაგალ. კაცი, ბრძენი, წმიდა და სხვანი.

სხმით-გარდასავლითი არს იგი, ოდესაც პირველ სასკსა დაუსხმიან ანუ შეეცვალბებინ ანუ მიეხდებინ მარცვალნი რაიმენი, და შესცვლან ვითარმე მნიშვნელობასაცა მისსა, მაგალ: კაცები, სიბრძნე, სიწმინდე, და სხვანი.

ხალა მრჩობლ სხმით გარდასავლითთა სასკლთა დაუსხმიან მარცვალნი რაიმენი და ჰსცვალბენ ვითარმედ მნიშვნელობასა მისსა, მაგალ. კაცობრიობა, სიწმინდეობა, სიბრძნეობა და სხვანი.

ნიკოლ. კვალად აჩიან რომელნიმე გვარნი სხმით გარდასჯულნი?

იო. აჩიან, ვინაიდგან მარცვალნი ესე ანუ დაქმანების პირველ სახეთა სახელთა ზედა და ჭსტვლიან ვითარსამე მნიშვნელობასა მისსა, ამისთვის ზოგნილ აჩიან რადენნიმე გვარობანი სხმით გარდასჯელთისანი, რომელსა უწოდებენ, აღლამთა, ანუ კერპთა *). რომელნიცა აღიწიხვიან ქვემოც.

1 მოგებითი ესე იგი არს, ვისიცა რაიცა არს, მაგალ: საერო, სამეფო, სასემო, სასწავლებელი და სხვანი.

2 ადგილობითი, რომელნიცა დანიშნენ ადგილისა გამოსა რასამე, მაგალ. ზეციერი, ქვეყნიერი, ქართველი და სხვანი.

3 ნათესაობითი ანუ მამულობითი, რომელიცა ნიშნავს მას, ვინც ვისგანმე წარმოებს; მაგალ: დავითიანი, ბაგრატიონი, ტფილისელი და სხვანი.

4 ქანებითი, ესე იგი არს ვინც რაისაგან არს მინიჭებულ, ანუ განვითარებულ; მაგალ. გონებანი, მესიერი, ხმიანი, გვირგვინოსანი, ყმოსანი, თეთროსანი და სხვანი:

5 აღმატებითი, ანუ არსებითი ოდეს დაქსმიან რა მარცვალნი ანუ ზედმესრულნი სახელთა ანუ სახელ-ზმნათა და მით დამნიშვნელობასა მათსა ჭეოფდენ არსებითად ანუ აღმატებითად; მაგალ: სიწმინდე, სიმშვიდე, ხატება, მჭსგავსება, მწერლობა და სხვანი.

6 წესებითი, რომელნიცა რიცხობითთა ოდენ სახელთა დაქსმიან; მაგალ. მეორე, მესამე, მეოთხე და სხვანი.

7 კნინობითი, რომლისაგა მნიშვნელობა დაამტკიცებს, მნიშვნელობასა ნივთისასა; მაგალ: ბრძენაკი გლახაკი, სახლაკი და სხვანი.

8 რომელნიმე ზედწოდებითი, სხვათათანა აჩიან მნიშვნელნი,

*) აღლამა გვარი, გინა კერპი, გინა ხატი.

კერპი არს ნაკვეთი, რომლითაცა სახითა სხეული წარმოდგომილ არს და მით დანაკვეთებულითა სახითა იხილვების, ვითარ იგი ანდრიოტი. სახე კაცისა, რვალისა, ქვათა და ესე ვითართა. იოანე.

მამრობითისა და მდედრობითისა, უკანასკნელისა მარცვლისა შეცვა-
ლებისაგამო ესრედ, მაგალ: უფალი არს მამრობითი. უფალა, მდე-
დრობითი. თავადი არს მამრობითი, თავადინა არს მდედრობითი, და
სხვანი. თუმიცა არს ხმარობენ ეს გვარ ქართველნი გარჩევით, გარს
ბერძენთა ენისაგან არის ძველთა ფილოსოფოსთაგან მოღებუდი. ებ-
რეთვე მამრობითისა კერძობით სხმით გარდასვლითისა ქართველთა
მებრ ენისა არა მოვალნ, გარს ბერძენთა ენისას ვიხმევთ ეს გვარ,
მაგალ: ქართველთა ენისამებრ, მატეთ; ხალა ბერძენთა ენისამებრ
ვიხმევთ მატეთოს, და ეს გვარვე მდედრობითისა, ანასტასია, ჰელე-
გია, და სხვანი.

9 რომელნიმე ზედ წოდებით მფარველობითად რომელიცა ნი-
შნავს დაცვასა რომლისამე ნიუთისა ანუ არსებისას, და რომლითა-
ცა ზედა დასხმითა მარცვალთა აღმოჩნდების: მე, ფა, მძა, მაგალ.
მემტილე, მეურნე, ფარვა, მფარვა, მოურავა და სხ.

10 რომელნიმე ზედწოდებითნი, არიან შემქსგავსებითად, სა-
კადრად ამისთვის, რათა სახელნი კერძოდ დასხმულნი შეინიშნენ
შემქსგავსებითად ესრედ; მაგალ: შესაბამი, საკადრი და სხვანი.

11 აგრეთვე საგუთრად შემქსგავსება მარცვალთაგან აღმოჩნდე-
ბის ესსახედ, ანე, ანი, ესე იგი: ქრისტე, არისტანე, კასილ, ვა-
სილოანი და სხვანი.

12 უგუთქმითი, რომლისაცა მნიშვნელობა უგუთქვამს ჰირველ-
სა, და წინააღმდეგობასა შესამენს, მაგალ: უსახური, უღმრთო, უწ-
ყალო, უვისმი, უვიმკაცრო, უთქვი და სხვანი.

13 ყოველნი შემქსგავსებითნი და უადრესობითნი ზედშეს-
რულნი სახელნი დაიდების ამა რიცხვთა შორის: ზმნათა სხმითი
ანუ სახელ ზმნანი, რომელნიცა სწარმოებენ ზმნათაგან, ეს გვარ;
მაგალ: წერა, ვითხვა, და სხვანი.

ნიკოლ. რადენნი არიან რიცხვნი სახელთანი და ვითარ იგუ-
ლისხმებან?

იო. ოთხნი ვიდრემე არიან, ესე იგი: მხალრობითი და მრავ-

ღობითი. მხოლოდობითი სახელი არს, ოდესცა სახელი იგი ჰნიშ-
ენიდეს ერთსა ნივთსა რაისამე, მაგალ: კაცი, მოციქული, მღვდელი
და სხვანი: ხოლო მრავლობითი არს იგი, ოდესცა სახელი იგი ნი-
შენიდეს მასვე ნივთსა მრავლად; მაგალ: კაცნი, მოციქულნი, მღვდელ-
ნი და სხვანი.

ნიკოლ. რაი არიან ბრუნვანი სახელთანი, ანუ რაოდენნი არიან,
და ანუ რა მნიშვნელობა აქვსთ?

იო. ბრუნვად სახელისად უწოდთ მას, ოდესცა ცვალებითა ანუ
ი-ნისა იმოქმედების, ვითარცა ადვისთობთ... ესე იგი, ადვილსთობთ.
და რდესმე უ-ნი. ნაცვლად ვითარცა ვ-ნისა, სიკვდილი, ესე იგი სი-
კვდილი და რდესმე დეე. ნაცვლად უნისა ვითარცა უკვე ესე იგი უკ-
ვე და სხვანი.

ნიკოლ. ნიშანნი სტრიქონთანი ვითარ მსახურებენ წერილთა
შინა და ანუ რანისა შინა სახმარ არს?

იო. მსახურებენ წერილთა შინა ცხად ყოფისათვის ნამდვილ-
თა ჭარბისა, და მსოფლიოსათვის წინა-აღმდგომთა განმარტულუბა-
თისა, რომელნიცა დაისხმიან ჭარბისამებრ და შეწყობისა სიტყვათა,
რომელნიცა ნიშანნი პირველსა დაწყებისა შინა დრამატიკისასა გა-
ხეხენ, და აქცა ისილე:

მძიმე, რომელ არს. (სტიგმა, გინა კომმა) არს მცირედ დასა-
ყოვნებელი ხმისა კითხვისა შინა, და განიყოფისცა ერთსა შინა
სრულსა სიტყვასა შემთხვეულთა ერთობისა ბრუნვისა და მიმოხრი-
სა სახელთა და ზმნათა. მაგალ. სახელთა მამისათა, და ძისათა, და
სულისა წმინდასათა, ამინ. ცნობ უთხრობენ დიდებსა ღვთისასა, და
ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.

ერთ წერტილი ჰნიშნავს გრძელსა დამყოვნებასა ჰხმისასა კი-
თხვათა შინა, და თვის შორის თუმიცა სრული ჰზნობი, გარნა დაუ-
ტკეპს კვალად იჭვსა მისთვის, რაიცა შეუდგების შემდგომად. და
ამისთვის არ დაიწეების შემდგომი მისი სიტყვანი ასო მთავრული-
თა, არცა გარდაიხმის კავშირითა მაგალ, ყოველთა ზედა კითხვათა
არა მომიტე.

ყოველი უგუნური უმეტეს კითხვად შემძლებელ არს, ვიდრეღა
მიუგებდეს ბრძენი. ყოველნი ამას, რაისაცა გხვდავთ სოფელსა ში-
ნა. მეცნიერება რაღა დაგეშობის სიმდიდრედ.

ორი წერტილი დასსრულებს სრულსა ჰერიოდსა, ანუ მუხლ-
სა, რომლისადაც შემდგომი მუხლნი ნადაგ დაიწეების ასო მთავრუ-
ლითა: მაგალ. მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა:
ახსოცე უსჯულაება ჩემი, უფროს განმბანე მე უსჯულაობისა ჩუ-
მისაგან, და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე და სხვანი.

საკითხავი ნიშანი ჯერ არს დასმად დასასრულსა ზედა კით-
ხვითისა სიტყვისასა: მაგალ. სადა ხარ შენ? უწყია, ვითარმედ გაც-
ნი ცხოვრებასა ამას შინა ბრძა არიან და, დროსა სიკვდილისა
აღესმის თვალნი?

და მამინ ჯერ არს გამოხვევად კითხვითისა ამის ნიშნისა ვა-
ნონისაგან, რადესცა სხვისათვის მიუთხრობდე სიტყვასა. მაგალ-
მიკითხვიდენ მე, ვიტნობ მას. არა უწყია. სჯებელ იქმნების ესე ანუ
არა.

განკვირვებთნი, წოდებთნი, მცნებთნი, და ყოველნი ფიტ-
ხელნი სიტყვანი ჯერ არიან სხვათა ნიშნითა განსხვავად, რომელ-

საცა ეწოდების ნიშანი განსაკვირვებელი. მაგალ. რამეთუ თქვენ ქვა ქმნილნი! გული დააცხერ ამპარტავნებად! რაისათვის ამპარტავნებ მიწა და ნაცარი! უფალო! ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაეპკვიდროს მთასა წმინდასა შენსა!

ფრჩხილთა შორის ჰერობილი ლექსი, ანუ სიტყვა, არს სხვით შემოსმული და კავშირი აღკრეველი სიტყვასა მას შინა, რომლისა-ცა შორის შემოიღების, და ამისთვის ჯერ არს, რათა აღმოიკითხოდეს იგი ნელადითა ხმითა, კითარცა განგებ შესდომილი რაიმე. მაგალ. მრწამს ჭეშმარიტებით, (არა ამარება არს საწმუნოება ესე). კითარმედ არს ღმერთი, რომელსაცა ძალუმს მარადის სასუიდილის გებად და ჰსჯა ჩვენდა. მას (ვინ იფიქრებს ამას) გაშორებენ შენ. და მაშინ მიიჭნენ (მოციქულნი) იერუსალიმად და სხვანი.

შეპკვრელნი, ანუ ეპოდოსტოლი არს რათა სახელთა ჭრთულთა გარდაბმულ. მაგალ. ღეთის-მეტყველი, მღვდელ-მთავარი, ნუგეშინის-მცემელი და სხვანი.

გარდასატანი არს, ნიშანი ლექსთა მარცვალთაზედა განყოფილთა დასასრულ დასაწყისის სტრიქონისა. მაგალ. შეიყარეთ ჰი, კაცნო სიბრძნე, რათა საუკუნოდ ჰსცხოვრებდეთ. ხოლო წესსა შინა ლექსთასა სიმკაცრესა თანა მწერალსა ამს, რათა სტრიქონით სტრიქონად არ გარდაიტანდეს ასრთა შესაბამიერთა ერთის მარცვლისასა მეორისადმი და ამისთვის უნდა ახსოვდეს ნიშანნი ბრუნვისანი განკითარებულთა, მაპიროვნებულთა და მაძრავლებულთა ზმნათა რადენ შეიძლებოდეს არა გარდატანად იძულებით სხვათა სტრიქონთა ზედა, და არა დაყოფოდენ ძირნი სახელისა და ზმნისანი და ეგრეთვე არა გარდაიტანებოდეს დაყოფით სტრიქონად სახელნი უმაღლესისანი. მაგალ. უფალი თვით მზერობელი. მოციქული, იმპერატორი, მეფე, დიდებულება, სიმაღლე და სხვანი.

სხოლიონი, რომელ არს განმარტებულ უცხოს ლექსისა ნიშნი თა ამით (*) ძველად ჰსწოდენ უნიშნოდ წითლულითა, ანუ წერლითა ასრთი ანუ მტრულრვანითა, შუა ფრჩხილრვანითა, და ასრ მთავ-

რულითაცა, გარნა ახალსა დროსა შინა შემოიღო უფრო მისდომი-
სათვის და ჩქარის მწერლობისათვის კათოლიკოზმან ანტონი, სხო-
ლიო ესე, ზეთაც იმა ლექსთან მჯდომელი, და ქვევით, რვეულის
ბოლოს, გასაზვით, ერთის სტრიქონისა, და მერე ნიშანივე ესე და
მერეთ განმარტებაი მისი წმინდის ხელით ანუ ნუსხურებ მოწე-
რითა.

სამოწმებელი ნიშანი იხმარების მაშინ, ოდეს ქადაგებსა შინა,
ანუ ცხოვრების წერასა შინა, და ანუ ისტორიისსა და საფილოსო-
ფოს წერილსა შინა. შემოვიღებთ სსკათა ნათქვამთაგან წერილთა
დასამტკიცებლად მის ჭაზრისა, ანუ უფრო ცხად ყოფისათვის, მა-
შინ დაესკამთ ორთა მძიმეთა ერთად ჩამოკრულთა, ესრედ ვითარ-
ცა ჩამს.

„სიტყვანი ცხოვრებისანი გქონან შენ“.

ქარაგმა არს შემოკლებულთა მარცვალთა ძლით ლექსთა. ზემო
ნიშნისა მიტემა, ოდესცა ერთნი ანუ მრავალნი მარცვალნი დაიფარ-
კოდენ ლექსთა შინა და სანაურ იქმნებოდენ იგინი ზემო. დასმუ-
ლითა მით ნიშნებითა. საუფლოსა, სასსო მთავრულოსა და საზო-
გადოსა. მაგალ. საუფლოსა ქარაგმისა დასმა ჭერ არს მაშინ, ოდეს
ლექსთა საღმრთოთა დააკლდენ მარცვალნი, ვითარცა: უჟი, ღთი, იე,
ქე. ესე იგი: უფალი, ღმერთი, იესო, ქრისტე. სასსო მთავრულო
არს, ოდეს სიტყვანი დაიწერებოდენ ასო მთავრულითა ანუ მგრძნ-
ვლითა. მაგალ. ხ'. რ'. ად'. ვა'. ესე იგი. სოლო, რამეთუ, არა-
მედ, ვითარცა და სსკანი. სოლო საზოგადო უკვე ქარაგმანი დაის-
ხმიან საზოგადოთა უკვე წერილთა ხუცურისა თუ ხედრულისათა,
მაგალ. რ'. ა'. ვა'. უა'. წა'. კდ'. ესე იგი: რამეთუ, ვითარცა,
წმინდა, კვალად და სსკანი. უვრცელესად იხილე დიდსა ღრამმატი-
კასა შინა ანტომისსა. ნაწილი ვ. დამატება.

მახვილი, არს ნიშანი აკრული დაბოლოებულსა ზედა ასოსა
შემასმენელობითთა ბრუნვათა და ბრძანებითთა ზმინათსა. მაგალ. შე-
ქმნა ღმერთმან კაცი მიწისაგან და აღმოიღო კვა გვერდისაგან ადა-

მისა: ჰატოკ ეტ მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა დღე-
გრძელ იქმნე ჭკეუხანასა ზედა. და სხვანი.

ნიშანი ბრჯგუისა მიეტემის უნსა, რადეს სხვა ხმობს იგი
თვისსა საკუთრისა კობობისაგან, და მასინ ითხოვს იგი შეძღვრამად
თვისსა, ანუ ი-ესა და ანუ, ზ-ესა. მაგალ. მე უკვე რანისაგა გამტ-
ნებ, შეიწინარე, და სხვასა ნურა რამესა ჭყოფ და სხვანი.

ნიშანი კლებულისა იხმარების მასინ, რადესა მარცვალნი მო-
თხრობითისა ბრუნვისა მიუხდების სახელსა საამოდ სმენისათვის და
და არა უხყოფისათვის სიტყვათსა სასმენელთა შინა. მაგალ. ჭრჭკა
იო, მოწათუთა თვისთა. (ჭრჭკა იესო მოწათუთა თვისთა.) იხილე,
რომელ კლებული ნიშანი ძალითად ნიშნავს, ბოლოს მ-ნსა. გარნა
შეენიერებისათვის იმ სახედ ითქმის, კითარცა, ჰეტრე ჭრჭკა, (ჰეტ-
რემ, ჭრჭკა) და სხვანი. იხილე ანტონის დრამატისა შინა. ნაწი-
ლი სამი.

თვის განყოფილებისა წიგნისა, თავი 3.

ნიკოლ. წიგნი რადენად განიყოფიან?

იო. წიგნი ნიადაგ განიყოფიან ნაწილებად, თავებად, ჰარა-
დრებებად და მუხლებად.

ნაწილნი არიან უმთავრესნი განყოფილებანი წიგნისანი, რა-
მელთაგა შინა იპყრობიან თავნი, ჰარადრათნი და მუხლნი.

თავნი განიყოფიან ნაწილათ, და იპყრობენ თვის შორის უმ-
თავრესთა ჰარათა მის ნაწილისათა, რომელნიცა შედგებიან ჰარად-
რათაგან და მუხლათაგან.

ჰარადრათნი იპყრობენ თვის შორის სრულთა ჰარათა თავთა-
სა მოკლედ განყოფით უმეტესისა ბრწინვალებისა და შემეტნებისა
ჰარათსა, და ხშირად, დასკვნებისათვის მკითხველთსა და განსკუ-
ნებისათვის ჰარათისა კითხვასა შინა, რომელსაგა ნიშანი არს წესე.

მუხლი არს მოკლე წიგრი თავთა, რომლისაგა მაგალითად კმა

აჩს საღმრთო წერილი. (კსტქკათ ჰარაკლისის მუხლები.) და სხვანი.

შეირთა შინა, მუხლთა მაგიერ ითქმის ტაეზნი შემდგარნი რიცხვებითა მარცვალთათა, ხოლო შაირნი არიან ორ ტაეპოკანნი, სამ ტაეპოკანნი, ოთხ ტაეპოკანნი და ესრეთ უშორეს. ხოლო იამბიკონი არიან საშვალ შაირთა და წერილობითთა ჰაზრთა შინა შემდგარი მარცვალთაგან ხუთ ტაეპად.

ხოლო საზოგადოებისამებრ წოდებულ აჩს წიგნი სხვა და სხვა გვარად, რომელ ერთსა მრთელსა ყოვლადსა ისტორიასა, თუ მოთხრობასა უწოდებენ წიგნად. აგრეთვე, სიგელთა, წყალობის წიგნად, მეფისაგან მინაწერთა ერლასად, ანუ ოქმად, ტომარათ, დავთარად, ბარათად, ყამზად. ურთი-ერთსა შორის მინაწერთა წიგნთა უკეთუ იპყრობოდეს თვის შორის ჰაზრსა ჰსწავლისა ანუ მხილები-სასა, ანუ მოკითხვისასა უწოდებენ, კვისტოლად. მეფესთან მირთმეულს წიგნსა, არზად, ურთიერთისა შორის მინაწერთა წიგნთა უწოდებენ უსტარად, კეკლესიისა მამულთა ადგილთა და შეწირულებათა წიგნთა უწოდებენ გუჯრად, თეთრი თუ კისმე აულია კისგანმე, ანუ გაუსესხებია თეთრი—თამასუქსა. მამული თუ უსუდნია კისმე, ნასუიდობის წიგნსა, თუ მოწმობის წერილსა, და თუ თავდებად დასდგომია კისმე, თავდებობის წიგნსა, და თუ ჰირობა შეუკრავთ კისმე ჰირობის წიგნსა. და თუ სამართლით გადაჭრილი გამოსულა, განაჩენსა და სხვანი. ხოლო მე ეს ამისთვის მოკისსენე აქა, რომელ ყოველნი ესე წერილობითნი სახელნი, იპყრობენ თვის შორის, თვისისა გვარისამებრ სრულსა ჰაზრსა და ესენიცა ამისთვის არიან რიცხვათა შინა წიგნთასა. ხოლო ჰირობის წიგნთა მიეწერების თითო ჰაზრისა არტიკულნი*). ხოლო სხვა წერილთა პუნქტები.

*) არტიკული არს, რომელ თითო აზრი ჰირობისა ანუ იყოს ერთის მუხლის ოდენი, ანუ უმეტესი, ამას არტიკული ეწოდება, ხოლო პუნქტი, ანუ იცვამდეს თვის შორის ერთსა ჰაზრსა, ანუ ორსა.

სხვა-და-სხვა შენიშვნა, რომელიცა საჭირო არს ესეც მსწავლად ღრამმატიკასა შინა.

ნიკოლ. საზღვარსა შინა ღრამმატიკისსა, რომელი არს, სასხე, ნათესავი და განყოფილება?

იო. გინაიდგან საზღვარა ღრამმატიკისა არს ესე, ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართლ-უბნობა, და წესიერება. ამას შინა ღრამმატიკა დაიდების სასხედ, შემძლებლობა, ნათესავად, მართლ-უბნობა, განყოფილებად, და წესიერ შემამტიკებელ განყოფილებად.

ნიკოლ. რა მნიშვნელობა აქვს შემამტიკებელ განყოფილებას?

იო. შემამტიკებელ განყოფილება, ესე არს ოდეს იგი ვერ ეკმაოდეს განყოფილება ერთი, და დაერთოდესცა მას სხვანი აღსავსებლად აზრისა.

ნიკოლ. რომელ ზრს აღლევს, ანუ (უგუნრღვიკა) ღრამმატიკისა ვითარ იქმნების?

იო. ესრეთ, გინაიდგან თქმა ესე: ღრამმატიკა, არს ლექსი რა-იშე, ხოლო ლექსი უკვე განიწვალების, მარცვლებად, და მარცვალნი განიყოფიან ასობად. ასონი, ღრამებად (ანუ საზებად) ღრამნი წერტილებად, ხოლო წერტილნი არარად და ესრეთ ითქმის აღლევ-კანონისამებრ ღრამმატიკისა.

ნიკოლ. ასოს რა მნიშვნელობა აქვს, ანუ რად ეწოდა ეგე სასხელად?

იო. უკეთუ ასო არა იყოს, არცა წერილთ იქმნების, და ამისთვის კითხვისა და წერის ნიშნად შემოუღიათ პირველად ასო. ხოლო ასო სხვა არა რაიმე არს, რამეთუ წვერმან კალმისამან დახანკუთა იგი, ვითარცა იტყვის არისტოტელი, ეწოდების ასო, რამეთუ წვერმან კალმისამან დასო.

ნიკოლ. წერტილი რასადა ნიშნავს?

იო. წერტილს თუ რა მნიშვნელობა აქვს ზემოთ აგისსენ. ხოლო სხვებ, წერტილს უწოდებს დაჯით უძვეველი თბილასოფო-

სი, ამაოებად. გარნა წერტილი დემოკრტიულისა გვარითა არს და-
სახამი ყოველთა საზთა და სხვადა სიტუვის ნაწილთადა ესევერ შე-
იმცენ. სახისა, ნათესავისაგან განყოფილებისათვის.

ნიკოლ. რაი არს სახელ მოდგამი?

იო. სახელ-მოდგამი არს. რომელთა საზღვრით მოუგიესთ
განყოფა, და სახელითა რდენ ერთ ყოფა, კითარ იგი—ძაღლი. ხო-
ლო სახელი ესე ნიშნავს ვარსკვლავსადა, და ცხოველსადა, ხოლო
ამით უკვე სახელით მოუგიესთ ერთ ყოფა, და საზღვრით განყოფა,
რამეთუ სხვა არს საზღვარი ვარსკვლავისა, და სხვაი ცხოველისა.

ნიკოლ. სახელ მოდგამთა ხმათა შორის, რაი ჯერ არს შე-
მეძნებად?

იო. სამისა რანსამე ჯერ არს მიება, პირველად რადენი და-
მნიშვნელობა აქვს; მეორედ გასდა-მიმამრთ აქვს ჰაზრი მკითხველ-
სა; და მესამედ საზღვარი კითხულისა. მაგალითი. ესთქათ: წიგნი.
ესე სახელი ეწოდების დრამსა, წერტილსა და უმთავრესთა ნაწილ-
თა დრამატიკისათა, მინაწრთა და სხვათა ესე კითართადა, წიგნი
ეწოდების. ესასხედვე ყოველსა წიგნსა, ხატსა და რაინადა კადმითა
იმოქმედების, და კაცსადა ცხოელი წიგნი ეწოდების.
.
. *).

დღე შემდგომი.

წარსული იოანე, რა მივიდა ალანის პირსა, წყალის სიდი-
დისაგამო ალანის ვინაიდგან ავარსა განედიდებისა, ვერდა განს-
და წყალსა მას, და დაბრუნდნენ და მივიდენ ახმეტასა, სახლსა
სალთ-ხუცესისასა. ზოლასაშვილმან ქაინოსრო, კარგად მიიღო ბერი
იგი, და მისცეს სადგური. რა მცირე განისკენა იოანემ, კახშამად მი-
იხატიყა სალთ-ხუცესმან, და რა ხელ ჰქევეს კახშამს, მამინ სალთ-

*) დანასრული დრამატიკისა.

ხუცესმან რჭვა იოანეს: დღეს შენ ძღვევა შეიმოსეო.

იო. ვითარ?

სალთხუცესი. დიდი ხანუმი და დიდი მოძღვარი რჩიე იძლი-
ენენ შენის ჭეშმარიტის მხილებითო.

ზურაბ. რასაკვირველია ეს მოეჩეოდა იმათ, რასკელა ნაღბანდ-
თან გაზდილიო.

იო. უი, შე გიყო! სომ არ შეკჭიდებულვართ.

ზურაბ. ელეკთერმაც კარგად იცის ღინგის გდება თუკი ხელ-
ში ჩაგიგდოო, ბეკრი შენისთანა დაუყენებთა უირაზედო. მაშინ ყო-
ველთა გაიციენეს, და სალთხუცესმან ჭკითხა იოანეს: ასე არა ჯობ-
და, რომ აქ მოხვეულ, აქედამ მატანს მისკალ და იქიდაძმ, ლაღის
ყურს. იოანემ: თუშთ მოურაგმან მიბძანა და იმის გუღისათვის იქით
წაველ, მაგრამ ვერც ის და ვერც მე გავედით წყაღისა სიდიღის
გამო.

სალთხუცესი. რატომ ანაფორა არ გაფინე წყაღზედ და იმით
არ გახველ?

იო. ჯერ ხემს იღიას თაგისი კაღენი არ მოუციაო.

სალთხუცესი. ჯერ არც ცუცსღის ეტლით ამადღებულა ის
თქვენნი იღია.

ზურაბ. ამადღება მეტი იქნება, ბრუდ საბძელს ასციღდა და
სხკათა კაკასიღის მთებს თაგს მოექცაო.

სალთხუცესი. კაი თუ იქიდაძმ გარდმოხტესო.

ზურაბ. იმის ჭკუისაგან ნუ გიკვირს, მინდოღსაც იშოკნის,
რომ თაგი იქ შეიმაგროსო.

და მერეთ სალთხუცესმან უთხრა იოანეს. მე მოსკოკას სკო-
ლებში უყურე, რომ მოწათვით ასწავებდენ ფიზიკას და ეგზამინიტ
უყვეს, და ამასთან, წყაღის ადიღების მიზეზიტ გამოჭკითხეს, და
როგორც განმარტეს, მასსოკეს ზოგირამ და შენ ვითარ ჭკონებ, რა
მიზეზია წყაღის ადიღება, ანუ დაკლება?

წყალის მომატებისა ან დაკლებისათვის.

იო. მომატება და დაკლება წყალთსა, არა სხვა რაიმე არს, ვითარცა უამიერი და ტყალებადი მოძრაობა ზღვისა, რომელიცა ოცდა ოთხს საათში, და ორმოცდა ცხრა წამში, ორგზის მიისწრაფის აღმოსავლეთიდან დასავლეთადმი, და დასავლეთიდან აღმოსავლეთისადმი.

დროს აღეგებებისას, ზღვა აღიწევის შემდგომ ეჭვსთა უმთავრესა, მიმსწრაფებელი დაუყოვნებლად ვიდეთადმი, და შემდგომ დაჭსტსტებისცა, და მოკიდებული სიმაღლესა ზედან, რომელსა ზედანცა აღუვიდა იგი. ეს გვარს მდებარეობაი ზღვისა იწოდების ძელვისა (ანუ აღიდებისა) სიმაღლეზედ.

დროსა დამყუდროებისას, ანუ დაკლებისას, ზღვა დაეშვების ჭკემორე ეჭვსა უამისა შინა, განშორებული ვიდეთაგან; უკანასკნელ დასტსტების და შთავარდების თვისსა ყალიბსა შინა და დაჯდების და მოკიდებულად, და ამ გვარსა მდებარეობასა ზღვისსა ეწოდების დაკლება, გინა (დაცხრომა). ზღვა უფრო დიდითარე სიჩქარითა შესივდების ზე, ვიდრე ჭკე დაეშვების, ხოლო აღეგებანი, მომატებანი, იყოფიან ოდესმე უმცირეს, და ოდესმე უდიდეს.

სალოთხუცემდა. ვითარ აღმოაჩენ ამას?

იო. ესე საკვირველი უგვე მოძრაობაი ზღვისა მეჭონ არს მარადის შატმსგაკსებისა მდინარეობისათანა მთოვარისა, და არცა საჭირო არს, რომელ წარმოება იგი ზიარებისაგამო ამა ღამისა მნათობისა არა იყოს. მთოვარე უგვე მიმზიდველბს თვისად წყალთა და სძრავსცა მათ აღმოსავლეთითა და სავლეთსა ზედა შემტსგაკსებით მოძრაობისამებრ თვისისა, რომელსადაცა თვით იგი სრულ ჭყოფს მოძრაობასა თვისსა. ხოლო ყოველნი უგვე ესე ზღვათა მოძრაობანი აღრიცხულ არიან დიდითარე ნამდვილობითა, და შემსგაკსებულნიცა მდინარეობისათვის მთოვარისა, თანატწორ სხვა და სხვა გვარ-

თა ნაკთ საყუდელთაცა, რომლისა განხილვად შესაძლებელ არს (კალენდარსა) ანუ წელთ აღრიცხვათა წერილთა შინა. და უფრო დამტკიცებულ ჰყოფს მთავარისაგამო. ხოლო მიმზიდველობასა ტალღაი წყალისა, რომელიც სშირადრე გამოვალს ნაზირს და უკუნ იქცევის.

სხვებრ განდიდება მდინარეთ, ხეებთა, იქმნების ოდესმე დიდის ნიაღვრისაგამო, დიდის თოვლთა გადნობისაგამო, და ესე იუმაეთ.

სალთხუცესმან, მოუწონა, ანუქა რადენიმე საზალნე ღვინო და იოანე მადლობელი გამოეთხოვა და მოვიდა სადგურისა თვისისა.

დღე შემდგომი.

ხოლო ზვალისა დღეს განუმათნენ მატანისაკენ, და მისრულმან მუნ იოანემ გაგზავნა ჯიმშერიშვილთან ზურაბ და შეუთვალა ლოცვა გურთხევა, მან მასინვე მიიწვია. რა იოანე მივიდა, იცნო იოანე ჯიმშერის შვილმან, და მოკითხა იოანე, იოანემაც მადლობა ჰკადრა, და მერეთ იოანეს გამოჰკითხა მგზავრობის მიზეზი. ყოველივე ცხად უყო იოანემ, და რქვა ჯიმშერიშვილმან: ღვინოსეი ვერ შეგაწევ: წლეულს დაგისეტყვენით, და სხვებ გემსახურებით. მასინ ზურაბმან: რასაც გვიბოძებ ჩვენ ვალთას მოგიშვერთ. გაიცინა, და მერე მოიღეს სადილი, რა მცირედ შეეჭტნენ, ჯიმშერისშვილმან ჰკითხა იოანეს: რადგან ფიზიკაც გისწავლიათ, სეტყვა ვითარის სახით იშობების?

სეტყვისათვის.

იო. სეტყვა, სხვა არა რაიმე არს, როგორცათც წვიმისა ცვარნი, რომელნიცა დროსა ჰქუ დაცემისსა მიწასაზედა შემოეგრებიან ესოდენ ციკს აერსა, რომელ მისმიერ მაგრად განიფინვიან და ჰქუ

ჩამოსცვივიან გაყინულთა წვეთთა სახედ, რომელიცა მალაიდ განდუბის მხურვალებისაგამო მიწისა, და ოდესმე ჭაერისაგან ჩამოსცვიან გაყინულნი წვირდნი ნაჭრებნი ყინულისანი მჭსგაკსად ქათამის კვერცხის ოდენნი, და ესე არიან სეტყვანი, რომლისა კვეთებით წახდება ყოველი მოსაკალი.

შემდგომად ამა უბნობისა, აღიღეს სადილი. იოანე გამკეთხოკა, და მუნიდამაც კმაყოფილი წარვიდა ლადის ყურისაჲკენ.

მიმამკლობსა შინა იხილა ორნი ფშაველნი მიმაკალნი ბახტრიონისაჲკენ, და მათ იცნეს იოანე, რომელიც ენახათ ალავერდს, და მოვიდნენ იოანესთან, და შენდობა მოითხოეს. მამინ ერთმან მათგანმა, უთხრა იოანეს, უცხოდ აძე გულისა ჩემსა, და ჩვენი დედოფალი კარგად აქეო, მე ასე არ ვიციოდი, თუ აძენის სატანჯველით იმ წყეულმან შაჰბასმა ჰსტანჯა ჩვენი დედოფალიო. ის დედოფალი ლაშქრის ჯვრის მოსაკიც იყო. თუარაო, მითხარიო.

იო. ლაშქრის ჯვრის მოსაკი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ ლაშა გიორგის ქალობა ეთქმოდაო, და იმან მოგაჭციკათ თქვენ, რომელიც ახლა იქ ფშავში მარხია, და თავის უნჯ ყმად გამოკელადათ. ეს დედოფალიც ქეთევან თქვენის გულისათვის ეწამა და სისხლი დააჭცია წყეულმან შაბას რომ კახეთი მოახრია, მერეთ თქვენზედ გამოგზავნა ჯარი. პირველად ბახალზედ წამოვიდნენ, და თქვენ იმ ფშავის გადასაკალში დახედით და გამოაბრუნეთო, და მერე გაჯავრებულმან კიდე ფშავის არაგვის წყალზედ ასი ათასი კაცი გამოგზავნა თქვენ წასახდენად, და ის ჯარი მოვიდნენ, შუათხარის ქვეით რომ წყალის პირზედ დიდი კლდის ქვაბია იქამდის მომწიკა იმათმან მხედრობამან და თქვენ, წმინდის ლაშქრის ჯვრის და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით ჰსძლიეთ და გააჭციკეთ იქიდაძი ის მტერი, და ესე ოდენი კაცი განწყვიტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ასე შეღება, რომ აღარ დაილეოდა, და სულ ხოცით მოჭყუვით ყინვალის ხიდამდისინა, და მას აქეთ თქვენთვის კვლარავის შემოუბუნაო, ეს სულ იმათის მადლით არის და

უნდა ძლიერ გიყვარდეთ ბაგრატიონები, რომ თქვენთვის ყოველ-
თვის ასე თავ დადებით ყოფილანო და თქვენ ჭყვარებისართო. მას-
შინ უთხრა მან ფშავმან, მეც მათი დასმული მოქადაგეკარ ფშავში.
ყაყიდა მეწოდება, მეც ყოველთვის კამწყალობებ ბაგრატიონთ თავის
მოწამებზედ და ლაშქრის ჯვარზედ, და ყოველ წელი კიდესასწაუ-
ლებთ ლაშქრის ჯვრობას.

იო. კიცი, ღომისობის წორზედ მოკა იმისა დღეობა, და ასე
უნჯნი ყმა ხართ, რომ იმის მწეკრების გულისათვის, საკლავსაც
დაჭკლავო, ყოველ წელი. ყაყიდა და შენ უფრო შეგვიყვარდი სხვა
ბერებზედ, რომ როგორც ჩვენ წინაშართ უანბით ეგ ამბავი შენც
ისე გვიამბო, შენ სომ არ ყოფილ ხარ ჩვენში და ასე წერილად
სად შეიტყო ყოველი ჩვენი წესიო. შენ სიდა ცხოვრებ გვითხარ,
გემსახურებით ერბოთი და ყველათაო. იოანემ. მე ქვანთახეკს გსტო-
ვრებ და იქიდა ამ ღვინის სათხოვნელად წამოკელი. ყაყიდა კარ-
გი, ჩვენ კიციით ის ადგილი და იქ მოგართმეკთ ორ ჯორს ავიდე-
ბულს ერბოსა და ყველსა, იოანემ დალოცა და გაიყარენ. იოანე
წარვიდა ალვანისაკენ.

რა ალვანს მიუასლოვდა, ჩასა მრავალნი თუშნი მუნ და მრავ-
ალნი ცხვარნი, და რა თუშებთან მივიდა, იცნო ცისკარაშვილმან და
სხვათა თუშთა იოანე მიიპატიეს, სიყვარულით მოაკითხეს და უთ-
ხრეს: შენ ის ბერი არა ხარ. რომელმაც ალაკრდს იქადაგო. იოან-
ემ. მე კარო.

თუშებმან უთხრეს, ნეტამც შენ იყო ჩვენი სარჭაშნელიო,
ჩვენს გულს დია აამე იმ კარგის ლაპარაკითო, მასშინ რურაბმა უთხ-
რა, ღმერთმანი უარს გეტყვით მაგისასო.

თუშებმან. ჭემარიტად, ბატონს ვსთხოვოთ ამის თავსაო.

იო. არა ბატონო, მე რასა ვღირსეკარ, თუ რომ სამსახური
შემიძლიან ისე გემსახურებით, მეც ქიზიყელი ვაცი კარო. ეს უფ-
რო იამათ თუშებსა, რომ ჭსტნეს მისი კახელობა, და სთხოეს სამ-

ხარი აქ მიირთვი, და გვიამბე წმინდის დედოფლის ქეთევანის ამბავი.

იოანე დაჯდა მათთან, და ყოველივე წვრილად უნებო მათ ქეთევან დედოფლისა ცხორება და მერე ჰკითხეს: შაბაზმან რომ ეს კასეთი წახდინა, სად მოჩჩა ხალხი?

იოანემ. რადენიც დაეტოდნენ, კალაურის მთაში დაიხიზნენ. სხვანი ჰანკისის ხეობაში და ლაზოტაში, და აგრეთვე მთებში, და ამ ადგილებში ყლგელგან ბრძო შაბაზმან, და ჰანკისშიაც, რომ თორღოს ციხემდინ მოვიდა იმათი ჯარი, თქვენ და კასთა დაამარცხეთ და ამ ალგანამდინ სოცით მოჰყევიეთ, და ეს სულ წმინდის ქეთევან დედოფლის მეოხებით ჰქმენით და ღმერთი შეგეწათო.

თუშთა. მერე რა დაემართა იმ წყეულს შაბაზსაო?

იო. რა იმ წყეულმან წმინდა დედოფალი აწამა და ესოდენი ჭრისტიანენი შეაწესაო, ღმერთმან ასეთი რისხვა მიუგლინა იმ შაბაზს, რომ სუთს წლამდინ სნუელობით იტანჯებოდა, და მერე მუცლის სენი დაემართა, და ნაწლაკები უკან განსაკალიდამ დაჭყარა და ისე ამოხდა ის მერალი სული. და სამოცი წელიწადი კერდა ისელ მწითვა იმისმან სახლმან. და მარტო ოთხმოცი კაჟი კაცი იყო იმითი გვარისა ქალებს გარდა და ასე გაწევიტეს ერთმანერთი, და სხვათაცა, რომ იმათი გვარისა ერთი აღარავინ მოიპოება, და ნახეთ, ღმერთი ასე ჰსწყალობს ბაგრატიონთა ოჯახსა, რომ ამათ გვარში, ხუთი თუ ექვსი მოწამა. ისე რაც მტერს შესოციათ იმას გარდა, და თქვენც ამისთვის უნჯუმს გეძახიან, როცა გასჭირებიათ ამთ ოჯახს თქვენ შეგინახვით, და შეწევიხართ, ყოველთვის გაჭირების დღეს. თუშებს დიად იამა ეს უბნობა, და უთხრეს: ესე კარგად ჩვენთვის არავის უნებია, როგორათაც თქვენ გვანობეთო; მეფე ერეკლეს ბეჭი ჭირნახული აქვს ჩვენზედაო და თვითქმის სულ იმან დაგვჭრისტიანაო. იოანემ. ბარაქალათ რომ გასსოგოთ და მაგრე ერდგული უნდა იყუეთო.

მერე ცისკარაშვილმან ერთი თავისი შვილი წარმოაყენა. აი,

ესეც ბატონმან გამიზრდეგინა სამღვდელად და კიდევ ჰსწავლობს, მითხარ ეს როგორი რამ მღვდელი გამოკაო.

იოანემ ზოგი რამ ჰკითხა, მან ყმაწვილმა კარგა მოუგო ზასუხი, და უთხრა იოანემ, კარგად უსწავლია, რაც რიგი ეჭირებაო, მან ცისკარაშვილმან, — მაინც მიბძანე, როგორი რამ გამოკაო?

იო. ცოდნა კარგი აქვს, მაგრამ მე ასე ვატყობ სახეზედ, რომ ეს მღვდლად არ ეკუთვნება, და არც თქვენში ენდომება ცხორება, და გერც თქვენსავით ერთგული იქნება ბაგრატიონთი, მაშინ თუ შებძან: ეს ბერი ანგელოზი ყოფილა, ყველას სწორეს ეუბნება. მეტადრე ჩვენში, გული არ უდგების, და არც მღვდლობა ესაღისებოდა. მოკიდნენ და იოანეს სელსა და თეხზედ მთხვეგნა დაიწყეს. იოანემ: უი ჩემ თავს! რასა აქთ. მე ერთი გლახაკი მწირი ბერი ვარო. მერეთ ასამხრეს, იოანეს ახუჭეს თეთრი რამოდენიმე. იოანემ მადლობა უთხრა და განემართა ლაღის ყურს.

რა ლაღის ყურს მივიდა იოანე, მოურავს ადრევე განემზადებინა მდსთვის სასლი, და მიიყვანეს მუნ, იოანემ მცირე ხანს განისკენა, და მერე წავიდა ლოცვაზედ ეკკლესიასა შინა, იხილა მუნ მოურავმან, მოიკითხა, და იწყეს მწუხრისა ლოცვა. მაშინ მუნ ერთი დიაკვანთაგანი, რომელიც უამს ანობდა, დია ხლტუბოდა, და ბევრს უშკებდა სიტყვასა, მცირე მოითმინა იოანემ, და მერე უთხრა: უფალო დიაკვანო! ღვთის ქურდი რად გინდა იყო და ღმერთს ჰზარაკდეო? დიაკვანმან ვერა გამოსცნო, და მერე ღვდული მოჰყვა უამნობასა, და არ დაასრულა ლოცვა, მოურავმან თვის თანა წამოიყვანა იოანე, და მცირესა ხანს უკან, მოიღეს ვახშიმი. რა მცირე ხანი გამოვიდა, მოურავმან უთხრა იოანეს: ის დიაკვანი ჩემი შვილია, რომელსაც ვაზდეგინებ ბერად და ის როგორ იქნება ღვთის ქურდიო.

იო. უკაცრავად, ვერ ვცან თქვენ შვილად, და ქურდს ძველად ქართველნი სამღვდელონი, ეძახდენ ეს გვარ უამნისა და სჯღმერთო წიგნის მკითხველთა. ვინც რომ სიტყვებს დაგდებდენ და სრულე-

ბით არ წაიკითხამდნენ, იმას უწოდებდნენ ღმერთის ქურდად, რადგან საღმრთოს ლოცვაში დააკლებდნენ სიტყვებს.

მოურავები: გაიგონე შეილო ფლორე. მეც ბეგრჯელ დაგიშალე და არ დაიჯერე. აი როგორ განმარტა მამა იოანემ. ახლა მანც გახსოვდეს.

იოანემ. უფალო ფლორე! რადგან ბერობის სახე შეგიძლას, მორჩილება სხვათაც თანა გაძს, არათუ მამისა შენისა.

ფლორემ. ქართული მსალა: ძალად გამეკრებენ ჭლას ვარდნაო.

იო. უი, ჩემ თავს, ჰსჩანს, რომ ბერობა არ გინდა.

ფლორე. მე ცოლი მიჩვენია რომ შევიერთო, მამს არ უქნდა ბერობა და პაპსაო. რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო.

იო. უი ჩემ თავს! თუ გინდა ბერიც არ იყო, ცოდნა რას გაწეენს თავადის შეილსა.

ფლორემ. აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო და, აკსო ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვინით, დაღია და მიაწო ბერსა. იოანე შეწუხდა და არ ენება გამორთმევა. — ფლორემ, თუ არ დალევ მეწმუნე კისერში ჩაგასხამო. მაშინ მოურავები უთხრა: ღვინოში ჭირვეულია ეგ ჩემი შეილი, ჩხუბიც უყვარს და ჩამოართვი ეგ ყანწი. იძულებულმან გამოართო და რის ყოფით დაღვივა ის ღვინო და მაშინ ზურაბმან უთხრა: ბატონო მოურავო, ამისთანა შემარხული უნდა ბერებო.

მოურავებმან. ოღონდაც.

იო. ბატონო მოურავო! თავის თავს დასაცველად იძულებით ბეგრს რასმე აქმს ვატი, და მეც დასრულდა ვახშამი, და ყოველნი წარვიდნენ თვის-თვისად, რა გათენდა, მოურავები მიუწოდა იოანეს თვისთან და აჩვენა თვისგან გაკეთებული სახლები, და საწაიდაცი (ხუროთ მოძღვარი) რომელსაც აქმენებინა ის სახლები ზედა მდგომარეობითა თვისითა, რა იოანემან ვარგად გაშინჯა, იხილა ეს სახ-

დები, რომე ქვეშე სის ბოძები ედგა ერთის ვაჭის ოდენი სიმაღლედ, და თავსებები გაწყოებით, და ზედ ქვეთვირის შენობა, დია ეუცხოვა იოანეს და სთქო: მე ამ გვარი საფუძველი სასლსა არ მიხსავსო. ესე ასაღი სურათ მოძღვრება არის.

მოურაემან. ეგ იგონომიისათვის ვქმენით, რომ ბევრა ქვა და კირი არღა მოუნდებოდა.

იო. ბატონო მოურაო! დია კარგი, მაგრამ მტკრმან, რომ ეს ბოძები მოგიჭრას, ხომ სულ ძირს დაუცვია ეს სასლო და კიდუც დაიქცევა, და თქვენც ვნებას მოგცემთ, მაშინ ზურაბმან: ეს სასლსა-ლე ჭსასწავლით დგას ჭაერში, კის შეუძლიან ვნება მისცეს, რამეი. მაშინ ყოველთა განიციენეს.

მოურაეი. საჩაიდარმან ასე მიჩივას?

იო. კარგად რომ ჭსტოდნია სურათ მოძღვრება, იმისთვის დაუღვია კარგი ფუნდამეტი (საფუძველი).

ამ უმად მოვიდა გიორგი ავალის შვილი სანიორკადმ. მოურაეი სხვანი წინ მოეგებნენ, ჰატივით მიიღეს, იოანე მოიკითხა და რქვა: რას სინჯამ ამ სასლებსაო? იოანემ. ამ სასლის სურათ მოძღვრებასაო. ვიცი ბოძები არ მოგეწონებოდათ.

იო. სწორედ, მისკდით.

გიორგიმ. მე თქვენი მეცნიერება მესმის, მე რუსეთს ნამყოფი ვარ, და მინდა გკითხოთ: რაი არს არხიტექტურობაი, ანუ სურათ მოძღვრება?

ხუროთ მოძღვრებისა ანუ არხიტექტურობისათვის.

იო. არხიტექტურა გვასწავებს განკარგვასა შენებულებისასა წესიერად, და სიმეტრიულად და ესრეთ, რომელ იგინი იყვნენ სახმარნი მის ხმარებისათვის, რომლისათვისცა დანიშნულ არიან.

გიორგი. რადენ გვარნი არიან ხელავენებანი სურათ მოძღვრებისანი?

იო. სამნი გვარნი: სამოქალაქო, სამხედრო, და სასომალდო.
გიო. რაისა შინა მდგომარეობს სამოქალაქო ხურთოთ მოძღვრებაი.

იო. განშეგნებათა და ზომიერებათა და თანსმობათა შინა ვითარისამე გარეგანთა, და შინაგანთა შენებულებათათვის.

გიორ. რადენნი რადენნი, ანუ ხარისხნი ირიცხებთან სამოქალაქო არხიტექტორობასა შინა?

იო. ხუთნი უკვე, ხარისხნი, ესე იგი, ტოსკანიური, დორიესკიული, იუნიესკიური და შერეული. და ეგრეთვე ამთდამი შერეულად ჭყოფენ დორიანურსა, ანუ ძველსა ღონისძიებათა აღგებისათვის შენებულებათა, რომლისაგამო აღშენებულ არიან კინი უოკლენი შესავრებელთა ეკლესიანი, და ეს გვარნი დიდ შენებულებანი. ხოლო რადენტა ამით მიიღეს წოდება თვისი ერთა მათგან, რომელთა შორის იყვნენ იგინი მოძოვრენი.

გიორ. ვითართა თვისებათა თანამდებ არს ქონად კარგი უკვე ხურთოთ მოძღვარი?

იო. იგი თანამდებ არს ცოდნად მხარველობისა ხელოვნებისა, დომეტრიისა, ოპტიკისა, ისტორიისა, ზღაპართ სიტყუაობისა, მრავალგან სხვა და სხვა შენობათა ნახელობისა. თვით აღშენებასადა შინა გამოცდილებასა და ესე ვითართა.

გიორ. რაისა შინა მდგომარეობს სამხედრო არხიტექტურა?

იო. ცოდნა ციხის განკარგულებისა, აგრეთვე მინდრულთა სიმკრეთა და საფრებთა განკეთებისა მდებარეობისამებრ ადგილისა. ესე სახედ, რათამცა იგი შემძლებელ იყოს ეს გვარ აღშენებად სიმკრისა, რომელ შეუძლოს მცირეს რიცხვითა მხედრობითა წინა განწყობად, ოდესცა მტერი შემოადგეს უდიდესითა მხედრობითა.

გიორ. რა არს არხიტექტურა?

იო. ხელოვნებით გამოცდილებაი აღშენებად ხომალდთა რა გვარადაც სამხედროთა, ეს სახედ საკაჭროთადაც, ხოლო ესეცა უნდა იყოს სწავლულ ზემოკსენებულთა ხელოვნებათა.

მაშინ ზუგრაზმან მოახსენა გიორგის. ბატონო აკაღის-შვილო! თუ მაგ ბერს ავეყვით, სულ უსახლოდ დაუკრებით ქართლი, კახეთი. სად უნდა ისწავლონ რაც მაგან ილაპარაკა, მაშინ ყოველთა განიხილეს და მოიღეს სადილი. იოანე გამოეთხოვა მოუწავს, მოუწავს ახუჭა კარგად ღვინო, გიორგისაც გამოესაღმა და უთხრა იოანემ, მინდა გწვეოდით და აქ გნახეთო. მანცა აღუთქვა სასუქარი. მერეთ მიიხმო მოუწავის ქალმან სოფიო იოანე, მოუწავს მიიყვანს სოფიოსთან. სოფიო მოიკითხა ლოცვით იოანემ და სოფიომ უთხრა: ბეჩა, რაზედ შეაწუხე ალავერდს ქალები და ან ელეკთურ.

იო. ბატონავ, ქადაგებში ბერი რამ ითქმის და რად უნდა შეწუხდენ, და თუ სვინიდისით იქმონენ დია კეთილია.

სოფიომ. ნუ დამედურები, აჯა ერთი წყვილი წინდა და ჰაჭი-ჭი მომიერთმეკია, ისე მიიღეთ ვითარცა მწკლილი.

იო. თქვენ იმისთანა ქვრივი არ ბძანდებით, უფრო მდიდარი ხართ. სოფიომ, თუთრიც ახუჭა.

იო. ღმერთმან გაცხონოთ, მადლობერი ვარ.

სოფ. თქვენმა მსემ არ გახლავარ ბებერი?

იო. ცხონება, ყმაწვილისა და ბებრისათვის დია სანატრელია.

სოფიომ. ბერო! ასე იცოდე, რომ მინდოდეს დია მალე გავსთხოვდები.

იო. უი! მდამა გქონათ!

მაშინ მოუწავს გაიციან და უთხრა: ბერო! კარგად შეიტყუო.

იო. არა ბატონო, დიად ჰატროსანად ნაცნობია ხალხში, მეტადრე სხვათა ქვრივთა ზედა, და ამა უხნობით გაიყარნენ. რა იოანე ამხედრდა, გიორგიმ უთხრა: გახსოვდე ბერო ლოცვაში?

იო. საწმუნოებისა შენისამებრ მესსოვნები.

გიორგ. კითარ?

იო. კითარცა ელიაზარ, და გაატენს ცხენი და წავიდა კნისე-ლისკენ.

დღე შემდგომი.

რა ენისეულს მიუახლოვდენ, იოანემ უთხრა ზურაბს, წადი და სახლი იშოვე სადმე სადგური. ზურაბი მივიდა მოურავთან, იოანეს მაგიერ ლოცვა კურთხევა ჰკადრა, და სთხოვა სადგური, მოურავმანც მისცა, და ოდეს იოანე მივიდა, აჩვენეს თვისი სადგომი. იოანემ განისვენა მცირედ და მერე წარვიდა მოურავთან, რა დიმიტრი მოურავი იხილა, იოანეს დია ეუცხოვა იმისი სახე ეოფაქცევა და დაკვლავნულება, რომელიც სკლამი სლათედა ფეხებს და სთქვა მამასახლისისადმი: ესე არს თქვენი გაღმა მხრის სარდალი? მამასახლისმან. დიად.

იო. ეს რომ თითონ ეოფილა მოსაკლელი, ამან ვის უნდა მოურავოს, რომ მოურავობა მეურნობას ანუ მოძლეულს ნიშნავს.

მამასახლისმან. რადგან შთამამავლობით ეოფილან მოურავი ამათი გვარი, ბატონმან არც ამათ გამოარხო.

იო. დია კარგი, მაგრამ, რატომ ამის შვილს არ მისცეს, რომელიც დია კარგი ვაჟგანია, ერთგულია თვისის ბებატონისა და მამულისა.

მამასახლისმან. უფროსი ერთს იხი მართავს საქმესა.

მერეთ. დიმიტრიმ მიიღო იოანე კარგად, და უბძანა მამასახლისს, რომ კარგად დახვდით, მე სხვაგან მივალ, და აღუთქვა ღვიონოც საჩუქრად იოანეს და წამოეყვანა მამასახლისმან. მამან ზაქარია მღვდელმან ლაღისხსნის შვილმან, ჰსცნო იოანეს მუნ ეოფა. და წარმოვიდა იოანესთან. რა ურთიერთი იხილეს, მიესალმნენ და სიყვარულით მოვიდნენ ურთიერთი, და ზაქარიამ გამოჰკითხა იოანეს თვისი ვითარება. იოანემაც უახლო თვისი მგზავრობის მიზეზი, და მერე დასხდენ ვახშად. რა ჯარგად შეეჭნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: მე ვაწირებ სკოლის გამართვას დუშეთს და თუ შენც განწესდები, სალიფობას მოგცემ შეგირდებისას, და ჯამაგირსაც გაგიჩენ.

იო. რაი თუ ეგ სკოლის გაკეთება ჭკაკდეს მამლის და ძაღ-
ლისაგან ასენებულს ზოფელსა.

ზაქარამ. რასათვის შეურაცხმყოფი, მე არაგვის ერისთვის
შვილი ვარ და როგორ ვერ შევიძლებ.

იო. ვჭკონებ გაგკონათ ქართული მასალა „სტუმარს სასლ-
ში არ უშკებდენო, და იმასდა სმალ-ფარი თაროსთან დამიკიდეთო“.

ზაქარ. რის შეუძლიან ეგე ქმნასო?

იო. სწორედ არაგვის ერისთავებს.

ზაქარ. მე ბრედედ ვარ ნაშობი?

იო. ასე სწერს მოციქული „არა დამიკვიდროს შვილმან მსე-
კლისამან მისათანა აზნაურისა.“ მაშინ განრისხდა ზაქარია, და სთქვა:
ნასეთ ეს ქიზიყელი მუტრუგი როგორ განზარტავდა; სსკანირ რა-
მდენი შეურაცხ ჰყო, და მეც ძაღლად და ბუძად გამსადა. მიკარდა
იოანეს. ჭსტაცა წვერში ხელი და დაუწყო თმისა და წვერისა გლეჯა.
იოანეც გამწოკდა და აზნაურ მიჭყო სელი, და ერთმანერთი დაქოჩ-
რეს. მაშინ მამასხლისი და სსკანი მუნებურნი მღვდელნი, შთაუ-
რვიდნენ შუაშ და რის ყოფით გააშკელებს.

მაშინ ზურაბიან: ახ. დიად მალე წავიკიდენით მოძღვარ ხალი-
ფა, და ამ ყოფით სკოლა არ გაიმართებაო. ზაქარია განრისხებული
წავიდა შინა და იოანემაც ის დამე მწუსარებით გაატარა. სოლო
ხკალისა დღე ადგა ადრიან, და წავიდა ნოდარიანთან, საბუეს.

დღე შემდგომი.

რა მივიდა სახლსა საღთსუცესისასა ნოდარის შვილთან, სა-
დილს აზირებდენ, და იოანეს გულისათვის, უბძან თვისსა მსახურ-
სა ფლავისა მოხარშვა და იოანე წაიყვანა მარანსა შინა, მცირეს ხანს
იმუხსაიფეს, და მეც მოვიდნენ სსკანიცა სახლის ვაწნი მათი, და-
სხდენ და მოიღეს სადილი. ოდეს ფლავის მოტანის დრო შეიქნა,
მოიღეს ფლავიცა, და ჩამოარიგეს, მაგრამ მღვირვად მძაღე და მყრა-

დი კრბო მოსლოდათ, რომ იოანემ ვერ უძლო ჭამად. გარნა სალთ-
ხუცესი თავ დადუნული ჰქვამდა ფლავსა მას ესრეთ, რომელ მთლად
მიიღო იგი თეთში სამსე, ხოლო სხვათა კერცა თუ ერთი ლუკმა
მიიღეს. რდეს დასრულა ფლავის ჭამა სალთხუცესმან, იხილა, იოანეს
ისევე სავსე უდგას თეთში და სხვათაცა, იოანეს უთხრა სალთ-
ხუცესმან: რატომ არ მიიწითებო?

იო. სიმძაღემ ეელი ჩამძადა და სუნმან საყნოსელი შემხუთა.
სალთხუცესი. მძაღე და ძყრადი ხომ არ იყო კრბო?

იო. დია ბატონო.

სალთხუცესი. ვაჟო, როგორი ბერი ხარ, არ შემატყობინე თუ
მძაღე კრბო ჰქონდა, რომ მეც არ მეჭამა.

იო. არ კიცადი თუ გემება არა ჰგონდათ.

მამინ ზურაბმა. ბატონო სალთხუცესო, დიდოს მოურავი ბძან-
დებით, და იქ იქნებით დასკუული დუმიდა, ქონისა, ხინკალის ჭამას
და თქვენ ამისთვის ვერ გამოსცანათ, მაგრამ ჯარბაში, ერთი ურე-
მი ღვინო უნდა გვაჩუქოთ. მამინ ყოველთა განიცინეს და აღუთქვეს
ღვინო იოანეს. რა დასრულდა სადილი, იოანე გამოეთხოვა და მა-
დლობელი წარვიდა შილდისაკენ.

მისრული იოანე მივალს ყოვლად სამღვდელოს ნეკრესელის
ზაქარას სადგურსა, და გარდახდების ცხენიდაში, და შევალს გალ-
ვანის ბჭესა შინა. იხილავს მუნ ერთსა დიაკვანთაგანსა და ეტყვის:
ყოვლად სამღვდელო აქ ბძანდება? დიაკვანმან — აქა. იოანემ ჰსთხო-
ვა დიაკვანს, და ცხად უყო ვითარებაცა თვისი, და უთხრა: მიკედ
ყოვლად სამღვდელოს ჩემ-მიერ ანბორება მოახსენე, და სადგურიცა
გვითხოე. დიაკვანი მივალს და ყოველსავე მოახსენებს არქიერს და
მანცა იხება, და მისცეს სადგომი. მცირე განისკუნა, სავსაო ტანი-
სამოსი გამოიცვალა, და ანაფორით მოსილი ელოდა მიწოდებასა
თვისსა. ამა უამსა შინა მოვიდა იგივე დიაკვანი და მიუწოდა იოანეს:
რა მივალს თოანე და იხილავს არქიერს, იქმს მეტანისა და

კამბორებს მარჯვენებს, არქიერი მოიკითხავს და მეტო დასომხ იოანეს, და ეტყვის: საიღამ მიგიძღვის უფალი?

იოანე. ქვაბთახევის მონასტრით.

არქიერმა. ღვინის სათხროვრათ?

იო. სულძან გაცნობათ.

არქიერმან. ბოროტმან თუ კეთილმან?

იო. სულძან წმინდამან.

არქიერს იამა იოანეს ღაზაჩაკი, და უბძანა: შეისრულე ჭსწაკა და?

იო. ჭე. მადლითა თქვენითა.

არქიერმან. ვინემდის გახშამი დამზადდებოდეს, მტირე რამ ვიუბნოთ, კატოლორიისათვის.

იო. იყავნ ნებს თქვენი,

დიოლიკტიკისა ანუ კატოლორიისათვის.

არქიერი. რაი არს კატოლორია?

იო. კატოლორია არს ქვე თქმულობა, გონა ნივთისა ქვეს რისამე ზედა შესმენა (ხოლო ლექსი ესე არს ელენებრი).

არქიერი. რაი არს სახელ მოდგამი?

იო. სახელ მოდგამი არს, რომლისაგანცა მარტივად არა რაიმე შეიზერობის. მაგალ. ქალწული, რომელ ესე ეწოდების ერთსა ათორმეტთაგანსა ბურჯსა ერთისათვის ცისა. ხოლო სახელივე ეწოდების კაცსაგანცა.

არქიერი. რაისათვის ეწოდების სახელ-მოდგამი?

იო. ზმისთვის, ვინაიდან სახელით მოუგეოსთ ერთ უოფაი, და საზღვრით განუოფაი, ვითარცა საზღვარი კაცისა სხვა არს, და საზღვარი კარსკულავისა სხვაი.

არქი. რადენი განწვალება აქვს სახელ-მოდგამსა?

იო. ორი, ესე იგი, არსებითი და შემთხვევითი.

არქი. არსებითი ვითარ?

იო. არსებითი არს ვითარცა—ქალწული, მით რამეთუ ორნივე არსებასა დანიშვნენ, ესე იგი, კაციცა და კარსკვლავიცა.

არქი. შემთხვევითი ვითარდა?

იო. იგი, რომელიცა შექმსგაკსებისამებრ იქმნების. მაგალითი ვითარცა მრავალია: კაცთა ლომად სახელ-ჭსდებენ, გინა პილოტანად ძლიერებისაგამო და არცა არიან ლომ, და არცა პილატონნი, და ესე ვმა გეყავნ.

არქი. რაი არს თანა მოსახელე?

იო. თანა მოსახელე არს, რომელსა დამნიშვნელობითი საქმე რაიმე შეიპყრობს მარტივად, და მის მიერ დანიშნულ არიან საზღვრითა და სახელითა-ზიარ და ესე არს თვისება თანა-მოსახლისა.

არქი. ვითარ იქმნების ეგე?

იო. ესრეთ, რამეთუ ითქვას რა ცხოველი, მვის მარტივად ცნობილ იქნების მყრალი ცხოველი, ხოლო აქ ვიტყვი ნივთიერისა ცხოველისათვის საზღვარსა: ცხოველი არს არსება სხეული მოზარდობითი, აჭა თქმითა ამით განისაზღვრების ყოველი ნივთიერი ცხოველი. (ხოლო ღვთისა და ანგელოზთათვის ვიტყვი მეტაფიზიკასა შინა) და ესე ვმა გეყავნ თანა მოსახლისათვის.

არქი. რაი არს სახელ-დასი?

იო. სახელ-დასი არს, რომლითა შეიპყრობის საქმე რაიმე მარტივად, გარნა დანიშნულნი მის მიერ არიან ურთიერთისა, პირ-და უკანასკნელი.

არქი. ვითარ?

იო. ესრეთ, ითქვას რა მყოფი, ესე განიყოფების ორგვარად, ესე იგი. არსებითად, და შემთხვევითად, ხოლო ამას შინა არსება არს პირველი, და შემთხვევითი მეორე. და ესრეთ იხილეთ მნიშვნელობა, სახელ დასისა, რამეთუ პირველსა შეუდგების მეორე. და ესრეთ იხილეთ მნიშვნელობა, სახელ დასისა, რამეთუ პირველსა შეუდგების მეორე, და ეგრეთვე მსგავსნი ამისნი.

არქი. რაი არს სასხელ ნართული?

იო. სასხელ-ნართული არს, რომელთა სასხელისა და საქმისა-მებრ აქვსთ ზიარება ურთიერთისა შორის, და აქვსცა განწკალება ურთიერთაგან, სიწმინდე, და წმინდა ერთი დასაბამითვე არიან იგივე, გარნა უკანასკნელითა სსკაობითა სსკაობენ: რამეთუ, რომელიცა, სი, გინა, ებ, მარცვლით იქნებიან, იწოდებიან აღმატებულად, ხოლო რომელიცა ამა მარცვალთაგან არა შედგომულ არიან იწოდებიან განზრქელებად, და აქვსთ ესკვარი ზიარებაი, წმინდა, სიწმინდის გამოიწოდების, და განწკალებაცა ზემოთქმულისამებრ.

არქი. აქვს რაიმე კვლად მნიშვნელობა აღმატებულსა სასხელსა?

იო. ესრეთ, რამეთუ აღმატებული იგი იწოდების სასხელ მრთველად, რამეთუ დაურთავს სასხელსა თვისსა სსკათა. მაგალ. ვითარცა აღშენებისა გამო, დაითო მეფესა დავითს აღმაშენებლობაი.

არქი. განზრქელებულსაცა აქვს რაიმე მნიშვნელობა?

არქი. ესე, რამეთუ უოველი განზრქელებული სასხელი არს სასხელ-რთული სასხელი. მაგალ. ვითარცა წმინდა, წმინდისა გამო იწოდების წმინდად, და ამისთვის წოდებულ არს განზრქელებულად რამეთუ ქვემდებარესა ზედა შეისმინებიან, განუფინებიან, განმრავლდებიან და განზრქელდებიან შესმენილნი მათზედა.

არქი. რაოდენ გვარობს შესმენა?

იო. ორგვარობს, ესე იგი: ჩვენებითად. ჩვენებითი არს იგი, რომელიცა უშორესად და არა განცხადებულად გვეცნობების. მაგალ. ვითარცა ითქვას ესე; რა კაცი არს? ორ მარცვალ თქმითა ამით არ იცნობების გვამი კაცისა, რამეთუ შესაძლებელ არს სხვისაცა არსისა ორ მარცვლოვან ყოფა.

ხოლო შორის ჩვენებითი არს, რომელიცა არსებობსა, რომლისამე არსებისასა გვაცნობებს ზედ მიწევნით. მაგალ. ვითარცა ითქვას: რა კაცი არს სიტყვიერი ცხოველი მოკვდავი. აჴა სიტყვიერი და ცხოველი კაცისა შესმენითა, აჩვენებს არსებასა კაცისასა. ხოლო უშესმენაესი შესმენა, ანუ უგანცხადებულესი შესმენა შორის

ჩვენებითისა არს, ითქვას რა, მეოფე რომელ არს წინა-უგმო გან-
წვალებული არა რაისაგან, გარნა განწვალების მეოფე ორ სასხედ.
ესე იგი, არსებითად და შემთხვევითად.

არსებითი არს საჭმე თვით თავით თვისით მდგომი, და არა
მეჭონე სხვისა შემტვიცებისა.

ხოლო შემთხვევითი არს, რომელიცა სხვასა ზედა იხილვების
მდგმად, გარნა არისტოტელისამებრ აქვს სსვა გვარ განწვალებაი
მეოფისა.

არქი. ვითარ?

იო. არისტოტელი განწვალებულ ჰყოფს ოთხ გვარად. ესე
იგი: 1) ჭკე მდებარისად, და არა ჭკე მდებარისა შორის. 2) ჭკე
მდებარისა შორის, და არა ჭკე მდებარისად. 3) ჭკემდებარისად, და
ჭკემდებარისა შორის. 4) არცა ჭკემდებარისად და არცა ჭკემდებარისა
შორის.

არქი. აღმოაჩინე.

იო. ესე არს საზოგადო, გინა საყოველთაო არსება; მაგალ.
რამეთუ ითქვას რა ვითარმედ არს კაცი, რომელ არს საყოველთაო
არსება და შეისმინებისცა ჰეტრესად გარნა არა არს მხოლოდ ჰეტრ-
რესსა არიან სხვანი კაცნი.

2) ხოლო ჭკემდებარისა შორის და არა ჭკემდებარისად, ესე
არს სათვითო გინა კერძობითი შემთხვევაი. მაგალ. ვითარცა მათე-
მატიკოსობა, რომელ არს შემთხვევითი, ესე იქმნების და იპოვების
ჰავლესა შორის, გარნა არა იქმნების და იპოვების ჰავლესა შორის,
გარნა არა იქნების შესმენითა ჰავლესად, რამეთუ არა ითქმის თქმი-
თა ამით, ვითარმედ ჰავლე იუოსმცა მათემატიკოსობა, არამედ
ითქმის ვითარმედ ჰავლე არს მათემატიკოსი.

3) ხოლო ჭკემდებარისად და ჭკემდებარისა შორის იმცენ ეს
გვარ, რომელ ესე არს საზოგადო შემთხვევითი. მაგალ. ვითარცა
სათნოება, რომელ არს საზოგადო შემთხვევა, შეისმინების ჭკემდე-
ბარისად, ესე იგი, სამართალისად, მეცნიერებისად, სიმხნისად და

სსკათა სსხეთა, და არსცა ქვემდებარისაშორის, რამეთუ იქმნების გუჟამსა შინა ვაწისასა.

და ესე მეოთხე, რომელიცა არს არცა ქვემდებარისად და არცა ქვემდებარისაშორის: ესე ითქმის სათვითოდ ანუ კერძობითად არსებად, მით რამეთუ ვითარცა ჰავლეს არა აქუს ქვემდებარე შესმენა მისთაებრ, რათა ვისდამე შეისმინებოდეს, და არცა აქუს ქვემდებარე მდგომისაებრ, რათა ვისმესა შორის აქვდესმცა ყოფილი; და ესრეთ ამტკიცებს არისტოტელი.

არქი. ათნი უკვე კმანი არისტოტელებრნი რომელნი არიან?

იო. ისენი: 1) არსება, 2) რაოდენი. 3) რაისა-მიმართი. 4) ვითარი. 5) ქმნა. 6) ვნება. 7) სადა. 8) ოდესი. 9) მდებარეობა. 10) ქონება.

არქი. ამა სმათა შორის, რომელი არს უპირველესი?

იო. არსება, სოლო სსკანი დანაშთნი ცსრანი იგი არსებასა მასზედა შეისმინებინ.

არქი. არსება რაი არს?

იო. არსება არს თვით თავით თვისით ყოფილი და არა მექონე სსკისა შემტვიცებისა.

არქი. რაოდენად იწვალების არსება?

იო. არისტოტელი მჩხობლად ჰსწვალებს არსებასა, ესე იგი: პირველად და მეორედ. პირველი არს განუკვეთელი, სოლო მეორე არს საზოგადო.

არქი. რაისათვის უწოდა განუკვეთელსა პირველ არსებად?

იო. ამისთვის, რამეთუ მეორენი იგი არსებანი, რომელ არიან საზოგადონი შორის განუკვეთელისა იხილვებინ და მუნ აღმოჩნდებინ. მაგალ: ვითარცა ცხოველობა და ვაჭება აღმოჩნდების პეტრესსა შორის. პეტრე, რომელიცა არს განუკვეთელ.

არქი. რაისათვის არს მეორე არსება საზოგადო?

იო. ამისთვის, რამეთუ გარდა განკვეთელისა, საზოგადონი არა იხილვებინ.

არქი. გარდა ამისა, არსდა კვლად სხვა შენიშვნა ამისთვის?

იო. ესე კვლად პირველსა შინა არსებასა, რომელ არს განუკვეთელი, რომელიცა შეისმინებინ, ანუ მისდა შეისმინებინ და ანუ მის შორის არიან, ხოლო რომელნიცა მისდა შეისმინებინ, იგინი იწოდებინ საზოგადო არსებად. მაგალ. ვითარცა ცხელი, მშვენიერი, მოზარდი და სხვანი, ხოლო რომელიცა მის შორის არიან, იგინი იწოდებინ შემთხვევითად. მაგალ. ვითარცა რომელსაჲმე განუკვეთელსა შინა არს, რომელიმე შემთხვევითი. და იგი არს არს სხვასა შინა განუკვეთელსა. არამედ სხვასა შინა სხვა არს. ხოლო ახალნი უკვე იფილოსოფოსნი არსებასა სდებენ სამ გვარად. ესე იგი: პირველად, მეორედ, ხოლო მესამედ ანგელოზს უწოდენ საესეად, პირველი და მეორე, ვითარცა მოგახსენე ზემოთ, ხოლო მესამეს, ანგელოზთ უწოდენ საესეად. ესე იხილეთ მეტაფიზიკასა შინა.

არქი. მდევარნი ანუ შედგომილებანი არსებისანი, რადენნი არიან ანუ რომელნი?

იო. არიან უკვე ოთხ, ესე იგი: რამეთუ, არა-რომელიმე არსება ქვემდებარისაშორის არს, და ესე ცხად არს, რამეთუ პირველი არსება, არავისგანმე არს არამედ თვით არს საფუძველი უოკულთა. ხოლო მეორენი არსებანი იხილვებინ ვითარმედ არიან ქვემდებარესა შორის. გარნა არს არიან, ამისთვის რამეთუ არს არიან პეტრესა შორის ვატი, გინა ცხელი, არამედ არს პეტრესა შორის ვატობა, და ცხოველობა, უგრეთვე, რამეთუ, რომელიცა არსება არს, ანუ პირველი ქვემდებარეობა ანუ პირველისად, მით რამეთუ რაი-არსობისა შორის შესმინილი და რომელიცა პირველი ქვემდებარეობა არის იგი არს განუკვეთელი, ხოლო რომელიცა, პირველისად შესმინილი არს იგი საზოგადო არსება არის; და ესრეთ მჩხობილი არს არსება. ესე იგი, პირველი და მეორე, ვინაიცა მჩხობილი არს განთვისება. ესე იგი. პირველი ქვემდებარეობა, და პირველად რაი-არსობის შორის შესმენა.

არქი. რაოდენ გვარად იწვალების რაოდენი?

იო. ეწვალების ორად. ესე იგი. შერწყმულად და განწყმულად, შერწყმული არს, რომლის კერძოთა აქვსთ საზღვარი შემოერთებული, რომ არს შემკვრელი და აქუსცა თვისად. რამეთუ კერძოს ერთისა განზიდვითა მიიზიდვის მუორცვა:

ხოლო განწყმული არს, რომლისაცა კერძონი არა არიან მიმთვალველ საზღვართა შემაერთებულთა, მაგალ. ვითარცა მარცვალნი ესე: ნი, და ნა, ესე იხილვების კერძოდ სასულისა ამის წინასა, არა აქვსთ საზოგადო საზღვარი, რამეთუ-საშვალისა კერძოთა მქონებულთა არა ძალუძსთ ყოფა თვინიერ ურთიერთისა, რამეთუ თქმითა; ნი, არა მოიღების-ნა, და ეგრეთვე თქმითა ნა, არა მოიღების ნი, მასასადაძე არა არიან შერწყმულ კოპარითა ერთად საზოგადოდ საზღვრად.

არქი. სხვებითაცა აქვს განწვალება რაოდენობასა?

იო. კვალად იწვალების ხუთად, ესე იგი: 1) ღრმად. 2) ეპითანად. 3) სხეულად. 4) ყამად, და 5) ადგილად:

1) ხოლო ღრმისა შემაერთებული საზღვარი არს წერტილი, რამეთუ განზიდული ღრამი (ნაწი) თვინიერ წერტილისა არა შეიღების.

2) ეპითანითა შემაერთებული საზღვარი, არს ღრამი, რამეთუ ეპითანია ღრამთაგან და ღრამთა მიერ არს შედგმულ:

3) სხეული თვინიერ ადგილისა არა იხილვების და ამისთვის ადგილი არს გარეშემცველი სხეულისა, ანუ ესრედ კვსთქვათ: ადგილი არს ხატი განსაზღვრებული თანად ყოფისა ნიკოსსა, რამეთუ სხეული თვინიერ ადგილისა ყოფად შეუძლებელ არს.

4) ყამი არს განზომი, მზისაგან მოძრაობისა, ხოლო ნამყო და მყოობადი არიან ყამნი და მათი შემაერთებული საზღვარი არს აწმყოი, მით რამეთუ ამის მიერ მოკიდებულობენ ურთიერთ არს ნამყოი და მყოობადი და ესრეთვე იმცენ სხვანიცა.

ხოლო ადგილი არს გარე შეწერა სხეულისა, ვინაიდგან არა

რომელიმე კერძო სსეულის ან უადგილო და არცა სსეულსა ძალ-
უმს უადგილოდ ყოფიან, და ეგრეთვე სსეულისა შორის ყოფა ითქ-
მის ადგილად. ხოლო აქა ცნობად ანს უღონობა ამისი ვითარმედ
რითა განიხივეთ იანმცა ურთიერთისაგან წერტილი და არდგილი, ვი-
ნაიდგან ორთავე ამაოებად უწოდებენ ფილოსოფოსნი. გარნა აღმო-
ჩინებად სათანადო ანს ესრეთ, რომელ ამაოება რომელ ანს კერ-
ძოთა შორის, ღრმისათა, რომელ არიან კოჰარნი ღრმისა კერძო-
თაგანი, ითქმის წერტილად. ხოლო ამაოება რომელი ანს კერძო-
თა შორის სსეულთა, რომელ არიან კოჰარნი სსეულისა-კერძოთანი,
რომელი ეპიფანისაძებრ იხილვების, ითქმის ადგილად, სიტუვისა-
ძებრ დაგვიტ უძლეულისა ერძანთა ფილოსოფოსისა, რომელიცა ეპი-
ფანისასა უწოდეს ადგილად.

არქი. რაოდენნი არიან მდეკარნი რაოდენისანი?

იო. სამნი. ესე იგი: 1) რამეთუ არა მითვალვულ ანს უმეტეს
უდარესისა. მაგალ. ვითარცა წერთა წერთისა წერთობითა არა ანს
უმეტეს და უდარეს და სხვანი. 2) არცა მიითვალვას წინააღმდეგსა,
რამეთუ წერთა წერთისა წერთისა რაი წინააღმდეგობა ანს, და სხვა-
ნი: ხოლო 4) ესე, რომელ თანა-ჭსწორი და უთანასწორი, სწორი
და უსწორი რაოდენისად ითქმის, რამეთუ თანასწორი და უთანას-
წორი შეისძინებენ განწყემულისად. მაგალ. რამეთუ თითნი ხუთნი
თანასწორ არიან თითთა ხუთთა, და უთანასწორი, სამთა თითთა
რაოდენობისაძებრ, ხოლო ჭსწორი და უსწორი, მამინც შეისძინე-
ბიან შეწყემულისად. მაგალ, ვითარცა ქარტა ერთი თეთრი სწორ
ანს მეორისა, ეგეოდენისავე ქარტისა შავისა და სხვანი.

არქი. რაჲ ანს რაჲსა მიმართი?

იო. რაჲსა მიმართი ანს, რომლისადაცა ყოფიან სხვისადმი მო-
იღებოდეს. მაგალ. ვითარცა დიდი მცირისადმი, რამეთუ დიდი თავით
თვისით კერ შემძლეებელ ანს დიდ ყოფად, ანუ ცნობად, უბოეთ
სხვასა ზედა არა ითქმოდეს მოღებით, რომელ ესე ნივთი უდიდეს
ანს მეორისა, და აგრეთვე სხვანი მჭსგაკნნი ამისნი.

არქი. რაი არს საკუთრება რაისა-მიმართის?

იო. ესე, რამეთუ გარემოქცევის ბრუნვითა და არა შესძენით. მაგალ. ვითარცა მამა ძისა, და ძე მამისა. აჭა ჰირველსავე ბრუნვასა შინა მამა არს წრფელობითად, და ძისა არს ნათესაობითად, ხოლო მეორესა შინა ძე არს წრფელობითად, და მამისა არს ნათესაობითად ბრუნვილი, აჭა ისილე ბრუნვით გარემო ქცევას და არა შესძენით.

არქი. რაოდენად განიწკალებს რაისა-მიმართი?

იო. ორად: მარტივად და შეზაკებულად. მარტივი არს ესე რომელ, მამა ყოფილი, მისგამო მოიღების, და ამისთვის, მდგომარეობა მამისა არა არს შეზაკებულ ძისათანა, არამედ არს მარტივითავე თვისით. ხოლო შეზაკებული არს ესე, ვითარცა ყოვლადი და კერძოი. რამეთუ თქმით ყოვლადისათა მოიღების კერეოცა, ვინაიდგან არა გარეშე კერძოთაგან ყოვლადი, რამეთუ მდგომარეობა ყოვლადისა და კერძოისა ურთიერთ არიან და ამისთვის საზღვრენ ფილოსოფოსნი ესრეთ ყოვლადსა, ყოვლადი არს კერძოთაგან ერთბამად შემოკრებულთა და ამის გამო იწოდების შეზაკებულად.

არქი. მდგომარეობა რაისა-მიმართისანი ვითარ არიან, ანუ რაოდენ?

იო. ხუთნი: 1) რამეთუ მიითვალავს უმეტესს უდარესსა, გარნა არა ყოველი რაისა-მიმართი. მაგალ. ვითარცა მსგავსი რომელიძე, რომელ-არს რაისა მიმართი, უმეტეს ემჭსგავსების რომელსამე სხვისა რომლისაგანძე. ხოლო არა ყოველნი რაისა-მიმართნი მიითვალვენ ამას. რამეთუ მამა და მამა, და სხვანი ესე ვითარნი არა მიითვალვენ უმეტეს უდარესობასა.

2) იქნების ოდესმე წინა-აღმდეგობა რომელსამე რაისა მიმართსა შინა. მაგალ. სიმალე, ესე არს წინააღმდეგ, უსამართლობისა. და სათნოება, უთნოებისა. გარნა არა ყოველნი რაისა მიმართნი მიითვალვენ წინააღმდეგობასა მით რამეთუ, დიდისა და მცირისა, და სხვათა ესე ვითართა, არა რაი არს წინააღმდეგობა.

3) ოდესცა ვიტყუით ჩაისა მიმართსა, მაშინ ჩაისა მიმართნი მუის თანად არიან, მით რამეთუ თქმითა მაძისათა მუის თანად შემოიღების მეცა ეს სასუდ უფალი და მოწინა მუის თანად ვიდრევე არიან. გარნა საგრძნობელნი გრძნობისათანა არა არიან მუის თანად, მით რამეთუ საგრძნობელნი უზირველეს არიან საგრძნობელნი, გარნა გრძნობაი მათი არღარა არს ჟერეთ, რამეთუ მაძა თვინიერ ძისა არა არს, და არცა ითქმის მაძად.

4) მეოთხე, საკუთრება ჩაისა მიმართისა, ვითარცა ბრუნვით მოიქცევის გარე, რაგვარადაც ზემოთ ითქვა, ახილუ მუნ.

5) მესუთე, რამეთუ ყოფილი მისი მოიღების სხვასა ზედა. მაგალ. ვითარცა ყოფილი ძისა მოიღების მაძისა ზედა. და სხვანი.

არქი. რაი არს ვითარი და ვითარებაი?

იო. ვითარი არს სხვაობა სხვაობათათვის. მაგალ. მშვენიერი და უშვერი. სათნო და უთნო. მით რამეთუ მშვენიერი სხვაობს უშვერთაგან, და ესე არს ვითარი.

სოლო ვითარება არს, რომლისაგან და რომლისაებრ იქნების, მაგალ. ზედ-მიწვენილებისაგან იქნების ზედ-მიწვენილ, და მეცნიერებისაგან, მეცნიერი, ესრეთვე და სხვათა ვითარებათებრ სხვანი უგე ვითარნი.

არქი. რაოდენი განწკალებს აქვს ვითარებასა?

იო. ორნი: ბუნებითი და მოკებითი. ბუნებითი არს, რომელცა შობასავე ბუნებისაგან მისცემიეს. მაგალ. სიმკვირცხლე, გინა ძლიერება, სიზარმაცე ანუ უძლეურება. და ესე არიან ერთგზის ბუნებისაგან, სოლო ბუნებითი იგი საზოგადო შობასავე შინა მჩხობელი არს, მით რამეთუ, მოცინარობაი საზოგადოდ კაცთა შორის არს. სიმავე ყოჩხნთა შორის, და სითეთრე თოვლთა შორის, და რომელიცა მსოლოდ განუკეთელისა არიან. ვითარცა უძლეურება მავლესი, და თვალ მაჩხობაი ჰეტრესი, ეს სასუდვე, რომელიმე ბუნებისაებრ არიან მჩხობანი, და რომელიმე მყუდრო, და სხვანი ესე ვითარნი.

სოლო, მოგებითი არს, რომელიცა ბუნებასა შემდგომად შე-
მაკალ-არს. მაგალ. ვითარცა მეცნიერება, ანუ უმეტრება. გარნა მოგე-
ბითნი იგი განიყოფებიან ძრწობლად (ესე იგი) 1) ანაგებად, სო-
ლო მეორე ადვილ შესაცვალებლად. ანაგებად ანუ გაგვარებად არს
იგი, რომელნიცა არიან უძრავლად უამიერნი, და ძნიად შესაძულენი,
შრომითა ფიცხელითა მოგებულნი, და ძნიად განშორებულნი, ვი-
თარცა ზედ მიწვინილება, და სთნობა. შით რამეთუ ესენი ფიცხე-
ლითა მოღვაწეობითა მოიგებიან, და ძნიად განშორებიან მომგებე-
ლისაგან. და ამისთვის ესე ვითარნი ითქმიან ანაგებად. სოლო
შეტკალბადნი ანუ ადვილ შეძრადნი არიან ესენი, ვითარცა განსურ-
კება და განგრილება სსეულისა, ვირ მეწამულება მორცხვება, და ვირ
განყვითლება შიშხეულისა, ესეცა არიან გვარნი მით, რამეთუ. რადეს
განკალს რა მსურვალება მუის განგრილდების, და რა განკალს მო-
რცხობა მორცხვისაგან, და შიში შიშხეულისაგან, კვლად ეგნენ ფერ-
სავე თვისისა ზედა. სოლო ბუნებითი ბუნებითსა ნათესავსა ქვეშე არს
დაწესებულ და სსვანი.

არქი. შედგომილება ანუ მდევარნი ვითარისა და ვითარებისა-
ნი რადენნი არიან?

იო. რანი: ვირველი წინააღმდეგობითი და მეორე უმეტეს
უდარესობითი. წინააღმდეგობითი არს ესე, ვითარცა უმეტრებისა წი-
ნააღმდეგ არს მეცნიერებაი. მსროლისა მამაცობაი. და ამათ შორის
არს. სახელ ნართულნიცა ითქმიან, ვითარ, სთნობსა, უონო. შაკსა
თეთრი. მამასადავე ვითარისა და ვითარებასა აქენ წინააღმდეგობაი
ურთიერთ არს, გარნა სამკუთხეობისა და სიმეტრეგლისა და მოთ-
ხეულისა და სსვათა ნაკვეთთა არა-რავი არს წინააღმდეგობი, მით რა-
მეთუ კვიფინიანი (ანუ სიფინიფინანი) უწინააღმდეგობი არიან.

სოლო მეორე, უმეტეს უდარესობითი; მაგალ. მეცნიერება, რო-
მელ-არს ვითარება; სოლო მეცნიერი, მეცნიერსა დედა უმეტეს არს
და უდარეს ესასხედევე თეთრი რომელსამე თეთრისა, უთეთრეს არს
და ანუ უმეტეს. გარნა სითეთრე სითეთრისა არს ითქმის უმეტეს

და უდარეს მით, რამეთუ სითეთრე სახე არს და სახე არარას მი-
ითვალავს უმეტეს, უდარესსა, მით რამეთუ ყოველნი საყოველთაო-
ნი უჭტვეულ არიან, მაგრამ რომელიმე სითეთრე რომლისაჲ სითე-
თრისა უმეტეს და უდარეს არს; ესთაჲ და სხვანიცა განუკვეთელ-
ნი ითქმიან. აგრეთვე მესამესაც შესძინებს ფილოსოფოსი; რამეთუ
მჭსგავსი, და უმსგავსო ითქმიან ვითარისა, და ესე არს საკუთარი-
სა. ხოლო ან უკვე ფერი თეთრისად თანა მოსასლევობით შეისმინე-
ბის და ფქვილისად სახელ მოდგამობით, ხოლო სითეთრე და თე-
თრი არიან სახელ წართულ.

არქი. რადენად განიწვალების ქმნაი?

იო. რად, ესე იგი, შემოყვანად და არა შემეყვანად. შემოყვა-
ნებითი ქმნა არს, რომელ მოქმედებულისაგან, მოქმედებისადმი ვნე-
ბა რაიმე შემოიყვანებოდეს. მაგალ. ვითარცა მკვეთელისა და კვეთი-
ლი იგი შეწყნარებითა კვეთილისათა განესხვავების თაკსა შორის
თვისსა.

ხოლო შემოყვანილი არს, რომლისათვისცა ვნება რაიმე არა
შემოიყვანებოდეს. მაგალ. ვითარცა მხილველისაგან, შორის ხილუ-
ლისა არა რაიმე ვნებაი შემოიყვანების მით, რამეთუ ხილული იგი
მხილველისაგან არცა იცვალების და სხვაგდების, არამედ ჭგიეს თვის-
სავე სახესა შინა.

აგრეთვე შემოყვანება ითქმის მრჩობლადცა. ესე იგი, მარტი-
ვად და შეზაკებულად. მარტივი არს რამეთუ ქმნა მოქმედისა და
ქმნილის შორის სხვა არა რაი არს, ვითარცა დაბადება და მშობე-
ლი ჭშობს თვინიერ უღონოისა. ხოლო შეზაკებული ორჯანოთიერთ
ისილვების, რამეთუ სერსუა და შემოსვა თვინიერ საშვალისა არა
არაიან, მით რამეთუ, შორის მხერხველისა და განსერხილისა სერხი
არს. ხოლო შორის შემოსველისა, და შემოსილისა შესამოსელი არს.

ეს სახედვე შემოყვანილიცა მრჩობლი არს, ესე იგი მხოლო-
ობითა და მარჩიობითი. მხოლოობითი არს, რამეთუ ისილვებს
ქმნა, მაგრამ მოქმედი და ქმნილი არა განირჩევან, ვითარცა გამო-

სკლა, და წარსკლა. სოლო გამოსკლა და წარსკლა არიან ქმნანი, და იგივე არს გამოსკლა და წარსკლა. სოლო მრჩობითი არს რამეთუ ქმნა ამისი განისსჯაების მოქმედად, და ქმნულად, ვითარცა თქმა და სმენა, რამეთუ თქმისა შორის სსჯა არს მთქმელი, და სსჯა თქმული. ესთავე სსჯა არს მცნობელი და სსჯა ცნობილი,

არქი. რაოდენნი ჭქონან მდეკარნი ქმნასა?

იო. სამნი. პირველად მითკაღვა უმეტეს უფარესისა. რამეთუ სურვება რომელ არს ქმნა უმეტეს და უფარეს იქმნების.

ვერარაიმე აენეს, და მევე დათესნა კბილნი იგი ურჩხულისანი, მუის-

ვე აღჰსდგნენ მხედარნი შეჭურვილნი, და მოისწრაფდნენ იაზონისადმი, ყოველის გვარის საჭურველებითა, ესე იგი მუშით, ხრძლით, ისრებით და სხვათა იარაღებითა. ოდეს დაუახლოვდნენ იაზონს, მაშინ ჰსტყორცნა მან ჭკაი იგი მიცემული მეფისა ასულისაგან და შეისვე დაიწყეს მხედრობათა მათ ურთიერთისა ხოცაი და აღისპნენძცა სრულიად. უგანასკნელ განემართა იაზონ ურჩხელისადმი და ოდეს მიუახლოვდა ურჩხელსა მას დასაძინებელი იგი წამალი და შთანთქმისავე წამსა დაეცა ურჩხული ესე მკვდარი მიწასა ზედა, და შერეთ აღიღო ჯილდოდ ღვაწლისა თვისისა ოქროს მატყლოსანი ცხაკარი იგი და მოვიდა თვისთა თანა მხიარული და მიულოცეს ყოველთა, და შერეთ მოვიდა თვისისა საყვარელისა მეფისა ასულისა მედეასადმი და სიყვარულით შეიტკბეს ურთიერთ, და მასვე ღამესა შინა დაუტყვეს კოლხიდა, და ორნივე საყვარელნი ღაშქრითურთ თვისით განემართნენ იაზონისა ჭკუენისადმი: იაზონმან შერიოთო მედეა, რომელმანც უაშბნა ორნი ძენი, და შემდგომად რაოდენისაჲ დროისა მოიძულა იაზონმან მეუღლე თვისი, და სურდა სხვასა ზედა ქორწინებაი; მაშინ მედეამ წარუგზავნა, სასძლოსა მისსა ძვირფასნი უკვე შესამოსელნი; მან სიხარულითა მიიღო იგი, და ოდეს შთაიცვა ტანისამოსი იგი, მისვე აღეგზნო იგი ცეცხლითა, იწკებოდა და ესრეთ საბრალო სრულიად დამწვარ იქმნა: რამა საქმისათვის იხილა მედეამ განრისხებულნი ქმარი თვისი, მისვე მანცა განრისხებულმა დახოცნა ორნივე ძენი თვისნი. მხალეული მისი იაზონ მეცადინეობდა შურის გებასა მედასსა, გარნა მედეა გაფრანდა ეტლითა ორითა ურჩხულითა შებმულითა და განერა ხელთაგან მისთა.

დავითმან. მითხარ მე ისტორია ჭეზიასიცა?

იოანე. ჭეზეი იყო ძეი ათინის მეფის ჭელეის და ჭესფრისა, და ესე იყო აღზრდილ ტრეცენიასა შინა დროსა კარისადმი ჰაზისა თვისისა, რომელისაჲცა დედაი თეზეისა იყო ასული ტრეცენიასა მეფისა. უამსა ორსულობისსა ჭელეიმ უბრძანა დაშობა ჭეკრი-

სა მამისადმი თვისისა მიზნითა ამით, უკეთუ იგი შობს გაყსა-
რათა აღზარდოს ჰანამან თვისმან და იყო იგი მუნ დრომდე, კიდ-
რემდის შემძლებელ იქმნეს აღებად დიდისა უკვე ქვისა მის, რა-
მელსაც ქვეშე ჰქეციმ დაფლას უკვე თვისი სმალი და ჩექმები; შემდ-
გომად რა მოიწია ყამი ყრმისა შობისა ჰქერამან შუა თესვი, და
ოდეს აღიზარდა ყრმა ესე და მოვიდა სრულსა ჰსასკსა შინა, მამინ
გმირმან ამან მოყვანებულმან დედისაგან თვისისა დიდისადმი მის
ქვისა, ასწიკა ქვასა მას და აღიღო იგი, და აღმოიღო სმალი მამ-
ისა თვისისა და სმალნი, შეიბა სმალი იგი და შთაიღო სმალნი
იგი, და ესრეთ წარმართა შემთგომად ათინასა შინა?


მგზავრობასა ამას შინა, მოსრნა მრავალნი მუკომრენი, რა-
მელნიცა სეღებოდინან მოგზაურთა და მრავალთ სოცდიან და ჰსტან-
ჰქედიან. და ოდეს იხილა ჰქეციმ ძეი თვისი, იცნა თვისისა სმლი-
სა გამო.

თესვიმ აღასრულნა მრავალნი სსკა-და-სსკა უკვე სასელოვანნი
და ჩინებულნი სჰქენი, გარნა სსკათა ყოველთა სჰქეთა ზედა ესე
უფრორე უდიდებულეს იყო რომელ, მოკლას მან საკვირველი ესე
ცხოველი სასელით მინორტაგრად წოდებული, სოლო ცხოველი ესე
იყო შემწყედულ კრიტიის ლაბირინტსა შინა, რომელიც იზრდებო-
და მუნ შესრულთა კაცისა ხორციითა. ოდეს შევიდა მას შინა თე-
ზია ენება მხეტსა მას შებმაცა ამისი, რომელმანცა ბრძო მას რა-
დენისამე ხანს და უგანასვენელ მოკლას საკვირველი ესე ცხოველი.

და ოდეს განმართა თესვი საბრძოლად ამ მხეტისა, აღუთჰკა
მამსა თვისსა ესრეთ, რომელ უკეთუ იგი ბედნიერად აღასრულებს
შრომასა თვისსა, და უკომოქტევის, მამინ ნიშნად იგი განშლის
თეთრსა უკვე ბაკრასსა ხომალდსა მას შინა და ესე იყო ნიშანი
მძლეველობის, და უკეთუ კერ სრულ ყოფს ღვაწლსა თვისსა და-
მოკვდების, მამინ აღმართავს შაკსა ბაკრასსა. გარნა შემდგომად ძლეი
კა შემოსვის, ოდეს უკუნაქცა ხომალდით, დაავიწყდა მას ნიშან
მიცემული მამისადმი თვისისა, და ნაცულად თეთრის ბაკრასის, აღ

მართეს შავი ბაკრაყი, მასშინ მხილველმან უბედურმან ჭელიმან მგონებელმან წარწყმედის ძისა თვისისამან, სიყვარულის გამო წარმკვეთელმან სასოებისამან, გარდაიდო თავი თვისი ზღუნსა მას შინა და მოიშთო იგი. მიზეზითა მით იწოდების ზღვა ესე დღესაც ჭელესიის ზღვად.

და უკანასკნელ თეზე იქმნა მეუღლ ათინისა შემდგომად მამისა თვისისა, რომელიც მეუღლბდა ბედნიერად, და მოიყუნაწა ბედნიერებისა ჭვეშე ყოველნი ჭვეშეკრდომნი თვისნი: ხოლო შემდგომად სიკვდილისა მის, სახსოვრად აღუშენეს მას მშეკნიერნი უკვე საკურთხეველნი.



ღაეითმან. მითხარ მე ღვეტორისცა?

იოანე. ღვეტორ იყო ძეი ჰარისმის და ღვეტუბას მეთვის ტრანანელთასა. ოღეს გარემოადგა ქალაქსა ამას ტრადს, მეუღეი ალა მემონ სრულად სხვათ მეუღეებითა ბერძენთათა. ესე ღვეტორ იყო ზარის დამცემი ბერძენთა მხედრობისა, რომლისა განწყობა ვერა რომელმან მეგშირმან თავ იდო, და მის მიერ მოიკლენენ ათასნი ჩინებულნი გმიარებნი. და მერეთ ვბრძოლა ჩინბული გმიარი უკვე ჰატრაკლე და, ესეცა მოიკლა ღვეტორისგან, რომელსაც მერეთ უწოდებდენ ბერძენნი, ოღესმე სასტიკსა და ძლიერსა მთრინველსა და ოღესმე მუუდროსა ყუსა; გარნა უკანასკნელ ღალატით მოკლა იგი ახილესმან ბრძოლასა შინა, რომელსა შიშველს ოღლის მიჰარკით

დასტა უკვე შუბი და მით განგმირულ ჭყო საკვირველი ესე გმირი
ლეკტორ.

დავითმან. იყენ სხვანიცა ღმერთნი გარდა ამისა?

იოანე. რომ აღვრიცხოთ, თითქმის დიდს სიმრავლეს შეა-
დგენს მრავალ ღმერთობა და ყოველს ქვეყანასა ზედა თვითეულს
სახელმწიფოს, თვითეულ სამეფოს, და თვითეულთა სამთავროთა,
თითქმის რაოდენი, სამ-სამნი და უმეტესნი ყვანდეს ღმერთებად და
ესკიდენ მათ, რომელთა სახელი თვითეულად თქმად შეუძლებელ არს
და უკრტელესად ისილე ძველთა ბერძენთა და ინდოელთა წერილთა
შინა მეტოლოგიისათა. მაშინ დავითმან აქო იოანე, და უთხრა: ახლა
კი გიწმინებ შენს ქადაგებას თუ ჩემი მოძღვარი დასტურს მოძტემს.

იოანე. რომელს მოძღვარს ბრძანებთ, ეჭვთიმეს თუ სხვადა
გვაკო ვინმე?

დავითმან. არსენი თბილელი?

იოანე. უი ჩემ თავს, რამდენი მოძღვარი გყოლიათ.

დავითმან. მე რადგან ბერის ცოდვის მოქმედი ვარ, სამი მო-
ძღვარი მყავს. ერთი ძველელი, მეორე არქიმანდრიტი, მესამე კვი-
სკოპოსი, რომ ეს სამნი ძლივ მოერევიან ჩემ ცოდვას, რომ ზოდონ
და მეოთხე შენ იქნები, როდესაც მოაკარ დიაკონად კურთხები, და
დანაშთენს ცოდვას შენ აკვიდე. მაშინ ზურაბამ მოახსენა: ბატონო
დივანბეგ, მართლად კარგი სახუდარი უმოკეთ თქვენს ბარგს, თუარ
ესე, ვერა ვინ ატარებს.

დავითმა. თუ ჯერ გახედნილია მართლად შეიძლება.

ზურაბმა. გახედნილი რად იქნება რეკტორის სახელში გახდელი,
და ახლა ფიცხელაურს ბერთან მყოფი. კვანებ ზურგიც ქქონდა წა-
მხდარი.

ზურაბმან. მაგისტრის ეჭვი არ უნდა! მაშინ იოანემ: უი შე
უკეთურო, რას ამბობ ზურაბ? და ამჟ ხუმრობით მიიწიფენ კელის
ციხეს; მდივანბეგი მივიდა გაწიკვანთან, გარდახდა და ესენიც ჩა-
მოხდნენ ერთის გლეხისას.

რა გარსევანმან მდივანბეგი ახილა, უთავაზა, ერთმანერთი მოიკითხეს, და სადილობის დროც იყო, გარსევანმან უთხრა მდივანბეგს, სადილი მივიღოთ, და მეც განგემართოთ ქალაქისკენ. რა სადილი მოიღეს: დაგიტან იოანე დიაკონი მოიკითხა, და უთხრა ეშვებაშს: თუ ინებებთ, ჩუბთა სვეის მონასტრის დიაკონი თუნ მომეყა და მოუწოდეთ მას სადილათ.

გარსევანმან. მოჭადაგე! მამინ გარსევანმან უბრძანა თუსსა მასსუქსა და მოუწოდეს იოანეს ზურაბითურთ.

იოანე. მოსრული გარსევანთან ერთევის: შვიდობა თქუწნდა ჰასლენიკ-მოურავ-ეშვებაშო!

გარსევანმან. სულისაცა შენისათანა აღაკერდელ-ბოდბელ-ნეკრესელო?

იოანე. გამდლობ მაგ ტიტულების ბოძებისთუს.

გარსევან. თქუწნე გუწნით ეს ტიტულები, რადგან ყოველით დედათ ეკლესიებთა შინა, ვითარცა გნებეთ ქადაგებთ.

იოანე. ცუდი ხომ არ მითქუამსრა?

გარსევანმან. მეტი რაღა უნდა ჰსთქო მდედრნი აღარ გაუშვი და მამრნი გაულანძღუწნნი.

იოანე. ვითარ აღიოახნეთ?

გარ. კანეინობით.

იოანე. მაგით არ დავისჯები, მე ჯერ რუსული ენა არ ვიცი და სიტყუა რომ გამრუდდეს თქმაში, რადგან სსუნიც კანეინობით ეძახდენ მას.

გარ. კანეინა, კანეის ცოლს ნიშნავს, და კანეინა თავადის ცოლს.

იოანე. მას ცუდად არ მიწოდებია სახელი.

გარ. როგორ ცუდად არ გიწოდებია? მის მკვლელის ცოლად აღმოაჩინეთ, და მე მას არა მყოლია.

იოანე. ყოველნი ქრისტიანენი, ერთმანერთის მძანი ვართ და კანეს რადენი მძა ჰყვანდა?

გარსევანმან. ერთი, რომელსა ეწოდი აბელ.

იოანე. კანმა ერთი ძმა მოჰქალა, და შენ მთელი ერთი. მამის განრისხდა გარსევან და ენება გალასკა ამა დიაკონის. გარსა ჯიმი-შერის შვილმან არ უტევა გასალასკად და უთხრა: გარსევან უნდა, დამიმტვიცლო, თუ ზითარის სახით დასოცეს ესე ოდენი ძმანი ჩემნი.

იოანე. მოთმინება ისმარეთ, მოგახსენებ.

გარსევანმან. თქვი?

იოანე. შენს პასუხინობაში არ მოიქეც ამ სახედ, რაგვარა დატ მეფეთაგან იყავ ინსტრუქციებით წარკლენილი, და მეტადრე ამა მეფის დროს?

გარსევან. შენ რაიცა თუ რა ინსტრუქციები მქონდა რწმუნებუდი და ან კინ შეგატყობინებდა.

იოანე. მე აქ რიყავ, ოდესცა მეფემ სრულიად ქართულთ თავადნი შეკრიბნა, და წარგიკითხათ თვისნი აზრები, რომელიც თვით თავითაც მოიწონეს, და დამტვიცეს. მევე თქვენ სამნივე ძელი ცხლველზედ დაგაფიცესთ და ისე იმ წერილით გაგისტუმრეს.

გარსევანმან. რინ შეგიშვებდა შენ იმ შეკრებილებაში.

იოანე. მეწმუნე თუ გსურთ სულ ზეპირ გეტყვი. რაიცა წერილი მოგცეს.

გარსევანმან. თქვი?

იოანე. მეფემან თავისი მამის დადებული, ტრავტატიც დაამტვიცა, რომელიც ესე ყოველთა უწყიან, და ესრეთვე თვითც შესძინა რაოდენნიმე ჰუნეტნი.

გარსევანმან. მითხარ, რომელი?

იოანე. პირველი, ესე მემკვიდრითჲ მემკვიდრე სასლისაგან სამეფოსა, არ მოიშალოს. და იყოს მეფე, და მღორნილ ზითარცა სხვათა ხელმწიფეთა ქვეშეკრდომ ყოფილან.

მეორე. მეფის ძენი იცუებდენ ისევე მამულთა თვისთა.

მესამე. თავადთ აზნაურთ, კაჭართა და სამღვდელთა ეს გვარი პატრივის ცემა აქენდეს, როგორც მათს ქვეყანას შინა არს.

მეოთხე. სამართალი და სჯული იყოს ისევე ქართველთა.

მეხუთე. რადგან სპარსეთის ხელმწიფე მიუღებს ერევანს და განჯას, ნაცვლად ამისა მიეტყოს ოც-და-ოთხი ათასი სული გლეხი.

მეექვსე. ათს წელნიდან, სახელმწიფო ხარჯი არ ეთხოვებოდეს მეფის და თავადთ ემას, რადგან ეყენების დროსაც აძლეოდენ ხარჯს იმ სახელად.

მეშვიდე. ეჭვისი ათასი ჯარის კაცი ყოველთვის იყოსო მეფესთან, რომ მტერნი მოიგერონ საქართველოსნი, ვინემ მეფეც განწყობდეს საკუთარსა ჯარსა თვისსა.

მერვე. ძაღანნი ამუშაონ და მით ისარგებლონ და იქიდაძ ათის თავი ეძლიოს მეფეს. ესე იყოს პირველი სათხოვარნი, ხოლო სხვანნი, რა სხვათა წერილმან საქმეთა შეესებოდა, იგი იყო მოსკენებულ, ისილე აწ—მცოდნია თუ არა. აჰა მდივანბეგიც იქ იყო, და ამანვე გარდათარგმნა. მჰშინ მდივანბეგმან: დია ჭეშმარიტია, ხოლო გარსევან სდუმნა.

რამ მცირედ შეეჭნენ სადილს და საკმაოდ ისძიეს ღვინო.

გარსევანმან უთხრა დიაგუანს: შენ რომ ელჩობას მიწუნებ, ვის გავზავნიდენ ჩემზედ უკეთეს ელჩს მეფენი?

იოანე. თუ ჩემთვის ეკითხათ ვისმე, მე იმისთანა ელჩს მოგუნახავდი, როგორც ბაბაში იყო.

გარსევან. რომელს ბაბაშს ანობ?

იოანე. ვეზირის ძეს თავადს ბაბაშს, რომელიც მოსრულა არს სპარსეთიდან და სახლობდა ტფილისს კარისკაცად.

გარსევანმან. მე კარგად ვიტყობდი იმას, რაქნა მაგისტანსა საქმე, რომ გაუგებრობებისარ?

იოანე. ოღეს სრულიად აღრიბუყანის ხანებმა ქარემხანთან უჩიულეს მეფე ერეკლეს, და ენება ქარიმხანს ჯარის გამოსევა და ქართველოზედ, მჰშინ კითხა გაისარჯა ბაბაში იცო შენ ხომ?

გარსევანმან. აღარ მახსოვს. მითხარი თუ რომელთა ხანებთა უჩიულეს.

იოანე. ისმინეთ: დარუბანდის ხანძან, სალიანის ხანძან, ბაქოს ხანძან, შამახის ხანძან, ნუხის ხანძან, განჯის ხანძან, ყარაბაღის ხანძან, ყარაღადის ხანძან, ერევნის ხანძან, ნახჩევნის ხანძან, ხოის ხანძან, თაკრიზის ხანძან, ურეის ხანძან და მარადის ხანძან. ამ ყოველთა შესმინეს მეფეს ესენი. მცნობძან ამისძან მეფემ ირაკლი, გაგზავნა ბაბაში ქარემხანის წინაშე, თავის მართლების წერილებით, გარნა ოდეს მივიდა ბაბაში, ამა ზემოხსენებულთა ხანების ელჩებსა სრულიად დაუყო პირი წინაშე სამინელისა მის ხელმწიფოსა და ყოველნი თავის ჭსჯულის კაცნი ცრუდ აღმოაჩინა. ერთგულობისა გამო მეფისა, და საქართველოზუდ მომავალი-მხედრობა სამოცი ათასი კაცი აღრიბუქანელთ გარდა უკუნ აქცევიან და აგრეთვე უძისა ამის ელჩობისადა მოვიდა ხონთქრისა ელჩი წერილებითა, რომელსა შინა ეწერა ქარემ ხანთან, რომ შენი აშკებული ლომი დაბი, და ნუ აკლებინებ ქვეყანას, თორემ ბრძოლა იქმნების ურთიერთისა შორისა, რომელ მეფე ირაკლი ჩვენთა მესობელთა ფაშებთა დაეუზღებინათ ხონთქართან; და ამა ელჩსადა პირი დაუყო და ყოველნი ჭსჯრნი მათნი შთამაღნა. ქარემხანძან ჯილდოდ სამეფო ნიშნები, ფარკანი და სხვა სახუქარნიც გაარიგნა, და ესრეთ წყალობიანის ელჩობით მეფესთან პირნათლად უკუმობრუნდა და ესე ყოველნი მოართო და აღუსრულნა. ნახე მისი პატიოსნება. მითომ იგი თათარი იყო და თქვენ სამნი დესპანნი ქრისტიანენი. თუ ვითარ მოიქცით მართმადიდებელის კარზედა ესეცა ცხადია. მაშინ ამისი მსმენელი გარსეკან წამოხტა და თავისის ჩიბუხითა ენება გალახვა და უთხრა: ნახე ამ ქიზიყელს, რომ თათრის ამხანაგადაც არღა მაგდებს, მაგრამ კიდე დიანბეგძან დაამშვიდა გარსეკან. მაშინ იოანეს უთხრა გარსეკანძან: მე ჩემს უამხანაგოდ საქმე არ დამიჭერიაო.

იოანე. რომელს ამხანაგებთან?

გარსევიანძან. გიორგი ავალიშვილთან, და ელიაზარ ფალაკანდის შვილთან.

იოანე. სხვა თქვენნი წინამძღოლი ვილა იყოო?

გარსევანმან. ლაშქაროვი. სერგი ლაზარინი.

იოანე. უფრეთელი სომხის გარი; შუღავრელი გლეხი?

გარსევანმან. დია.

იოანე. მან თარგმნა წიგნები?

გარსევანმან. ჭე.

იოანე. რაღა თარგმანი ეჭირებოდა ამ დივანბუგის ნათარგმნ-
სა, რომ რიგე ეს უკეთ იცის: ქართულიც და რუსულიც, და თვით
მეშვეიდრემ და სხვათაც მოიწონეს ის თარგმნული?

გარს. ლაშქაროვანმა არ იყაბულა.

იოანე. ქრთამი არა მიეცითრა თარგმნისა.

გარსევანმან. არა.

იოანე. მას ის სწორედ თარგმნიდა!

გარსევანმან. ეგ კი არ ვიცი.

იოანე, ზასლენიკმან უნდა იცოდეს; მარტოკა თეთრის გრ-
ებს არ ეუფოა, რატომ აბითეიბსაც არ აკისრე.

გარსევანმან. ლაშქაროვანმან არ გარია საქმეში, რადგან მეფე
ერეკლესგან გაზდილი იყო.

იოანე. მას ჭეგას მეფის ჰურ მარლი სსოკნებია და რატომ
შენ არ გარეი საქმეში.

გარსევანმან. მე რასაც ლაშქაროვი მეტყოდა, უნდა მექმნა.

იოანე. მას გავს, რომ იმის სიტყვით დაივიწყეთ მეფის ჰურ-
მარლი.

გარსევანმან. მეშვეიდრის ბრალია.

იოანე. კითარ?

გარსევანმან. ჩემი დაე არ შეირთო ცოლად და სხვაში გაც-
ვალა.

იოანე. ეკროპიაში გაზდილი ვარ. სომ იტი ცოლქრმობა ერთ-
მანკრთას ნებაზე არს დამოკიდებული.

გარსევანმან. დიად. სომ წარგოკითხავს ქართლის ცხოვრება,
თუ გიორგი სააჯამე, რა უყო მეფეს თავის ქალის გამკებაზედ.

იოანე. რა კარგად ქნა ან იმან, მაგრამ ჯერ დაწერილის და ისე ნაღაპარაჲების ცოლქრობაში დია განყოფილება არის.

გარსევანმან. ვინც მაგრამ, არ მოკანდომებ კეთილს, და ვითი-სთვის და აღექსანდრესთვის.

იოანე. გავს აღექსანდრეს ყაზახის, და და ვითს მოყოლობის გულისთვის დეენი გარს. დია მართლს ანობ.

იოანე. შენ ყაზახის მოურავი ხარ და აღექსანდრე ბატონის-შვილი, და თუ თქვენ და ენდრონიკეს შვილები და ზაკდეთ რომ ჰნა შენს ერთის საბაღასე დორის წაგვრისთვის მარჯვენა მხარი ამოსტრეს ბეჭინად, ამ შენის ბატონის შვილებს როგორ ვერ და-აზაკებთ მტრეს ძღვენებისთვის.

გარსევანმან. ენდრონიკაანთ სისხლში მოძტეს.

იოანე. დია მოგტეს სისხლში.

გარსევანმან. ერთი საკენსე ადგილი და ოთხი კომლი კაცი.

იოანე. მეფე მრავლი, და მეფე გიორგიმ, კახეთში ორი ჰი-რეელი სოფელი გიბომეს, . . . და . . . რომ ორასი კომლი კაციც იქმნება და მეტი რა გინდოდ.

გარსევანმან. მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა. ჩვეა ჩემს გულში, არღა ამოვა.

იოანე. რაღა მოწამენი გვიხმს თქვენის პირით აღიარეთ: და ამისთვის მოგახსენებ, რომ ბაბაში უფრო სარწმუნო კაცი ყოფილა თქვენზედ. გამგონე მისი გარსევან განრისხდა, წამოხტა და თავის გძელი ჩიბუხი დაჭკრა თავში, კუნკული გააგდებინა, ანაფორა ჩამო-ახიეს და ჰანღურით კარში გამოაგდეს, და უთხრა: შე ქიზიუელი, ჩოჩინავ, შენგან ვის ეკადრება ესდენი შეურაცხებაო: ხოლო იოანე თავშიშეული მოვიდა თავის ცხენებთან და შემოეხვივნენ სოფელეუ-ბი და ჰკითხვიდენ შემთხვევას მას; იოანემ სხვა არა რა უთხრა მათ მხოლოდ ესე რომელ, ჰეშმარითებისთვის აღიკვებინა, და ამ ყადაღ ურებაზე მოვიდა, დახურა კუნკული, ანაფორა გამოუტყვალა, და განემართნენ ქიზიუისკენ: გარსევან და დიამბეგი წარვიდენ ქალაქისკენ.

იოანე საღამოხანს მივიდა გურჯაანს, და ერთსა მუნებურს კაცს ჰკითხა, ჭიჭიყის მოურავის შვილები არიან კინძე აქაო. მან უთხრა: მოურავი ზაქარიაც აქ არის და სხვანიც მისი სახლის კაცი. იოანეს დაი ამა და უთხრა ზურაბს: მიდი მოურავს ჩემ მაგიერ ლოცვა კურთხევა მოახსენა, და სახლი მითხოვე. ზურაბ იასლას მოურავს, და იოანეს მაგიერ თაყვანის ცემა ჰკადრა და სახლი სთხოვა, მოურავიან უბოძა სახლი და შეუთქალა: კახშმად ჩვენთან ისეკეთო. იოანე დაბინავდა, და მოემზადა კახშმის დროს მოურავთან წასასვლელად. რა კახშმის დრო მოვიდა, მოურავის კაცი მოუვიდა იოანეს და წაიყვანეს. იოანე მისრული მოურავთან თავს დაუკრავს და ეტყვის: მშვიდობა თქვენდა ბრწყინვალეა მოურავო ჩვენო.

ზაქარიამ. სულისადა შენისათანა გაცხევანის მოძღვარო.

იოანე. დემეტრის მამოვარს იმისთანა მოწაფე.

ზაქარიამ. დასაწუნარია იმისთანა მოწაფე?

იოანე. დემეტრისი გვიან გამტეპს და რასაკვირველია გულით მოკინდომებ იმის მოწაფობას.

ზაქარიამ. რადგან საღმრთო კაცი ხარ, მაინც უნდა კიდე ასწავლო და მცნება მისცე.

ზურაბამ. ბატონო მოურავო, თუ ეს თქვენი სახელო კაცი მოძღვრებას არ დაიშლის, გვინებ ალარც წელი შერჩეს ცემით, და ალარც წვერი გლეჯით.

ზაქარიამ. რადგან ბერობა შეუმოსავს, ყოველივე უნდა მოითმინოს ჭეშმარიტებისთვის.

ზურაბმა. ახლანდელს ჭეშმარიტებაზე, ახლანდელი ტყუილი შემჯობესია.

ზაქარიამ. ვითარ.

ზურაბმა. ამისთანა დრო არის, თუ ამ ბერს გაცხევანის საქმე მოეწონებინა ერთს ურემს ღვინოს იშოვნიდა, მაგრამ ჭეშმარიტის თქმისთვის წელი მოსტესა ცემით.

ზაქარიამ. სჭირთ რომელთამე, რომელ ხალხში მხილებას იწ-

ყენენ თუ უნდა ჭეშმარიტი იყოს და უნდა გვამისამებრ მოექცეს
კაცს.

ზურაბმა. ჭეშმარიტი ბრძანება არის, გარნა თუ გინდა მას და-
ედუმებინა ქვანიც დალაღებენ.

ზაქარიამ. არცა რავინ სხვანი არიან მდუმარედ; მე ვმადლობ ამ
ჩემს სასჯელს კაცს, როგორც ქიზიყელს შვენიის ისე მოქცევია, დვი-
ნოს ჩვენც გიშოვნით საჩუქრად ნურაზედ შეჭწწუნდებით, და უბრძა-
ნა დასსდობა, და მერეთ მოიკითხა იოანე და გამოჭკითხა მგზავ-
რობის მიზეზი, დიაკვანძან ყოველივე მოასხენა, და მერეთ მოიღეს
კახშიამი, და სხვანიც მოვიდნენ ენდრონიკეს შვილები მოურავთან და
ყოველივე აცნობა იოანეს. ამათაც მოიკითხეს იოანე. და ამანაც მს-
დლობა მოასხენა, და მიჭყევეს ხელი საჭმელს.

რა კარგა შეეჭრნენ, ზაქარიამ უთხრა იოანეს: შენ და ჯიმშესინ?
რის შვილმა როგორის შექცევით იმოგზაურეთ, ველის ცისემდი-
ოიანემ. ბატონო მოურავო, სადმართო სიტყვა არ მიიკარა რა
ჩვენგან, მხოლოდ მისი კითხვა იყო ძველთა დმერთებთა ზედა მე-
ტოლოდიურის წერილთაგან.

ზაქარიამ. ჩვენში ძვირად იცის ვინმე მეტოლოდია, და მე და-
დად მაიმა რომ გისწავლია ისიც. დია სახმარია წერილსა შინა, მო-
ლაქსეობის და ისტორიისა და სხვათაცა შინა მაგალითად მოსაღუ-
ბელად; მითხარ ტროადის ანბავიც, უნბე თუ არა?

იოანე. არა დაგუცაღდა მაგაზედ უბნობა.

ზაქარიამ. დია დაგიმადლებ თუ მაიმობ ბრძოლას ტროადი-
სასა.

იოანე. ვიცე გაიმებათ ტროადის ანბავი, რადგან კეისრის გვა-
რისა ხართ, ბერძენთა ომი.

ზაქარიამ. ეგ თუმცა დიდი ხნის ანავია, მაგნამ კაცს ვიდე
ამება თავის ქვეყნის ანბავი. ბუნება ისე აწვევს.

იოანე დია ჭეშმარიტია და ახლა მოგასხენებ: თუ რა მიზე-
ზით შექმნა ბერძენთა მეფემან ბრძოლა ტროადელთა მიმართ.

მოქაირეთა მოუღიათ თვისთა შიარ სიტყვაობათა შინა, რომელ კითამც იუზიტერს, რომელსამე დიდსა განცხრომისა შინა მოუწოდებისა ყოველთა ღმერთთათვის და ესრეთ მოხსარულთა ურთიერთისათანა განცხრომით დამტკობართა, არ მოუწიევიეს ღმერთი ჰედერა: (ანუ მტერობა)—მცნობი ამისი ჰედერა აღვსილი შურითა და ბოროტებით, გულის მქსიტყველობდა, თუ კითარისა სახითა დაწვეულ ჰყოს მან კრება ესე ღმერთთა, და დააბრკოლეს განცხრომანი მათი. შემდგომად მოიპოვა მან ღონე ესე, რათა გარდაუგდოს მათ უხილავისა ხელითა ტაბლასა ზედა, ვაშლი ოქროისა დეკონითურთ ყოვლად მშვენიერისა სხვათა ყოველთა ღმერთებთაგან, უმჯობესისა; და აღასრულა მან ჰაზრი თვისი და გარდაუგდო მათ ტაბლასა ზედა ვაშლი იგი ოქროისა; და ესმა მათ ხმაი ღრუბლით გამო: ესე ვაშლი მისდა იქმნების, რომელიცა უმჯობეს იქნების მშვენიერებით ურთიერთთაგან. მყისვე გაგონებითა ამით იშვა მათ შორის ბრძოლანი; და უმეტეს სამნი იგი ღმერთანი, რომელნიც ერთი მეორეს უმჯობეს იყვნენ, ესე იგი: მინერვა, იუნონა და კენერა, თვითეული ამთგანნი, ითხოვდნენ ვაშლსა ამას ჯილდოდ მშვენიერებისთვის, გარნა ვერ მიიღეს მათ ვმყოფანი. უგანასკნელ იუზიტერმან არა ინება, რათა აღარჩიოს მან მათ შორის უმჯობესი მშვენიერებითა და ნიჭებულ ჰყოს იგი ვაშლითა მით, რომელიც სხვათა წყენასა კრიდებოდა; და ამის გამო წარავლინა იგინი, ყრმისა მწყემსისა, ყოვლად მშვენიერისა პარისი პირუთნებელი ყოველსა გვარსა სამართალსა შინა, რათა მან უსაჯოს მათ, და მისცეს უმჯობესსა ვაშლი იგი.

მოსრულნი მიზდა სამნივე ესე, თვითეულად ნახვენ მას, და აღუთქმენცა მრავალსა მომაცოთნებულსა ჯილდოსსა; პირველ იხილა იგი იუნონამ და აღუთქვა მას მიცემად დიდისა სამეფოისა და სიმიდიდრისა უკეთუ იგი მისცემს მას ვაშლსა მას, და მეტე მინერვა მივალს მიზდა და აღუთქვამს მას მიცემად დიდისა სიბრძნისა და მეცნიერებისა; უგანასკნელ, მივალს მიზდა კენერა, და აღუთქვამს მას

სრულიად ქვეყანასაშუადა უმშვენებურეს ქალის მიცემას ცოლად, რომელმაც მიიღო ვაშლი იგი ოქროის ჯილდოდ გენერამ.

აღთქმისა მებრ თვისისა გენერამ, მისცა მცნება ჰარის და წარაკლინა ლაკედონიასა შინა მოყვანისათვის ყოველად მშვენებრასა ქალისა ელენასი, რომელიც მუდგე იყო, თვით მეფე ლაკედონიასი. მენელა ჰარისმან წაგვარა მთლად ყოველსა სოფელსა შინა, ყოველთაშუა უმშვენებურესი ქალი ესე დარბევით გენერასითა; და ამას მიზნით და ფიცის მტკესელობის გამო, აღგვხნო გული თვით მეფეს და სხვათაც მძურობელთ მეფეთა სამტროდ ტროადელთაშუადა, რომელნიც შეუდგნენ ნაცვალისგებასა მათს.

ღროსა მას მეფობდა აღამემონ მეფე მიკენიისა და ესე იყო სხვათ ყოველთა მეფეთაშუადა უწარჩინებულესი, და ერბდენ მას სხვა სასელოკანი გმირები. მძი ამას მეფის მენელაა მისრული მისდა და ცხად მეფეული შეურაცხებისა თვისისა, მიტაცებისთვის ყოველად მშვენებრის და უჩინებელის მუდგის თვისისა ელენასი, ეკედრებოდა ძვირის ყოფად ტროადელთაშუადა, მსმენმან მისმან მეფემან მოუწოდა სხვათაცა მეფეთ ბერძენთა და შემოკრიბნა მსედრობანი ურიცხვნი და მის საუკუნოს გმირნი, რომელნიც იყვნენ შემდგომნი ესე: ახილეს, ჟლისე, დიომიდე; აიაკს, მენელაი, იდომენი, ესე ყოველნი შემოკრიბნენ აღამემონის წინაშე, და ფუტეს ყოველთა ერბათმად აღსაზობად ამაყის ტროადისა, აგრეთვე შემოკრიბნენ მთლად ბერძენთ მეფენი ვიდრე ოც-და-ცამეტამდის, მსედრობით თვისით, დაფუტეს მათ წინაშე აღამემონისა აღსაზობელად ტროადის, და მერეთ აღრიცხა აღამემონმან ყოველნი უკვე მსედრობანი, რომელნიც იყვნენ სრულიად რიცხვით 880,000 კაცი გამზადებულნი საბრძოლველად ტროადელთაშუადა, და წარკმართნენ მსედრობით მით ტროადის კერძოთ.

ქალაქი ესე ტროადი იყო აღშენებულ კბდგედ ფრიდიესა მცირესა აზიას შინა, რომელიც იყო ესრეთ დიდი, რომელ სიგრძეს მიაწერდენ ვიდრე 90 კერსს, ანუ თერამეტის საათის საკვლეს,

თვისის შესაფერის სიგანით, ესე მშენებელი ქალაქი ჰყვარდა უმეტეს სსკათა ქალაქებთაგან და აღრიდგანვე განაღვიბებდა შურს ბერძენთ მეფეთ შორის, შემძლებელობის და ვაჭრობისგამო თვისითა მისრულნი მტერნი ესე დადგნენ გარემო ტროადისა.

ხოლო ტროადელების მცოდნენი მიმაკალოთ მტერის თვისაგან განემზადნენ ესენიც და შეჭკრიბნა მხედრობანი მეფემ ტროადისმან ჰრია ჰირისპის ბერძენთ მხედრობანი, რომელნიც იუგნენ რიცხვით 686,000 კაცი, ხოლო მხედრობათ მათ წინამძღომნი იუგნენ ჰირიამ მეფისავე ძენი; ლეკტორ უჩინებულესი მხედარი და გმირი ყოველთაგან; ჰარის მიმტაცებელი ელენესი ძე მეფისა ჰრიაძის, ენეი, სარჰედონი და სხვანიც ჩინებულნი გვამნი და მამაცნი მთავრობის ქვეშე გულგონის ლეკტორისა უხუცესის ძის ჰრიაძისა.

და რამოდენიმე დღის შემდგომად შეიქნა, ორთავე კერძოდ ბძოლანი, და თითქმის ყოველ თვის ჰმდეკადან ტროადელნი შემწეობით ლეკტორისა, ესე საშინელი მხედრობა ორისავე კერძოდ, რომელიც შეადგენდა რიცხვით მეომართა მხედართა 1566000 კაცთა, მათ განაგრძეს ბძოლანი თვისი ვიდრე ათს უკვე წელს მოუწევებოდა, და მოსწევიდნა დენორისვე კერძოდ, უმრავლესნი კაცნი. გარდა ჩინებულთ გმირთა, რომელნიც დაიხრცნენ ლეკტორთაგან ვიდრე ათასნი გმირნი. და მათ შორის ჩინებულნი უკვე ჰრატლოკე ესეც განმეორელ იქმნა ასწარესს ზედან ლეკტორისაგან: ხოლო უკანასკნელ ლაღატით, მოკლა სახელოვანი გმირი ესე ლეკტორ ახილესმან, რომელმანც ჰსცა ილღიას ტიტულესა შინა შუბი თვისი და მით განგმირულ ჰყო ჩინებულნი ესე მხედარი; მხილველმან მისმან ჰარის, მამან ლეკტორისაგან, იძია შური ახილესაგან, და, შეაცთუნა იგი მიტყემითა მშენებლისა დისა თვისისა ჰოლიქსენოსისათა, და აღუთქვა მას ქორწინებად ტამარსა შინა აზოლანისა. მოსრული მუნ ახილეს ტრფილაების გამო ქალისა მის, და ოდეს შევიდა იგი ტამარსა მას შინა, მუნ დამალულმან ჰარის ჰსტყუორცნა მას ისარი და ორნივე ფეხისა ქუსლნი განმჰსტყუაღვა მით და ესრეთ მოკლა გმი-

რი ახილეს და აღიღო სისხლი გმირისა თვისისა და იყენენ კაჲლად ბრძოლასა შინა. გარნა ტროადი და ამაყნი ტროადელნი იყენენ შეუძვრელად. მხილველთა მის ბერძენთა ზრასკა ჰყვეს ურთიერთისად თუ რაი ჰყონ, პინაიდგან უიმედონი შეიქმნენ ალებისთვის ტროადისა. მაშინ ბერძენმან ულასემ, მისცა მათ ჰაზრი თვისი და ჰქმნეს ცხენი დიდი ხისგან ესეთი, რომელიც სომალდს ეწოდებოდა, და შთასხნეს მას შინა ურიცხვანი ჩინებულნი მხედრობანი, და ჩინებულნი გმირებნი, და დაუხშეს მათ კარნი. გარნა კარი იგი იყო უცნობელ, და შიგნით ძეოფნი გაადებდენ მას. და დასდგეს ჰირის ჰირ ტროადისა. თვით ძეოფი მხედრობითურთ თვისით აიყარა და განშორდა მათ. რა ესე ახილეს ტროადელთ განისრეს ფრიად და ჰგონებდეს რომელ შეშინებულნი მათგან ივლტვიან ბერძენნი და ჰგონებდენ ცხენისა მის შემოწირვას მათდა, მაშინ ცუდ მოწმუნენი ესე ტროადელნი განვიდნენ, და შეათრიეს ქალაქსა შინა ცხენი იგი მალაღს ადგილს ზედა ძეგლის სახედ. ნიშნად შეუმუსვრელობისთვის ქალაქისა, რომელნიც აჩარაიმესა მთვიჲკრელობდენ საფრხესა ბერძენთ მიერ მოგონებულს, და მიეცნენ განსვენებას და შეებას ტროადელნი. ხოლო დამესკე მასშინა უგუნ იქცნენ ბერძენთ მხედრობანი, და დანიშნულს დროსა შინა განადეს კარი ცხენისა მის, და გამოვიდნენ დამალული მხედაჩნი იგი, განუზვნეს კარნი ქალაქის გარეშეთა მხედრობათა თვისთა და შემოესივნენ ქალაქსა მას შინა და დაწვნეს სრულად ცუცხლით ქალაქი იგი და ეს სახედ დაეცა და შეიმუსრა ამაყი ტროადის ქალაქი. შემდგომად ამა დასრულებისა ანბისა იოანემ აღიღო თასი და შესვა ღვინო სადღეგრძელო მოურავის, და რქვა: დღეგრძელო მოურავო, და მესმის მე ხმა, გამარჯვებისა თქვენი ძეოფის, თქვენით ოძარხან ზედა, მისთვის თქვენ მოგახსენეთ აწ ტროადის ამბავი.

მოურავმან მადლი უთხრა, და აჩუქეს ერთი ურემი ღვინო, დო აკვანი მხიარული ადღგა მადლობელი, და გამოეთხოვა მოურავს სადღურად თვის, მოურავიც გამოესალმა და უთხრა იოანეს. მე ხვა-

დე უკანა მხარს წავაღ, მტირე რამ საქმე მსჭვს, და შენ ჩემ კერძო ბატონისშვილს იოანეს მოკითხვა მოასსუნე და მეც ვიასლები რადღეს უკან ქიზიყს, და ამ სახით გაიყარნენ ესენი.

სოლო სკალის დღე იოანე განემართა ქიზიყისკენ, გარნა ზუგრაბმან ურჩივა გზაც ის არის, და მტირე რამ ვისაუზმით ერასტისთან ძირკოკს, და იმედი მსჭვს რომ იქ კიშოკოთ ღვიინოი. იოანემ მოუწონა ესე რჩევა და მივიდნენ ძირკოკს, იოანემ გაგზავნა ზუგრაბ და მოკითხა ერასტისანი. მასინ ნინია ერასტისშვილი ეშკაბაში მეშვედრე მუნ იყო და რა ზუგრაბმა ცხად უყო იოანეს მისვლა, მხისვე მოუწოდა იოანეს, და ნასკვისაგუთანა იცნა, მოკითხა იოანე და თავისი ვითარება გამოჰკითხა. იოანემ ყოველივე ცხად უყო, და მერე უთხრა ნინიამ: მტირეს სანს ბაღში შევექცეთ ვინემ სადილიც მოგვესწრობო.

იოანე გაჰყვა მას, და მივიდნენ ერთს მშუენაერს ხეს ქვეშე და დასდნენ. მასინ ნინიამ აღმოიღო უბიღამ ერთი წიგნი და მისცა იოანეს, ესე წარმიკითხე. ეს არის, ჩემს მეუღლადამ მომივიდა, რომელიც არის თავის სამშობლოდამ, და რა ჰსწერია მამბანე, რომ ჰასუსი თქვენვე მიგაწერინო. უნსო დროს გნახე, აქ მწერალი არავინ იპოებოდა.

იოანე. უი ჩემ თავს! დავით ბატონისშვილის ეშკაბაშმან წიგნი როგორ არ იცითო?

ნინიამ. უმაწვილობაში კი არვინ მასწავლავ, და ახლა კი კერვისწავლიო. მასინ იოანემ წარკითხა წიგნი იგი, რომელ შინა იწუხებოდა, ავადყოფობისთვის, და ექიმის შოკნას ანუ წამლების გაგზავნას. რა ესე წიგნი წარუკითხა იოანემ, შეწუხდა ნინია, და სთქვა: არც ექიმი მყავს, და არც წამლები მსჭვს. მასინ იოანემ. ქალაქში კერვის იცნობთ ექიმს?

ნინიამ. თათულას კიცნობო*).

იოანემ. მას იმას მისწერეთ წიგნი და თუ კერ წავა. წამლებს გაუგზავნის. ნინიამ დია დაუმაღლა ეს რჩევა და უთხრა იოანეს: ამა

*) თათულა—გვარად ყარევი, იყო მეფე ერეკლის და მეფე გიორგის ექიმი.

წიგნის ჰასუსი მიმიწერეთ, როგორც შენგან ვიცოდე, კარგი საამუ-
რის წიგნი. იოანეს მოართვეს ქალაქი და საწერელი, და იოანე მი-
სწერს ეს გვარ: ბრწეინვალო თავადინაჲ, მოწყალო სელმწიფაჲ!
შენ, საყვარლო, მშვიდო, შენ მხოლოისგან კალდებულ ხარ მე ბე-
დნიერებითა თვისით, ანგელოისა ნაზმან სულმან შენმან ჭშვა გულ-
სა შინა ჩემსა აღი საუკუნოისა შეგნებაო ჩემო, და სიტოცხლის
ჩემისა მიხეზო; ოდეს წარვიკითხე წერილი შენი, და ვჭსტან ნარ-
ნარისა მაგის მტკინეულებანი, მუის შევიქენ უცნობო და მეც მივი-
დე სკედრი შენთან მტკინეულებისა; ადრითვე სული ჩემი იყო ან-
ბის უცოდნენელ შეჭირვებით, და გამწარებით; ადრითვე მსუურებელ
ვიყავ მოგზაურთა. ნუ თუ მსმენოდა რაიმე განმამხიარულებელის
ჩემისა ანბანი, აწ ვჭსტან ნამდვილად უძლებობანი თქვენი. ესე მყოფს
მე განუსვენებელ და ეს მექმნების მე საწერტელად ვინემდის ვცნობ-
დე მე სიმრთელესა თქვენისა.

საყვარლო და სიხარულო ცხოვრებისა ჩემისაო, შენ წარმო-
მიდეგ მე სახითა ნუგეშინის მტემელის ანგელოისათა და დაფინე-
რა ვვაკილებით გზანი ცხოვრებისა ჩემისანი და მით განამხიარუ-
ლე გული შენთვის ტუვე ქმნილად, გებრალბოდე ვარემებისაგამო,
რომელ ვერა მოვისწრათე თქვენდა, ვინაიდგან მიმელის მეც ასწარუ-
ზი რბენად ბრძოლისთვის საზოგადოისა მტერისა. ირწმუნე თუ
კითარით ერთგულებით, საწმუნრებით და მეგობრობით შეკრულ
ვარ შენდა და მით მოიმედოვნე ვჭთუცავ წინაშე შენსა, მიყვარდე
შენ. და მიუყარდე ვიდრე სიკუდიდმდე ჩემსა. განმასხარე მე მშვი-
დობიანის წერილით თქვენით, და ესრეთ დაატებეთ გამწარახული
სული ჩემი.

სხვებ ვჭტვი თქვენი ბრწეინვალებისა უგულთადაც მებობარ-
რი.—იოანე.

ოდეს წარვიკითხა წერილი ესე იოანემ ნინიას მუის ღაღადყო-
ბეზა, ეგე წიგნი სხვისგან ეგონების მიწერილი, რომელიც არმყოფ-
ბის სახით არის მიწერილი, თუ ნინიასობით არ დაწერ.

იოანე. ბატონო ეშკაბასო, ნინია უმწვიღური სასკელის და იოანე ნათლობის და ესე უმჯობესი არ არის.

ნინიამ. არა, ნინიაობით დამწერე, და ეშკაბასობით და ერასტის შვილობით.

იოანე. ბატონო, მეგობრობა რომ დავსწერე, სხვა ვერვინ მიწერს უცხო თუ არ თავის მეუღლეს ამ სასკელად.

ნინიამ. არა, ამოუხიკე, ნინია დავსწერე.

იოანე. უი ჩემ თავს! იმისთანა მეცნიერი, ეშკაბასო ჰყოლია შემკვიდრეს და რასაკურველია საქმეს კარგად განუკარგავს. ამოუხიკა იოანემ, და მოაწერა ნინია. მაშინ, აჭამეს სადილი, იოანემ მადლი უთხრა და ერთი სახალხე ღვინო აჩუქა, და გაემართა იოანე ქიზიყისკენ.

სალამოს დროს მიიწივნენ კარდენასს. იოანემ უთხრა ზურაბს: ამდამ აქ ვიყოთ, ხვალე, საბაწმინდის ეკლესიის მოვილოცოთ და მერე ქიზიყს მივიდეთ, ზურაბმან მოუწონა და რა შევიდნენ იმ სოფელში, დაუწიეს სახლს ძებნა, მაგრამ ვერ იშოვეს სადგომად, რადგან ვეკლავს ჯარის კაცი იდგა, იოანე იმა სმარულს შინა, შეხვდა ბებურისშვილს ანჯიქოდ წოდებულსა. რა მან ძწუნარება შეატყუო იოანეს ჰკითხა: ვის ეძებთ? იოანემ. ამდამ სადგომად სახლს. ანჯიქომ უთხრა: ჩემთან წამოდი, მე გიშოვი სადგომსო. იოანემ მადლი მოასსენა და წარვიდნენ ერთად. ანჯიქომ მისცა ერთი სადგომი და უთხრა: მცირე განისვენეთ და ვახშამი ერთად მივილოთ. იოანეს სამზარეულოს გვერდით მისცეს სახლი, და მივიდა მუნ. მცირე ხანს უგან მოიყვანეს ერთი მამალი დიდი ცხვარი, დაჭკლეს და დაუწიეს კეთება, აგრეთვე სუთი თუ ექსის ქათამი, გოჭი, ესენიც მოამზადეს. მაშინ იოანემ უთხრა ზურაბს: ესე მართლად თავადიშვილურად გვიპირებს მასპინძლობას.

ზურაბმან. რასაკურველია თქვენსედ დიდბ კაცის შვილი ვილა ეწვევა.

იოანე. არ იცე რომ ხელახანი აზნაურნი არიან?

ზურაბმან. რატომ არ მითხარ აქამდე, უკეთ გამსახურებდი.

იოანე. არ იყო საჭირო, და ახლა გაცნობე ჩემი გააკრი.

ზურაბმან. ჭიზიყს რომ მოუახლოვდით მით მოგვცა დიდი გული?

იოანე. მე მით არ გაკამპარტავნდები, მინდა მეცნობა ჩემი თავი. ამ უამად მოვიდნენ სსვანიც ბებურისშვილები, კანშამიც მომზადდა და იოანესაც მიუწოდეს. მისრული იოანე მოიკითხამს მათ ღოცვით, ბებურთანაც უთავაზებენ და გამოკითხვენ ვინაობასა მისსა, იოანემ ყოველივე აცნობა მათ, და მასთან თავისი ხელაშვილობაც, ბებურთანთ ამათ და უთხრეს: ჩვენი მეზობელი ყოფილხარ, აქ ბერულათ ნულარ მოიქცევი, ისე მოიქეც ვითარცა ჭიზიყელ მოყასახელი.

იოანე. უი ჩემ თავს! დია ცუდად მიქადაგებთ.

ანჯიქომ. შენც უნდა დაგვეშოთ, მოიცადეთ. მასინ ზურაბმან. ბატონო ბებურისშვილო, ძაღლი ხომ არ არის რომ დაგვეშოთ.

ანჯიქომ. მე უშოვნი ამას მღვდელს რომ იმან დაგვეშოს. გაგზავნა ვაცი და ბებურისშვილი მღვდელი იოსებ დაიბარა, მღვდელი მუისვე წამოვიდა. რა შინ შემოვიდა მღვდელი, ჭსთქვა: გამარჯვება შენი ანჯიქო და ბებურთანო. მათთაც უთხრეს: გაგამარჯვოს, და მერე აჩვენეს იოანე. მიესალმნენ ესენი ურთი ერთს, და მოიკითხეს და დასხდენ; გარნა იოანე ფიქრობდა, რომ ანჯიქო, რასახელია მე არ მახსოვს რომ წმიდას ერქვას რომელსამე, და არ ვიცი ეტების სომხების წმინდა იყოს ვინმე. იმა ფიქრსა შინა რომ იყო იოანე, ჭკითსა მღვდელსა:

იოანე. ანჯიქო, თუ რომელის წმინდის სახელია?

მღვდელმან. ის როგორ არ იცია, რომ ბებურისშვილს წმინდის სახელს ძნელათ უწოდებენ.

იოანე. რა საჭიროებისთვის?

მღვდელმან. განსხვავებისთვის რომ უოკულო იტყვას, ვაჟაკად და ყაზასად.

იოანე, მას თქვენ რას გეძახიან?

იოსებმან. ნაბიჭურის შვილს, რომ უფრო ნაბიჭური ტყეპიტი და ყაზასი იქნება.

იოანე. მას კარგი მოძღვარი ჰყოლისაო.

მღვდელმან. მართლა, აჭა ხედი მოწათენი, აიდეურ, ანჯიქო, ქაცასა, ჭუსონი, ვახა, და მათ გასწავლი უოკულოვის ქურდობას, ყაზასობას და არც ლეკების სოცას უშლი.

იოანე. ეგ ერთი კარგი, მაგრამ სხვების ვი რა მოგასხენო. მღვდელმან. შენც ხეუნი მოწათე უნდა შეიქმნა, და ესე გასწავლო.

იოანე. მე მოძღვარი მყავს.

მღვდელმან. ვინა?

იოანე. დიმიტრი აჩქიმანდრიტი.

მღვდელმან. ვიცი, ის უფრო ყაზასი არის ხემსედ, მე აღარ გეჭირები, და მასედ იცინეს უოკულოთა. მოიღეს ვახშამი, გაიმართა ღვინი, დაიწყეს სიმღერა, ჩონგურის კერა, ქოროლლის ლექსების თქმა და სიმღერა და ასე შიამტეის იოანე, რომ კიდეც ათამაშეს.

ზურაბ. ბატონო ბებურიანო, დაიდ მალე გაწრთვენით ეს ბერი.

ბებურის შვილმა. ჩვენ ასე ვიცით: ამას ამ ორდღესედ ასე გაწრთვით, რომ საჭურდლადაც წავიყვანთ; და ამ შექცევით დასრულეს ვახშამი. იოანეც გამოეთხოვა და წავიდა თვისსა სადგომს,

სოლო სვალისა დღე, ანჯიქო მივიდა, იოანეს იამა და უთხრა: აქ ბძანდება ბაგრატ?

ბაგრატ აქ არის, ამ ჯარის უფროსად, იოანე გამოემზადა და წარვიდენ ბაგრატისკენ. რა იოანე იახლა ბაგრატს, ეშკაბაშმან ცხად უყო იოანე სელაშვილის მისკლას, ნახვა იხება ბაგრატმან. და რა შევიდა სახლსა შინა და იხილა ბაგრატ, წინ წადგა იოანე, და მოას-

სენა: დღეგრძელი ძეგის ძეგ-სარდალ-თელავის-ქალაქ-მთავარო.

ბაკრატიანი. გმადლობ იოანე, რომ ძეგ ან დამაგდე უსასკე-
ლოდ, რადგან ამ გზობით მწაგაღგან გაგიცია სსხელი, და შენც
გიშოგინია ნსცგალი.

იოანე. ზოგი ერთმან სსხელის მიცემა დია იწეინეს.

ბაგრ. მართლა ეტეობა შენს ანაფორას.

იოანე. უი ჩემ თავს, კინ მოგასსენათ?

ბაგრ. სუღმან მაუწყა.

იოანე. წინასწარმეტეეკელთ ტომი სართ, მცნობელობის მად-
ლი თქვენც გექნებათ.

ბაგრ. ნუ თუ გეატეუებდე, და ახალი ანაფორა გინდოდეს.

იოანე. ჩემი სიმართლე მით ჩანს, რომ ერთმან ვინმე რომ
შეიძლოს და მთელი სამი სამეფო დასიოს, ანაფორის დასეკაზედ
რად ეტეი უნდა.

ბაგ. დროს ეგეკა შეუძლიანო.

იოანე. ტეშმარტია, ახლანდელი საუგუნო ასე იჩვენება.

ბაგრ. მითხარ რაიარს საუგუნო?

იოანე. საუგუნო არს განგრძობა დროსი, და შემცველი ასი-
სა უგეე წელიწადისა.

ბაგრ. რაი ეწოდების საკუთრად დღეს ანუ დამეს?

იოანე. დღედ საკუთრად უწოდეთ დროსა მას, ოდესცა მზე
მოეუინების ქვეყანას აღმოსავლიდამ და განგრძელდების ვიდრე და-
სკლამდინ მზისა.

ხოლო, დამედ უწოდეთ მას, ოდესცა განგრძელდების დროი
დასავლითგან მზისა ვიდრე აღმოსავლადმდე.

ბაგრ. რადენთა ყამთა იზურობს თვის შორის დღეი და ღა-
მე საკუთრად თჳისად?

იოანე. დღე საკუთრათ ესრეთ. წოდებულეი, შეიცავს თვის შო-
რის ათორმეტსა ყამს: ეს სახედვე დამეი.

ბაგრ. ყოველთვის ერთ გვარად იზურაბს დღე და ღამე ჟამსა ათორმეტთა, ანუ იცვლებიან?

იოანე. არა ყოველთვის ერთგულად არიან, არამედ იცვალე-ბიან, სხვათა და სხვათა დროთა შინა წელიწადისათა მით, რამეთუ რადესმე დღეა იყოფის უდიდეს და უგრძელეს, რადესმე უმცირეს და მკვლე, ესე სახედეკ ღამეც, კითარცა ზაფხულ და ზამთარ.

ბაგრაოტ. რაი არს ჟამი, ანუ საათი, ანუ რამდენად განიყოფე-ბის ერთი უკვე ჟამი?

იოანე. ჟამი ანუ საჟამო, გინა საათი, არის ხელაგნებით ქმნი-ლი რამე, რომელიც განმართვის ძალით მოძრაობს იგი შეწევნით ზამბარაგისა, და სხვათა ჩაჩხთათა, და რომელიც იჩვენების ზემო პირსა ზედა დანიშნულით ციფრებითა ათორმეტისა რიცხვისა ჟამი-სასა და მას ზედან მოსულით წამითა გვაჩვენებს ჩვენ რიცხვისა. შე-მეძნებისთჳის თუ რადენი ჟამი დღის ანუ ღამისა განსრულ არს, და ანუ რადენი დაშთომილ არს. ერთი ჟამი უკვე განიყოფების რთხ რუბად, ნახევარ საათად და სამ რუბად; აგრეთვე ერთი ჟამი განიყოფების, სამეოც მინუტად ანუ წამად, ერთი მინუტი ანუ წამი, სამეოც წუთად, და ერთი წუთი, სამეოც წუთის წუთად. ერთი რუ-ბი საათისა იზურაბს თვის შორის ათ თუთხმეტსა წამსა, ნახევარ საათი ანუ რთხ რუბი, რცდა ათსა, სამი რუბი რამეოცდა ხუთსა, რთხი რუბი, ანუ საათი სამეოცს უკვე წუთსა.

ბაგრ. რაი არს ესე გვარი უკვე დროი წელიწადისა?

იოანე. ესე არიან ცვლილებანი იგი, რომელიც წარმოებენ ბუ-ნებით ჩვეულებისამებრ რთხ გზის ერთსა წელიწადსა შინა.

ბაგრ. აღძირიცხეთ მე ესე რთხნი უკვე დრონი წელიწადი-სანი?

იოანე. გაზაფხილი, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

ბაგ. რადენ ხანგრძლავს თვითყოფილი ამათგანნი?

იოანე. თვითყოფნი დრონი ესე წელიწადისანი არიან სამ-სამ

თვე.

ბაგ. ოდეს დაიწება გაზაფხული, ზაფხული. ეგრეთვე შემოდგომა და ზამთარი და რომელს თქვებში?

იოანე. გაზაფხულად რაცხვენ: მარტსა, აპრილსა და მაისის თვესა. თბილთა მხარეთა შინა აზიისათა, იწყებენ გაზაფხულს, თერთმეტის მარტიდამ, კიდრე თერთმეტის თიბათვედინ. რუსეთს შინა ცხრიდამ, ანუ რვის რიცხვიდამ მარტის, კიდრე ცხრამდის ივნისისა. სხვანი ეკრძაიულნი იწყებენ მასვე თვიდამ ოციდგან ანუ ოცდა ერთიდამ გაზაფხულს კიდრე ოცდა ერთს ანუ ოც და ორს ივნისამდე. ზაფხულად რიცხვენ: ივნისსა ანუ თიბათვეს, ივლისსა ანუ კალთავეს, აგვისტოს ანუ მარიაძობისთვეს. აზიელნი სდებენ თიბათვის თერთმეტიდამ სექტემბრის თერთმეტამდის ზაფხულს. რუსნი რვის ივნისიდამ კიდრე ცხრა სექტემბრამდის. სხვანი უცხონი მხარენი ივნისის ოცდა ერთიდგან სექტემბრის ოცდა სამდე. შემოდგომას, აზიელნი ათერთმეტის სექტემბრიდამ, თორმეტს ქრისტიანობისთვემდე ჰსდებენ შემოდგომად. ამ სამთ თვეთა: სექტემბერს, ოქტომბერს და ნოემბერს, ანუ ენკენისთვეს, ღვინობისთვეს და გოთობისთვეს, ეს გვარვე რუსნიცა. სხვანი უცხონ მხრისანი ჰსდებენ სექტემბრის ოცდა ორიდამ დეკემბრის ოცდა ათამდე.

ზამთარს ჰსდებენ, დეკემბერს ანუ ქრისტიანობისთვეს, და იანვარს და ფებერვალს. აზიელნი იწყებენ თორმეტის დეკემბრიდამ, კიდრე ოცდა ორს მარტიამდის.

ბაგ. რომელს თვესა და დროსა შინა იწყებს თანასწორობას დღე და ღამე?

იოანე. ესე შემთხვევა იქნების წელიწადს შინა ორ გზის ესე იგი, ჰიბრეულ გზის იქნების ოცდა ერთსა ანუ ოცდა ორს მარტის დღეს რიცხვსა ამავე თვისასა, მეორე გზის იქნების ოცდა ორსა ანუ ოცდა სამსა რიცხვსა შინა სექტემბრისასა, სხვათა მხარეთა შინა ათერთმეტსა რიცხვსა ამავე თვისასა და ამის გამო ორნივე დრონი ესე იწოდებიან თანასწორობად დღისა და ღამისად.

ბაგ. კითხვარ იწოდების განთიადის სუსტი იგი სინათლე ანუ რიქრასი, რომელიც იხილვების კიდრე სრულად აღმოსლვადმდე მზისა და შემდგომ დასკლისა მზისა.

იოანე. ნათელი იგი, რომელიც იხილვების უწინარეს აღმოსვლისა მზისა, იწოდების დილისა ცისკრად: აგრეთვე განთიადად, ანუ აკრორად. ოდეს კვდევით ჩვენ მზის დასკლის დროს ნათელს, იწოდების იგი მიმწუხრად, აგრეთვე ბინდ ბუნდად, ანუ დაბინდუბად.

ბაგ. რაი არს არ დადეგი, რომელსა ლათინნი უწოდებენ კანეიულა.

იოანე. არდადეგად ანუ შაჰანად, იწოდებიან თვით უცხელესნი დღენი წელიწადსა შინა ზაფხულისასა. ნასეკარ იულისიდგან ანუ კათათვიდგან, ნასეკარს აგვისტომდი ანუ მარამობისთვემდე დღენი ესე კიდრე ერთი თვე განგრძელების უოველთვის იწოდების კანიკულად ამისთვის, რომელ ლათინურებ, ძალსა ჯარსკვლავსა ეწოდების კანიკულა, უოველსა ამა დროს შინა აღმოსვლს კარსკვლავი ესე და დადის ესრეთ მსხლობელ მზისაგან, რომელ იფარვის შარკანდედითა მისითა.

ბაგ. ოდეს იყოფიან თვით უგრძელესი და უდიდესი დღენი.

იოანე. კარსკვლავთ მრინცხეულთა მეზრ, რომელსაც საღმრთო წერილიც ემწმება, მზე მიიქცევა ზამთრიდამ ზაფხულისადმი, დეკემბრის ანუ ქრისტისშობის თვის თორმეტიდამ, და წავა დღე მატებაში, წერილ წერილად, კიდრე იანისის ანუ თიბათვის. თორმეტადმის, რომ ამა რიცხვებსა იქმნება აზიშიც, დღე კიდრე თექვსმეტ საათმდინ? მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა კიდრე თვისა მეტსა და ცხრამეტს საათმდინ:

ბაგ. ოდეს იქმნების თვით უმოკლესი დღე. და მიკვალს მზე ზამთრისაკენ?

იოანე. თიბათვის თორმეტიდამ დაწყებს დღე წელიწად წელიწად კვლავსა კიდრე ქრისტისშობის თორმეტადმის და უკანასკნელს

რიცხვებში იქნების განგრძობლებულ ღამე, აზიასა შინა ვიდრე თუ-
თხმეტიდამ თექვსმეტ საათამდის; მოსკოვსა და პეტერბურღსა შინა
თერთმეტიდამ ვიდრე ცხრამეტამდის საათისა და უმეტეს. პეტერ-
ბურღსა შინა, რომელსაც რაცხვენ შვიდის დეკემბრიდამ ათორმეტ-
სა რიცხვამდის ამა თვისა, დღესა ხუთ საათად და ოცდაათ წამად,
და ამ სახედვე ღამის სიდიდეს დიხათვის რვიდამ, ვიდრე ამავე თვის
ათორმეტამდე?

ბაგ. ცგლილება ესე ერთ სახედ არს სსკათაცა შინა ქვეყნებთა?

იოანე. არა. მუნ არს განსხვავება, მდებარეობისამებრ ადგი-
ლისა, თუ რომელი ქვეყანა რომელს ხარისხზედ დგას და მით თუ
კითხვ მახლრებულბს მზეი: მდებარენი ადგლნი კვატორისა ქვეშე
და მხარენი მის ქვეყანისანი, თითქმის ყოველთვის თანასწორებენ,
მუნ ადგილს შინა დღე და ღამე; და არიან ესე გვარნი ქვეყნებიც,
რომელსა შინა ზაფხულ უფრო ერთის საათისა მეტობს ღამეი; ავ-
რეთვე არიან ქვეყანანი ესგვარნი, რომელთ შორის არს ექვსი უკვე
თვე ღამე, და ეს სახედვე ექუსი უკვე თვე დღეი: *) და დასამტკი-
ცებულად ამისი იხილეთ ქვეყნისა სიმრგულისა ღლობუსად წოდე-
ბული სახეი.

ბაგ. რაოდენი ჰქონან დღენი ერთსა წელიწადსა,

იოანე. სამას სამეოცდა ხუთი.

ბაგ. ყოველ წელიც ამ რიცხვით შედგება წელიწადი?

იოანე. არა. ყოველთვის, სამწელიწადის შემდგომად მეოთხემ
წელსა მოქმატების კვლად ერთი დღე: და ამის გამო იწოდების
ნაკის წელიწადი ავი: სხვანი წელნი მარტივად?

(*) ექვსი თვე ღამე და ექვსი თვე არის არხანღელიისა ქვეყანასა შინა
ციბირის მხარეს: ავრეთვე სამხრეთის კერძოცა არის ეს გვარი უკვე ადგი-
ლი: იტყვიან, რომელ ზამთრით რომ არხანღელიაში არის ექვსი თვე ღამე,
სამხრეთის ადგილს დღე არის ექვსი თვე. და ოდეს ზაფხულში არხანღე-
ლიაში არის ექვსი თვე დღეი მუნ საზრეთში არის მაშინ ექვსი თვე ღამე,
და ესე არის მიზეზი მზის მიწვევისა დამოწყვისაგამო. დამწერი.

ბაგ. რაისგამო წარმოებს ეს ცვლილება?

იოანე. ამისგამო, რომ მთლად უოკელსა წელსა მარტოდ არა აქვს სამას სამოცდა ხუთი დღე, არამედ რადენიმე უამი ანუ საათიც აქვს მითვლილი; და რადეს აღვრიცხავთ დამეტებულთა უამთა ამთ, მაშინ რთხსა წელიწადს შეადგენს იგი რცდა რთხსა საათსა, და ესე იქნების მეორესე წელსა ერთი დღე მეტი, რომელ არს, სამას სამოცდა ექვსი დღე, და მაშინ ფებერვლის თვე იქნების რცდა ცხრის დღისა მექონ.

ბაგ. რომელი ძველათ ესრეთ თვლიდიან თვებთა, ვითარცა აწ ჩვენ?

იოანე. არა, იგინი, მხოლოდ ათს თვედ ჰსთვლიდიან, შემოდგომას შესძინეს რნი უგვე თვეცა და ამასთანავე იწუებდენ პირველს წელს ანუ ხაღსა წელსა მარტის თვიდგან.

ბაგრ. ვითარ იწოდებიან იგინი, რომელთაც განმარტეს (კალენდარი) ანუ წელთა აღრიცხვა. ანუ ვინ განმარტა ესე წელთა რიცხვი?

იოანე. პირველად განმარტა იულიოს კეისარმან, უწინარეს ქრისტეს შობისა, რომეოცდა ექვსის წლის წინიდ: შემდგომად მკათცემეტე გრიგოლი ჰპამან; შემდგომად. შობისა ქრისტესისა ათას ექვსას რთხმოც და მეორესა წელსა, რომელიც პირველად იწოდებოდა იულიოსის კალენდრად შემდგომად გრიგორის კალენდრად.

ბაგ. ვითარ განმარტა კალენდარი იულიოს კეისარმან?

იოანე. მან განზრახვითა, მათემათიკოსის სოხილენისათა ბრძანს აღრიცხვად მზის წლისა სამას სამოც და ხუთ დღედ და ექვს საათად.

ბაგრატიან. გრიგოლი რომთა ჰპამან, რაილა შესძინა?

იოანე. ხოლო მან აღრიცხა ეს გვარ, რომელ მესე უგვე წელიწადი სამგზის ერთხამად იქნების მარტივი. მეორესედი მარადის რდენ ნაკიანი წელიწადი.

ბაგრატი. რუსნი ვითარ ხმარობენ კალენდარს?

იოანე. ძველს იუდიოსის კეისარისსა, ხოლო სხვანი ევროპელნი გრიგოლ რომთა ჰაზისას.

ბაგრატ. არის ცვლილება ამა კალენდრებთა შორის დროსა აღრიცხვისასა.

იოანე. არის ვინმეცა ხმარობს იუდიოს კეისრის კალენდარს, თუკთა, დღეებთა შორის ყოველთვის რიცხვი წინ და უკან, მაგალითი: რდეს ჩვენში ანუ რუსეთსა შინა, იყოს რომელიმე თვის დღის რიცხვი, ვითარცა ვთქვით ოკტომბრის ათერთმეტი, ევროპელთა შინა იქნების რცდა ექვსი რიცხვი მასვე თვისა და მით სხვაობს გრიგოლის კალენდარი,

ბაგრატ. რაი არს ოლიმპიადი?

იოანე. თვითეული უკვე ოლიმპია იზურობს თვის შორის ოთხს წალიწადს. მისგამო ბერძენნი ჰსთვლიდენ დროს ოლიმპიადობითა, ამით. რომელ იგინი, თვითეულს ოთხსა წელსა შინა დღესასწაულობიან ოლიმპიის მრეკველობათა (ანუ თამაშობათა, გინა ძღერათა). მახლობლად ოლიმპიის ქალაქის ჰვლუბონისა შინა და მის მიზღვისა გამო წოდებულ არიან-როკვანი ოლიმპიისად, რომელიმე მეისტორიენი ჰსწერენ; რომელ ესე გააწესა ღერგულესმან პატრივისთვის იუპიტერისა.

ბაგრატ. რაი არს ეპოხა?

იოანე. ეპოხა, ეგრეთვე მსახურებს აღრიცხვისთვის, თუკთა დროისა, გარნა მარტოდ იგი არა განსაზღვრავს განგრძობასა მათსა; არამედ დანიშნულ ჰყოფს განგრძობასა, ვიდრე მეორისადმი ღირსისა სახსოვრისადმი, მაგალითისამებრ: ეპოხა, შექმნილამ სოფლისა, ვიდრე წარღვნადმი. ეს სახედვე ეპოხა ნიშნავს შემთხვეულებათაც, ესე იგი: შობასა ქრისტესსა. დარღვევა ტაძრისა და ქალაქისა იერუსალიმისა და სხვანი.

ბაგრატ. რაი არს ლუსტრადი?

იოანე. ლუსტრადა არს აღრიცხვა წელთა, რომელიც იზურობს თვის შორის ხუთსა უკვე წელსა.

ბაგრატი. რაი არს იუბილეი?

იოანე. იუბილიად იწოდების ნამყოფისა რომლისაჲმე დიდისა საჭმისა, ანუ საჭიროისა შემთხვეულებისა მოხსენებისათვის, დღესასწაულობითი გარდასდა და დღესასწაულობა, რომელთაჲმე შემთხვეულთა საჭმეთა შემდგომად ერთის საუკუნოისა, ანუ ხასკეარ საუკუნოისა, შემდგომ ოთხისა საუკუნოისაჲცა.

ბაგრატი. რაი არს ინდიკტიონი?

იოანე. ინდიკტიონი არს საეკკლესიო ხელთ აღრიცხულებაი, მპყრობელი თვის შორის ათუთსმიტისა წელიწადისა, სიტყვაი ესე ინმარების მხლელად ესე გვარსა შემთხვევასა შინა, ოდესცა ითქმის რაიმე რომის კალენდრისთვის?

ბაგრატი. რაი არს ჭელირა?

იოანე. ჭელირა არს რსმალთა წელთა აღრიცხულებაი, მუნ დროიდგან, ოდეს მსჭმდა მივიდა მედინასა შინა.

ბაგრატი. რაი არს ქორონიკონი?

იოანე. ქორონიკონი ძველი ლექსია, ისევე ქართული წლის ანგარიშს ეწოდა ესე ანგარიში, შემდგომად ქართველთ მოქცევისა რომ მიიღეს ქრისტიანობითი ჭსჯული. რადუნამე დროისა შემდგომად წმინდათა მთარგმნელთაგან, ბერძენთა ანგარიშისა გვარისამებრ გააკეთეს, ესე ქორონიკონი დაიწყო ვასეჲდამ ანგარიში, თუ რომელს თვეს და თვის დღის რიცხვში მოკალს ვასეჲი, და დასდევს ამისა განგრობა, უიდრე ხუთას ოცდა ათორმეტს წლამდის, რომელიც იქცევის რიგსა ზედა. ოდეს შესრულდების რიცხვი ესე, კვლად თავიდაჲმე იწიების აღრიცხვა ვასეჲისი და მოკალს ისევე იმავე სწორის ანგარიშით. ხოლო უგანასკნელ ესე ხუთასიანი ქორონიკონი, უფრო ნათლად აღმოაჩინა, საქართველოს მეფემ, ვასტანგ ლეონის ძემან, რომელიც ცხად არს, შესაქმისა წიგნსა შინა. (დაბადებაში) ეს სახედეკ ხელთა ცხრამეტეული, ათცამეტური, ზედნადები, ზედნადების მთვარის მოქცევა. მართის დამდეკ თვითო წელი, სადაც ნაკი აქვს წელიწადი, ოცდა რვეული და ესრეთ აღმოაჩინა ამ

ჭინკლასის ჰსწავლა და მუნ გონება გავლით ყოველსავე შემეცნებით დაისწავებთ დაბადებაში და უამნის ბოლასაც შეემცნებით, ეს სასედე.

ბაგრატი. ქართველი ხმარობენ სხვასაც ანგარიშსა წლისასა?

იოანე. ხმარობენ რიცხვებსა სამ გარდა: ესე იგი: შექმნილად ანუ დასაბამიდან სოფლისა; მეორეს: ქრისტეს შობიდან; მესამეს ქორწინიკონსა.

ბაგრატი. ვითარის ასრებით ხმარობენ მაგას და ნიშნენ?

იოანე. ქართველის ხუცურის ასო მთავრულის ასრებითა, ზგრეთვე მხედრულის ასრებითა, უფრო საეროს წიგნებსა და სამეცნიეროში. სოფლ ანა დიდისანია, რომ ციფირებით ჰსმენ რიცხვებსა.

ბაგრატი. ვითარ უნდა გამოეცნოთ, თუ მთვარე რაოდენის დღისა არს?

იოანე. ამის შეტყობა თუ გინდათ, ყოველთვის ანგარის თვიდამ უნდა იწეებოდეთ, ესრეთ, თუ ანგარში გინდათ შეტყობა, ესე უნდა დათვალათ: ანგარი, ანგარი. ანგარი, ნიანდაგი და თვის თავი: ზედ ნაღები რამდენიც იყოს ისიც მიათვალათ; აგრეთვე იმავე თვის დღის რიცხვი რაოდენიც იყოს, ისიც ზედ მიათვალათ, თუ რცდა ათს რიცხვს ქვევით გამოვიდა იმდენი დღისა იქნება მთვარე; და თუ რცდა ათს გასცილდა, რცდა ათი უნდა გარდადოთ, და რც მუტი დღე დაშთება ის აღრიცხოთ და ეგეოდენის დღის იქნება მთვარე. სოფლ სხვათა თვეთა შინა უნდა ამ სასეთ დათვლიდეთ უკეთუ თებერვლის თვეში დასთვლით, მაშინ უნდა ბძანოთ: ანგარი, თებერვალი, და ისე ისე მოიქცეთ, ვითარცა ზეით დაუსწვრეთ, სხვათა შემდეგთა თვეებში, ვითარცა მარტსა, აპრილსა და სხვათა თვეთა შინა, ბძანოთ ანგარი, თებერვალი, მარტი, აპრილი და ესრეთ უშორეს და აღრიცხოდ ამ სასედ.

ბაგრატი. ზედნადები როგორ უნდა შევიტყოთ რაღაცა წელიწადი გავა, თუ რაოდენისა იქნება სხვა წელიწადს.

იოანე. კვსთქვით წლეულს არის ზედ ნადები, რცდა სამი. ამ რცდა სამს უნდა დაკათვალთ თერთმეტი რიცხვ მოძიკალს წელს, და რცდა ათს რცდ გადაჩება, იმდენ რიცხვი იქნება ზედ ნადები, რომ იქნება მოძიკალი წელიწადის ზედ ნადები რთს რიცხვიანი, და სხვანიცა ასე ცა, რომ ყოველს წელს თერთმეტს რიცხვს უნდა მოუმატებდე რცდ რცდა ათს გადაჩება რიცხვი იმდენი იქნება ზედ ნადები. და თუ გერ შეასრულებს რცდა ათს ის თერთმეტი რიცხვი, რცდ რცდა ათს ქვევით დაჩება იმრდენ იქნება რიცხვი ზედ ნადებისა.

ბავრატ. რაი არის ნიადავი და თვის თავი?

იოანე. ნიადავი, სამაჩადისრს ანგარიშს ნიშნავს, ხოლო თვის თავი, რადგან იანვრიდგან ვიწყობთ მთვარის ანგარიშსა, და სხვა რიცხვსაც ამ იანვრისათვის მიუჩებებიათ თვის თავობა, რომ ეწოდება თვის თავი.

მამინ ზურაბამ დაიძახა: ბერო, ვიჩსამც შენი . . . თავი ჩვენ მშვირები დავიხრცენით, და რა არის ესდენი ანგარიში მამინ მდგრამჩეთა, ყოველთა იწყეს სიცილი. ბავრა. მჩავალი იცინა, და ზურაბა მოიკითხა, მოიღეს სადილი და ღხინითა შექცევითა დასრულეს ნადიმი.

იოანე. გამოეთხრვა ბავრატს მმადლობელი, წარვიდა საბა წმინდაც მოილოცა და მეჩე ისეკ მოვიდა თვისსა ბინსა ზედა. რა ვახშობის დრო მოვიდა, იოანეს ვიდე მიუწოდეს თვისთან ბებურანთა, და ისეკ იმ სახით დახვდენ ვითარცა ჰირველ და ეს ღამეცა ესრეთ განატარეს.

ხოლო ხვალის დღე, იოანე ემზადებოდა ქიზიყს წასასუელად, ანჯიქომ არ გაუშო, უთხრა სადილიც აქ მიიღე და ვახშობათ შენს სასლში მიდი, ახლო არს ვაჭირი. კვალად მოიყვანეს ცხვარი და დაკლეს, და ავრეთვე სხვა სანოკაგენი შემზადეს, და უკვირდა იოანეს ყოველთვის რჩოლისა და სამსამისა ცხვარისა დაკვლა მათგან. რა სადილობის დრო მოვიდა, შეკრიბენ კვალად ბებურანი და იო-

ანეტ მიუწოდეს, რა მცირედ შეჭეიფიანდნენ, იოანეს გულმან კერლას შეუძლო, და უთხრა: უფალო ანჯიქო, ასე მსმენია, თქვენ არც ერთი ცხვარი გყავნდენ და ეს მიგვირს დღეში სამსა და ოთხს ცხვარს არ ჰსჯერდებით და ეს ვითარ არის?

მღვდელმან. ბერო, გიჟი ყოფილხარ, როგორ არ იცი, ვისაც ცხვრები ჰყავს ჩვენია, დღეში ათიც რომ დაეჭვლათ მაშინაც არ გამოგველქება.

იოანე. ჰგავს საბაღასეს ბევრს იღებთ?

მღვდელმან. ჩვენი მამული სახსნავადაც ძლივ გვეყოფა, სად უნდა ავიღოთ საბაღასე.

იოანე. მამ ჰგავს თეთრით ყიდულაბთ?

მღვდელმან. ვის შეუძლია ჩვენში ყოველ დღე სამი ცხვარი თეთრით ყიდოსო,

იოანე. მამ როგორ არის ეგ საქმე.

მღვდელმან. თქვენ ბერებს ცოლი ხომ არა გყავთ?

იოანე. განა შენ არ იცი ეგ?

მღვდელმან. მე ვიცი: ვისაც თქვენს ყმაში დედაკაცები ჰყავთ, სულ თქვენი არ არის, აგრეთვე ჩვენი უნდა შეგეპყოთ, რომ ვისაც ცხვარი ჰყავს, ან ძროხა, ანუ ღორი, სულ ჩვენი არის.

იოანე. უი ჩემ თავს! ნაჭურდალით გიცხვორიათ?

მღვდელმან. და რათ გეგონა, ყოველ დღე სამ-სამს ცხვარს დაგიკვლევდით თუ არ ნაჭურდალს.

იოანე. ვაი! ავი ნაკერძავით და ნაჭურდალით მეც შემსვარეს ამათ!

მღვდელმან. წადი შეილო, და ახლა სიდაც გინდა იქადაგი.

იოანე. რადგან მავ გვარნი მოძღვარი გიმოკეთ, რასაკურგელა: კარგს მცნებას მოგვცემ, მაშინ აიღებურ ეშვასამან რადგან მათ შორის მოხუცებული იყო ჰკითხა იოანეს: ქურდობა ვითარნი ცოდვა არის და ანუ რადენ გვარად განიყოფება ქურდობა, გვარნობე ნათლად!

იოანე. მხარაობა არს, ღონისძიება რაიმე და ამაო და შრომა აწმყოსა და მეორობადისა მდგომარეობისა ცხოვრებისათვის თავისა თვისისა, ოდესცა განკალს იგი საზღვარისაგან, მასინ დაშრეტს კაცთ-მოყვარებასა. და მოყვარებას ჭყოფს ერთ მოტყუებას მტაცებლობის და ბორბოტ-მოქმედებისადმი, და ამასთანავე განღვიძებულ ჭყოფს კაცსა, მოკუფლადცა კაცისა.— მხარაობა, ან. ქურდობა თუმცა და განიყოფის მრავალ სახედ, გარნა აქა მოკვისსენებ ორსა უგვე გვარსა. ქურდნი, რომელნიმე არიან შინადვე მხარავნი და რომელნიმე*) გარეშე მხარავნი, გარეშე მხარავთ უმეტეს მიეწერების მამაცობა მით, რამეთუ იგინი ყოველთვის, სკლას შინა არიან დღე და ღამე, და ოდესმე სშირადცა შეჭსცვივიან განსაცდელსა შინა**). შინად ქურდნი უფრორე არიან მსდალ, და ვერღა გარეთ გამსჯულნი. გარნა ღონეჲ ქურდობისა უფრორე აქვთ ამათ. მოხელეობებულნი ქურდნი ანუ მხარავნი არიან უგვე ორ გვარ: რომელნიმე არიან, განმზხნეველ თვისთა ნაზარავთა, და რომელნიმე ძუნწ და დამმალეველ. განმზხნეველნი იქნებიან ჩვეულებისამებრ, თვით მტაცებულ, და მეოფნი აღტაცებულთა სურვილთა, და გემოს მოყვარებისა დატებობითა: ხოლო ძუნწნი უგვე იქნებიან ფრთხილ, და მეოფნი აღვირ ასხმითა შიშითა მოკლებულობისათვის.

ხოლო, მხარაობისა თვით ღმერთთა აყენებს, ვითარცა მისცა ათი, მცნება მოსეს მერვე ცოდვად მხარაობა დაუდო, და მისთვის არა ჯერ არს, ვის რომლისა ჭქმნად უსამართლოებისა, არც უწესოს საქმის ჰერობა, რამეთუ ესე ყოველნი მხარავადით ქმნიან, რომელ ვისმე ტაცებით მიუღოს რაიმე, ანუ უგრძნობელად წარიღოს, ანუ სამართალი უცხო რამ იპყროს და გაამრუდოს სამართალი თერთვისთვის ანუ ჰატეოსნისთვის ჰატეიგი მიიღოს, ანუ მოხარვეს

*) გარეშე მპარავნი, გარეშე მოხელენიც დაინიშნებიან და მოყაზხენიც.

***) შინაგანნი ქურდნი მოხელენიც დაინიშნებიან, შინაგანნი მსაურნიც და ქალაქში სხვანიც მპარავნიც, ანუ შიგ სოფლებშიდ?

სარკი მეტი გამოართოს, ანუ სხვა კინძე, თვისად მძლავრობით მონად ჭყოს, რომელიც მას მათთვის ეტყოდას. ესე გვარნიც ქურდობად შეჩაცხულ არიან, რომლისთვის მოციქულიც ჰქსწერს: არც მხარაკო, არც შემთუარალო, არც მაგინებლო, არც მტარებლო, სასუფეველი ღვთისა ვერ დაიბკვიდრონ, მისთვის უნდა კიუვნეთ ფრთხილ და მართლ-მსაჯულ, რომე ერთმან მეორეს უსამართლოებით არა მიუღოსრა.

აიღებურ. მღვდელო, რაც ამ ბერძან გვითხრა შენგან არც ერთსელ გვსძენია, და არც გისწავლებია.

ხარ: მე ატორს მინდა გადავიდე იქიდაძაც სტუმრები მოვიყვანო და
ჩემი ძმა მიუჩინე იმ ქალს ეს გაჩვენებს და რიგსაც მოგცემს მეთ-
ქი, მე რა წაკელ, გადაველ ბრემს, წვერი მოვიპარსე, ბატონის ნა-
ბობები სალათი ჩავიცვი, ბუსრის ქუდი დავისურე, ცხენს ყაჯარი
გადაუშალე ორიოდ კაციც თან წამოვიყვანე, და დაჯარიგე რომ იმე-
რულია იქ, და რამე ჩემ სასლთან ჩამოვხდე ცხენი გამომართვით,
და იმერულმან რომ გკითხათ ასე უთხარით: ეს ბატონის მსახუ-
რია, და აქ თავის ცოლთან მოვიდა ქალაქიდაძამო; რა ჩემს სასლ-
თან მოველ ვნახე ის იმერული გარეთ ეზოში ზის და ჩემს ძმას
ულაპარაკება. გარდავხედ ცხენიდაძი, ამ კაცებმან ცხენი ჩამომართვეს,
იმერულს სალამი მივეც და უთხარ აქ რასა იქვით მეთქი, მან მითხ-
რა ჩემი საქმე მსჭვს. ჩემ ძმასაც კანიშნე. სსკავან წავიდა და მე
შინ შეველ, დედა-კაცი წინ მომეგება, თოფი ჩამომართვა, აგრეთვე
ჩემი წვრილი შვილები, რა ეს იმერულმან ისილა, უთხარ: ჩემთან
მოყოლილს კაცებს. ბატონო ეგ ქართველი აზნაური გინ არის რომ
ჩემს დანიშნულთან ასე კადნიერად შევიდაო. მათ უთხრეს, რას ან-
ბობ იმერული ეს მეფის მსმსურია, და თავის ცოლთან მოვიდა ქა-
ლაქიდაძი, და ეს ყმაწვილებიც იმის შვილია:

იმერულმან. მართალს უბნობთ თუ მიბრეივებთ?

მათ კაცთ. არა ჭეშმარიტად, რომ მაგ კაცის ცოლია.

იმერულმან. კაი ჩემთავს, ავი დამავსო, ვინცდა ცრუ ქართვე-
ლი იყო: და შეჭსჩივლა როგორც საქმეს გაეკლო.

მათ უთხრეს: ის კაცი ერთი ცრუ სომეხი არის, ბეკრი შენისთანა მოუტყუებია, რატომ მიეცი მაგდენი თეთრი, საქონელი და არგის ჭკითსე: ახლაგი წადი და გაუდეგ უკან ეგები მოასკლო სადმე.

იმერულმან თავში სელის ცემა შექმნა და ტირილი; ამ უამად გამოკვად და უთხარ, მამაო: რა გატირებს, მან იმერულმან, მეც ისე შემომჩივლას პითა სხვათა; მეც უთხარ ის ასეთი ცრუ კაცია, რომ ბეკრი მაგკვარი საქმე უქნია, ახლავ გაუდეგ ეგება გორს მოასკლო: ავიდე, ხუთი ახაზიც ვახუჭე. ეს დასარჯე. გორში მიუქთად პურს არავინ გაჭმეოსო. თუ ის სომეხი ვერ მოასკლო, ვაჭარი სომეხი სომ ბეკრი დადის ქუთაის, იმათ წაართვი, რაც დაგსარჯვია. იმერულმან დამლოცა, სელზედ კოცნა მონდომა. და მითხრა რა კარგი ქრისტიანი კაცი ყოფილხარ. რრიოდე პური ვახუჭე. და მადლობელი გაკისტურიე:

იოანე. უი ჩემს თავს! სწორედ სელოვნებით ქურდობა გიქმნიაო, და ზაკვით შენდობა ავიღიაო: მაგრამ უნდა უკანვე გეხუჭე ბინაო რაც გამოართვიაო:

ოთარამ. შენ დალოცვილო. ამ სოფელში სულ ამ გვარი მოტყუება არის და ასე რჩებიანო.

იოანე. რთარავ სიმართლით მოგებული უმჯობესია და უფროც გამოადგება კაცს; იმ უამად გავიდნენ, გაიპარა მინდორში, ნასეს უკანნიდამ სამი ცხენოსანი კაცი, ცხენებს მოაჭენებენ ქიზიყელნი და სამი კაცის თავებიც ცხენზედ უვიდიათ. შედგნენ ესენი და ჭკითსეს, რა ამაჰვია ძმანო. მათ უთხრეს, ბატონთან მასარობლად მივიდივართ. ბატონის შვილმან იოანემ დაამარცხა რმარხან, და ათასი კაცი მეტი მოუკალით. ცოცხალს გარდა ახლა ეს არის ნიასურიდან მოკდივართ. რა ესე გაიგონა, იოანემ დიდი მადლობა შესწირა ღმერთსა და თქვა. ბედნიერად ვიქადაგე. და ესეც გაუშურა, რომ დროზედ მივიდე ქალაქს, მეფეს იმ ძლევისთვის შესსმა მოკასსენო. და გასწიეს მათ კაცთა, რთარა იმათ გაყვა, და ზურაბა და

იოანე წარვიდნენ მოხქარებით ქალაქისკენ: რა ქალაქს შინა მივიდ-
ნენ, იყო ხალხის დიდი სიხარული, ზარბაზნის სროლა, დიდი შე-
ყრილობა; იმის გამარჯვების სმას ზედა; იოანეც მივიდა სახლსა
ქებათასკვის წინამძღვრისსა, დაბინავდა; საღამო ხანს კაცმან დაიხ,
რომელ ზვალე სამადლობელი ზარაკლისი იქმნების სიონში, იქ შე-
მოკრებით, და მერე იქიდან მეფეს უნდა იასლოთ და მიულოცოთ.
იოანე მამინეკე განემზადა სასკალიოდ: და იმ ღამეს დაჭსწერა მე-
ფესთან მისართმევი შესხმისა წიგნი. სკალისა დღეს წირვის დროს
მივიდა სიონში; გარდისადეს მუნ დღესასწაულობა, და მერეთ წარ-
მოვიდნენ მეფესთან. ჯერ სამღკდელოთ მიულოცეს, მერე დიდე-
ბულთა, თაკადთა და აზნაურთა და მერე მოქალაქეთა: შემდგომად
ამისა წარდგა იოანე. თაკი დაუკრა მეფესა; რა ბატონმან იოანე იხი-
ლა, იცნო, კინადგან ბატონს თელავის სკოლაში მიებარებინა ალექ-
სის შვილის დაკით რეკტორისათვის, უბანა ჩემო ფილოსოფოსო,
რამი გნებაეს? იოანემ თაკი მძიმედ დაუკრა, წინ წარდგა და მოასხენა:
ამ ბედნიერების სკედრისთვის, თქვენს უმაღლესობას მსურს შესხ-
მა მოკახსენო თუ ღირს მეფეს თქმად უმაღლესობაი თქვენი: მე-
ფემან. მმადლობელი გიქმნები. მამინ იოანე წარდგა, და იყო თქმად
შემდგომისა ამის ხატითა ესრეთ.

უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფეე და მეფეე ქართლისა,
კახეთისა მქონებელო, ერეკნისა, განჯისა და მზერობელო ყაზახს ბორ-
ჩალოს, მეფეე შამშადილისავე და სსკათა და სსკათა.

საკეკეელნი წმინდათა ტამართა შინა ღვთისათა. თქვენ მიერ
შეწირულნი და დაკმეულნი, სულად სურნელად აღიწიენეს ღვთისად-
მე, რა ნატულად მისა გარდმოიკლენეს თქვენდა, მადლი მძლეკელო-
ბისანი, რომლითაც ყოკლად უმაღლესმან ძალმან დაგვირგვინებულ
ჭეო, მსუდარნი და საჭურველი შენნი: ამყმან ავარის ხანმან მოი-
დრიკა წინაშე შენსა ძლეკელი თაკი თვისი და სირცხვილეული იე-
ლტვის ზირისაგან შენისა: ბრძოლისა ღრუბლითა და ფარულთა ად-
გილთა ზედა, აღმობრწინდა ხათელი გურთხეულმან მშვიდობისა:

სატახტოთგან ქალაქმან ამან განიძარცვა ხატი თვისი დაფარული მხცოვანებითა, და შეიმოსა სახეი სიჭაბუკისა: დაესრეთ მხიარულე-ბით მცხოვრებნი ამას შინა, მოისწრაფიან აღტყინებულნი სუფითა, და აღტაცებულნი სიხარულითა მოლოცვად უმაღლესობისა თქვენი-სადმი; და იგალობენ ჭებასა გალობისასა, და გიძღუნიან დიდებასა წინაშართა შენ თასა, შეგამზავსებენ, დიდსა ჰაჰასა შენსა დაგიოს წინასწარმეტყველსა, სიყვარულსა შინა ღვთისასა, და სიმხნეთაცა, რომელმან დასცა ძალი საღვთოთა ტყუარცით შურდულისათა გო-ლიათი, და მით განაჩინა ერი ისრულთა ხელთაგან მისთა; ეგრეთ კე თქვენცა სარწმუნოებითა და კეთილ მსახურებითა შეთხზე შურ-დული, და დაიშურდულენ სასოება შენი ღვთისა მიერ, ჰსტყუარცენ ზგავსა მას სასხლ მწყურთელსა გოლიათს, და შემუსრენ უჭსჯულო-თავი მისი; და განგაჩინენ ჩვენ უცხო თესლთაგან: მისთვის ჩვენ ნეტარად ვრაცხთ საუკუნესა ამას; დაგჭურვით შენ ტკბილსა მამა-სა, დაგჭსტკბებით ამით, გარნა ჩვენ უღონო ვართ ღირსად ჭებისა შენისა, და ითხოვს საჭიროება შემთხვევისა მისთვის, ძველთა ფი-ლოსოფიოსთა სადიდებულად თქვენდა: ჰლატონს, ღომერს, სოლონს, ვიკლილას, ციცერონსა, კურციოს, ოვდის, ბარდონს და ცხრათა მუზთა, შეკრებულთა ჰარნასის მთაზედა, რათამცა თვითეულნი მათ-განნი ნყოფით, ბუნებითა ნიჭთა უმაღლესობისა შენისათა მანწე-რდენ ჭებასა და მიდლობასა დაესრეთ დაატკობდენ სასმენელთა ჩვენთა.

ანამედ ჩვენცა ერთბაშად შეძლებისა მებრ ჩვენისა ვმოხარუ-ლობთ და ნათლიათა დღესასწაულობისათა კდღესასწაულობთ, ტა-ძარსა და ჰალატსა ამას შინა და კიტყვი, მოკედით თაყვანის ცემად უფლისა ზეციურისა სამღვდელთა მთავრისად, და ღვთივ დაგვი-რკვინებულთა მეთვისად, უკეთილმსახურისა უფროს წარმართთა მეთეთა ჭკუანისათა.

უფალმან დაიცვას მეთობაი შენი ჯვარითა ჭეშმარიტებისათა დასკანტრითა კეთილმოჭმედებისათა, და მით უძლოდე ერსა შენსა,

კითარცა მოსე ისრაილთა, და კითარცა ისრაილესძე, იქმენ აძალღუბულ სკიპტრითა, კითარცა ალექსანდრე ბერძენთა შორის; და ჯვარითა კითარცა დიდი კოსტანტინე მარწმუნეთა მეფეთა შორის; მშვიდ, კითარცა დაით ცხებულთა შორის; და ბრძენ კითარცა სოლომონ მეფეთა შორის; თავდადებულ კითარცა დიმიტრი ქართველთა შორის; მართალ და სიყვარულ კითარცა ქრისტე მართლმადიდებულთა შორის.

გაკურთხოს შენ უფალმან, და დაგიცვას შენ სიყვარულსა ზედა მეფობისა შენისა ნათესავიდგან ნათესავადმდე,

და იყავნ შენზედა საღმრთო მადლი სულისა წმინდისაგან დატვიცბული, და დაუბრკოლებელ სულიერსა შინა დიდებასა შენისამსახურებისასა, და აჭყვავდეს დღეთა შინა შენთა სჯარტეგლოი, შვიდობითა და დიდებითა და გეწოდებოდეს მეფე მშვიდობისა და განსვენებისა და ძეუდრეობის, კითარცა მამსა შენსა სოლომონს. უფალმან მარჯვენითა შენითა, კეთილად განაგოსმცა ყოველნი საქმენი ხელთა შენთანი.

უფალმან გამოგირჩიოს შენ ერთად გულისა მებრ თვისისა, და განიხილოსმცა შინაგანნი სულისა შენისა კეთილობანი და იყავნ შენ დღეგრძელ ქვეყანასა ზედა. და იყოს შენდა სისარული დათხუული, და ქვეშევრდომთა შენთა ზედა, ზეციურისა კურთსეკითა და შეწყენარებათა.

და მხიარულებაი ჩვენი სრულ იქმნეს შენშორის და მხიარულებაი ესე ჩვენი ნურცა ვისგანმე იყოსმცა აღსახლოცველ, ხოლო ჩვენ დასამტვიცბელად ამისა დაუფენთ ერთგულსა გულსა ჩვენსა საღმრთოსა ტერფსა შენსა საწმუნეობითა, მორჩილებითა და სიყვარულისა გულთა აღსრულებითა ჩვენ უკვე ერთბამად შტობითა, და ბაიათა განკემზადებით აღსრულებად მეფობითისა ნებისა შენისა, და უკანასკნელ კითარცა მსახურნი საკურთსეკელისა და მონანი საწმუნონონი, კდღესასწაულობთ და კდაღადებთ ოსანნასა; ამას ყოველისა მპყრობელისადმი მხურვალითა ღოცვითა მორტემულნი.

განაგრძოს ნუბამან მადლისამან დიდებასა შინა შეუძრელსა მუფობაი შენი და შთამომავლობათა შენტა განუწყვეტულად და საუგუნოდ და იდიდებოდეს სახელი შენი ჭკუყანსა ზედა და დაგიმორჩილნეს ჭკუშე ფერხთა შენტა ყოველნი მტერნი შენნი და სახლისა შენისანი ამინ.

შემდგომად დასრულებისა ამის შესხმისა, მივიდა იობნე, ბატონს სელს აკოცა, ბატონმა მადლობა უბძანა, და რადენიმე ოქრო უბოძა, და უბძანა: დღეს სადილს გარგთ შეეჭეტ, და საღამოს აჭ მადი, მინდა ზოგი რამ გკითხო, რომ ღამე ისე გაკატარო იოანე მდაბლად მადლობელი და მსიარული წამოვიდა სახლსა შინა. გარგად ისადილა, და შეჭსკა ღვინო სადღეგრძელო მუფისა.

შემდგომად მწუხრისა ყამსა, მოემზადა იოანე და ფიჭრობდა, თუ რაისა ჭკითსკეს ბატონი; და მერე დანიშნულს დროს იახლა ბატონს, იოანეს მისკლა მოახსენეს, ინება ბატონმან, და ქრისტესია მღვდელი კეყერაშვილიც იჭ ახლდა. შემდგომად კასშმისა ბატონმან უბძანა, ქრისტესიას: რადგან შენ გიკლავ ბაბილოვნსა. ეგვიპტეს, როდოს, იერუსალიმს ეფესოს და სხვათა ადგილთა შინა მუნ მსრისათა, ანუ ვითარ გენახოს და ან როგორ გსმენოდეს ჭკითსე იოანე დიაკონს შვიდნი სოფელსა შინა ღირსნი სახსოვარნი.

ბატონი შიგნით საწოლში უბძანდა მოსასკენებლად და მუფე შიგნიდამ ისმენდა ამათსა უბნობასა.

ქრისტესიამ. რასა გულისხმა ჭყოფთ შვიდთა მათ სოფლისა ღირსთა სახსოვრებთათვის.

იოანე. სახელითა ამათ აწოდებინ ესე გვარნი უკვე შენებულეხანი ანუ სახსოვარნი ძეგლნი, რომელნიცა ყოველთა საუგუნუთა შინა იყუნენ კაცთათვის საკვირველი სახილველი, სიდიდისა და დიდშენიერებისა გამო თვისისა,

ქრისტესიამ. აღმირიცხეთ მე, თუთუელად სახელდობ შვიდნი ღირსნი სახსოვარნი ძეგლისა საუგუნოისა სოფლისანი.

იოანე. სასულდობა შვიდნი ესე ღირსი სსოკნისანი არიან
შემდგონნი ესე:

პირველი, მკვოლეი.

მეორე, ტაძარი იერუსალიმისა.

მესამე, ტაძარი დიანსის ეფესოსა შინა.

მეოთხე, ზღუდენი ბაბილოკნისანი.

მესუთე, ძეგლი, ანუ კერზი იუბიტერიის ოლიმპიისათა.

მექვესე, კოლოსი როდოსისა.

მეშვიდე, პირამიდნი, ანუ ძეგლი ეგვიპტიისანი.

სოლო რომელნიმე ნაცვლად იერუსალიმის ტაძრისა, რაცხვერ
კრიტიისა ზაბარითისა, რიცხვთა შორის მშვიდთა ღირსთა სასო-
კართა სოფლისათა.

ქრისტესია. რასა გულის ხმა ჰყოფ თქვენ სახელსა ქვეშე მკ-
ვოლეისასა, ანუ რაისაგამო ირიცხების იგი საკვირველ სასილკე-
ლად სოფელსა შინა.

იოანე. მკვოლეი იყო მეფე კარისა, იგი ნარ-ნარად უუკარ-
და მეუღლესა თვისსა, არტემიზიას, რომელმანცა შემდგომად სიკე-
დილისა მისისა აღუშენა მას დიდ შეენიერი საფლავი, სატასტოსა
ქალაქსა შინა მის აღგილისასა აღიკარონას შორის მენეის სასახ-
ლისა და ტაძრისაცა მახლობელ მენერისათა. მასინ ძეგლი ესე წო-
დებულ იყო მკვოლედ, რომელ არს საფლავი მკვოლეისა, ამის
გამო დღესაც ყოველი სხვათა, მდიდარი საფლავი იწოდებიან მკ-
ვოლეად.

ქრისტესიამ. კითარი სიდიდე აქენდა; ანუ სივრცე მკვოლეას
ამას.

იოანე. სამხრეთიდაძ, ჩრდილოეთის კერძოდ განვრცელდებო-
და იგი სამოცდა სამ ფუტზედ *); გვერდები მისი იყო რაოდენიმე

*) ერთი ფუტის სიგრძე, თორმეტი გოჯია, ანუ ჩვენებური აღლის
ერთი ჩარეჟი და ერთი გვრლიკ (!) სიგძე.

იწრო, სიმგვრკელე აჭუნდა ოთხას ათერთმეტი ფუტი, სიმაღლე
რცდა თექვსმეტი, სვეტებიც გარეშემო ერთუნენ მას.

ქრისტესიამ. ვინ იყვნენ ხუროთ მოძღვარნი, ანუ რადენნი,
რომელთაც აღაშენეს ძეგლი, ანუ მონომენტი ისე მდიდარი?

იოანე. ოთხნი ჩინებულნი ხუროთ მოძღვარნი ესე, სასულ-
დობ: სკოპასი, რომელიც განუფლდა აღმოსავლეთის კერძოსა მისა,
ტიმოთე, სამსრეთისასა, მეოხარ, დასავლეთისასა; ბარიაკსის, ჩრდი-
ლოეთის კერძოსა.

ქრისტესიამ. დედოფალმან, არტემიზიამ იხილა დასრულდუ-
ბა მუშაკობისა ამის.

იოანე. კერა. იგი გარდაიცვალა მწუხარებითა შემდგომად სიკე-
დილისა ქრმისა თვისისათა. შემდგომად სამას ორმეოცდა ათერთ-
მეტსა წელსა შინა, უწინარეს ქრისტეს შობამდე, შთამამავლობათა
მისთა დაუდგინეს სახეად, და მაგალითად სიუგარულის გამო მუუ-
ლეობისა.

ქრისტესიამ. არა დაყენებულიყო მუშაობა მისი. შემდგომად
სიკედილისა მის დედოფლისა?

იოანე. არა. შემთსკუელებსა ამას შინა, პიტეკს შეერთდა
ოთხთა ხუროთ მოძღვართადმი, და აღაშენა მავზოლეის ზედა
დაჭსდგა მარმარილოსაგან ქმნილი უკვე ეტლი, შებმული ოთხითა
ცხენითა, მიწეზითა მით საფლავი ესე ირიცხებოდა სოფლის საკვირ-
ველებად, და ღირს სახსოვრად. ხოლო ოდეს იხილა საფლავი ესე
ფილოსოფოსმან ანაკსაღორმან, კალოზომეანისუფმან ჭსთჭკა ესრეთ:
აჭა მრავალნი უკვე თეთრნი გარდაჭტეულან ქებებად.

ქრისტესიამ. აღაშენა ტაძარი იერუსალიმისა?

იოანე. ხოლომონ ძემან დავითისმან, მეფემან ურასტანისამან.

ქრისტესიამ. რომელსა ადგილსა ზედა იყო იგი აღაშენებულ?

იოანე. მთასა ზედა, მორისსა თვით ადგილსა მას ზედა, სა-
დაცა მამამან მისმან, დავით მეფემან იხილა ანგელოსი აღმასრულე-

ბული მართლ-მსაჯულების ღვთის სჯულთა შინა მპყრობელი გამ-
შიშველებულისა მასვილისა.

ქრისტესიამ. რადენსა წელსა აღშენდა ტაძარი იგი?
იოანე. შვიდსა უკვე წელსა.

ქრისტესიამ. რადის იყო შემთხვევა ესე?

იოანე. სოლომონ იწყო შენობა ტაძრისა ამის რაიასათს
ცხრასს, ოთხმოცდა ცხრასა წელსა შინა, შექმნიდამ სოფლისა,
სოლო შობიდგან ქრისტესისა წინად ათას სუთმეტსა წელსა, მეოთ-
ხესა წელსა შინა მეფობისა თვისისასა იწყო შენობად.

ქრისტესიამ. რადენ ნაწილად შედგარი იყო ტაძარი ესე?

იოანე. ოთხ ნაწილად, გარნა ყოველნივე იყო შეცუულ ერთი-
სა უკვე ზღუდითა, პირველი შენობა საგრილობელი ანუ სადგური
ერთა, ანუ წარმართთა მეორე საგრილობელი იყო იუდაიანთა. მესა-
მე საგრილობელი იყო მღვდელთათვის, რომელსა ეწოდა წმინდა.
სოლო მეოთხე საგრილობელი იყო წმინდა წმინდათა ესე იგი:
საღმრთო ანუ უწმინდესი ადგილი.

ქრისტესიამ. მითხარ თვითეულთა სადგურთათვის, თუ რა-
დენნი იყვნენ ზომით.

იოანე. წარმართთა, ერთა მდაბალთა სადგური იყო მექონ
იგორლავ სუთასისა ნაბიჯისა, გარე მოცუული მალღისა მოაჯირითა,
რომელიცა ჰსდგა მრავალთა მარმარალესა სვეტთა ზედა, და აქვნდა
ოთხნი უკვე კარნი, ანუ ბჭენი მიქცეულთ ოთხთა კერძოთადმი ქვე-
ყანისათა. სოლო ამა წარმართთა სადგურიდამ შევიდოდინ, იუდი-
ანნი საგრილობელსა თვისსა, რომელიც იყო ფრად დიდ და მშვე-
ნიერ, და გარე მოცულ ყოფად მშვენიერითა მოაჯირებითა. იატაკი
მის იყო დაფენილ სსკა და სსკა ფერის მარმარალეთი. ზღუდენი
მისნი იყვნენ მოაქროვილნი თვით უწმინდესისა რჭროითა, სოლო
კარნი ანუ ბჭენი ამისნი იყვნენ მოკრულნი კერცხლისა ფიცრებითა.

ქრისტესიამ. ვითარი სიდიდე აქვნდა წმინდასა, ანუ საგრილო-
ბელსა მღვდელთასა?

ოვანე. იგი იყო სიგრიძე ორბელიანი მწერა. საგანით ოცი მწერთა: საშველ სიწმინდისა ამის ჭსდგა საკურთხეველი თითბრისა ოთხ კუთხედი, თვითუელსა უკვე გვერდსა აქუნდა სიგანე ოცი მწერთა, და სიმაღლე ათი მწერთა; ორგნითვე კერძო საკურთხეველისა იყო კიდრე ათი უკვე თითბრისა ბარძიმი შეძეულნი ქება-ბინთა, სახედ აგრეთვე ლომთა, კურთათა, და დანაკის კუდთაგან, მარჯვნივ კერძო დიდი თითბრისა ბარძიმი, ორბელიანი იყო დაზურბილ ათერთმეტთა თითბრისა კურთათაგან და ამა ადგილიდან შესაძლებელ იყო შესვლად ტრავისა მას შინა, ორბელიანი მექონ იყო სიგრიძე ოცისა უკვე მწერთისა, სიგანით ათისა. და კვლად ამავე ადგილიდან შესაძლებელ იყო შესვლად ტაძრისა მას შინა, ორბელიანი მექონ იყო სიგრიძისა სამეოცისა და სიგანისა ოცისა უკვე მწერთისა. ორისავე მხრით ჭსდგა ათი დიდი სასანთლე, თვითუელი მათგანი მექონ იყო შვიდ შვიდისა რტოისა. ესეოდენივე ფისონნი ათათარე ოქროისა სტოლუბითა, ანუ მალაღის ტაბლუბითა. ხოლო უკანასკნელ ამა ტაძრიდან შევიდოდნენ წმინდა, წმინდათა შინა, ანუ ადგილსა უწმინდესსა. ორბელიანი სიგრიძე და სიგანე თანასწორ იყო ოც ოცი მწერთა და ეს სახედვე სიმაღლეცა, და ადგილი ესე იყო ათი მწერთა მოქროვილი. ათი მწერთა მოქროვილი და მოჭილი ძვირფასითა თვლებითა. იოსებ ისტორიკოსი ურიასტნელი მართხრობს, ორბელიანი იყო მუნ ტაძრისა სამკაულნი კიდრე ესეოდენნი, ოქროსა და ვერცხლისა:

| | | | | | |
|--|---|---|---|---|-------------|
| ოქროსი | . | . | . | . | ვერცხლისა. |
| სასანთლე კელაპტრის ათათასი | . | . | . | , | ოციათასი. |
| სტოლი ანი ტაბლა ათათასი | . | . | . | , | . |
| ურთი დიდი სტოლი საკურთხედ მასიანურისა. | . | . | . | . | . |
| ურთი | . | . | . | . | . |
| წმინდას ოქროსაგან ქმნილის. | . | . | . | , | . |
| ქვაბუბი საარაყის ქვაბი ოციათასი | . | . | . | , | ასიათასი |
| ბარძიმი | . | . | . | , | ოცისა ათასი |

| | |
|--------------------------------------|------------------|
| სინი, ანუ ლანგარი ოთხმოცი ათასი. | ას სამოცი ათასი. |
| ემბაზი, ანუ საბანკო ოთხმოცი ათასი | ასი ათასი. |
| ტაგუგი ოცი ათასი | ორმოცი ათასი. |
| სატეტხური დიდი, ოცი :ათასი. | |
| საყვირი | ორასი ათასი. |
| მოსაკრავეთა საკრავი, ათი ათასი. | ოცდა ათი ათასი. |

შესამოსელნი სამღვდელონი და ფილონი, ათასი სული მომტვილი, ძვირფასითა თვლებითა ოქროქსოვილის ფარსებითა.

იქმნა ჯამი ერთობრივ ოქროს ჭურჭელითა: სამას სამოცი ათას და ერთი, ვერცხლის ჯამი იქმნა ერთობლივ: რკასს ორმოცდა ათი ათასი, და ეს გვარი იყო შემკობილი ტაძარი იერუსალიმისა, დროსა ვითარცა ჭსწამებს ესე ზემოსსენებული იოსებ ისტორიკოსი.

ხოლო სსკანი მწერალნი, რომელნიმე უმატებენ სსკათაცა ჭურჭელთა, რომელთაცა რიცხვი შეადგენს ოთხას ორმოცი ათასი ოქროს ჭურჭელს, ხოლო ვერცხლისას, ერთსა მილიონსა და სამას ორმოცი ათასსა ჭურჭელსა.

ქრისტესიამ. რომელსა ქალაქსა შინა იყო აღშენებული ტაძარი დიანასი.

იოანე. ეფესოს აზიის ქალაქსა შინა, რომელიცა იყო კარისსა შინა.

ქრისტესიამ. ვინ აღაშენა იგი?

იოანე. რომელნიმე მოზრასეობენ, რომელ იგი დაწეულ იყო ამაზონთაგან, ხუროთ მოძღვრებითა და ზედმდგომობითა კტეზიქონისათა, და წასაგებელითა სრულიად აზიელთაგან. ხოლო შინობამან უკვე ამა ტაძრისაგან განგლო ოთხასი უკვე წელიწადი, სიგრძე ტაძრისა ამისა იყო ოთხას ოცდა ხუთი ძუტი; სიგანით ორას ოცი ძუტი; მას ედგენს ას ოცდა შვიდი სკეტი, შახაქად მოჭრილნი, რომელნიც იყვნენ სამოცნი ძუტნი თვითეული მათგანი, რომელნიცა გაკეთებულ იყვნენ რომელსამე ხელმწიფისაგან წარსაგებელითა თვისთა, სახელი ხელმწიფისა მის ან აზის ნამდვილ

მოსვენებული. შენობა მისი იყო, ნაძვის ხისაგან ბჭენი მისნი კიჰა-
როზისაგან, ანუ (საროსაგან) ხოლო ეგო ტაძარი ესე მრთლად უფ-
როს ოთხასისა წლისა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის დრომდე,
რამელნიმე საწმუნო მეთრონი ქსწერენ: ეროსტატეს ვისმე
სახელით წოდებულს, რომელმანცა წარუვიდა ცეცხლი ტაძარსა ამას
და გარდა იქმნა ნაწრად, რათა მოხსენებთა ამითა, დაშთეს სახელი
მისი და შთამამკლობათა მისთა. ამასაც მითხრობენ ისტორიკოსნი,
რომელ მას დღესა შინა დაიწო ტაძარი იგი, რომელსა დღესა შინა
იშვა ალექსანდრე მაკედონელი. გარნა კვალად განახლეს შემდგომ
ტაძარი იგი ვიდრე შვით გზის.

ქრისტესიამ. მითხარ ვინ განაშენა ბაბილოკნისა ქალაქი ანუ
ვინ აღაშენა ზღუდენი მის ქალაქისანი?

იოანე. ნაუქოდონოსორ მეფემან ბაბილოკნისამან.

ქრისტესიამ. რასაგამო იყო ესრეთ დიდებულ ქალაქი ესე
ბაბილოკნისა?

იოანე. ჰირეკლათ ზღუდეთაგამო ამ ქალაქისათა: მეორედ
ტაძრისაგამო ბელსოგად წოდებულისა. მესამე სამეფო სასახლისა
და დაშენებულისა ბალებითა. მეოთხეთ მოკარწეულის ქუჩათა ფი-
ლაქებითა და მდინარისა სანაპიროებითა: მესუთედ, ტბებითა და
დიდთა არხებითა შემოტანილობითა ქალაქსა შინა; მეექვსედ. დიდ-
შენებულებითა, რომელთაცა კედლებთა სიგრძე იყო გალანისა
ოთხმოცდა შვიდი ფუტი. სიმაღლე სამოცდა ათუთმეტი ფუტი:
მერვე, სიმგრგველი მისი შენებულებისა იყო ოთხას ოთხმოცი სტა-
დიონი. რომელიცა შეადგენს, ოცსა უკვე მიღსა (*).

ქრისტესიამ. ვითარ იყო დანაკეთებულ ქალაქი იგი?

იოანე. ოთხ კუთხედ; რომელსაცა თვითეული უკვე გვერდი

(*) ერთი მილი შვიდი ვერსია. ერთი ვერსი ხუთასი საყენია- ანუ
ხუთასი მხარის სიგრძე კაცისა. აგრეთვე ერთი ვერსი. ათას ხუთასი ადლია
რუსული. სიგრძე ქალაქისა მის იქნებოდა ოცდა ხუთმეტი ვერსი. ესოდენ-
ნივე სიგრძე. სიმგრგველი ას ორმოცი ვერსი.

განგრძელდებოდა ასოც სტადიონად, რომელიც იქმს თვითეული გვერდი სიგრძივ და სიგანით სუთ სუთასსა მილსა: სოლო თვითეულისა გვერდსა ამა გალაკნისასა აქნდათ ბჭენი ოცდა სუთ სუთინი: რომელიც ოთხისავე გვერდისა შეადგენს კასსა ანუ ბჭისა ასსა.

ქრისტესიამ. სადა იყო აღშენებული ტაძარი იუპიტერისა?

იოანე. მასლობელ ოლიმპის ქალაქისა სამთავროსა შინა.

ტაძარი ამას შინა შეკრებულ იყო ურიცხვი უგვე სიმდიდრე მიზეზისა გამო მოგვითასა, ანუ ქურუმთასა, რომელნიცა სიღმრთოდ წინასწარმეტყველებდენ. ანუ წინადავე მოუთხრობდენ; და აგრეთვე მუნ ერნი მროკველობდენ აღსრულებითა ოლიმპის თამაშობისათა. რომელნიცა აღსრულებდენ დღესასწაულსა ამას მასლობელ ამა ტაძრისა, ჰატივისათვის ოლიმპის იუპიტერისათა. ამა ტაძრსა შინა, ღირსი სასსოკარი და საკვირველი იყო კერვი იუპიტერისა გამოქანდაკებული ხელოვანის ფიდიისაგან: და კერვისა ამას რატხდენ, რიცხვითა შორის შეიდათ სოფლისა საკვირველსა და ღირს სასსოკართასა, მწერალი უგვე ესე კითართა შესდომილებითა. რომელსა ეწოდა ყავზანი აღწერს ამისთვის შემდგომსა ამას: იგი მოუთხრობს, რომელ იუპიტერ ზის საგარძელსა ზედა ქმნილისა წმიდისა ოქროსაგან და სპილოს ძვლისგან შემდგარსა, რომლისა სახე იუპიტერისა მის-განვე გაკეთებულ თავსა ზედა მისსა, ადგას გვირგვინი ზეთის ხის ფოთოლთა და სტოებთაგან. ქმნილი, მარჯვენეს ხელსა შინა უზურეეს მას, კაცი სპილოს ძვლისაგან ქმნილი, რომელსა ადგას თავსა ზედა ოქროსა გვირგვინი და მარცხენას ხელთა უზურეეს სკიპიტრსა ქმნილი ყოველთა გვარათა მეტალთაგან, და წვერსა მას ზედა სკიპიტრისასა არს არწივი მჯდომარე ფერსთა ზედა, რომელიცა აცვიან, ხმალნი არიან წმინდისა ოქროსაგან ქმნილი და მანტიანდა ეგრეთვე ოქროსაგან ქმნილი ასხია მას. მანტიასა ზედა არიან სხვა და სხვა გვარნი მხეცნი და ყვაილი გამოსატული.

ტასტი მისი არს შემკული სპილოს ძვლით, და ახანოზის

ხით, ოქროსა და მრავლითა სსკათა და სსკათა მახაქად მოჭრილის ნაკვეთებით. — ოთხთა ფერხთადმი ამის ტაძრისათა ქმნილ იყვნენ ოთხნი უკვე სასკლნი მძლეველობისანი. ეგრეთვე კერპისა მის ორთავე ფერხთა ქვეშე ორნი ძლეკანი ჰირის ჰირ იმა ტასტის ფერხებისა. ორთა წინა ფერხთათანა მის ტასტისათა იყვნენ ცალკერძოდ გამოქანდაკებულნი. სფინაქსნი მიმტაცებულნი მცირეცა ყრმებთა ფიკელთა, ანუ თიკელთა. ხოლო მეორით კერძო იყვნენ შვილნი ნიობისნი, მოწყლულნი ისრითა აზოლონისა და დიანასთა, შორის ფერხთა ამას ტასტისათა გამოსატულ იყვნენ ფეხეი და სსკანი გმიკებნი განმტარებულნი დროისანი ღერკულისა ბრძოლსა შინა ჰარის ჰირ ამაზონელთასა და სსკათაც მრავალთა მოკინაღთა და მებრძოლთადმი.

ადგილი ესე შემკული იყო ქარტინებითა (ანუ სსკა და სსკა სახეებითა მხატრობისათ, ანუ სურათებითა), წარმომადგინებელი უჩინებულესთა ღვაწლთა ღერკულესისათა, მოხსენებულთა ისტორიკებთა შინა, ზემოკერძო ტასტისა მას ფიდასი, რომელიცა წარმოადგენდა ერთ კერძოდ გრაცებთა, მეორისა კერძოდ მთათა; ამაღ რომელ იგინი და მეორენიცა ირიცხებოდენ ასულებად იუპიტერისად, განზრახვისამებრ მოლექსეთასა, საფეხურთა ზედა მის ტასტისათა, იდგნენ ოქროსა ლომები, სადაც გამოსატულ იყო ბრძოლა ამაზონელთა ფეხიისათანა: საფურკელსა მისსა ზედა წარმოდგენილ იყვნენ სსკა და სსკა უკვე გვანნი სახენი ოქროსა ნაკვეთნი, ესე იგი: მზე აღმომავალი ეტლსა ზედან თვისსა; იუპიტერი და ყრმები გრაცებნი, ესე იგი: მერკური, ვესტა, და ვენერა; მიმღებულნი გუზიდონისა: გარდა ამას გამოსატულებასა კიდე, აზოკებოდინ მუნ კვალად შემდგომნიცა ესე: აზოლონი, დიანა, მინერკა, ღერკულეს, ამფრიტონატრი, ნეპუნ და მთოვარე. რომელიცა წარმოდგენილ იყო ვითარცა მიმავალი უნეათა, ანუ (ცხენითა).

ქრისტესიამ. რაი იყო კოლოსი. რომელსაც სოფელსა შინა რაცხდენ შვიდს ღირს სასსოკრებაშია?

იოანე. კოლოსისა, იყო მკვლავისი კაცის დადგმული და აღმართული გუნძულსა შინა როდოსისას, ჩამოსხმული თითბერისაგან კერძი აზოლონთა, რომელნიმე იტყვიან სპილენძსა ესრეთ წმინდასა, რომელ შეესწორებოდნო მდაბალს რქრას.

ქრისტესიამ. რაოდენი აქენდა სიმაღლე?

იოანე. სიმაღლე მისი იყო ესეოდენი, რომელ ძველადგან ამტკიცებენ, ვითამც დიდროანი სომალდნი ლაჟთა ქვეშე გაუგლიდენ აღმართულნი თვისთა აფრებით და დიკაგებთა, დამტკიცებულ ჭყოფენ, რომელ სიმაღლე მისი იყო სამეოცდა ათი მწყრთა, ანუ ას ხუთი ფუტი, კერძი ესე, ანუ ძველი აღმართულ იყო როდოსის გუნძულსა შინა რომელ არს სომალდთა გასაგალი, იწრო ადგილი, ანუ უგშარანი, რომელსა თათარნი უწოდებენ ბოდაზს, ჰატრიკისათვის მზისა, და მიზეზითა ამით, რომელ სომალდი დამე არს ჭსტკერებოდა. კლდოვანთა ადგილთა და არ შემუსვრილიყო ვიწროთა იმა ადგილთა შინა, მას კერძსა ეელს ზედა აქენდა დაკიდებული ჭაჭვი კობის სასხედ ქმნილი ზედან, აღვიდოდან და დაჭვიდებდინ მასხალებთა, რომელ განებათლებინს ადგილი იგი და თავისუფლად განეკლდო სომალდს მის ქვეშე. იგი იყო ორის ფეხით განაჯული, რომელსაც ერთი ფეხი გამოდმა ედგა კლდესა ზედა და მეორე განდმით და ქვეშე გაუდოდდა ზედა იგი. ესრეთ განვიდინ ქვეშე მისსა, და ამისთვის იყო ესეც შეარცხილ საკვარკველად და ღირს საღსოვრად სოფელსა შინა.

ქრისტესიამ. ვინ ჩამოსს ესე კოლოსი?

იოანე. კარლოსმან ნინდესკსა შინა შობილმან, მოწაფემან ჩინებულისა მოძღვრისა, ანუ სელოკანთ მთავრის ზიზიზისმან, რომელმანც გაკეთებისა მას ზედა იმუშავა ათორბეტი წელაწადი.

ქრისტესიამ. დიდხანს იდგა იგი?

იოანე. ორმეოცდა ათექვსმეტი წელაწადი, მერეთ შემუსრა იგი, მიზეზისა გამო დიდის ძვრისა, რომელმანც ამიზეზ დიდი მოხსრება აღმოესკლეთსა ზედა და უფრო საკუთრად კირიასა შინა,

კუნძულსა როდოსისას, ხოლო ძვრს ესე იქმნა ორას ოცდა ოთხის წლისა, წინაჲ შობამდე ქრისტესისა, რომლისაგამო ჭსჩანს კოლონის დაწყობა უწინარეს ორას ოთხმეოცდა ათორმეტს წელიწადს შინა შობამდის ქრისტესსა.

ქრისტესიამ. ამა კერპისა ნამტვრეკენი აზოკესლა სადმე? იოანე. შემდგომად, რუას ოთხმოცდა ათექვსმეტის წლისა, ჭზოკეს ამა კერპისა ნამტვრეკენი თითბრისანი.

შეიდი ათას ორას ცენტარნი, რომელიც შეადგენს; თითო ნაჭკრი ას ფუნტსა: (*) რომელიც შემძლებელ არს მოცემად ჭზარის საკვირველისათვის. სიდიდითა ამის გამოქანდაკებულას კერპისათა.

ქრისტესიამ. ვინ აღმართნა ეგვიპტეს შინა ესე მდიდარნი დიქს სახსოვარნი ძეგლნი ძველთა დროთანი?

იოანე. მეფეთა ეგვიპტისათა ფარაონთა, რომელიც იყვნენ აღმართულ დედა ქალაქის კარიდამ ვიდრე ერთსა მილსაზედა ანუ შვიდს კერსით განშორებულ.

ქრისტესიამ. საიღამ უფრო იხილვებიან იგინი?

იოანე. არს ქალაქი მცირე დეზიციად წოდებული, ოდესაც გახვალ ვარეშე ქალაქიღამ, მყისვე დაინახავ ამა პირამიდთა, და რომელიც შორავს მათგან ორას მილსაზედა.

ქრისტესიამ. რაოდენნი არიან მუნ ძეგლნი?

იოანე. სამნი უკვე დიდნი პირამიდნი, ერთი მეორისაგან მოშორებით, ვიდრე ორას ორას ბიჯთა.

ქრისტესიამ. შესაძლებელ არს კაცთაგან შესულად ამა პირამიდებთა შინა?

იოანე. — შესაძლებელ არს შესულად, მხოლოდ ერთსა ოდენ უდიდესსა შინა, რომელიც ჭსდგას ჩრდილოეთის კერძოდ.

ქრისტესიამ. რაოდენი სიდიდე აქვს მას?

(*) ესე ფუნტები შეარღვენენ რიცხვით სულ ერთობლივ ნაპერსა, თვრამეტ ათასსა ფუთსა ქართულსა, ლიტრასა ოთხმოც და ათსა.

იოანე. სიმაღლის მის ჭსდებენ, ვიდრე ექვსს ფუტად, და აგრეთვე ამისავე შესაფერს სიგვრეკლესა ოთხ კუთხეზედ დანაკეთებულსა.

ქრისტესიაჲ. გი აღაშენა იგი, ანუ რომელს დროს იყო აღშენებული.

იოანე. რომელნიმე მომთხრობელნი მისთვის, რომელ იგი აღშენებულ არს შემდგომ სამიათასის წლისა დასაბამიდან სოფლის; ეგვიპტის მეფისა მიერ კომიფიისათა: ხალხ სხვანი რომელნიმე ჭგონებენ, რომელ იგი აღშენებულ არს, ხემნისის მიერ ანუ, ხეპსოსაგან.

ქრისტესიაჲ. უწყებულ არს, თუ საიდან მოიღეს ესე ოდენი დიდ დიდნი ქვაბნი, და სხვანი მრავალნი?

იოანე. იტყვიან, რომელ იგინი მოღებულ არიან ადგილით ფიზიკისაგან, ანუ ზემოთ ეგვიპტისაგან.

ქრისტესიაჲ. რაოდენსა დროსა აღაშენეს იგი, ანუ რაოდენნი მუშაგნი მუშაობდნენ მას?

იოანე. ოცდა სამს წელიწადს აღაშენეს იგი, ვითარცა უხრობენ. მუშაგნი, რომელნიც მუშაობდნენ მას ზედა იყვნენ რიცხვით სამას სამოცა ათასნი.

ქრისტესიაჲ. ვითარ დიდი იყო ხარჯი მასზედა?

იოანე. პლანიოსს მოუთხრობს ამისთვის, რომელ დახარჯულა მხოლოდ ხახვისა და ბოლოკისა ზედა, ათას ექვსასი ტალანტი გერცხლი და ოქრო, რომელიც შეადგენს ჩვენს თეთრსა ხუთ აბაზიანსა. ანუ ხუთსა აბაზსა ვიდრე ჯამით ოთხ მილიონსა და მიზეზი ხახვის და ბოლოკის ხარჯი ეს იყო, რომელ ეგვიპტელები უფროდნი იხმეკდნენ საზრდოდ ბოსტნეულთ მდელათა, ვიდრე სხვათა საზრდელთა.

ქრისტესიაჲ. ვითარ შევიდოდიან შინაგან ბეგლისა ამის?

იოანე. კარი ამა ჩინებულისა პირამიდისა, რომელსაც შინა შესაძლებულ არს შესვლად, ორას ოთხ კუთხედი, სიმაღლით არის

რადენისამე ზომითა უმფროს სამისა ფუტისა, სოლო მოუთხრობენ მისთვის, რომელ იგი პირველ დასშულნ იყო დიდითარე ზანწყობილის ლოდითა. ესრეთ, რომელ თუ არ მცოდნენი კერა გაანებდინ კარსა მას რდეს დასშვიდა მას გამოწყობილის მის ლოდითა.

ნაკვეთი პირამიდისა ამის იყო კუთხედი და თვით საფუძველისაგან ძირს მიწის მოშორებულნი და ზემდგომარე მექანარს იგი იმგვარად სისქისა რაი ათას რუასისა ფუტისა ანუ ოთხასისა სამოცდა ექვსისა ტოაზისა სრულად და, ნაკვეთებულობაი მისი სიმაღლე და სიმაგვრლე შეადგენს ოთხასი ათასსა კუბიკრსა ტოაზსა.

ქრისტესიამ. ვითარა სიმაღლე აქნდათ ქვეთა მათ, რომელთა შინაგა აღშენებულ არიან ესე პირამიდებნი?

იოანე. იგინი არიან სიმაღლით სამ-სამი ფუტი და სიგრძელი, ანუ განზედ ხუთიდაი ექვსადინ ფუტი, ესე პირამიდი არს ხარისხებად დაყოფილი ამა სახედ: რომელ ძირდგან დაწყობილი ქვაი რიგზედ მეტობს, მეორეს ხარისხის რიგსა, მეორისა და მესამის, მესამისა და მეოთხეს. ესრეთ უშორეს ვიდრე დასრულდებოდეს წვერამდის, რომელსა ზედა, დაიდების ერთი ქვა, დაწყობილობაი ამა პირამიდისა შესასკედათ არს კიბის სახედ. და, გრესილებით ხარისხსა შინა. ქვებნი გამოწეულნი, გარნა, აღსკელა მას ზედან შეუძლებელ არს, მხოლოდ რდენ შეიძლება მსუბუქი კაციისაგან აბრებებით ასკელი ვიდრე წვერამდე ამა პირამიდისა.

ქრისტესიამ. სხვან რინი იგი პირამიდინი არიან ამ სახედ თუ სხვებრ ქმნილნი?

იოანე. არა, იგინი არც ესოდენ არიან სიმაღლით და არც სიგრძით და არც შესასკედათ, მხოლოდ ესენი არიან უმფროარე ოთხისავე კუბრდით სამკუთხედით მოყვანილნი და წვრი წვრილნი შესასკედათ.

ქრისტესიამ. რაისა სახმარისად ქმნეს ესე პირამიდინი?

იოანე. მოუთხრობენ მაგისტრის, რომელ იგინი მჭისასურებ-

დენ ძეგლად საფლავათვის მეფეთა ეგვიპტისათა ამაღ, რომელს
გვამნი ეგვიპტის მეფისანი მუნ იყვნენ დასაფლავებულნი კიარცა
აკლდამათა შინა.

კრისტესიამ. თუმც ზავირინდი არ არის ღირს სახსოვნის
რაცხეპბში, მაგრამ ბერძენთა მეცნიერთაგან ესეც შეკვედ არის შე-
რაცხილი და მითხარ თუ რაი იყო ზავირინდი?

როანე. ზავირინდი. ანუ ბავირინდი არს ბერძული სიტყვა,
რომელიც ნიშნავს ძნელსა გამოსასკლელსა ადგილსა, ანუ დაბნეულ-
სა ადგილსა, მრავალთა გზებთაგან ქმნილსა და მიმოხრილსა ბილ-
კონებითა და დაკლავნულსა, ესრეთ, რომელს შემჭსკლელნი მას შინა
ძნელადღა შეიძლებენ ჰოვნასა გზასა გამოსასკლელად. ისტორია და
მეტოლოგია წარმოგვიდგენს ჩვენ ოთხთა ჩინებულთა ზაბრინტი
პირველსა კრიტიისასა ქმნილსა დედალლის მთერ, სადაც იყო ჰერო-
ბილად მინტაკრი და საიდგანაც ღმერთი ტეზუი ვეროდეს შემდე-
ბელ იქმნა მუნდგან გამოსვლასა, თვინიერ არაოდინიისა ძაფის ანუ
ბაწრის კიდე, რომელიც გაბმულ იყო კარიდამ მის ადგილისა და
ხელით მიუღლებით შევიდოდის და გამოვიდოდის იმა ადგილით.
ზაბრინტი ესე იყო უდიდეს უფროს ყოველთა ქალაქთა ზედა, შე-
ნებულეებანი იყო მას შინა უმრავლესნი, და სასახლენი მრავალნი,
რომელს ერთისა სახლიდამ დაივლიდა მრავალთა სხვათა და სხვათა
სახლებთა და შენებულეებთა. გარნა ყოველნი გზანი იყვნენ ქუჩისა
თუ სხვათა მიმოხრით ქმნილნი, რომელს ერთიდამ მეორეს ადგილ-
სა ვერდარა მიაგნებდენ; ამა ადგილთა შინა იყო დიდროანი გეონი
და ტეენი, მშენიერნი ბალები. აგრეთვე მცირე მდინარენიც და ტბე-
ბიც და რაინა კვსთქვათ ერთისა კარგის ქალაქისა მდებარეობა. ესე
უკეთ იყო დადებულ და უფრო მშენიერ. მხოლოდ გზების კიდე,
რომელს მას შინა ქსწორესა უკვე გზასა ვერა ჰპოებდინ და ამის-
თვის იყო მუნდამ გამოსვლა, რომელს ესე გზანი ერთმანეთს შო-
რის მიმოხრილნი სხვათა და სხვათა გზებთა შინა განრთვიდენ კაცს

და დაიბნეოდნენ ამა ძებნისა შინა. უმეტესი აღწერა მისთვის ისილე ძველსა ისტორიასა შინა საზოგადოდ ქვეყნისასა.

მეორე ლაბირინტი იყო, მე როკსკისისა, ქმნილნი ჰსამმინტი-სისა მიერ მეფის ეგვიპტელთასა, რომელიც იყო შედგმული სხვა-თა და სხვათა შენებულებათაგან ვიდრე სამიათსაჲმდი, ამა ლაბირინტ-სა შინა იდგნენ კვალად ჩაოდენნიმე ტაძარი ჰატივისათვის ყოველ-თა ღმერთა წარმართასა. ჰლინიოს მოუთხრობს, რომელ იგი ანსე-ბობდა კვალად მისსავე დროსა შინა და რომელ მას დროსა შინა განულო სამიათსა ეჭვსა წელსა, აღშენებიდგან მის ლაბირინტისა. მესამე, ლაბირინტი ზემონიისა, უწყებულ არს დიდ შვენეირებაი მი-სი, და რომელსა შინა იდგნენ მრავალნი დიდ შვენეირნი და დიდ-როანნი სვეტებნი სხვათა და სხვათა გვართა ქვეთაგან. სოლო მე-ოთხე ლაბირინტი ნეტერუსისა ქმნილი მეფისა ყროსუნის მიერ, საფლავად თავისა თავისისა და შთამომავლობათა თვისთა. ესეცა იყო ფრად მშენიერ და დიდ. გარდა ამისა, მეანტომიენი, და ანატო-მიასა შინა ჰსდებენ ლაბირინტად, სკრელსა და შინაგანსა ადგილს ცარიელსა უურისასა სხვა და სხვა გვარად მიმოხვეულსა გზასა სა-სმელისასა, და უმტკიცესსა კერძოსა საფეთქლებისა ძვლებთა შინა მდებარეთა. სოლო გვართთ მუნ აღჰყვანებისათა ჰსდებენ ლაბირინ-ტად, შეცთომილებასა საქმეთა შინა ანუ მოგზაურობათა შინა, და სიძნელეთა შინა შთაცვიუნასა და დატყვევებასა და საქმის წარუმა-რთველობასა, რომლისაგანც მნელად შესაძლებელ იყოს კაცის განთა-ვისუფლებად თავისა თვისისა. აგრეთვე აკეთებენ ეკროპიულნი ბა-ღებთა ლაბირინტის სახედ მიმოხრილს გზებითა და დანერგულის განუგლის ბუჩქებითა და წკრილის დაკლავნულის ბილიკებითა და ესრეთ დასრულდა უბნობა, და დიდად მოეწონა ბატონსა. ქრისტე-სიამაც აქო იოანე და მოახსენა, როგორც საბერძნეთში გამოიგონია უოკელიკე ისე მოგახსენათ ამ იოანემო. მაშინ ზურაბამ კარებიდამ მოახსენა ბატონს, ამ დააკანს ჩემი წისქვილი კი დაჩნა განუმა-რტებლად და იმისი რატომ არღარა მოგახსენათ რა. ბატონმან ბე-

რო იცინა და შეიტყო მიზეზი მისიცი, და უბრძანა: დაკით მეძვე-
დრეს უბრძანებ, გისხნას სატანისაგანაო.

და მერე წამოვიდა იოანე მხიარული შინა, სოლო მეორე დღე
გათენდა კვირა და წარვიდა იოანე წირვაზედ სიონსა შინა, გარნა
ეგოლდენი ხალხი მისული იყო რომელ, იოანემ ვერღა შეიძლო შე-
სკლად და დასდგა კარი ჰჭკეს შინა, ისილა მუნ იოანემ ერთს კუ-
თხესა შინა, ოთხნი კაცი უეურებენ ჭაღაღდსა და ერთმანერთს
ელაპარაკებინ. იოანე მივიდა უკანით მათსა და შთასკდა, რომელ
სათამაშოს ჭაღაღდებს ჰსჩხრეკდენ და თამაშობდენ. იოანემ დაბლად
ჰსთქო: დიდი ზნება არ არის, რომ წირვის მოსმენაც ვერ მოუთ-
მენიათ და აქ ყომარბაზობენ, შინ კი არ ეყოფათ ოცდა ოთხი
საათი საყომარბაზოზედ. რა ესე გაიგონა, დიმიტრი თუმანის
შვილმან, უკმოხსკდა და იცნა იოანე, აგრეთვე იოანემან იცნა იგი
და უთხრა იოანეს: ჩვენ ყომარზედ არ ვთამაშობთ. ამა ჩემთა ამ-
ხანაგთა წიგნი არ იცინა და ამას ზედა ლოცვას ვასწავლიო.

იოანემ. ვინ არიან ეგენი, რომ წიგნი არ იცინაო.

დიმიტრიმ. ჯღერიაშვილიო! მკერვავლიო სულეიმან, და ფეიქა-
რა დაკითა.

იოანე. განმიმარტეთ მე, თუ ვითარ ასწავებთ მათ ჭაღაღდით
ლოცვასა.

დიმიტრიმ. წირვას უკან ჩემთან მობრძანდით და მე მოვა-
ხსენებ, როგორადაც ვასწავლი ლოცვას რა წირვა დასრულდა, წარ-
ვიდენ დიმიტრის სადგომს, დასხდენ და მოილო დიმიტრიმ სათა-
მამო ჭაღაღდი, უთხრა იოანეს; აჰა—ესე ვასწავლი ლოცვას.

აილო ვიყო ჭაღაღდის და უთხრა იოანეს: ამა ერთიანი ხალხის
გაშინჯვით წარმოვიდგენთ ერთსა ღმერთსა. შემოქმედსა ცისა ჭკუ-
უანისასა, და დამბადებელს ჩვენსა, და შეკვედრებით მას და კო-
ხლვით ცოდვათა მოტეკებასა და წყალობასა.

ორს ხალხანს ჭაღაღდს რომ აღვიდებთ, წარმოვიდგენთ იესო
ქრისტესა, ორითა უკვე ბუნებოთა, და შეკვედრებით მას, ვინაიდგან

ჩვენთვის გარდამოხდა ზეცითა და ხორცნი შეისსა სულისაგან წმინ-
დისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა და ჯვარს ეცვა, დაეფ-
ლა და აღსდგა, და გვიხსნა სიკვდილისაგან, მას ვკეკედრებით, რათა
ძოსცა სოფელსა და მერმესაცა შეგვიწყალოს ჩვენ.

სამს ხაღიანს, რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ წმინდა სამებას.
სამ გვამოგნებით და არსების განუყოფელსა მამსა და ძესა და
წმინდასა სულსა და შეგვეკედრებით მას.

ოთხს ხაღიანს, რომ ავიღებთ შეგვიკედრებით ოთხთა მახარებელთა,
რომელთა აღწერეს სახარება და ვთხოვთ რათა მეოხ იქმნენ წინაშე
ღვთისა. ავრეთვე ოთხთა მთავარ მოწამეთა, გიორგის, დიმიტრის,
ესტატის და მერკვირის. ამათაც ვკეკედრებით რათა მეოხ გვექმნენ
წინაშე ღვთისა.

ხუთს ხაღიანს რომ ავიღებთ ხუთთა ანგელოზთა წარმოვიდ-
გენთ. ესე იგი: მიხაილს, გაბრიელს, რაფიელს, ურიელს და ყოველს,
და ვკეკედრებით მთავრულად ჩვენდა დახსნად განსაცდელთაგან და
საფრთხეთა ეშმაკისათა.

ექვს ხაღიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ ექვსსა დღესა
დღესა ვნების კვირასსა და შეგვეკედრებით უფალს ჩვენსა იესო
ქრისტეს.

შვიდს ხაღიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ შვიდთა მომაკ-
ვდინებელთა ცოდვით ესე იგი: ამხარტანებას, ანგარებას, მრისხა-
ნებას, მცონარებას. თუ ამას შინა რამე ცოდვა შეგვიმთხვევია ვკეკ-
ედრებით მისთვის ღმერთსა რათა მოგვიტოვოს შეცოდებანი ჩვენნი.

მერვეს ხაღიანს რომ ავიღებთ, წარმოვიდგენთ იესოს ქრის-
ტეს, მერვე დღესა რომ მოვიდა მოწაფეთა თვისთანი და შევიდა
ჯართა სმულთა შინა და რქვა: მშვიდობა! რომ ჩვენ ყოველთვის
უსილავად გვრწამდეს და თაყვანის ვცემდეთ, რომე არა მოკავლდეთ
ნეტარებას რომელიც ბძანებს: ნეტარ არიან რომელთა არა უსილავთ
და ვრწმენე.

მეცხრეს ხაღიანს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ ქრისტეს მიერ

ბრძანებულსა ცხრას ნეტარებასა და ჩვენც შეუდგებით ტნებას მისსა.
ათიანს ხალს რომ ავიღებთ, მოვიხსენებთ მოსკეს მიერ ათის
მცნების მოცემასა, რომელიც მოსცა ღმერთმან ფიცარისაზუდა და-
წერილი და კმეცადინეობთ დატვას მისსა.

საღდათის სურათს, რომ ვიხილაკთ, შეკავდრებთ ღმერთსა
მხედრობასა ჩვენსა და კეთილის მყოფელთა ჩვენთა. რდესმე კაცთა-
თაცა წარმოკიდებთ და კთხოვთ ღმერთსა ხსნასა მათგან ჩვენსას.

ბიბსა ანუ ქალაიხს სურათს, რომ ენასაკთ, შეკავდრებთ ღმერ-
თსა დედოფალთა ჩვენთა; ვინაიდგან საზოგადო დედა არიან ჩვენნი,
და ვჰსწეკთ მაცთურთა და ავთა დედაკაცთა.

მეფის სასეს რომ ვიხილაკთ, შეკავდრებთ ღმერთსა მეფისა
ჩვენსა, ვინაიდგან საზოგადო მამა არს ჩვენი და აღვწის ჩვენთვის,
სხვათა მწუხრებულთა ჩვენთა მეფეთა და ხელმწიფეთა საჩვიანოთა
და უღვთოთა. ვჰსწეკთ და კარისხებთ ღმერთსა მას ზედა.

ღიმიტრიძე. კვალად ვხმარობთ კალენდრად, ანუ წლის სათკა-
ლაკად ამა ქალაღდს, ესრეთ: ეს ქალაღდი არის რიცხვით ზარმო-
ცდა თორმეტი, რომ წელიწადიც შედგება ორმოცდა ხორმეტს
კვირით. ეს თორმეტი სურათი ირიცხება თითო თითოდ თვეებად
რომ შეადგენს ათორმეტს თვეს, უკეთუ განვამრავლებთ ამა ქალა-
ღდის ხალბთა, მაშინ ვცნობთ წელიწადის დღის რიცხვთა ესრეთ:
ხელმწიფე რომ განვამრავლოთ ოთხით, რომ ხელმწიფე თი-
თონ ნიშნაკს ცამეტს რიცხვსა: შეადგენს, ორმოცდათორმეტს.
ბიბი ოთხით გამრავლებული თითო თორმეტად, შეადგენს ორმოცდა
რკას, საღდათი ოთხი, თითო თორმეტ რიცხვად ჩავდებულა, და
ოთხით გამრავლებული შეადგენს ორმოცდა ოთხსა ოთხ ათიანი,
ოთხით გამრავლებული იქმს ორმოცს; ოთხი ცხრანნი ოთხით
გამრავლებული იქმს ოცდა თექვსმეტს, ოთხი რკანი ოთხით გა-
მრავლებული იქმს, ოცდა თორმეტს ოთხი შვიდიანი ოთხი გამრავ-
ლებული იქმს, ოცდა რკას; ოთხი ექვსიანი ოთხჯერით იქმს ოცდა-
ოთხს; ოთხი ხუთიანი, ოთხჯერის იქმს ოცს; ოთხი ოთხიანი

ოთხგზის იქმს, ათეჭესმეტს; ოთხი სამიანი, ოთხგზის იქმს, ათორმეტს; ოთხი ორნიანი იქმს, რვას. ოთხი კიკო იქმს რიცხვით ოთხს. და ესე ყველჳ ერთად შეკრებულნი რიცხვი იქმს სამას სამეოცდა ოთხს დღეს. და ოდეს დღეკანდღის დღიდაძმ რამე დღეს კვირას და შუადღე, ამ შუადღიდაძმ მოძაკალს წელსა ორშაბათის დღის შუას დღისას იქნების წელიწადი სახელი სამას სამეოცდა ხუთი დღე.

იოანე. დიად მოიწონა, და უთხრა: თუ როგორც ილაპარაკე იმ გულისთ მოიჭტეკით, ჰსწორედ ლოცვად შეკერაცხებათ: და თუ თაგის სამართლებულად ანობთ და მამინ, რაღა მოგახსენო.

ჰკითხა იოანემ, რამოდენი გჳარი იცით თამაშობისა, და ანუ რამდენი არის თამაშობის გჳარი?

დიმიტრიმ. აზიურნი თამაშობის გჳარი და ჩვენც რომ ვთამაშობთ ჭაღადს თუ სხვას რასმე სათამაშოს, არიან შემდგომნი ესე, ჭაღადში: 1) აჳსი. 2) ნახნი, 3) ბითური 4) ალება, 5) განყოფა. 6) ტალახი. ხოლო გამათლით სათამაშოთა, 1) ჰატარა ნარდი, 2) დიდი ნარდი, 3) უკვდავი ნარდი, ანუ შარსი 4) კამანო, აგრეთვე დიდი განჯაფა და თუფთის თამაშობა. ხოლო კვალად სათამაშო კარგი და გამოსაცდელი არის, ჭადრაკი, ამასთან დამა. მდამალთ ხალხთ უფრო სათამაშო არის, შარუქარი. უჩიგანა, ზუნთუ კენტი, თოხან ალჩუ, ორმოლობა: სალაობა, აროლა ანუ ფულის ყრას: ნესვის ტებილობაზედ დანადლეკება და გაჭრა. კვერცხის ცემა ერთი მეორისგან და მოგება. აგრეთვე უძწვილნი ოთახოს და სხვათა თამაშობითა ითამაშებენ, ესენი სულ აზიურია; ხოლო ევროპიულნი არიან შემდგომნი ესე: 1) ბოსტონი, 2) ბანკი, 3) ფიჭეთი, 4) დურაკი, 5) სკოი კოზირი, 6) გორკა, 7) ხლუსტს, 8) ციკვი, 9) ტრილოსტი, 10) სემლისტოკი, 11) ჩუხონი, 12) კოროლი, 13) ვისტა. 14) რუნობახნი, 15) ოტკუპი, 16) დაბლაცკვი, 17) ზამუშ, 18) მაკაო, 19) ლოტო, 20) ბეზდენდ, 21) კომსკოვსკუიუ, 22) პონი-სკამ, 23) კოფოფან, 24) ლომბერი. 25) ბილიერი, 26) ჭაღადის ფურცლებზედ ნუმრებით დასხმით თამაშობა, 27) ჭკა გაჭრასავით

სით თამაშობა, ქაენი სულ გიცი და გამოცდილი ვ:რ.

იოანე. მართლა კარგა დაღალულსარ ყომაზბაზობაშია, დიმიტრიმ გაიცინა, და უთხრა: თუ გნებავს, უოკელს გვარს გაჩვენებ, როგორ უნდა თამაშობა; იოანეს იამა, და მოიღეს ჭაღალდი, გაუჭრეს იოანეს, რა აჩვენეს უთხრეს: ფუფი ამოიღეს რომ ისე ანგარიში გაჩვენოთ. იოანემ ერთი ბაჭაღლუს ოჭრო ამოიღო უბიდამ და დადო მუნ. მათ ფასის გვარი აჩვენეს და სხვათა უოკელთა სათამაშოთა, და მარადისათა; გაუადვილეს იოანეს თითო ბისტობიო უკანასკნელს აღურიცხეს, იოანეს წიკეო ბაჭაღლუ, მაშიმნ ჟღერიაშვილმან აიღო ოჭრო იგი და წაიდა. იოანე იქმნა მწუხარე: მცირესა სანის შემდგომად მოვიდა ჟღერიაშვილი, მოიტანა ერთი დიდის ტიკტორით ღვინო, ხორცი, პური, თევზი, და ესე ვითარნი და სთქო: ღმერთმან ააშენოს იოანე, დღეს კარგად გვიმასპინძლია.

იოანე. ვუი ჩემ თავს! მე არა ვარ მასპინძელი და არც მიყვარს ამ გვარი მასპინძლობა.

ჟღერიაშვილმან. ჩვენ ასე დავიხვედრიებ, ვისაც ჭაღალდის თამაშობას კასწავლით: გაუშალა სუფრა, დასხდნენ და იწეეს ლხინი, იოანეც იძულებით გაამსიარულეს, და უკანასკნელ დასრულდა სადილი. დიმიტრიმ რომ შეატეო დიაკანს მწუხარება ოჭროსთვის, მოიტანა და ერთი საბერო შალის საჩოხე აჩუქა, რომ ეს ჩოსად შეაკერვინე, მონასტერში კარგა გამოგადგება სამუშაოდო. სულეიმან მკერვალმან უთხრა: მე შეგიკერავ უხელ ფასოდო, დაკით ფეიქარმან: მე საპერანგე ხამს მოგაქსოვო: ჟღერიაშვილმან: მე კი იქ მოგიტან სადაც დგესარო.

იოანემ იანგარიშა და სთქო. კარგია, ერთ ბაჭაღლუთ ძლიერ მომოვიდოდა; მადლობა უთხრა და წარმოვიდა შინა.

ამჟამად გამარჯვებულნი მხედარნი და ბატონის შვილიც მოვიდნენ ჭაღაქს; ბატონს მიულოცეს და მერე მოჭაღაქთა უოკელთა იმ ღამეს გაუკეთეს ჩიჩაღდანი, და კახშამიც პატვიისთვის ჟარისა.

რა შუადღიდან მეცხრე საათი შეიქმნა ანთეს მამინ სანთელნი ყოველმან, ფისოსნი, ვითარცა რიგი ჩირაღდნისა და ყოველი ხალხი წარვიდა შესაქცევად და სანახავად.

იოანეც წარმოვიდა, ისილა გზასა ზედა მიმაკალი ჩირაღდნის სახილველად, ოდიშელად ბერი მწირი ვინმე ახალი მოსრული, უთხრა კინ ბრძანდებით და ან სად მიხვალთ, მან უთხრა: ოდიშის ძითით მონასტრით, სათხოვნელათ, წამოსული ბერი ვარ, მწირი, რომელსაცა მეწოდების ფუფუნო. იოანემ რა ბერის სახელა! ბერმან ეს დამარქვეს, თორემ სერაფიმი მერქვა! იოანემ ისევ კვ უწოდე შენს თავს სახელად. მერე უთხრა მან ბერმან: თქვენ რაღა გეწოდებათ? დიაკანმან. იოანე. მერე ჰმარქვა ბერმან: შეილო იოანე, მე ამ ქალაქის საქმის არა ვიციარა და თუ ინებებთ მე თან გიასლებით ერთად ვიარათ და გამაშინჯეთ რაღაც ჩირაღდანი. იოანეს იამა დიად, და წაჰვიდნენ ერთად. მივიდნენ პირველად და იწყეს შეიდნიდან წასვლა, შევიდნენ ხარასხანის ბაზარში, ისილეს მუნ ოქროს მჭედლები, მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, კვრეთვე ოქროის დაწყობილი და სხვა სამკაული, ჰსთქვა ბერმან: ამ ცოლშიელ მკვდართ, ამდენი ოქრო და ვერცხლი ჰქონებათო, დია გუგვირდა. მერე მივიდნენ მექოშეებთან, ისილეს ყოველი დუქანი, საესე ქოშით და მაშით, თქვა ამ ბერმან: ბატონო, ამდენი ქოში რად უნდათ? ჰკავს, უქოში ხალხს მოელან საიდამე. რა ჩაიარეს მცირე, ისილეს საჩაჯები, რომელ საესე აქნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად, რა ისილა ბერმან. ჰსთქვა ბატონო, ბარე ყოველს ვაცს გვაქვს თითო ბახის იარაღი და ამდენი რათ უნდათ? ჰკავს, უბელო ცხენიანს ხალხს მოელან საიდამე. მერე ისილეს ყაზახები და თქვა ამ ბერმან: ბატონო, ამდენი ძაფი და ზონარა რათ უნდათ, და უნდა შეკერონ ამდენი? რა გაიარა, ისილა ყაჯარდუხები და განკვირდა ყაჯრებზედ, თქვა: ნეტამც ერთს მაჩუქებდნო, მერე მივიდა მექედლებში, ისილა გაღმა-გამოღმა მრავალი ქუდი შეკერილი, დაკიდებული მიიხედ-მოიხედა ამ ბერმან და თქვა. ბატონო! ბარე ყოველს

კაცს თითო ქუდი სურავს, აძენი ქუდი რაღათ უნდა, მგონათ თაყ-
შიშველა კაცებს მოკლავს საიდმე. მერე მივიდა ბაზაზებთან, ისილ-
მრავალი ფარჩები, სსკა და სსკა გვარი და თქვა: ნეტამც ესენი ფი-
ლონებად მომცაო, ზურაბამ უთხრა: სად მეკრეოდი აძენს ფილონ-
საო? ბერი: ასე უზურგულებდი, როგორც რომ უურძნის გოდორ-
საო. რა გაიარეს ისილა მრავალი მოუფი და სსკა ფარჩები და თქვა:
ბარე აუკლიათ ქვეყნა, აძენი სკალატი და ჩითი, ან ლეინი სად
უშოკიათ. მივიდნენ, ისილეს მეკრეკლები, განუკვირდა ბერს; ჭკავს
რომ შიშველთ კაცთ მოკლავს საიდმე და აძღონა ტანისამოსი მის-
თვის შეუკრავით. უკანასკნელ მივიდნენ, ბაულებთან, მეტეკებთან;
ისილა ბაულები. ნასა რომე გარეშემო, სულ სსკა და სსკა სილი
უწევიათ, თეკზი, სიზილალა, წელა, ბრინჯი, ერბო და სსკა წერი-
მალი, უყურა ამ ბერძანს, ეგონა სილს მითავაზებენო, და რომ სძა-
არავინ გასცა, თქვა: ბატონო! ეს რა რუდა მსზინძელნი ყოფილან,
არც არა თითონ ჭსკამენ, არც სსკას აჭმეკენო, ნეტამც ეს თებზი.
სიზალა და წელა მომცა, ჩვენის მინასტრისთვის, რომ ჩვენი ბე-
რები გავაძლო ამითაო. იოანემ იცინა ბერის და მერე ისილეს უს-
შები და მრავალი სორცი დაკიდებული ჩანგლებზედ და ბერ-
ძან: ბატონო, რა დაუშავებიათ ამით, რომ რვინას ჩანგლებზედ და-
უკიდიათ ეს კაცის სორციებიო, ზურაბამ უთხრა: არა ბატონო. ეს
გასასყიდელი სორცი ცხვრისა და ძროხისა. ბერძან თქვა: თბერთმან
მასოროს, რომ მე ჩანგალზედ დაკიდებული სორცი გქმო, ბარე
ასე გამიგონია, რომ თათრის ქვეყანაში ჩანგალზედ ჩამოჭედებენ
კაცსაო. გამოაჩნა, ისილა მხონგურები და სავარავის მეკთებლები დუ-
ჭნები, ნასა სავსე ჩონგურით და დაიჩითა, სთქვა: ბარე ეს ქალაქი
ზედ მოსავარავე ყოფილა თორე ჩვენში, ან არის აქს და ან სამს,
რა არის აძენი სავარავიო. იქიდვან მოვიდნენ ალაგუფშია, სადაც
ზურს ჭვიდდენ და აცხობდენ, ბარემ აძენი ზური რად უნდათ, ჭკავს
შშიერს ხალხს მოკლავს საითმე. მერე მოვიდა მეტურტლებთან, ისი-
ლა ესეოდენი ჭურჭელი, სთქვა: ბატონო, აძენი ჭამი, თეფში,

რად უნდათ, ყოველ კაცს აქვს თავის სასლში ჭურჭელი, ჭკავს რომ უჭურჭლო ხალხს მოელოან საითმე. ისილა მერე ნაღბანდები, განკვირდა და თქო: ბარე ამდენი ლურსმანი და ნალი სად მოუჭრიათ, ჭკავს რომ ბეგრ ცხენს ელოან საიდმე ფეხშიშველახებს. მოვიდა მერე, ისილა სირაჯხანა დიდროანის რუმბებით და ტიკებით ღვინოები და არაუა, იკითხა: ამდენი კოლოტი რათ უნდათო? უთხრეს: ესე სულ ღვინოებით არის საესე, თქვა, ბარე ყოველ კაცს აქვს მარანი, ჭკავს რომ ღვინო გისაც არ მოზდის, მისთვის მოუგრობიათ ესე ღვინოები. მოვიდა მეჭვახეებში, ისილა მრავალი ქვაბი და სზილენძის ჭურჭელი, და თქვა: ბარემ ყოველს კაცს თითო და რაოლი ქვაბი აქვს და ჭკავს უჭვახო ხალხს მოელოან საითმე. დაბრუნდენ მუნით, ისილეს ბარდანეებით ბამბუბა, თქვა: რომ ყოველს კაცს თითო ზუბუნი აქვს და ბამბა უძეკ. აგრეთვე საბნებს, რათ უნდათ ამდენი ბამბა! ჭკავს, რომ უზუბუნოს და უსაბნო ხალხს მოელოან საითმე. მივიდა მერე ჩილინდრებში, ისილა კლიტეები და გასაღებნი მრავალი და სთქვა: ბარე ამდენა კლიტე რათ უნდათ, სად იშოკნიან ამდენ ზანდუკს, რომ დაჭკეტონ. აგრეთვე სხვა საწკვიძლო გაუკვირდა. მერე მოვიდა ხარაზებთან, ნახა მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხთსაცმელი და სთქვა: ბარე ყოველ კაცს აქვს წაღები, ჭკავს რომ უწაღო კაცებს მოელოან საითმე. მერე მოვიდა, ისილა ჭურჭები ბეწვეულის, და სთქო: ამ ცოლშილ დახარცილთ, რამდენი ძელი, ძგელი, დათვი, კვერნა, ტურა უნდირნიათ; ბარე ამათთანა მონათირე რდიშშიაც არკინ მინახავს. მაშინ ზურაბამ, თქვენ ნუ მომიკვდები, ეს შარმიან და ძელიქა ჭურჩი მოფრინვალე ფრინველსაც არ დააცილდებენ თოფს. ბერძან: ნეტამც რდიშში იყვნენ ესენი, რომ ტურა ბეკრი იცის და სულ გავაწვეკტინებდით, იცინეს და გაიარეს. მოვიდნენ ნახეს ლილასხანა, დიდროანის ქვეკრებით სამსე, თქვა ამ ბერძანს ბატონო, აი კარგი მარანი ღვინისა ეს არის. ზურაბამ: ისემც კარგა ხარო, ბერძან: რაგარ? ზურაბამ: ეს სულ ლილა არის, განკვირდა ბეკრი და უთხრა, ბარე ჩვენში წამლათაც ძლიე

ვიშოვით, ეს როგორ იქნებაო. მერეთ აჩვენეს, და განუკვირდა და თქვა, ბარე მთლად შეღებავს ამ ქალაქსაო. წავიდნენ მუხიდგან, მივიდნენ ისევე მოედანზედ, ისილეს მუნ მქანხმასკები, მეთოფეები და სლმის მკეთებელნი, განკვირდა ბერი ესე და თქვა: ყოველს კაცს უეჩავს თითო ჩანხასი თოფზედ და ყოველს არტყია ლეკურბი და აქეთ თოფები, ჭეკავს რომ მოკლიან საითმე უთოფოს და უსლმის კაცებს. მოვიდნენ მერე შუა ბაზარში მუწკრიმალბთან, ისილა ამ ბერძმან საწკრიმალო, დია განკვირას ამ განწობილობას და თქვა: ამ ცოლშვილ მკვდართ სად მოუტრობიათ, ამდენი დანა, მაკრატელი, ნემსი, სარკე, ჭიქები, ამდენი სურნელი და სხვა ნამტლები და ესოდენე შაქარი. იოანემ უთხრა: ასეა რიგი, რომ ქალაქში ყოველივე სავსებით უნდა იყოს, რომ ერთი ქალაქის დიდება არის, და მეორე ქვეყანა გაძდიდრდება, ვაჭრობით. ვისაც არა ექნება სასლმი და თუელი ექნება იეიდის ყოველს და თავის სახლს გაიწოებს. ბერძმანეტამც ამ რიგს ჩვენს ქვეყანაშიაც მისცემდეს ვინმე. მერე დაჭპატიუა ვახშმად იოანემ და წარვიდენ იოანეს სადგომს, მოიღეს ვახშმი, და რა მტირედ შეეჭნენ იმუსაიფეს.

ბერძმან. ბატონო იოანე მიბძანეთ, ეს ჩირაღოკანი ვისგან არა შემოღებული?

იოანე. ესე ჩირაღოკანი, თათრულად ჩირაღდანი, ესე იგი მთებარა, ხოლო ბერძნებ ზისორენ; ლათინურად ლუმენაცია, რომელიც ნიშნავს ნათელ ბრწყინვალეს. ქართველნი ძველად ეძახდენ ლამპარ მნათთა, ახლა ჩირაღდანს ხმარობენ.

ესე რომის კეისარძმან განაწესა მიზეზითა მით, ოდეს ყოველს სოფელს აძვრობდა: სეკდენბრისთვის ვირველს დღეს უწოდა ინდიკტიონი, რომელ არს ახალი წელიწადი, განუო თუთხმეტს წლად, და ეს ათუთხმეტე წელი სამად გაუო, თვითუელს ხუთსა წელსა შინა ყოველისა ქვეყნიდაძმ და ნათესავიდაძმ აღიდებდის ხარკს. ვირველსა ხუთთა წელთ ღისოსენ ქუწოდა (რომელ არს ბრწყინვალე) რამეთუ მას ეამსა შინა, ოდეს ვირველს ხუთუელს წელს ხარკსა

მიწსცემდენ, მაშინ ლამაზრებით განისარიან, და ამას უოკელნი მუნ ცსოკრებნი ქალაქის ერნი ჭყრფადიან, და ესე რაზედ იყო სარკია: ზირველს უკვე რიცხვის სუთს წლასას, სპილენძ და რეიანს უძღნიდეს, მეორეს სუთუელს წელსა, კერცხლს, სოლო მესამესა შინა სუთუელს, ოქროს. მისთვის ათუთსმეტს წელსა, ინდიკტიონად იზერობდეს, და კვალად ზირველიდგანვე იწიან, ათუთსმეტად აღასრულიან. სოლო რიცხვი ესე წელთანი, კიდრე დღედმდე იესო ქრისტეს საცნაურ იყო წელსა შინა ზირველს დღესა სეკდემბერის თვისას. მეფე ჩვენი შვეიდა ტაძარსა ჰურიათს და ივითსვიდა წიგნს ისაია წინასწარმეტყუელისას, სადა იგი წერილ არს ესრეთ, ვითარმედ წელიწადი უფლისა შეწუნარებულად და სსვანი. მისთვის დღესასწაულობს ეკკლესია ზირველსა მას დღესა ინდიკტიონისას, რამეთუ მას დღესაშინა შვეიდა ქრისტე ეკკლესიასა და გამოუჩინდა მუნ მეოთთ, მასვე დღესა შინა ეკკლესია ქრისტესი მადლობასა შესწირავს ღვთისა, ნაყოფითა მიერ მას წლის მიღებულისთვის, და მოძვალთა წელთათვის ეკადრების რათა ქვეყანამან გამოსცეს ნაყოფი თვისი.

სოლო უგანასენელ განაწესეს ჩირადოვნად, სსვა და სსვა შემოთსკევისთვის, ესე იგი: გამარჯვებისთვის მტერთ ზედა, მეფეთ ვურთსკევის და ტახტის აღსკლისთვის. ეგრეთვე მეფეთა და სელმწიფეთა ქორწინებისთვის და შვილის მიცემისთვის. ანუ დაბადების, დიდის სელმწიფეების ურთმანერთში მშვიდობისა, შერიგებისთვის უამსა აშლილობისას, ეგრეთვე ურთმანერთან წვეკისა, რომ ერთი სელმწიფე მეორე სელმწიფეს ფწიოს, ესე ვითართა, დღესასწაულთა შინა, შობას, ახალ წელიწადს, აღდგომას, აღანთებენ სამთელთა, უოკელნი ქრისტეანნი თვისთა ეზოეთა და ქუჩებთა ზედაცა ესე ჩირადოვნად ვის როგორ ძღუდით იმ სახედ წარმოადგენენ, ბეწორღის ბრძოლისა განდლებით დამოკიდებით ქონითა, ანუ ზეთით აღთებულთ, რომელნიმე ვარსკვლავების სსვიას სახედ, რომელნიმე გზის სახედ, რომელნიმე სამეფუთხეკედ და რომელნიმე მთოვარის სახედ ერთას სახლას თავიდაძ, ბოლოს დასასრულადმდე, აგრეთ-

ვე დასატკენ ტილოთ და წმინდათა მამებთა ზედა ფერადად რაც სა-
ქმეს უწარმოებია იმ შემთხვეულებიას, ანუ შემჭსგაკსებით, მეტო-
ლოლიურის და დაჭსდგმენ ქუნათა შინა და უკან აღუნთებენ ფი-
სოსთა, იგი წარმოდგენილი ყოველთათვის იქმნებას სასილველ სო-
ლო ეს გუარნი ჩირაღდასნი, და სშირად უფრორე იცაიან კეროპი-
ელთა.

სოლო აზიელნი ეს გვარ კითარცა ვიხილეთ განაბრწეინვალე-
ბენ ყოველნი ხელოსანნი თვისთასა დუქნებთა, და თაგისა სავაჭროს
მუნიდამ ჰსდებენ და დაიწეებენ, გაიკეთებენ ჭასშამს, აღანთებენ მრ-
კალთა სანთელთა და სავარკითა და სიმღერითა, და ლხინათ ისე
განატარებენ იმ დამეს.

აგრეთვე ესეც ჩაიგდების ჩირაღდასთა რიცხვთა შორის რო-
მელ, ოდეს ხელმწიფე, ანუ მეფე, მივალს ერთს ქალაქიდამ მეორე-
ში, ანუ სატახტოს ქალაქს საკურთხეველად, რომელსაც ქუნაზედ
განივლის იგი, მუნ მოსასლენი და მესადგურენი გადმით და გაძო-
დმით გააღებენ ფანჯარათა და ძვირთასს ფარჩებთ, გარდმოჰკიდებენ
ყოველს ფანჯარაში, მუნიდგან ხალხნი სალამს მართმევენ. ესე
უფრორე იცაიან კეროპიელთ, ვიდრე აზიელთ: და აზიელნი ოდეს
ხელმწიფე, შეკა ერთს ქალაქიდამ მეორეში, მამინ მუნებურნი ვაჭარ-
ნი, ფარჩას გაუღიან შესავალს ქალაქის ბჭეშია და ზედან გარდაუ-
ვლის ხელმწიფე თუ ხანი, ამას უწოდებენ ფიანდაზს და მას ფარ-
ჩასა, შათირნი წაიღებენ თავისთვის.

შემდგომად მისა, მოიღეს ფლავი, მიაერთებს იოანეს და ამ
ბერსაც, რა იოანემ ხელი მიჭეო და დაუწეო ქამა; ამ ბერმან: ბა-
ბატონო, იქმთ მაგას? ჭინჭკლის ვკერცხს კითარ ჰსჭამთ, და-
თვი ხ. ამ არა ხართ? ეს რა ვნახე! რა სცოდნიათ ქართველთ?

იოანე, არა მამაო, ეს ბრინჯო არის, ფლავეს ვუძახით, დია
კაი საჭმელია.

ბერმა. მართალს უბნობთ? ნუ თუ ბრინჯია ასე გაკეთებული?
იოანე. მერწმუნეთ, უთხრა, მცირე ხანეთ გემოთ.

ბერმან. ბატონო, არ გამსეთქოს ამ ჭინჭკლის კვერცხმან.

იოანე. მერწმუნე არ მოგატყუებ. მამინ ბერმან აილო სამიოდ მარცვალი და წერცვავით შეიყარა ჰირში და უთხრა: ბატონო, მართლა გაკლეჭო?

ზურაბამ. არ იქნა, ბერი გატყუებს არ გაგსეთქოს?

ბერმან. ჯაი ჩემს თავს! გამოფურთხა. ბეკრს ეცადნენ და კერდა აჭამეს, უთხრა მან ბერმან: ბარე დათკებივით დაჩვეული ყოფილხართ ჭინჭკლის კვერცხის ჭამას? და თქვენ მისთვის ჰსჭამთ, თორემ ქრისტიანე კაცისაგან ვითარ აჭმება ეგე! ესრეთ სიცილით დასრულეს ვასშამი, იმ ღამეს იქ დააძინა ის ბერი იოანემ. სვალის დღე დილით, წავიდა იოანე აბანოში და ეს ბერიც წაიყვან.

რა აბანოსა შინა მივიდნენ, განისადეს ტანთ და ამ ბერსაც გასადეს, და შევიდნენ შიგნით აუზებთან, რა ამ ბერმან ისილა აუზნი საკსენი ცხელის წყლით და ოსშივარნი აღმაკალნი, ჰსთქვა: ჩვენში თუმც იცინ მცირე ქვაბებით მდუღარე, რომ შეწამებულს კაცს სელს ჩაყოფინებენ იდაუვამდინ, და იქიდამ ვვარს ამოაღებინებენ ჩადებულს მას შინა რგინისას და თუ არ დაეწო მკლავი მართალი იქნება და თუ დაეწო მტყუანი, აქ ბარე საკვირველათ დიდი ქვაბები ჰსცოდნათ, ამაში მგონია კაციც მოისარშოს.

იოანემ. უთხრა; მაგ ერთს აუზში თქვენ ჩადით და მაგაში იბანეთ.

ბერმა. ბატონო! რაკარ ჩავიდე ამ მდუღარეში, რის დანაშაულისათვის? აშოროს, გეტყვი, რომ არა მომეპაროს რა.

იოანე. არა მამაო. ისე მოგასსენებ, ჩაბძნდით მაგ აუზში.

ბერმან. შენ ნუ მომიკვლე, რომ არ ჩავიდე და აშორამცა არის ღმერთი, რომ სიაკატე არა მიქნია რა და რისთვის მაგდებთ ამ აუზში, თუ არ დაიშლით, ბარე ჩვენებურა ქვაბის ოდენ ქვაბი მოატანინეთ, და იმაში ჩადევით ეს ჩემი სვილენძის ვვარი და ეს მდუღარე წყალი იმაში ჩაასათ და ამოვიღებ ჩემის გულის სიმართლით და მამინ ჰსცნობთ ჩემს ჭეშმარიტებას. იმა ღაპარაკსა შინა რომ იყვნენ, მოეპარა ზურაბიდამ ზურაბა, ჰკრა სელი ამ ბერს და

ამა აუჩხსა შინა შთაჲგდო. ერთი დაიუფრეუმილავა ამ ბერძნა და მე-
რე ფეხსეჲდ დადგა და უთხრა: ასევე შენი ცოლ-შვილი დაიწოს,
რავარც მე გამიფუფქეო და, ამოვიდა აუჩიდაშ, ნასა რომ არა ენე-
ბოდარა და კარგა თავისი სიმრთელე გამოსცნო, ჭსთქვა მერეთ ავი
მოგახსენე: ბატონო, რომ მართალი გარეი კარ და ნასეთ, თუ რა-
ვარ მთლად ამოკელ, ახლა მანც დაიფრეთ. რა იოანემ ისილა მისი
ომ გვარი სიმარტივე; უთხრა: დაბძინდი ამ ტანტზედ ტანი დაგბა-
ნონ, მისცა საშინი, მოვიდა დალაქი მუბანოვე. იოანემ უთხრა, ქისა
წაუსვი მაგ საბრალე ბერს და კარგათ აბანეთ, მამინ მივეო დალაქ-
მა ხელი და რა ქისის სმა დაუწყო ამ ბერს, ჭსთქვა ამა ბერძანს,—
ბატონო იოანე, ეს ცოლიშვილ მკვდარნი დალაქი რას მიქამანებს
ამდენს, ბარე შენ ნუ მომიკვდები ტყავი გუდასავით გამძროს. იცი-
ნა იოანემ და უთხრა: აჭა მიუფრე მეც მაგვარ მბანებენ და უკანა-
სკნელ იოანეც რომ ჩავიდა აუჩში, და მთლად ამოვიდა ამ ბერძნ
უთხრა: ბატონო, თქვენც მართალი გარეი ყოფილხართო, რომ მაგ
მდუღარემ არ დაგწოთო. იოანემ უთხრა. არა ძმაო, ეს წყალი არ
დასწომს კარს, ეს საბანებელი წყალია.

ბერძან. ბატონო, ამ სიდიდე ქვაბებს სიღვან უვიდია რეცხ-
ლი, და ან რავარ ათბობენ ამდენს წყალს, ვინ მისცათ ამდენი შუბა?

იოანემ. უთხრა: ესენი არ არის ქვაბები, ეს ქვით და ვირით-
აშენებული აუჩებია, ეს წყალიც თვითონ ბუნებით თბილი წყალია.

ბერძან. მართლა უბნობთ ბატონო. რავარ თბება თავის თავ-
კად ეს წყალი. იქნება ჯოჯოხეთში ეშმაკები ათბობდნენ ამ წყალს
და იქიდან მომდინარეობდეს.

ზურაბამ. ეშმაკები ვი არ ათბობენ მაგ წყალს, ეგ წყალი ეშ-
მაკებს შარდი.

რა ესე მბანებინ ბერძანს, ჭსთქვა: ვი შენ ნუ მომიკვდები, სუ-
ნიც სწორედ ვსეღს უგავს და ადგა, და თქვა: წავალ ჯვარს გაკ-
ვლებ მტკვრის წყალში, და ხელ ახლა მოვიანთლებიო. და წასვლა
დააშირა.

იოანემ. უთხრა: უი ჩემ თავს. რასა იქ. ბერო, გატყუებს
ქვ კაცი, სად იქნება ან ჯოჯოხეთის წყალი. და ან კშმაკების შარ-
დი: მე გატყუი, როგორც არს, შინ რომ მივალთ, და მეჩე რის უა-
ფით დაბანეს ტანთ და გამოვიდნენ, შთაიციკეს ტანსა და წარვიდნენ
სადგურს თვისსა. რა შინ მივიდნენ.

ბერმან. ბატონო, მიბძანეთ თუ რაკარ არს იმ წყლის საქმე და
ან კისგან თბება, და აქამდინ რით ვერ განვივდა.

იოანემ. წყალნი ძრავალ რიგათ გაიყოფებიან, რომელსაც რა-
ცხვენ ექვს გვარად: 1) არის წყლად ჩაგდებული, რომელიც ჩვენს
ატმოსფერის ფოსფორთაგან გადმოდინარდება, ანუ ჩვენს ჰაერი-
საგან, ესე იგი: წვიმა, თოვლი, სეტყვა. 2) არის წყალი წყარონი,
3) მდინარენა, რქანი. 5) ბაღყუმი ანუ ჭაობიანნი, 6) ზღვისა, და
ამათ გაყოფით ჰსცნობ შემდგომად, ვინადაც მე არა მაქვს ამ ყამად
მოცალება ყოველთა თქმად თვითურლად, ხოლო თბლის წყლისთვის
იმცენ ესრეთ, რომელ: ოდესაც წყალი მომდინარეობს მიწასა ანუ
კლდეთა შორის, და რომელსა შინა არს, რკინის მადნის სახედ და
მასთან შერეული გოგირდი, ესე გვარსა ადგილს შინა მომდინარე
წყალი იქმნების თბილი, ანუ ძრელ ცხელი და კვლად მიხეზითა
მით რომელიც ხრელთა შინა გამოსადენტა წყალთა შემჭიდროებით
გამოვალს წყალი. მაშინ ესე თავისთავად შეიქმნების ცხელი. და ესე
გვარნი არიან ეხენივრნი წყალნი. ესრეთ დასრულდა უბნობა. ბერი
მადლობელი იოანესი წარვიდა თვისთა ამხანაგებთანა, ხოლო იოანე
სახვალთად განემზადა სომხეთისკენ.

ხოლო სვალისა დღე, აღკაშმეს ცხენები და წარვიდნენ ზურაბა
და იოანე სომხეთში, რა განცილდნენ სეიდაბადის ბაღს, თხილეს
მუნ მიმავალი ერთი ცხენოანნი კაცი და რა მიუახლოვდნენ, იოანემ
და ამ კაცმან ერთმანერთს ცქერა დაუწყეს და კარგა ხან შინჯეს ერთმა-
ნერთი. მაშინ იოანემ უთხრა: მამო, მეცნობით, ამ სამის წელიწა-
დის წინ გინილეთ თელავს, და კვლარ მოვიგონე სახელი და გვარი
თქვენი მან კაცმან უთხრა: ბერო, მე შანშია-შვილი ვარ გვართ.

მამა ჩემი ბატონის მოლაწვე არის გოგია, მე იმისი შვილი ვარ, იარაღი და თქვენ ვინა ბძანდებით? ბერძენი. მე ხელაშვილი ვარ, იოანე ბერი, თელავს დავით რეკტორს ვუბარე, იარაღის; დიად. გაჩინდა და აგოცა, მოიკითხა და მე რე ჰკითხა: საით ავირებთ, მოგზავრობას? იოანემ: სომხითს და მის გარეშე ადგილთა შინა.

იოანემ. მართლად ვარკვს, დროს ავირებ სიარულს, ბატონის შვილი დავით, ამ ორს სამს დღეში, ბორჩალას მიბძანდება და ალექსანდრე ბატონის შვილი შულავერს; ფანანაზ ბატონის შვილი, დემურხალაში. უთუოდ ვარკვად იშოვნა, მეც ბოლნის მიკვირ, და თუ მე გამომეყვებით, სადილად მარაბდას მივიდეთ, წააღ მდივანბეგი საამის შვილი იქ არის და ვახშმად ჩემსას მოდი და მე რე იქილამ შულავერს მიდი. იოანეს დიად იამა, მადლობა უთხრა, და წარვიდნენ ერთად.

სადილის დროს მივიდნენ მარაბდას, იარაღი ჩამოხტა ცხენიდან, მივიდა წააღ დივანბეგთან, დია იამა წააღს, მოიკითხა, ანბაჟი ჰკითხა, იარაღი მადლობა მოახსენა, და სხვა ცა ცა იცოდა ანბაჟი უთხრა, მე რე მოახსენა: აქ ჭვანთასევიდან ბერი გასლაკო, სომხით და თათრებში წამოსული სათხოვნელად. წააღმა მამინეკე მიაყვანინა იოანე. რა იოანემ წააღ იხილა, მოახსენა: მივიდობა თქვენდა, მდივანბეგ უარაიასა უღობაშო?

ზალომან. სულისა ცა შენისათანა უკურთხო დიაკვანო!

იოანე. უი ჩემ თავს, რად მივიცხავთ?

ზალომან. ჩიხს ნაკურთხი ხარ თუ არა?

იოანე. დიად.

ზალომან, მამ ახლა ნაკურთხს დაგობახებ.

იოანე. მსაჯული ბძანდებით და როგორც განდათ ისე ინებუთ.

ზალომან. სჯულს გარეთ ვერას ვაქო, თორემ ეს წისქვილი მე უფრო მეკურთხის ამ ჩემის სახლის კაცებისგან და ჯერ არც კი მამლეკენ დაუჭუქვა რამე ჩემთვის, და წარვიდა წისქვილისაკენ, იოანე ანეც თან წაიყვანა. შევიდნენ ამა წისქვილში, ნახეს ათთორმეტი

ტომას სობახლი სულ სსვისა და სსვისა და ყოველი კაცი ცდი-
ლობს უწინ დააყარონ სვიძის, დრამაში აბნევენ და ჩსუბობენ: არა
მე უწინ დაფუჭავ და არამედ, ამასი კბსუდათ ბეკრიცა.

იოანემ უთხრა; ბატონო ბატონაანო, რიგ რიგით დაფუჭით,
არც შფოთი გეჭნებათ და არც ჰური დაგებნებათ.

კიკოლა თაყაიშირლმან. ბატონო ბერო, გეშინ, დროზედ
მანდა დამეფუჭვას ჰური.

იოანე. ამ ჩსუბში უფრო ხანი გამოდის, და როგორც მალე
დაფუჭავ.

კიკოლამ. შენმა მზემ თავრიზში უფრო ჩქარა ვეფუჭავდი.

იოანე. თუ იქაც ასე ფუჭავდი, მაგდენი ფუჭილი არა გეჭნე-
ბოდარა.

კიკოლამ. ბრინჯი ბეკრი მჭონდა.

იოანემ. ბრინჯი უერბოთ არ ვარცა, კოვრით ჭსკამდი, თუ
სელით, თუ შირით?

კიკოლამ. აი ასე ვჭამდი; ერთი თისა ფუჭილი აიღო და შირ-
ში ჩაიყარა, ეს ფუჭილი მიეკრა ხასაში, დაიწყო ფურთხვა და სულ
ტანისამოსზედ გადაედინა.

ზურაბამ. ახლა ხარ სწორედ მეწისჭვილე და იცინეს ყოველ-
თა. და მეც იოანემ მოასხენა მდივანბეგს: ბატონო, ან ასე ინე-
ბეთ ყოველმან კაცმან, თითო ოროლა ლიტრა დააყარეთ ამ წის-
ჭვილსა სობახლი და როცა დაიფუჭვას როგორც გაგსკდეთ ფუჭილი
ისე გაიყავით, რადგან გაკლიათ ფუჭილი.

ზაალმან. გაყო, უცხო სამართალი გაგვიტერ და ამით მორიგ-
დენ. მაშინ ზაალმან მოადებინა სადილი და დასხდნენ იმ წისჭვი-
ლის მუნ შირზედ ჭანდრის ქვეშ და რა კარგად შეეჭნენ, ზაალმა
უთხრა იოანეს: მე რუსეთში ნამყოფი ვარ და იქ სმარობდენ სმი-
რად ლექსსა ამას „მჭსაჯულთ სელჭეშეთნი“ იურისპუდენტია, და
კერ მივსვდი თუ რამ მნიშვნელობა აქვს.

იოანე. ეგე ლექსი ნიშნავს, — ჭსჯულვით გამოდელიებასა.

ზაღს: იამა და უთხრა: რაი არს სჯულის გამოცდილება?

იოანე. სჯულის გამოცდილება არს ჭსწავლა, სჯულ თვის ჩვეულებათა და საზოგადოდ დაწესებათა მათ, რომელნიც სმარობენ მიხდა, რათამცა ყოველთა უკვე წევრთა საზოგადოებასა შინა მიჭსტენ მსჯავრი და სამართლი.

ზაღმან. რადენ გვარად ჭსდებენ ჭსწავლასა ამას?

იოანე. სამგვარად უფრორე: ესე იგი, სამართალსა ზედა გენბის, სამართალსა საეროსა და სამართალსა სამოქალაქოისასა.

სამართალი შენებითი არს იგი, რაისაცა შეამცნებს ანუ შთააგონებს კაცს ბუნებაი და მთელი უკვე სამსჯელოთა: ესე კითარნი არიან სსკათატ შორის შემდგომნი უკვე სამართალნი: არა ქმნად მისა სსკათადმი, რაისაც არა კისურვით თავისთვის ჩვენისა; კგრეთვე მოგერებად პირის პირ ჩვენსა მტერნი ანუ ესე გვარნი უკვე კატნი, რომელნიც გვეუსამართლოებან, და არა მართლიად გვდვენან ჩვენ: მის სასედვე მშობელნიც მექონარინ სამართლის მიცემულისა მათდა ბუნებისაგან შვილთა ზედან თვისთა და სსკანი.

სამართალი სასალსო ანუ საერო, მდგომარეობს რომელთამე დაწესებათა და ჩვეულებათა შინა, შეჭმზგავსებულთა სამართლისადმი ბუნებითისა, და მიღებულთა ყოველთა ჭსწავლულთა ერთაგან: სოლო ესე გვარნი უკვე დაწესებანი, აღკრძალვენ და დააყენებენ ურთიერთისადმი ერთგან ზედა დასსმასა, უსამართლოებას და მძლავრობას, აგრეთვე განაფრთხილებს შეურაცხყოფას და შეწუხებასა სტუმართა და უცხო, კაცთ აგრეთვე დატულ ჭყოფს საქმეთა შინა მყოფთა და სსკათატ, რათა არა ერთის სელმწიფოს, ანუ მეფის გინა სსკისა საზოგადოებისა, წარმოკლებისა დესპანისა ანუ კლჩისა, არკინ ექმნეს განმარისსებულ და შემაწუხებულ.

სამართალი, სამოქალაქო დაფუძნდების ჭსჯელოთა მათ ზედა, რომელთაც აღიჩიკეს თვითვეული უკვე საზოგადოებაი, რათა იქმნენ მათ მიერ წარმოებულნი:

ზაალმან. საჭირო არს, რათა უწყოდენ კაცთა ჭსჯულის მამულის თვისისანი?

იოანე. იგი ფრიად საჭირო არს ყოველთა კაცთათვის რათამცა უწოდენ მით, რამეთუ ჩვენ ყოველნივე ვართ და ვიქმნებით მცხოვრებელ ჭსჯულთა ქვეშე. უმეტეს უფრო რე საჭირო არს უწებდ ჭსჯული ესე მათთვის, რომელნიც მეცადინეობენ დაპყრობად ვითარისამე გინდ იყოს ადგილსა სახელმწიფოსა შინა აჰად, რომელ, დამწეებნი თვით მდაბლისა ხარისხისა ანუ თანამდებობისაგან, ვიდრე აღსკვლადმდე უმაღლესის ხარისხისადმდე მიწეკნილი მასშინა, გე რა რადეს შემძლებელ იქმნების ტვირთად პატიუთა და სარგებლობათა, უკეთუ არა მეცნავ იყოს ჭსჯულისა გამოცდილებისა დაჭსწავლათა მისთა,

ზაალმან. ჩვენს ქვეყანაში, რადენ გვარს სამართალს ხმარობდენ ძველად?

იოანეს. ძველადგან რომ გავშინჯოთ, არსდა ჩანს წერილი რომ ჭქონოდეთ სრული სამართლის წიგნი, გარნა რომელიმე ჩანს ვითარცა ჭსწერია „ქართლის ცხოვრებაში“ ფიცი, სადაო საქმეზედ, შეწამებისთვის, ცხენებით გასკვლა, და ერთმანერთის ბრძოლა, ვინც ჩამოკარდებოდის, ის გამტყუნდებოდის. აგრეთვე სიკვდილიცა აგრეთვე დაბრძკება; აგრეთვე შეწამებულის, შანთის გაგდება, მდურღარქში ხელის ჩაყოფა და რეინის აძოლება, სისხლიც ვინვის მოჭკლავდეს და სხვანი.

ხალა რადეს მიიღეს ბერძენთ სარწმუნოება ქართულთ მამან, უფრო ბაძვიდენ ბერძენთ ყოფა-ქცევას, გარდმოიღეს მოსეს სამართალი, ბერძენთ კერსრეშას სამართალი, სომეხთ მეფეთ სამართალი. აგრეთვე აღბულა ჯაყელის ათაბეგას ახალციხელისა. აგრეთვე კათალიკოსის და მერე კიდე განკეთა და უფრო შეამსუბუქა ესტანგ მეფემან რომელნიც ახლა უფრო რე იმას ხმარობენ, ესენიც თქვენც გეცოდინებათ, მა არღა გაკარდობ. ღვთის კაცთა იცან ბჭეები, ისო-

ნი ვითარ გასჭრისან სამარტათას რარიე კერძო დასჯურდება და მათ ჩვეულებაც სსვა არს.

ზაალმან. კარგა თქვი და მითხარ მდივანბეგი ანუ მჭსაჯულო ვითარი გვამ უნდა იყოს?

იოანე. უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ურთგული. მეორე, დიდის კაცის შვილი, რომ არ ვისხე უშინოდეს, მესამე ჭსწა-გული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ქნასრა. მეოთხე, მდი-დარი, რომ ქრთამის არ მოატყუოს. მესუთე, ზირუთნებელი. მეექვ-სე ჭკვიან. მეშვიდე, არა ქრთამის მოყვარე. მერვე, საზოგადო გუ-ლისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს, და ამის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი, მეცხრე ღვთის მოყვარე.

ზაალმან. ბერო, სულ სამართლით რომ იარო მაგისტანს კაცს ვერ იშოვნი ჩვენში.

ზურაბაძე. ბატონო მდივანბეგო? როგორც ასე შემკობილს კაცს ვერ ვიშოვით, კიდევ ამისთვის გვაქვს სწორე სამართალი.

ზაალმან. ასე თქმულა: — „ქართლში სამართალი არც ქნილს და არც იქნება“.

იოანე. უი ჩემს თავს! მამ ტყუილად გრქმევიათ მდივანბე-გობა?

ზაალმან. ვაჟო, სარჩოს გულისთვის დამარქვეს მდივანბეგობა, თორემ რაც შენ მოთვალე, არც გაშიგონია, არც წამიგითხავს.

იოანე. მამ მოგატყონდებათ ისე გასჭრით სამართალს.

ზაალმან. ჩვენ სულ ეგრე ვსამართლოვით. ახლა რაც გინდა ჭქმენ და მერე დასრულდა სადილი. იოანემ გამოყსალმა და იარლიც, გაემართნენ ბოლნისისკენ.

რა ბოლნის მივიდნენ იქ იარლიც იოანე მიიყვანს და იქაურის გზარის სახლში ჩამოასდინა, თითონ წავიდა სახასავად თავის ხა-ლის და ძროხებოს და გუთნეულის და ვახშამი მოამზადებინა. იო-ანეც დაბინავდა, რა ვახშამის დრო შეიქმნა იარალი მოვიდა, ვახშამი მოაღებინა და დაიწყეს ვახშამი, სსვა და სსვა ჭაშნიკები აჩვენა. იო-

ანეს დია მოეწონა და სთქვა: კარგი ღვინო ჰსტოდნია ამ ქვეყანას, იარალიმ: ძველად ამდენი ღვინო ყოფილა აქ, რომ თითქმის სომხითში აქედამ ყიდულობდენ; ასე გასინჯეთ, რომ შეიდასი სახალ-ნუ ღვინო ჩვენს ზეარს თურმე გამოუვიდოდა და ახლა ათი სა-ხალნეც არ მოდის მტრის გამო. იმ ლაზარაკში რომ იყვნენ, მთის ყარაული მოვიდა იარაღისთან და უთხრა: ბედენს მოვიდა ლეკის ჯარი სახალციხიდან, ბინდი იყო, კარგა კერ გაკშინჯე, მაგრამ დიდ ჯარს ჰგავს, და გაუფთხილდეთ, აქ არ მოგვიხდეს. სხვაგანაც გა-გზავნე ჩემი ამხანაგები და შეკატეობინე. იარაღიმ დაუმაღლა იმა კაცს. დასო ისიც, კანშიად და სოფელი გააფთხილა. მასინ გზირ-მან ჰსთქვა: ნიკოლაოზ ყაფლანის შეილ საზდალი, ემ გასელეში დგას და კისი გეშინიანთ:

იოანემ უთხრა: გზირო, ჯარი ჰყავს თუ არა ნიკოლაოზს?

გზირმან. თავისი ამაღა ჰყავსო.

იოანემ. მას შეილო, მაგას ნუ მიენდობი, ამაღამ ფთხილად აიყვნეთ, რა კანშიისაგან მოიცალეს, ყველანი თავ-თავის ბინაზედ წავიდნენ; იარაღი და იოანე იმავე სახლში დარჩნენ და მერე დაი-ძინეს. რა შუალამე გარდავიდა, ამა სოფელში ერთი კიყინა და სრი-აღის ხმა მოესმათ და მერე შეიქმნა ყვირილი, არ იქნა ლეკი მო-ვიდა. ამაოხაში წამოხტა იოანე, აღილო თოფი ფურაბისი და ი-არაღი და კარებს მოუჯდა, იარაღის უთხრა: შენ ხანს უყურე, მაგ ბოგას მოუფარე და თოფი მარჯვედ იქონიე. იმ გზირსაც უთხრა იარაღიმ: თოფი აიღეო. იმ გზირმან, თავის ცოლს დაუძახა: დე-დაკაცო, თოფი მომიტანეო. დედაკაცმან, სად დააყუდე შენი თო-ფიო. გზირმან. ჭათმებს უძეკს თაროდ, ჩამოიღეო, იოანე გაუჯავრ-და: ჩუმად იყავ, რას ანობ? ლეკებმან არ გაიგონონო. ამ ყმად მო-უხდენ კარებს, იოანემ ესროლა თოფი და გააბრუნა; სამჯერ იერი-ში მოატანეს და სამჯერვე უგან აქცია, და ამ სახლს კვლარ მობე-დეს ლეკთა. სხვა ირავ-რავა და გავიდნენ სოფლიდან. იოანეს ენება

კარი გაელა: გზირი ეხეწება ნუ გააღებ სახლში არ შემოგვიტვი-
დენო.

იოანე. რას ამბობ, ლეკები არღა არიან ამ სოფელში. და
მერე გაელა, გავიდა თოფით იოანე, ნახა სოფლიდამ ჯარი გასუ-
ლა და ხელ-ხელა მიდიან: ამ უძაღ ნიკოლაოზ უაფლანის შვილი,
მოაჭენებს ცხენს, და რამდენიმე კაცი მოსდევს თან და იძახიან
მდეკარს: ჰეჰან, საფაკოფო, არუთინ, გასჰარ, გამოდით! მდეკარის
სარდალი რომ მოვიდა მისინ იოანემ უთხრა: ჰია სარდალო, ნიკო-
ლაოზ, უბძანეთ, ნუ ეძახიან ამ სომხის სახელებს, თუ გაიგონეს ლე-
კებთან უთუოდ გამობრუნდებიან და რაც გარდაჩნათ იძახა ც წაიყუა-
ნენ, ასე დააძახეთ ბაიდრეჯნო, ბოჩხალაოჯნო, დემურჩასანელ
ნო? გამოდით! რომ შეშინდნენ მდეკარისაგან, თორემ ჰოლასსაგან და
ნიკოლაოსისგან ვინ შეშინდება! ვაჟო, ეს ვილაც არის, ჰწოკრეს ან-
ბობს და ჩამოხდა ნიკოლაოზ ცხენიდან. იოანეც მივიდა ახლო
ნიკოლაოზთან. ვაჟო, შენ ბერსა გეკხარ და აქ რასა იქ? ამ უძაღ
იარალი მოვიდა და უთხრა ნიკოლაოზს; დმერთმან დაუმაღლოს, ამ
ბერმან მოარჩინა. ეს სოფელიც და მეც, თორემ თუ არ დაგვწრე-
ბოდა სულ დავიღუპებოდით.

ნიკოლაოზმან. მართლა შენ კი გეტყობა შეშინება.

იარალიმ. ბატონო, აღამამთხანის დროს გამოვცადე. ტყვე-
ობას თუ რა აქვს,

ნიკოლაოზმან. ვინ არის ეგ ბერი?

იარალიმ. ქიზიყელი ხელაშვილი, დაახლა კავთის ხევის მცხო-
ვრები.

ნიკოლაოზმან. მისე ეჭვი აღარ უნდა, კარგი ვაჟ-კაცი უნდა იყოს
და მერე მოიკითხა იოანე და მადლი უთხრა: წირვის დრომდინ
ძლივ მოუგროვდა ასი კაცი ამ ნიკოლაოზს და შესხდნენ ცხენს და
ამ ლეკებს გაუდგნენ. იოანეც თან გაუვით, რა საბოესკვრის სოფელს
მივიდნენ, გარდახდა ნიკოლაოზ ცხენიდან და თქვა: აბა, უნდა ჩვე-
ნი ჯარი დაუთვალოთ, და მერე შევებათ ლეკებს.

ზურაბამ. ბატონო სარდალო? მართალია რიცხვს ვერ აუხვალ ამ შენის სასარდალოს ჯარისას, რა დათვლა უნდა, ასი კაცი ძლივ არის და ან ამით როგორ იქნება რამდენიმე ათასის ლეკისა.

ნიკოლოზიან. არა შენ გიყო ღამბარაშვილო, შენ უნდა მასწავლიდე სარდალობას?

ზურაბ. მე მაგას არ მოგასსენებო, მაგრამ მეც ბევრჯერ გხედავ ბივარ ამილასკართან მდეკარში.

ნიკოლოზიან. მას დაგეჟერება, რადგან გორელი ხარ, და არცა შეეებენ მტერს, მეტი მივიდნენ ერთი კარგი წყარო იყო მუნ დასხდნენ. ნიკოლოზიან სადილი მოადებინა და რა კარგა შეეჟცნენ.

იოანემ სთქვა: ეს ადგილი დიდა კარგი სოფელი იქმნებოდა როდესაც შენად იყო.

ნიკოლოზიან. რაღონდაც მეტის გამო საბოესკერო ეწოდება და ამაზედ მეხსებება ჩემი სახლის კაცი ზვალ ყათლანისშვილი, მაგრამ მე არ ვახსებ.

იოანე. მაგ სახელის წოდების თვის ქება არ მიეწერება ნასოფლარს არს; და არც უნდა ჩხუბოდეთ ბოსკერობის თვის.

ნიკოლოზიან. გვინებ შენიც რომ იყოს, არავის დაახსებებ ამ სოფელს.

იოანე. ჩემი რომ იყოს, სახელს გამოუცვლიდი; ანუ გაუცვლიდი კისმე: დარატომ თქვენ არ გაუცვლიდით უფრო ჰატიოსნური სახელისანი სოფელი გამოართოთ ის უმჯობესი იქნება.

ზურაბ. ბერო? ზაალ აძლევს სამაგიოროდ ამ ნიკოლოზს სიჭიშხანს სოფელს და არა ჭკერდება.

ნიკოლოზიან. გაიცინა. უთხრა: ბერო თათრული ენა არ გცოდნია, თორემ უფრო ცუდი სახელი ეწოდება: იმ სოფელსაც; და განუმარტა კიდევ.

იოანე. უი ჩემი თავს! როგორიც ყოფა ქცევა ჭქონათ იმ გვარი შეჭმსგავსებული სახელებიც ეწოდებიათ სოფლებისთვის. შეგიძლიანთ რომ გამოუცვალათ სახელი?

ნიკოლოზზმან. შენ რომ ეკურთხები, აჭურს არქიმანდრიტობას გავირიგებ, და მერე შენ გადახათლე ეს სოფლები და სახელები შენ უწოდე.

იოანე. არა ბატონო. სანამლეოა. თბილელი მე არ მომცემს ამის არქიმანდრიტობას.

ზურაბამ. მართლა სათერი სამწუთო ჰყოლიაო: და მრავალი იცინეს: და მერე უთხრა ნიკოლოზზმან. მიბძანე იოანე, გამოგონია მქცნიერი კაცი ხართ და სარდლობა რა არს, და ან რა უნდა იცოდეს სარდალმან, და ან როგორ უნდა იყოს სარდალი?

იოანე. სარდალი ხომ სპარსული ლექსია (ჯარის თავი) ანუ მეთავე. ქართველნი სპარსულადს ეძახდნენ. აგრეთვე მხედართ მთავარს, ხოლო სარდალნი რომელნიმე არიან, უფრო ჯარის უფროსად, რომელნიმე დიდის ჯარისა, ესე ვითარი ნებაჲს მებატონესა იმავად არს დამოკიდებულნი: თუ ვიტყვი, რომ სარდალს რაუნდა ჰსჭირდეს. სარდალი უნდა იყოს, ჰსწავლული წერილში, უნდა იცოდეს, ისტორიები და ქვეყნის დეოლოგია, და მის ქვეყნის მშენებლობის მოძრაობის საქმენი და ძაღნი: აგრეთვე უნდა იცოდეს, მათემატიკა, რომელიც ამ მათემატიკის ნაწილები არიან, არისმეტიკა, დეომეტრია, სტერეომეტრია, ტრიდენომეტრია: დეომეტრია ანუ ზესთა დეომეტრია, ალგებრა, პლანომეტრია, ზონომეტრია, ფორტუფიკაცია, არტილერია, და ჩაკტა. თუ ზედ მიწეებით ვერ იცის მაინც უნდა იცოდეს ამდენი რომ შესთეს პლანსა, ადგილის მდებარეობას. რომ არ შესცდეს დაბანაკების დროს, თუ შებმის დროს, ამასთან უნდა იყოს ჭკვიანი, რაში უნდა იყოს უფრო ცივის სისხლისა, ესე აგი არა ფიცხელი და გამძინჯველი: მამაცი, არა მცლანარი: ამას თან უნდა უყვარდეს თავის სამხედრო კაცი, და თითონაც შეაყვაროს თავისს ხელ ქვეშეთა თავი: უნდა იცოდეს, თუ ან რა სურსათი მოუნდება; ანუ ტანთა და ფერსთა ჯარსა: ანუ ტყვიან, ანუ წამალი, ანუ ცხენი, ანუ იარაღი და სხვა საჭიროება. უნდა აქენდეს ზომა თუ რაოდენის კაცით, შეძლებულია წინა გამწეობად თვისთა მტერთა, ან

გამაგრებად ციხისა, ანუ შემოდგომად და აღებად ციხე ქალაქთა და სხვა რაღ სსჭირება ანს ჯარის ცხენთა ხორაგის, ნაღის, იარაღის და სხვათა. ასე უნდა იყოს ჰსწავლულ რომ, თითქმის უსაშუალოდ იცოდეს ყოველივე, რომ მისთა. ხელ ქვეშეთ არ შეეძლოთ მოპარვა რისამე და შეტოვნება მისი სსჭმისა, და ანგარებას შინა. აგრეთვე უნდა თვის დროს იცოდეს ყარაულთ გამოცვლა, დაყენება გეზმანქეშიკებისა. რიგზედ დაყენება, რომ მტერნი უცებად ვერ დაესხას და აღრიან შეუტყოს და განემზადოს, აგრეთვე იცოდეს, დროზედ ჯარის თამაშობა, კარჯიში, თოფთა სროლა ნიშნისა რომ ავარჯიშებდეს ჯარს, ცხენოსანსა და ქვეითასა: აგრეთვე იცოდეს დასტების რიგზედ დაყენება: მოკინკლაკები, მიმშველებელნი, შემტეველნი. დროზედ სად ეჭირება ზარბაზნების მიშველება, იერიშის მიტანა, ვიწროს გზაზედ ვითარ გაიყანოს ჯარი, ანუ სიდზედ, ანუ თუ შეიტყოს რომ იძლევა და დამარცხდება ვითარ გამოაბრუნოს ჯარი რიგთან და მშვიდობიანად, რომ ბეჭი კაცი არ დახრცონ, თუ დადამარცხოს ვინმე უნდა მისცეს გზა გასაქცევი მტერს, რომ გაჭირებული კაცი მერე თვით გამოიმეტებს თავსა და იქნება დიდი ზარალი მისცეს ჯარს, და ამისთვის თქმულა, თუ მტერი გამექცევა, ოქროს ხიდს გაუდებო და ესე ვითარნი, ეს კმარა თუ ასწავლის. ვინმე სადღლისათვის.

ნიკოლოზმა. მითხარ მამაშვილობას, რა არის მათეთიკა.

იოანე. მათეთიკა არს სწავლა, რომელიც მოგვართმევს მცნობელობას, რადენობათა და ზომათა სხეულთა შორის, იგი არს ჰირველი და უმთავრესი ჰსწავლა ყოველთაგან სხვათა ამაღ რომელ მდგომარეობს მხოლოდ ოდეს ერთსა დამტკიცებასა შინა.

ნიკოლოზმან. ვითარ სარგებლობას მოგვართმევს ჩვენ მათეთიკა?

იოანე. იგი განამტკიცებს და განხმურ ჰყოფს გონებას ჩვენსა, ოდესაც ნამდვილ შეკვცნებით მას და გვაჩვენებს ყოველსა გვარსა მხსველეობასა რიცხვისა ნამდვილეობითა და ჭეშმარიტისა სისწორითა.

ნიკოლოზმან. ვითარნი არიან ნაწილნი მათემატიკისანი?

იოანე. შემდგომნი ესე: არისმეთიკა, დომეტრია, ტრიღონომეტრია და ალგებრა, ნაწილნი ესე შუადგენენ წმინდასა, მათემატიკისა და სხვანი. ოდენ მიეწერებიან შერეენილსა ესრით ვითარცა ასტრომია, ინომონიკა, ოპტიკა, ღიდროსტიკა, მესანიკა, ღიდრაკლიკა, ნადვიცია, სრინოლოღია, არხიტექტურა და სხვანი, ნოტი, სპერათა, ანუ მგალობლობისა და სიმღერისა.

ნიკოლოზმან. რა არს არისმეთიკა?

იოანე არისმეთიკა არს ჰსწავლას მრიცხველობის, მიმცემი ადვილი და მსუბუქადრე კანონისა უამისა რიცხვისასა.

ნიკოლოზმან. რაოდენნი არიან კანონნი, ანუ ნაწილნი არისმეთიკისანი?

იოანე. ოთხნი, ესე იგი აღრიცხვა, ანუ შეკრება, გამორიცხვა, ანუ გამოკრება, გამკაცლება და განუოფა, სხვანი უკვე არა სხვა რაიმე არიან, რა გვარადაც განსკებულნი შეთანასწორებანი მათდაში.

ნიკოლოზმან. რაოდენი ასო მოჭმედებს, ამის სწავლასა შინა და ანუ რა ეწოდებათ?

იოანე. ასოთა მათ ეწოდება ციფრი, იხმარება ცხრა უკვე ასო და მათე ნოლი ამ საზედ.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0. თვითეული ასო ნიშნავს თვითეულად თვლასა, პირველი ერთს, მეორე ორს, მესამე სამს მეოთხე ოთხს; მეხუთე ხუთს; მეექვსე ექვს; მეშვიდე შვიდს; მერვე რვას; მეცხრე ცხრას; ნოლი არა რას. ოდეს გინდა და დასკამ 10 ერთსა მარცხენით და მარჯვნივ მოუსვამთ ნოლსა. მაშინ იქნების ათი, უკეთუ ორჯერ დასკამ ერთსა, იქმნების თერთმეტი და თუ ერთს მოუსვამ ორსა, იქმნების თორმეტი, და თუ ერთს მოუსვამ სამსა, იქმნების ცამეტი. ესრეთ უშორეს, და ოდეს ორს დასკამ და მოუსვამ ნოლს. მაშინ იქმნების ოცი. თუ სამს მოუსვამ ნოლს იქმნების ოცდა ათი, და თუ ოთხს მოუსვამ იქმნების ორმოცი, ესრეთ თვითეულს ციფრისთან თვითეული მჯდომარე ნოლი, ყოველ-

თვის ათს მოუმატებს და ადვალს ასზედ: ოდესაც ერთს ციფრს მოუსომ ორს ნოლსა, მაშინ ექმნების ასი. და თუ ორიანს მოსომ ორსა. მაშინ ექმნება ორასი და ესრეთ უშორეს და ოდეს ერთს ციფრს მოუსომ სამს ნოლსა, მაშინ ექმნების ათასი. თუ ოთხს ნოლს მოუსომ, ექმნების ათი ათასი. თუ ხუთს ნოლს მოუსომ მაშინ ექმნების მილიონი. აგრეთვე სხვათა ციფრებთა ამთენ აღსანიცხველად; ესრეთ უნდა აღრიცხეთ ბოლს ნოლიდამ ესრეთ: ერთი, ათი, ასი, ათასი, ათათასი, ასიათასი და მილიონი: 1,000000. ამა აღრიცხვაში ნოლნი არღას ნიშნენ, მხოლოდ ციფრი ექმნების შენიშნული. ესრეთ იხილეთ არიხმეტიკის წიგნთა შინა და მუნიდგან ისწავლეთ.

ნიკოლოზმან. აღრიცხვას მივხვდი, მიბძანე შეკრება თუ რა არს? იოანე. შეკრება არს შეერთება მრავალთა უკვე რიცხვთა ერთისა რაოდენობისა, ანუ ჯამსა, მაგალ. დავსხათ, მე რე მოუსოთ თერთმეტი ძირს, მე რე ოცი, მე რეთ ოცდა ოთხი, შეკრიბეთ ჯერ მარცხნის ციფრი, ოთხი და ხუთი. ექმს ცხრასა დასვით: ცხრა მარჯვნივ და მე რეთ შეკრიბეთ მარცხნის ციფრი: ორი, ორი, ერთი და ერთი ექმს ექვს და დასვით მარცხნივ, მე რე თქვით მარჯვნიდამ: ერთი, ათი, ერთხელ ცხრა, ცხრა და ექვსჯერ ათი სამოცი. ორნივე ექმონენ, სამოცდა ცხრას, ამ სახედ ჭქმენით: 10

შეკრიბეთ ვითარცა დავსწერეთ შეადგენს სამოცდა ცხრას. 15

20

24

69 აჭა,

სამოცდა ცხრა! ნოლის შეკრებაში არ იხმარება ოდესაც ციფრი ზის და თუ ციფრი არა სის, მაშინ ნოლებიც იხმარებიან ესრეთ:

200 ეს გვარ დასხმული და შეკრებული ექმს ცხრასასა.

400

300

900 აჭა, ცხრასა და ესრეთ უშორეს.

ესე უფკელნი საზოგადო რიცხვები, ამ სახედ შეკრებულნი აწოდდებიან, რიცხვებთა ჯამად.

ნიკოლოზმა. რაჲ არს გამორიცხვა, ანუ გამოკრება?

იოანე. გამორიცხვა, ანუ გამოკრება, არს ესე ვითარნი კანონნი, რომელიც იჩვენების, თუ ვითარ დიდისგან უკვე რიცხვისა ჯერ არს მიღება მცირისა, რათამცა ეჭვსნათ თუ რა დაშთების, მაგალ: სამოცი თუმანი მიაბარეთ ვისმეს, იქილამ დახარჯეთ, რცდა ათი თუმანი რდეს გამორიცხვით, რცდა ათს თუმანს, კვალად დაშთება სამოცილამ, რცდა ათი თუმანი. აგრეთვე რცდა ათილამ დახარჯეთ თუთხმეტი თუმანი. კვალად დაშთება რცდა ათილამ, თუთხმეტი თუმანი, ეს სახედ დასსით: 60 | 30
და გამოკრბეთ. 30 | 15

| | | | |
|---------------|----|----------------------------------|-----------------------|
| | 30 | 15. | აჭა მიებულნი რიცხვნი. |
| ასე იქმნენით: | 60 | ნოლის მაგიერ ერთი ნოლი დასვით | |
| | 30 | საზ ქვეშეთ, ექვსილამ გამოლთ სამს | |
| | 30 | დანახარჯს, დაჩება სამი, და გამო- | |

უსვით ნოლს, კვალად დაშთება რცდა ათი. ვითარცა ზემოჩე დაუსწერეთ, მეორე დასვით, რცდა ათი, იმ სახედ, რომორც აჭა 30 ქვეშ დაუსვი, თუთხმეტი დანახარჯი გამოლი ამ სახედ, 15 ნოლს დაადე ერთი რიცხვი სამილამ, რომ იქმს ათსა და 15 ერთილამ, რომ სუთს გამოხვიდეთ დაჩება ხუთი, დასვით საზ ქვეშე და მეჩე სამილამ გამორიცხეთ ერთი ამისთვის, რომ სამილამ რომ ისესხეთ ერთი დაშთა რჩი, ამა რჩილამ ერთი გამოლი და დასვით ხუთთან ერთი, იქმს თუთხმეტს და რცდა ათილამ თუთხმეტი რომ დაგინარჯავ. თუთხმეტი კიდე დაშთება და სხვანი.

ნიკოლოზმან. რასა შინა მსახურებს განმჩავლება რიცხვთა.

იოანე. იგი გვასწავებს განმჩავლებათა რთთა მოცემულთა რიცხვთა ურთიერთსა შორის, ანუ ერთი მეორესა ზედა რათამცა ვიზოვით მის მიერ მესამე ესე ვითარნი რომელსაც შინა ერთი მოცემულთა რიცხვთაგანი იპერობებოდეს ესოდენ გზის, რადენიცა მეორე

რესა შინა მოცემულსა, იპოების მხოლო, რიცხვი მაგალ: ოდესაც გნებავს, თუთხმეტის რიცხვისა ოთხით გამრავლება და ოთხით გამრავლება თუთხმეტსა, მაშინ იქმს ჯამი რიცხვისა სამეოცს ანუ ესრეთ გამრავლე: 15 ოთხჯერ ხუთი იქმს ოცსა, დასვი ნოლი 4 ლი და ორი შეინახე გონებაში.

60

და მერე სთქვი ერთხელ ოთხი, და ორი ერთად შეკრებულნი აქვს ექვსსა, დასვი იმ სახედ ვითარცა ჯამს იქმნება სამოცი.

და ესე განმრავლება ყოველს საზომსა და აღწონასა შინა სახმარი, რომ მცირეს რიცხვით შევიტყოთ ბევრსა, მაგალ: ამა სოფლიდამ არის ვსთქვათ, კოდამდინ ხუთი საათი სავლელი. ერთი საათი იპურებს თვის შორის, ხუთ ვერსსა ერთი ვერსი ათას ხუთასსა აღლსა. მინდა შევიტყოთ აქედამ რამდენი ვერსია კოდა, და რამდენი აღლია და სხვა ამსხედ 5 გამრავლე ხუთად იქმს ოცდა 5 ხუთს ვერს.

25

ნიკოლოზმან. რაი არს ღეომეტრია?

იოანე. ღეომეტრია არს ჰსწავლა, რომელიც გვასწავებს განზომისსა და შეთანხმობებსა ყოველისა რაოდენობისსა, სიგრძისა, სიერცისა, სიმაღლისა და ანუ სიღრმისსა.

ნიკოლოზმან. რასა უკვე ნიშნავს ლექსი ესე ღეომეტრია?

იოანე. იგი ნიშნავს განზომისსა მიწისა, ანუ ადგილისა, გინა ხელოვნებასა განზომად ადგილისა. სოლო ღეომეტრიისა ხელოვნებაი მოზრკებულ არს ეგვიპტელთაგან მიზეზითა ამით, კინაიდგან მდინარეი ნილოსი (მილი მუშხრაქი) ყოველ წლივ ორი გზის გარდმოკარდნითა ხმელსა ზედა ამიზეზებდა და წარიღებდა მიჯნებთა და უწესოდ წალეკდა მოსავალთა, ამისთვის მოიგონეს ხელოვნებაი ესე და ამის ძლით შეამუსრნეს ფიცხელი მომდინარეობაი მისი და მოიყვანეს წესსა შინა,

ნიკოლოზმან. რაოდენ ნაწილად განყოფიების ღეომეტრია?

იოანე. სამთა უმთავრეს ნაწილად, ესე იგი: ზინემეტრიად, ანუ განზომად ხაზისა, ანუ სიგრძისა თვინიერ სიგრძისა, რომელსა ბერძენნი უწოდებენ ზონდი ეეტრისა, 2) ჰლანომეტრიად, ანუ განზომად ზემო პირისა და ანუ ჭსწაკლად რაიწაღა ქარტათა; ანუ სხვათა ადგილთა ზედა ხაზთაგან შეიცვიან ბზიფანისანი, ანუ განთენილუბანი, 3) სტერეომეტრიად, ანუ ჭსწაკლად განზომილებისა რომელნიც არიან მყარნი სხეულნი.

ნიკოლოზმან. ვითარსა უკვე საჩკებლობას მოგვართმევეს ჩვენ ღეომეტრია?

იოანე. იგი განამტკიცებს განჭმსჯელობასა ჩვენსა და რაიწა ნაკვეთნი დაიდების წინაშე თვალთა ჩვენთა, მათ ცხადად განმარტებს უზაქროდ დამტკიცებად.

ნიკოლოზმან. შესაძლებელია ჭსწაკლად ღეომეტრიის ხელაგნებისა თვინიერ ცოდნისა არისმეტივისა?

იოანე. შეუძლებელ არს, მით რამეთუ უკეთუ არა იცის გვარნი რიცხვთა, ანუ გამოკრიცხვათა, მაშინ ვერა შემძლებელ იქმნების ჭსწაკლად ღეომეტრიისა, ვინაიდგან საკუთრად არისმეტიკად არს ჭსწაკლად და მჩვენებელი ყოველთა რიცხვებთა, ანუ ანგარიშებთა.

ნიკოლოზმან. რაი არს ტრიდომეტრია?

იოანე. ტრიდომეტრია არს ხელაგნება, ანუ ჭსწაკლად მექონთვის შორის საზღვართა, სამთაგან მოცემულთა და რიცხვებთა გამხატულთა კერძოთა სწორებისა ხაზთასა სამ კუთხეთასა და განსაზღვრებად კვლადვე სამისა მისისა კერძოთა.

ხოლო ხელაგნება იესე თუმიწაღა მრავალ გვარად განიყოფების გარნა ძალი ამის უმთვრლეს არს, განზომად ძაღაღთა ადგილთა და შენებულუბათა სივრცეთა ადგილთა, მდინარეთა და ტბებთა და სხვანი.

ნიკოლოზმან. რასა გვასწავებს დიფერენცია?

იოანე. იგი გვასწავებს, ყოველსა გვარსა დიდისა ნივთისა შემემცნებასა, ესრეთ რომელ: ყოველი სიდიდე აზერობების თვის-

სა სამღვარსა შინა, რომელიც იწოდების სიდიდე განსაზღვრებულად. ხოლო წინააღმდეგ ამისა იხედ წოდების სიდიდე დაუსრულებამდის სიდიდით და დასრულებით უმცირეს ყოველი იგი რომელი, დაიდების უდიდეს, ანუ უმცირეს უმორესსა ყოველსა შინა საზღვარსა.

ნიკოლოზმა. რასა შეგვამცნებს უმაღლესი, ანუ ზესთა, ღეომეტრია.

იოანე. იგი გვასწავებს განყოფიით, სხვათა და სხვათა სახითა განკვეთად ხაზებიდ სიმგვრლეთა და სიბრტყეებთა ნაკვეთთა და ადგილთა.

ნიკოლოზმა. რაი არს ფართიფიკაცია?

იოანე. იგი არს ხელფუნება ხურათ. მოძღვრული, რომელიც უმფრარე სახმარ არს სამხედროსა საქმესა შინა, აღსაშენებულად სიმაგრისა ქვითაგან, ანუ ბელტებთაგან, ანუ გოდორ კურებთაგან, ანუ ლოგურებთაგან, თუ ვითარ რა დროს დაეჭირების მხედრობათა ესე გვარ ქმნად რათა მცირითა კაცითა, ამის ძალით შექმლას მრავალთა მტერთა წინა განყოფად. გვარი ამა შენებულებისა დიად მრავალ სასე არს და იხილე ესე ყოველნი თვის-თვისა, საგუთართა წერილობათა შინა.

ნიკოლოზმა. რაი არს ტაქტიკა?

იოანე. იგი არს სამხედრო ხელფუნება და გამოცდილება დაწყობილ ჯარებთა, ანუ მხედრობათა გვართა ზედა, დასხვა და სხვად დასტებად, ანუ გორბუსებად, განკარგულება ყოველით წესიერებითურთ ყამსა ბრძოლისასა, ანუ ზედა დასხმისასა, და ესე სახედვე აღრჩევად ადგილსა სადაც უნდა ებრძოდეს მტერსა და უწყებად ზედ მიწეგნით მოძრობათა თვის-თვისა ყამთა ზედა, და მოყვანებად მათი წესსა შინა, და ქსავება რიგზედა მხედრობათა თვისთა.

ნიკოლოზმან. რაი არს არტილერია?

იოანე. არს ხელფუნება ცეცხლთა სასროლთა საჭურველთა და განკარგულება ცეცხლთა სასროლთა საჭურველებთა, რომელ არიან შემდგომნი ესე: ზარბაზანი, აუდინაროლი ანუ მარტოქა ზარბაზანი

ყუმბარა, მოკტიანი, ლეტარდი, მუშკეტი, ჯაზაირი, ნასირი, ზამ-
ბულაკი, ყარაბინა, თოფი, დამბანა, ტყუია, საფანთი, წამალი თო-
ფისა, ჯაჭვი სასრული ზარბაზნით, ხანჯალი, ანუ სატყეარი, ხმა-
ლი, შუბი მშვილდ ისარი და სხვა იარაღნი, ესე ყოველნი იწოდე-
ბიან არტილერიას და ამის ხელკონებაც ისწავეთ ამა მცოდნე-
თაგან.

ნიკოლოზმან. ვაჟო, დიდი საქმე ჰქონდებია სარდალს, რაც
შენ ილაპარაკე, აზიამ არც კი გაუგონიათ, მაგრამ სარდალ-
ბენ კი.

იოანე. ზოგთ უცოდინარტ ნიჭადაც მიეცემთ სარდალობის
მადლი. და ბედნიერნიც იქნების ომში, მაგრამ სწავლაც რომ ქონ-
დესთ, ისე უმჯობესი იქნება: აჭა მე თვით მსმენია მრავალ სასუ-
ლოვანს საქმე: რომ თვით კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ ასეთი ქება
მიაწერა ასპინძის ომში გარჯისტვის ნუ მომილოცავთ, ამ ჩემ სიმეს
მიულოცეთო, აგრეთვე დიდის უკუნის ომში, თუ სახელოვანად
მოიქცა, ან კიდევ სხვა ადგილთა შინა ყოველთვის ქებას მიაწერდის
და ან ვითა ერთგული იყო თვისის მეფისა და ქვეყნისა ნუტავი მე-
სამედი მის შვილს, იოანეს გამოჭეოლოდა; აჭა ნიჭი, და თუ ჰსცო-
დნოდა რაც მე მოგახსენე, კვანებ ეკრძაში სარდალად ვერ ვინ
ემჯობინებოდა.

ნიკოლოზმან. ღმერთმან იცის მართალს ამბობ: მამინ ზუ-
რამბა, ბატონო სარდალო. თქვენ ხომ გასწავლას, ამ ბერძან, და
ამის იქით ლეკებს ნუღარას წინაღუენებთ, ეს ლეკები ხომ ახალ-
ციხეს ავიდნენ, ჩვენც მოურჩით ამის რჩევათ და ერთი ძროხა ერ-
გება სალსტატოში, მონასტრისთვის: მამინ ბეგრე იცინუს: იოანეს
ძროხა უბოძა ნიკოლოზმან როდისაც მახვალ კოდაზუდაო. და მეჩუ
დაიშალა ეს ჯარი, იოანე გამოეთხოვა, წავიდა შუალურისკენ. იარა-
ლითურთ, ნიკოლოზ კოდაისკენ.

მისრული იოანე შუალაკეს, გარდახდება ერთის ულესის კა-
ცის სახლთან, და იარაღის ეტყვის სახლას ჰატონნი ბატონის-

შვილი ალექსანდრე ამ დღეს მობძანდა, რომლისაჲ სჯმისთვის. იარაღი ესე ყოველივე უახლო იარაღს, და რქვა დიაკონიან: წარკედ ბატონისშვილთან ჩემ მაგიერ ლოცვა გუერთხევა მოახსენე და სადგომიც სთხოვე. იარაღი მისრული ბატონისშვილთან ხელს აკოცებს. ბატონისშვილმან მოიკითხა და გამოჭკითხა ანბავი, იარაღი ყოველივე მოახსენა, და იარაღს მაგიერ სახლი სთხოვა, ბატონისშვილმან უბოძა; სახლი და უბძანა: ახლა მცირე სჯმე მჭებს და კახშმის დროს ჩემთან მოიყვანე იარაღი: იარაღი მოვიდა, წაიყვანა დანიშნულს სახლში იარაღი და დაბინავდნენ; რა კახშმის დრო მოვიდა იარაღმ ტანთ გამოიცვალა, ახალი ანთოროს ჩაიცვა და წარვიდნენ ბატონისშვილისკენ რა სახლის კართან მივიდნენ, იხილა იარაღმ გარეთ ტახტზე მსხდომარენი ეჭისნი კაცნი, მეუღობის სჯმეზე ლაპარაკობდნენ, რადგან მეუღ ავად არს, იმისი მეძველიდრე ვინ უნდა იჯდესო. მერე აქეთი მხარე ანბობს არა ან ამისი უფროსი ძმა, ან ეს ალექსანდრეო, და დიდს დავაში არიან. იარაღი დგას ისე და უყურებს, და სთქვა: ესენი ვინ არიან? სამეფო სახლს რაბეღიანნი, ენდრონიკიანნი, ამილახვარიანნი, ჩოლოყიანნი, ციციანნი, ერისთავიანნი უნდა არიგებდნენო, მითხარით: ესენი იმათი შვილები არიან თუ ვინ არიან.

მაშინ იარაღმა უთხრა: ეს სამნი დავითის ვეზირნი არიან. ხელაქა, ნონია და სლოშია ბაღდასარ ალექსანდრესი, თაკბერა, ბაკა და პუპანა.

დიაკონიან: უი ჩემ თავს! არ გაუგონიათა ეს ლექსი...

თუ დმერთი კაცს არა ჭსწამს ამაოდ რასმე იჭირვის უწყალოდ, უღვინოდ, უბუროდ, ყაძი არაოდეს იწირვის. არცა ჭინჭრატას ჭანგითა არწივი არ დაიჭირვის და მისითარ მიკინტრონით მეუღობა ვით დაიჭირვის. რომელთაჲ გაიგონეს ეს თქმა დიაკონისგან. მოახსენა ბატონისშვილს, დათვიქრდა და ბძანა შეუყვანება იარაღსი რა დიაკონი მივიდა მოახსენა: დღეგრძელი მეუღის ძეო და მომჭირნეო მამულისთვის. ბატონისშვილმა მოიკითხა მგზავრობის მიზეზი ჭკითხა: იარაღმ ყოველი აცნობა, უბძანა დაჯდომა და ამასთან ესეცა: ვგონებ ჩვენი ვეზირები არ მოგწონდეთ?

იოანემ: მათ მიერ დაწყობილნი საქმეები ოდეს გვაჩვენებენ კარგს წარმოებას, მაშინ ვერვინ დაიწუნებს.

ალექსანდრემ. ჩვენი მამა ჰაზათა ვეზირები არღა გვეადრულობენ და მაშ რა ვყოთ?

იოანე. ოდეს რიგიანი რაისა—მიმართობა გექმნებათ ურთიერთისადმი ძმებთა, მაშინ ვერც იგინი გეუტყვიან?

ალექსანდრემ. ვითარი რაისა მიმართობა?

იოანე. უმცროსს უფრობასა, მეტს მოწილებისა, მესამე დამოწილება ჰსჯუღთა, მეოთხე სიძდაბლე და სიყვარული.

ალექსანდრემ. მართლად, მაგრამ გარემოებამ ესრეთ აწარმოვა?

იოანე. მაინც უნდა აღუდგეს კაცი წინა, ნებასა და წადილსათვის და ამასთან ჰკითხე ერთგულთა და გამოცდილთა კაცთა.

ალექსანდრემ. რა გვარნი და ვითარნი კაცნი უმჯობეს არიან ჰსწავლათა და რჩევათა შინა?

უნდა იყვნენ ჰსწავლულნი და მეტადრე გამოცდილნი, ზნეთ წავლდებათა და ზოლოტიკათა შინა პიტიკოსთა, ერთგულნი მამულისანი, პირუთნებულნი და მეცნაკი სხვათა სახელმწიფოთა ჯუღთა და ყოფაქცევათა და მქონებულნი ყმისა და მამულისა: აგრეთვე კარგი გვარის კაცნი ეს სახედგან ჰსწავლილნი და მტკიცენი საწმუნობისა და ფიცსაზედა ერთგულებისა მეფისა და მამულისასა.

დასასრული ორივე ტომის კალმასობისა.

კ ა ლ მ ა ს ო ბ ა

დიდი ხანია მას შემდეგ გასული, რაც ქართველ საზოგადოებაში „კალმასობის“ დაბეჭდვის ნატურა ისმოდა. ჩვენ ადრე განვიძრახეთ ამის გამოცემა და მიტომ კსთხეკეთ განსვენებულს დიმიტრი ბაქრაძეს, რომ გამოცემის შრომა მიეღო და „კალმასობა“ მისის წინანდებურის წინასიტყვაობით გამოსულიყო. დ. ბაქრაძემ სიამოვნებით მიიღო ჩვენი დავალება და სთქვა, რომ ჩემი წინასიტყვაობა უნდა შეიცვალოსო, რადგანაც მე იქ იჯანუ ბატონიშვილზე მაქვს საუბარი, მას ვაკუთნებ „კალმასობის“ დაწერასო და ახლა-კი ღაზაკაგობენ, რომ ვითომც „კალმასობა“ იონა ბერს ეკუთვნისო.

ამ კითხვებს ჩვენ ჯეროვანი უუარაღლება მივაქცით და სცა: რამ ძველი წიგნების კატალოგები, ან ცნობები იყო დაშთინილი, ყველა ესენი გადავშინჯეთ, ზედ მიწეგნით გავიცანით იონა ბერის ცხოვრება, შრომა და მოღვაწეობა, ასევე იოანე ბატონიშვილისა, მაგრამ ვერსად რამ ცნობა ვხეკეთ, რომ მის მეოხებით „კალმასობა“ ან ერთის გამხდარყოფს და ან მეოხრესი.

რადგანაც „კალმასობის“ დამწერის ვინაობა ჩვენ ვრ ვიცნოდით, ამიტომ დროებით ამის გამოცემა შეკახერეთ. შეკახერეთ მით უფრო, რადგანაც „კალმასობის“ დამწერი სშირათ ადგივიწერს ხოლმე თვით იჯანუ ბატონიშვილს, ამის მოქმედებას და ცნობებს, ასევე სშირათ შესვდება მკითხველი „კალმასობაში“ იონა ბერის სახელსაც. ერთიცა და მეორეც „კალმასობის“ ფურცლებზე სშირათ იქბიან და იდიდებიან დამწერისაგან, რასაც ჩვენ ერთობ ეტკუმი შეკუევათ. საზოგადოთ-კი შენიშნულია, რომ ჩვენს ძველს მწერლებში, ამ კილოთი და ენით წერა, როგორც „კალმასობა“ ანის ნაწერი, უფ-

რო იონა ბერს სტოდნია, ამის თხუზულებათა უმეტესი ნაწილი ასეა ნაწერები.

უგანასკნელ ჩვენ გაზედეთ „კალმასობის“ გამოცემა. გამოცე-
ცით ისევე, როგორც 1862 წ. გამოცემა, იმავე წინასიტყვაობით,
რომელიც მაშინ დასწერა განსვენებულმა დ. ბაქრაძემ. რადგანაც ამ
წიგნის გამოსაცემად ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევდა, რომ ჩვენ-
ნის ხარჯით გამოგვეცა, ამიტომ ჩვენ მივმართეთ ზოგი ერთ ქარ-
თველთ და მონაწილეობის მიღება დაგვავალეთ: მალე ჰასუსიც მი-
ვიღეთ და წიგნის გამოცემაში წაგვასაღისეს ლავრენტი ანტონის
ძე ბერძენიშვილმა, რომელმაც პირველათ მისცა ამ წიგნის დაბეჭდვის
საქმეს დასაწყისი და სოლომონ იესეს ძე დოლიძემ. ამათ გარდა
შრომა მიიღეს და დახმარება აღმოახინეს შემდეგ პირებმა: ლ. ბოც-
ვაძემ (კავკასს) დავით სეფერეულაშვილმა (იჭვე) ალექსანდრე არაბიძემ,
(ყვირილას, ქართული წიგნის მაღაზიის მწარმოებელი). ილია ჰაკელს
ძე ნადირაძემ (ბაქოში) კასილი ბუჟანეიშვილმა (ჭუთაის) ლავრენტი
ანტონის ძე ბერძენიშვილმა (ბათუმს) და სოლომონ იესეს ძე დო-
ლიძეს (განჯას).

ასე და ამ გვარათ, ზემოხსენებულ პირების მონაწილეობით
ჩვენ ცალკე წიგნათ გამოვეცით „მეფე გიორგის ცხოვრება“ და
„კალმასობა“. დაუბეჭდავთ რჩება მოსე ხონელის მოთხრობა „ამი-
რან ღარეჯანიანი“. ეს წიგნი უკვე მომზადებულია დასაბეჭდათ
და სექტემბრამდის გამოიცემა კიდევ.

„ამირან ღარეჯანიანის“ ღირსების და გამოცემის შესახებ
ჩვენ არას ვიტყვი, კმარა დაგასახელოთ ჩვენის უკვდავის შოთა
რუსთველის სიტყვები:

„ამირან ღარეჯანის ძე, — მოსეს უქია ხონელი“

ქართველთ სხვა ძველი მწერლებიც ქებით მოხსენებენ ამ
წიგნს. შოთა რუსთველის სიტყვებიდან ცხადათ სჩანს, რომ „ამი-

რან ღარეჯანიანი“ უკვდავ „ვეფხისტყაოსანზე“ ბეგრათ წინეთ უნდა იყოს დაწერილი. ამიტომ დროა რომ ეს ძველი წიგნი აღი-ბეჭდოს და მით გამოქვეყნდეს საზოგადოთ.

ამ წიგნის გამოცემა ბეგრს მასწავლას მისცემს ქართულ მწიგ-ნობრობის ისტორიის ძველკვარს, იგი ნათელს მოჭყენს და ახს-ნის იმ საიდუმლოებასაც, თუ შოთა რუსთაველი რა ჭაზრით ბრძა-ნებს „ვეფხისტყაოსანში“ რომ „ესე ამბავი სპარსული ქართუ-ლათ ნათარგმნები“. — „ამირან ღარეჯანიანი“ თვალთ წინ გადა-გვიშლის მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეობის მთელს ქარ-თველთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ზნეს, ხასიათს, მიდრეკილებას და განვითარებას.

ამიტომ კმარათ ამ წიგნის გამოსაცემათაც ხელის მოწერას და იმედი გვაქვს, რომ ზემოხსენებულნი პირნი ამ უძველეს წიგნის გამოცემაშიაც მიიღებენ მონაწილეობას და ხელის მოწერას გამარ-თვენ, თუ ეს საქმე მათის სამძიმოთ არ აღმოჩნდება.

„კალმასობის“ დედნის შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ჩვენ ძველი ხელთნაწერი კერსად ვნახეთ, გადმოკვებულეთ იმ წიგნიდამ, რომელიც 1862 წ. „ცისკრის“ რედაქციამ გამოსცა ქართველ სა-ზოგადოების მინდობილობით. მეორე წიგნი „კალმასობისა“ და-იბეჭდა 1867 წ. „ცისკარში“. მაგრამ მეტად ცუდათ, საძაგლათ, ქაღალდი შავია, გაწყალბებული, წამალი ცუდი, ასოები უკარგისი, ნა-ბეჭდი დღეს სულ აღარა სჩანს. შეცდომები რომ შიგ იმდენი მო-იპოვება, რომ რიცხვი არა აქვს. ზოგი ერთ აღაგას ახალ სტრი-ქონს სამ ფურცელზე კერ ნახათ, ზოგი ერთს ფურცლებზე დიო-ლოგები მიუჩილია უგვანად, ისე, რომ კაცმა თავი უნდა გაიტან-ჯოს მის სწორებით. ჩვენ რაც შეგვეძლო კვრადეთ მხოლოთ იმას, რომ თუნდ უგვანათ დაშენილი დედანი მანც აღგვედგინა, თორემ ათი წლის შემდეგ „კალმასობის“ სიტყვების სახე სულ გაქრებოდა

დავსძენთ აქ ბოდიშს, რომ ჩვენდა უნებურად სიტყვებში მცო-რე შეცდომა მოხდა: 310, 311, 315 და 317 გვერდებზედ. ვთხოვთ

მკითხველს რომ ეს ადგილები წავითხუფ იქმნეს და მცირე შეცდო-
მებიც მოტეკებულ, რადგანაც მით არა დაშავდება რა.

აქვე ურთავთ იმ ჰიროთა გვართა და სახელებს, რომელთაც ისუ-
რეს „კალმისობის“ შექმნა.

ფ. ჭიჭინაძე.

25 მარტს, 1896 წ. ქ. ტფილისს.

თბილისი.

| | |
|------------------------------|-------------------------------|
| ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი | მღვდელი ვასილი კარბელავი. |
| ალექსანდრე. | მღვდელი ვალისტრატი ცინცაძე. |
| არხიმანდრიტი ლეონიდი. | მღვდელი ანტონ თოთებაძე. |
| დეკანოზი პეტრე კონჭუსვილი. | მღვდელი ილარიონ ჯაში. |
| დეკანოზი სოლომონ შოშიევი. | მღვდ. ალექსანდრე ტატუნაშვილი. |
| მღვდ. ალექსანდრე მოლოდინოვი. | მღვდელი ნესტორ მაჭარაშვილი. |

კენინა ოღვა თადეოზის ასული
ჭაკეტაკისა.

კენინა ელისაბედ გრიგოლის
ასული საგინოვისა.

გიორგი დავათის ძე ქართველი.

კასილი გერასიმეს ძე ბერელაშვილი.

ადამ ზურაბის ძე ბერელაშვილი.

სანდრო იოსების ძე ბერელაშვილი.

აჩილ ხვედელიანი.

გორჯასში ბერეუანი.

დათიკო დუხიძე.

იოსებ რაზმაძე.

ანდრია ბენაშვილი.

იოსებ ლორთქიფანიძე (ქმიანი)

ივანე (ქიმი) ელიაშვილი.

გრიგოლ დიასმიძე.

ზაქარია იოსების ძე გამსახურდა-

შვილი.

გიგო მესხიკი.

ა. იაშვილი.

ანტონ ლეგრანი.

ნესტორ წერეთელი.

ესტატე ჩხარტიშვილი.

შალიკო ტინცაძე.

ალექსანდრე დავათის ძე მესხი.

ნიკოლოზ ვაჟიკაშვილი.

ვანო ჩხუბიანიშვილი,

სოლომონ ტუსიშვილი.

პლატონ ბურდული.

ვლ. ყიფიანი,

გიორგი ბურჯანაძე.

ალექსანდრე სანთაშვილი.

განჯაში.

მართა ნიკოლოზის ასული ნოდო-
სი.

თეოდორე კალანდაძე

მურაბა ბერაძე.

ლევანტი სისარულიძე.

მისა ჩიქოვანი.

ილიკო მაცაბერიძე.

გიორგი გეგეჩკორი.

ნიკო კალანდაძე.

ნესტორ ცხვირავაშვილი.

სარდიონ ქუმსურიძე.

ერმლოზ გენძეხაძე.

კასილი მანუკელიძე.

სივრიდონ ცქიტიშვილი.

გიორგი ჩივაძე.

იოსებ წიკლაური.

როსტომ იაშვილი.

სტეფანე სილაგაძე.

სურგეი გიორგობიანი.

ილიკო ნადირაძე.

მიტროფანე უშვერიძე.

იაგორ გოგობერიძე.

თეიმურაზ ნოდია.

სიმონ სვანიძე.

სარდიონ აბულაძე.

დიმიტრი ბაქრაძე.

კასო გელაშვილი.

გერონტი ჩლაძე.

ივანე შარუხია.

კასო ფანჯავიძე.

აღუქსანდრე სოფურია.
მისეილ მიჭაბერძე.

ივანე გოგობია.

ივანე ქუჩუკაშვილი.

აღუქსანდრე ჩარკვიანი.

დიმიტრი ქუმსიშვილი.

სიმონ კალანდაძე.

იოსებ კვალაშვილი.

გიორგი სიხარულაძე.

დავით ჩეჩელაშვილი.

კოსტანტინე ცალქალამანიძე.

პროკოფი კალატოზი.

გიორგი წალდასტანიშვილი.

იასე შარაშვილი.

ტარასი ცქიტიშვილი.

პეტრე მეძმარიაშვილი.

გიგო ცხომელიძე.

მერაბ წურწუშია.

გიორგი ბერიტოვი.

ზლატონ ანჯაფარაძე.

ტ. ხარაძე.

გ. ძალაშვილი.

ი. გურგენიძე.

დიმიტრი ძეგაძე.

დავით ზედგენიძე.

ლეკან ფურცელაძე.

გაბრიელ გოგავა.

ვასო ჯაფარაძე.

აღუქსანდრე მიჭაბერძე.

იოსებ ყორღანია.

სოლომონ ლალაძე.

ბათუმში.

ნიხაიშვილის ასული ბერძენი-
შვილისა.

ეკატერინე დავითის ასული ბერძენი-
ნიშვილისა.

ელენე გურგენიძისა.

ბაბუსი მანტკავასი.

ანნა ჰამაქისისიშვილისა.

ეჭვთიძე სიმონის ძე ბერძენიშვილი.

პეტრე დავითის ძე ერისთავი.

ივლიანე კო. ლომინაძე.

აღუქსანდრე აბაზაძე.

მისეილ შარაშვილი.

ლაგურენტი ანტონის ძე ბერძენიშვი-
ლი.

გერასიმე ბე. ყოყიკაშვილი.

ნესტორ სიხარულაძე.

ივანე კუჩუკაშვილი.

ანტონ სხანია.

ბესარიონ ლორია.

ლუკა სიხარულაძე.

ლაგურენტი ხუნგია.

ივლიანე ქანჭლაძე.

ანტონ ბუჯირი.

ვასო კაკაბაძე.

ანდრო ყაჭვიშვილი.

კალენიკე გოგოლაძე.

ჩაყდენ კახანია.

ვირილე ჯორბინაძე.

იაგორ აბესაძე.

ეფრემ ბრეგვაძე.

სარიდონ დუმბაძე.

ვასილი თალაგაძე.

ვასილი ელიაძე.

სარიტონ მკერვალი.

სიო ბერძენიშვილი.

ჰაკლე კიჭუკაძე.

ვანო ვაძაძე.

Handwritten notes and signatures at the bottom of the page, including the number 111 and various scribbles.

ფარნაოზ ანდღუღაძე.
 მიხეილ ლოღუა.
 მიხეილ კაკუღია.
 ნიკო ტეტხლაძე.
 მიხეილ დავითაშვილი.
 ჰავლე გოგანიძე.

მინაილოვი (ხაშური)

იოსებ ფანტულაია.
 სტეფანე ნოზაძე.
 კანო კალანდაძე.

კაკუღია

ლ. ბოტვაძე.
 თ. გ. კეზირიშვილი.
 ბ. დ. კვანტულოვი.
 ივანე ილურაძე.
 ნიკო მასკაჯარაძე.
 დიმიტრი ზებუდაშვილი.
 ანდრია კობაძე.
 გიორგი ჯონჯოლაძე.
 ივანე ჩითაყვიშვილი.
 გიორგი ბარათაშვილი.
 ივანე სიმონის ძე სუჯაშვილი.
 დავით ივანეს ძე მახვილაძე.
 თ. ერეთუას სიღამონოკ ერისთავი.
 ტ. ბ. კახიძე.
 გალაკტიონ მიხეილის ძე უშვერძე.
 მაკარ ოჭროშიძის ძე კვიციანიძე.
 ილია მოსულის შვილი.
 იასონ ლორთქიფანიძე.
 ა. დ. გედევანიშვილი.
 მელ. სოფ. კუხიანიძე.

დავით სევერეულოვი.
 ალექსანდრე გულბათოვი.
 კოტე ოთარაშვილი.
 მოსე ღარიბაშვილი.
 შაქრო ზაგავეი.
 შაქრო ნაობისშვილი.
 ალექსანდრე კარიაული.
 იოსებ ბარახუსტი.
 შაქრო ფიცხელაური.
 ივანე მესხიშვილი.

ყვირილას

თეოდოლე ხუსკივაძე.
 ალექსანდრე არაბიძე.
 მიხეილ გაჩეჩილაძე.
 დარისზან მარაქველიძე.
 სერგო ჯინჭკელაშვილი.
 ბესარიონ კელენჯერიძე.
 დიმიტრი ხუნდაძე.
 მიხეილ ბარამიძე.
 ილია მალაქელიძე.
 მინა მასკაჯარაძე.
 გაბრიელ ბიბილაშვილი.
 ტარასი კაპანიძე.
 სილობისტრო ქლიბაძე.
 სოგრატი ბარბაქაძე.
 გრიგოლ ბარბაქაძე.
 ლუკა ტყეშელაშვილი.
 მიხეილ ქორჩიანიშვილი.
 კანო არდიშვილი.
 ჰავლე ტეიშვილი.
 ამბერკო საყვარელიძე.
 ლეონტი კუხიანიძე.
 რაჟდენ გაჩეჩილაძე.

სერგო გვინიძე.
დავით გიგინაძე.
ერძინე უბრალოდ.
სევერიან ალაკიძე.
სიმონ დუგლასძე.

ქუთაისში

„მეურნეს“ რედაქცია.
სარიტონ ზურაბის ძე ფანუღია.
ნიკოლოზ ვასილის ძე მესხი.
გიორგი მიხეილის ძე ჩიკაძე.
სიმონ ტუღუში.
ალექსანდრე ნემსაძე.
ზორბეილე მეფარიშვილი.
იასონ გეგელაშვილი.
ზოლიკეპტ კვიციანიძე.
პარმენ ჭავჭავაძე.
დავით წულუკიძე.
ვასილი კლდიაშვილი.
ბესარიონ ლოსაბერიძე.
კოტე ბაქრაძე.
გიორგი შატრიშვილი.

ბაქოში

ფილიპე ივანეს ძე ტინცაძე.
სიმონ ანდრეას ძე ბარქაია.
მელიტონ ონიფანტეს ძე ტყეშელა-
შვილი.
ესტატე თოფურია.
შალვა როსტომის ძე ანთაძე.
ალექსანდრე ტარიელის ძე კილა-
სონია.
სერგო ბიჭიას ძე დოლიძე.

გიორგი ტყეშელაშვილი.
გიორგი ბაიდაშვილი.
ვასილი ქავთარაძე.
დათიკო გუგავა.

თელავში

შიო შიუკაშვილი,
ვასილი ბარნოკი.
ი. შარაფიშვილი.
ი. გარსიევი,
ნიკოლოზ რაჭმაძე.

აჭარაში

ალექსანდრე ლაზარეს ძე ვასაძე.
თ. ივანე ჭიანჭი.
თეოდორე ოქროპირის ძე ერქო-
მანიშვილი.
ლუკა ანდლუკაძე.

სელის მოწერა გამართულია „ამი-
რან. დარეჯანიანის“ გამომცემისა.

894.63

n 70